

ISSN 0182-500 X

საქართველო
საზოგადოებრივი
მეცნიერებანი

გნებობა



11

1989



ენათმეცნიერება

საქართველოს სახვითა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

მორის ფრანკოვილი — ლექსები	3
თამაზ პილაძე — ელისაბედ, ელისაბედო... პიესა.	8
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები	49
პინინ ალბაზიშვილი — ლექსები	51
ამაზ ხოგინიაშვილი — სიკვდილი ტაქსინში. მოთხრობა	56
ბელა შალვაშვილი — ლექსები	67
გურამ გიორგობიანი — ლექსები	70
დურგინიან ნიკოლოზი — ძაღლის ტყეში. მოთხრობა	72
ჯუანა ლომთაძე — ლექსები	84
ირაკლი გომბორაძე — ლექსები	86
ლადო სულაბერიძე — ბუფე ბედი, რომანი, გაგრძელება	87

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ კაციანი — რამდენიმე მოსაზრება	125
გიორგი ბაბაშვილი — სარწმუნოებრივი შემწეობის ფუნქციის შესახებ	134
ნიკა მთავროსი — ვლ. სოლოვიოვის ბნელმოლოვის ფილოსოფიური საკითხი დ. უზნაძისთან	143
ვლადიმერ კობახიძე — აუცილებელი პირობის „ამაზიანური თვისებები“	151

მეცნიერება

მიქაელ თარხნიშვილი — საქართველოს ძალადობრივი ანტიკომუნისტური წარმოდგენა და ბანკოტარება. თარგმანი თამარ ჭუმბურიძე	157
სილაბა კარგალაშვილი — რუსთველისეული „ესა უბანი სპარსულს“ ინტერპრეტაციისათვის	167



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
შიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, მ. ლასური, მ. ლუბანიძე, ე. შალ-
ვაძე, ლ. შრამაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქ-
ტორის მოადგილე), რ. პატარიაძე, ჯ. ჩაჩავანი, ნ. წულუბსკიერი, თ. ზი-
ლბე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.



ერის ზოგინივილი

გვანსოვს, საძარტველო, გვანსოვს

ეს ლექსი
მწარედ დაწერილი ლექსია,
წლების გალიაში ერთმანეთს ვეზლებით,
იყო დრო,
მკვლელები იღებდნენ პენსიას,
როგორც პოეზიის მკვლელები.

ეს ლექსი
მწარედ დაწერილი ლექსია.

სიმათლის მტკმელს
ტყვიას
შიგ შუბლში გესვრიან,
კალამსაც წაგლღეტენ სისხლიან
ბელებით, —

ილიას მკვლელები იღებდნენ პენსიას,
როგორც საქართველოს მკვლელები.

ეს ლექსი მწარედ დაწერილი ლექსია.

ჩვენ ახლა ყველაფერს
დრო და ეამს ვაბრალებთ,
მტვერს ვაყრით არქივში არქივს, —
რაც არ წაუქითხავეთ ამ თვალებს,
როდის წაეკითხავეთ, მარკვით!

ეს ლექსი
ადრე დაჩეხილი ლექსია.

სულში შეშფოთების ჩიტი ბუდობს,
ვინ სთქვა, მორჩილება ბედია, —
გაყიდული ხარ, პიტუნტო,
განწირული ხარ, მე დეეა.

იქნებ ჰაი-პარად გვიბრძოლია,
ნაღდი ქართველები სად არიან, —
იქნებ იბერიის ისტორია
მარტოდენ მითი და ზღაპარია?!

ეს ლექსი ცრემლით დაწერილი ლექსია.

დრო იყო, აღზევებამ დაგვამუნჯა,
გვიან მოვიკითხეთ ფესვები, —
შელანძღული ხარ, არტანუჯო,
შენი ოთხთავით და ფრესკებით.

დაკარგული ხარ, როგორც კახი და
განძარცვული ხარ, როგორც ბიჭვინთა...
ო, საქართველო, რა გაგიჭირდა,
ხატები გაგაქვს დედა-ტაძრიდან?!

ეს ლექსი
მწარედ მოსასმენი ლექსია,
ამ ლექსში
მე ახლაც ტკუიდან ვიშლები, —
ტიციანის მკვლელები იღებდნენ
პენსიას,

როგორც რესპუბლიკის
ერთგული შვილები.

საერო ბაზნიდან ითრევენდნენ სარჩოს,
ჩვენ კი ერთადერთი სიმათლევ ვერ
ვთქვით, —

ვდგავარ თქვენს წინ და
იქვი რამ მაღრჩობს,
ვითუ, ახლაც გაგვიწყრა ღმერთი.

ხმა არ გავიღეთ და
დაწყვეტილ ლარებს
თრთოლვით გადავებით დამსკდარი
ვენები, —
ლურჯი აივნიდან მთაწმინდის მთვარე
ცარგვალს უერთდება
ლურჯა ცხენებით...

ეს ლექსი იმ დღეს დაწერილი ლექსია

ეს ლექსი ბლავილით დაწერილი ლექსია,
ამ ლექსში
დაჭრილი ხარივით ვკვდები, —
ისევ თხოულობენ იქნება პენსიას
მსტოვრები, ჭალათები, მგლები.

რამდენიც გინდა იყვირე —

„ილია ვარ!“

კონდახით გაგიხეტქავს იუდა
საფეთქელს.

ჩვენი სირცხვილია ის იარა,
სულს რომ გვიშფოთებს და გვაფეთებს...

ეს ლექსი

იმ სისხლით დაწერილი ლექსია.

თითქოს არაფერი არ მომხდარა,

ჩვენს მოკლულ შვილებზე

ლამაზად ვბლავით, —

ტყავი ჩვენთვის არავის გაუძრია,

ჩვენ თვითონ გავიძრეთ ტყავი.

ტანზე რა ცოდვებმა გამოგვყარა,

ვინ ძოვს ედემ-ბაღში

სინათლის ყვავილს, —

ღმერთმა სამოთხიდან ეპოქისული
წიხით გამოგვყარა, ბიზლინოშენა
ჩვენ კვლავ სამოთხეში
გვგონია თავი.

ეს ლექსი

ცხრა აპრილს დაჩეხილი ლექსია,
ვგრძნობ, თავს დამატყუდება
ზოგ-ზოგი რისხვად, —
და მაინც ქართველი პოეტი
ქართველთა მწყემსია,
იცივს ქართველობას
„მეგობარ მტრისგან“.

ეს ლექსი

რწმენით დაწერილი ლექსია.

დგება მთაწმინდაზე ქართველის დედა,
ვლოცულობ, ო, ვინძლო,
ვერავენ გავტოვალის,
და ჰა, კვლავ მოვითხოვთ შენდობას
შენგან,

წმინდაო ილია,

ილია მართალო!

ციდან ძირს ეშვება

მესია მზისებრ,

ბრუნავს დედამიწა, ბორგავს ქვეყანა,

და, ღმერთო ჩემო,

ისევ და ისევ,

„მარად და ყველგან,

საქართველოვ,

მე ვარ შენთან!

2 აგვისტო

1987 — 1989 წ.წ.

ერთ მშვენიერ დღეს

„ვის აღმერთებდი, რომ გაღმერთებდეს,

ვის მსახურებდი, რომ გმსახურებდეს,

ვის არწმუნებდი, რომ გარწმუნებდეს,

როგორც მგზავრს მგზავრი,

ფრინველს ფრინველი,

„წინ უფსკრულია, არ გაიარო!“ —

ბრმას თვალბილული

თუ აფრთხილებდი?



ვინ შეიწყნარე, რომ შეგიწყნაროს,
ვინ შეიწყალე, რომ შეგიწყალოს,
ვინ შეიყვარე რომ შეგიყვაროს, —
ვინ ჰყავ კაცთაგან თავისუფალი? —
ერთ დღეს ყველაფერს გკითხავს უფალი.

ვის დაუჭერე, რომ დაგიჭეროს,
ვის უწინამძღვრე, რომ გიწინამძღვროს,
ვის უმკურნალე, რომ გიმკურნალოს,
ვის გაუწოდე, ვით საპყარს, ხელი, —
ვინ დაამშვიდე, რომ დაგამშვიდოს,
ვის გააგონე სიმღერა შენი!?

ვინ გისმინა და ვინ გითავმდება,
ვინ გკირისუფლობს სულით მხურვალით,
ერთ დღეს ყველაფერს გკითხავს განგება,
ერთ დღეს ყველაფერს მოგთხოვს უფალი.

ის აქ არ იყო, შენ ხომ მოხვედი,
უკვე იქ იყო.

მეტი რა გინდა, —
მან გაიარა ეს ჭოჯობეთი
და ბეწვის ხილზე ისე გავიდა.

მზე არ ათბობდა, გზა არ ჰქონია
და დაწყვეტამდე ჰქონდა ნერვები, —

მან გაიარა ეს აგონია
ლექსით, ლოცვებით და სიმღერებით.

ყელში ასკდება სევდა იაღონს,
შენს თავს შესცქერი შენივ სარკიდან, —
ალბათ შენც ასე უნდა იარო...
სხვა გზაც არსებობს,
მაგრამ რად გინდა?!
მან გაიარა ეს ჭოჯობეთი.

ღამისთვა

მზეს ზედაზენი სასთუმლოდ უღევს,
ღმერთმა, ო, ისევ ერთად შეგვყარა,
დღისა და ღამის უბადლო დუეტს
სულგანაბელი უსმენს ქვეყანა.

ყველა აღმართი აქ წყდება თითქოს,
აქ არც ივარძნობა წლები, წამები...

ღმერთთან შეხვედრას აქედან ითხოვს
სული —წალაწი და ნაწამები.

მარადეამული გესმის სიმღერა
და მაინც არის რაღაც საშური,
ერთი ნაბიჯიც და შეირბევა
სივრცე მაგ შენი ფრთების ტლამუნით.

მზეს ზედაზენი სასთუმლოდ უღევს.

ბუღანის ზვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცას დაცხრილულ ფრთებს ვატოლებ,
ანგელოსები სდუმან, —
მეტაფორებო, დამტოვეთ,
პირისპირ ვხვდები გუდანს.

შუამავალი არ მინდა,
ვინმევი პირიმზეს გულზე, —

სიციცხლეს ვიწვევთ თავიდან
და ღმერთს თვალბეში ვეშვებ.

მიწა არ ჰყოფნის მთაწმინდას,
ღრო ვარსკვლავებში მმარბავს, —
რაც იყო, უკვე წავიდა,
რაც არის, მიღის ახლა.

უფსკრულის პირზე

ღედის თვალბეში ჩამდგარი ბინდი,
სანთელი, როგორც ძველი ოცნება, —
სიციცხლე, მე რომ სიციცხლედ

ვთვლიდი,
ტანჯვა ყოფილა და გაოცება.

გალიის ფსკერზე ეივყევეს ჩიტი,
აღბათ სულ ჩქარა მთვარეც ჩაქრება,

სიმღერა, მე რომ სიმღერად ვთვლიდი,
ურვა ყოფილა და მწუხარება.

უფსკრულის პირზე ჩამტყდარი ხიდი,
სიზმარი, როგორც წვა და მოქნარება, —
სიკვდილი, მე რომ სიკვდილად ვთვლიდი,
შეება ყოფილა და ნეტარება!

შიმედოთა იმედოვნებით

ბოლოს და ბოლოს სიკვდილის
დავუცდიით,

არის აზრი რომ

უკვე დავღამდით,
არც რა ვიზა და არც რა სტატუსი,
მარტოდენ გზა და ლოცვა-ღაღადი.

ადრე თუ გვიან, ტყვიას გვესვრიან,
და ეკლესიას გვერდს ვერ აფუვლით,
ბოლოს და ბოლოს,

მოვა მესია
მოვა სიმშვიდე და სიყვარული.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ცბონდება,
და ცა იქცევა უფლის თვალბედად, —
შიმედოთა იმედოვნება!
უსულგულოთა გულმოწყალება!

პეპლური ფრთების თრთოლა თუ
დამბლა,
მოსვლის, ვით წასვლის მწარე წუთები, —
ბოლოს და ბოლოს,
ჩვენც წავალთ, მაგრამ
ბოლოს და ბოლოს,
ჩვენც დავბრუნდებით.

ვინ იცის, იქნებ...

რაც ვიცით, იქნებ პირიქით ვიცით,
იქნებ არც რა გვაქვს
ქვეყნად სათქმელი

და რასაც ვრთ ღროს
ვეძახდით სიკვდილს,
ეს არის იქნებ, სხვა არაფერი.



წვის ჯადოსნურის, გზის მარტოსულის,
 იქნებ ეს არის უამი მკვნესარი,
 იქნებ იქედან აქ ვართ მოსულნი
 და „საიქაო“ სწორედ ეს არი?

გვახსოვს ქართლი და
 გვახსოვს კოლხეთი,
 ბალღამით სავსე
 მახსოვს ჭიქა და...

იქნებ ეს არის ის ჯოჯოხეთი,
 ის დრო აშარი,
 მე რომ მიქაღდა?

იქნებ აქ შეწყდა ჩვენი პარბაში,
 იქნებ აქ იგრძნო სულმა სადავე,
 და უკვე ვცოცხლობთ „იმ ქვეყანაში“,
 „ამ ქვეყანაზე“, მაშასადამე.

იქნებ მოვიდა ის რაც წავიდა,
 იქნებ დიწყო ის, რაც დასრულდა,
 და რაც ერთ წამში გაუფასურდა
 ისევ ფასს იღებს იქნებ თავიდან.

იქნებ იქ ვცხოვრობ, ეროვნული
გინჯლიყმეკა
 როცა აქ ვცხოვრობ
 და მე კარგა ხნის ვარ გარდაცვლილი,
 რომ დროა უკვე,
 ღმერთმა მაცხოვნოს
 დროში, რომელსაც ასე დავცინი.

თავებირს რომ ვიმტვრევთ,
 ვინ რას გვაძალებს,
 იქნებ მკვდრები ვართ სულაც,
 ცოცხლებო,
 იქნებ აქ გასჭრეს ჩვენი საძვალე,
 ჩვენი კი კვლავ ედემ-ბაღზე ვოცნებობთ?

იქნებ არც რად ღირს
 რაღაც „ორი დღე“
 და დროა, ყველამ ჯოხი აქნიოს,
 და რაკი ვიბრძვით,
 იქნებ სჯობს კიდევ
 იმ „სააქაოს“ ეს „საიქაო“.

მეორედ სიკვდილი

იგი მეორედ მოკვდა, როდესაც
 ბალღით შექმულ საფლავებს შორის
 ველარ მიაგნეს მის საფლავს, მორის.

ქინელავდა.
 მიწას ეკვროდა თქორი
 და ვრცელდებოდა ქალაქში ჭორი, —

„იგი მეორედ მოკვდა, როდესაც
 ველარ მიაგნეს მის საფლავს, მორის“.

იდგნენ,
 ვით დგანან უცხო ძიები,
 პირს არიდებდნენ თითქოს ქვეყანას
 და არ იცოდნენ, სად მიეტანათ
 იმ სიჩუმეში ლურჯი იები.

თავაზი შილაძე

ელისაბედ, ელისაბედი..

(სამმოკმედებიანი დრამა)

მოკმედი პირნი:

- | | |
|--------------|------------|
| 1. ბაო | 6. ლევანი |
| 2. ელისაბედი | 7. არჩილი |
| 3. მათიკო | 8. ბიჭიკო |
| 4. ნორა | 9. გურამი |
| 5. ვენერა | 10. შოთიკო |

პირველი მოქმედება

(ელისაბედი და არჩილი)
 ელისაბედი — მოწიეთ, მოწიეთ, ნუ გერიდებათ. აი, ასანთი
 არჩილი — გმადლობთ.
 ელისაბედი — რას ვამბობდი? პო! არ მიყვარს, როცა ოჯახში კაცი უფროსობს-მეთქი. ამასთანავე, ქალთა ემანსიპაციის მომხრე, მაინც და მაინც, არა ვარ. ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც უსათუოდ დასაზუსტებელია. მომეცით, მე ავინჯებთ, მაგის ხერხი მე ვიცი ასე ადვილად არ აინთება.
 (ანთებს ასანთს, არჩილი სიგარეტს უკიდებს)
 ელისაბედი — აი, ასე!
 არჩილი — გმადლობთ.
 ელისაბედი — არაფრის. ქალი-სთვის სრული თავისუფლება ხელსაყრელი არ უნდა იყოს, დაფიქრებაა საჭირო. ყველაფერი, ყველაფერი და ქალს გულუბრყვილობა კი ნამდვილად არ შეუძვარის, ეს უკვე ზედმეტი ფუფუ-

ნებაა. გულუბრყვილობა კაცის საქმეა. არ გეწყინოთ.

არჩილი — რას ბრძანებთ!

ელისაბედი — რა თქმა უნდა, კონკრეტულ პიროვნებებს არ ვგულისხმობ, საერთოდ მოგახსენებთ, ზოგადად. სიგარეტისთვის თავის დანებება არ გიცდიათ? მე, რასაკვირველია, მიყვარს თავისუფლება, მაგრამ თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც. ზოგიერთ ქალს თავისუფლება უსაქმურობა ჰგონია. საერთოდ კი, მე თუ შკითხავთ, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი აღარ უყვართ, აი, მაშინ ახსენდებთ ზოლმე თავისუფლება. ყველაზე დიდი თავისუფლება, ჩემი აზრით, სიყვარულია. ყოველშემთხვევაში, როცა თუნდაც ერთმანეთის ხათრი გაქვთ, როცა ერთმანეთს პატივს სცემთ — მაშინა ხართ თავისუფლები, ალბათ...

არჩილი — ჩვენ გვექნება ერთ-



მანეისის ხათრი... პატივისცემაც, რასა-
კვირველია...

ელისაბედი — სასიამოვნოა...
თუმცა, წინასწარ თქმა ძნელია. რა უც-
ნაურია, აბა, დაუკვირდით, წინასწარ
ვერ იტყვი, მაგრამ, როცა იტყვი, უკ-
ვე საბედისწეროდ დაგვიანებულია. მე
თვითონ არ ვეწევი, რამდენჯერ კი ვცა-
დე მომეწია, მაგრამ ამაოდ. ჩემგან მწე-
ველი არ გამოვიდა. ისე, კარგი თამბა-
ქოს სუნი კი მიყვარს.

არჩილი — ახლავე ჩავაქრობ.

ელისაბედი — არა, მაგიტომ არ
მითქვამს. როგორ გეკადრებათ, მე რო-
გორ ავიკრძალავთ მოწევას, თქვენ კი
არა, ჩემსას. ვერ გაგაგდებინე ხელიდან
სოგარეტი, ვეჩხუბები, ვუშლი, ვეჩიჩი-
ნები — არ ესმის. გაზეთს ხომ მაინც
კითხულობ, ნახე, რას წერენ-მეტყი,
ყველა უბედურებას მაგას აბრალებენ-
მეტყი. ყელის კიბო, ფილტვების კიბო,
კუჭის კიბო, რა ვიცი, რაღა დარჩა...
მაინც ეწევა!

არჩილი — კი, ბევრს ეწევა.

ელისაბედი — აღარ ვიცი, რა
ვქნა! რა ვუყო! ისეთი გაუგონარია,
რომ... თქვენ მართლა გინდათ ცოლად
შვირთოთ?

არჩილი — დიას...

ელისაბედი — უკაცრავად, რა-
მდენი წლისა ბრძანდებით?

არჩილი — ორმოცდაჩვიდმეტის.

ელისაბედი — შეილება გყავთ?

არჩილი — კი, ორი გოგო. უფ-
როსი თქვენი ტოლია.

ელისაბედი — მე ოცდაორისა
ვარ.

არჩილი — ერთი წლით თქვენზე
უფროსი ყოფილა, თუკი ამას რაიმე
მნიშვნელობა აქვს. ცოლს დიდი ხანია
გავეყარე. აქეთ რომ მოვდიოდი, ძალი-
ან ვლელავდი, თქვენი მეშინოდა.

ელისაბედი — ახლა აღარ გეში-
ნიათ?

არჩილი — თქვენ წარმოიდგინეთ
— აღარ! ყოველშემთხვევაში, მე ნამდ-
ვილად მექნება მისი ხათრიც, პატივის-
ცემაც. მინდა დაგარწმუნოთ, რომ... არ

ვიცი, როგორ გითხრათ და სურვილი
არ ვიცი, გამიგებთ თუ არა. ~~მეცაა ჩუქურთა~~
გორც ვატყობ, ეს არავის ესმის.

ელისაბედი — რატომ ლელავთ?
არჩილი — (ღიმილით) რატომ
ვლელავ? მე თვითონვე მივირის. ჩემი
ქალიშვილი პირველად რომ გათხოვდა,
ამჟამად მეორედაა გათხოვილი, ერთი
კვირის მერე შინ დაბრუნდა და მითხ-
რა, დავაზუსტე — არ მყვარებიაო. აი,
თქვენი სიყვარული! უკაცრავად, რა
თქმა უნდა, პირადად თქვენ არ მოგ-
მართავთ, საერთოდ ვამბობ...

ელისაბედი — (სრცილით) ზო-
გადად!

არჩილი — დიას, ზოგადად. უც-
ნაურია.. არ მესმის...

ელისაბედი — უმცროსიც გათ-
ხოვილია?

არჩილი — დიას, ისიც მეორედ.

ელისაბედი — ესე იგი...

არჩილი — ჭერ კიდევ არკვევს
და აზუსტებს!

ელისაბედი — (ღიმილით) თქვენ
როგორი ბრაზიანი ყოფილხართ!

არჩილი — ჩემი მეუღლეც ამას წი-
ნათ ბათუმიდან მირეკავს, დამესიზმრეო,
წარმოგიდგენიათ! არადა, ათი წლის გა-
ყრილები ვართ...

ელისაბედი — შეიძლება, იმა-
საც ჭერ არ დაუზუსტებია...

არჩილი — შეიძლება... ასე გა-
მოდის...

ელისაბედი — უკაცრავად...

არჩილი — როგორ გეკადრებათ!
ჯობია, ისევე ვიხუმროთ. ასე ვიცი, ყო-
ველთვის ჭადგილო ადგილას ვბრაზობ
ხოლმე...

ელისაბედი — ძალით გაგაგდე
ტენისის სათამაშოდ. მინდა კვირაში
ერთხელ მაინც იყოს პაერზე. სულ
ოთახშია ჩაკეტილი, ინსტიტუტშიც და
შინაც. სადმე თუ მიდის, მხოლოდ მან-
ქანით. თქვენ... თქვენ მართო ცხოვ-
რობთ?

არჩილი — დიას, მართო ვცხოვ-
რობ.

ელისაბედი — გიჟირო მარტო
ცხოვრება?

არჩილი — როგორ გითხრათ...
აღამიანი აშკარად სიმარტოვისათვის არ
არის გაჩენილი. თუმცა, ამასაც აქვს
თავისი დედებითი მხარე.

ელისაბედი — თქვენი გაცნობა
დიდიხანია მინდოდა.

არჩილი — (ღიმილით) სხვათა-
შორის, მეც მინდოდა თქვენი გაცნობა.

ელისაბედი — სასიამოვნოა.

არჩილი — სულ თქვენზე ლაპა-
რაკობს ხოლმე...

ელისაბედი — მაპატიეთ, შინ
რომ დაგიბარეთ. ასე ვაჩვენებინე, ზელს
არავინ შეგვიშლის. თვითონ ჩვენი საი-
დუმლო შეხვედრის შესახებ არაფერი
იცის, იმედი მაქვს, არ გამთქვამთ.

არჩილი — დაწმენებული ბრძა-
ნდებოდეთ.

ელისაბედი — ნუ გაგიკვირდებათ.
აღბათ, გამიგებთ კიდევ... აი, თქვენ
ორი ქალიშვილი გაათხოვეთ, თანაც
ორორჯერ, ასე რომ, ჩემზე მეტი გამო-
ცდილება გაქვთ, მე კი პირველად მიხ-
დება...

არჩილი — მე მესმის თქვენი,
თანაც კარგად. ასე რომ... მე სხვა რამ
მინტერესებს, თანაც, ძალიან განვიც-
დი და აღბათ ამიტომაც ველეღა — მი-
თხარით, როგორი შთაბეჭდილება დაე-
ტოვე თქვენზე, ოღონდ, პირდაპირ მი-
თხარით, მოურიდებლად.

ელისაბედი — გითხრათ?

არჩილი — ძალიანა გთხოვთ!

ელისაბედი — იცით, როცა ჩუ-
მად ხართ, მაშინ უფრო მომწონხართ.

არჩილი — დიახ, მე ლაპარაკი
მიჭირს...

ელისაბედი — არა, იმიტომ კი
არა, თითქოს ცუდად ლაპარაკობდეთ...

არჩილი — ჩვენ ხომ შევთანხმ-
დით, დაუფარავად შეტყობით ყველა-
ფერს?!

ელისაბედი — მეტი რაღა გით-
ხრათ... ვიცე, რომ ცნობილი ბიოლოგი
ბრძანდებით, აკადემიკოსი, ლაურეატი.
კარგად უკრავთ ფორტეპიანოზე, უც-

ხოეთში მსახურობდით დღესაც მსაფა-
სუფლად ლაპარაკობთ ფრანგულად და
ინგლისურად...

არჩილი — საქმარისია... ახლა
თქვენს შესახებ მითხარით რამე.

ელისაბედი — მე დავამთავრე
უნივერსიტეტი, ახლა პოეზიის თარგმ-
ნას ვაპირებ.

არჩილი — მაინც რომელი პოე-
ტის ლექსები გინდათ თარგმნოთ?

ელისაბედი — ნამდვილად გაიხ-
ტერესებთ, თუ ისე მეკითხებით, ზრდი-
ლობის გულისთვის?

არჩილი — მინტერესებს, რას
კითხულობენ დღეს ახალგაზრდები.

ელისაბედი — თქვენი ქალიშ-
ვილები რას კითხულობენ?

არჩილი — არაფერს! სრულიად
არაფერს... მხოლოდ მუსიკას უსმენენ.

ელისაბედი — დასაწყისისთვის
მინდა ვთარგმნო ბაირონის რომელიმე
ლექსი.

არჩილი — ოპო?

ელისაბედი — მე ხომ ინგლი-
სური ვიცი! სხვა რა გაინტერესებთ?

არჩილი — (ღიმილით) არაფერი.
მადლობთ.

(წამოდგება).

— თუ ნებას მომცემთ...

ელისაბედი — დიახ, დიახ... მა-
პატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

(ისიც წამოდგება, აუჩქარებლად,
მძიმედ, მუხლებზე ხელებდაბჯენილი,
ბებრულად).

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო
თქვენი გაცნობა. ოღონდ...

არჩილი — ნუ გეშინიათ, ხომ გი-
თხარით, ეს საიდუმლო ჩვენში დარ-
ჩება-მეთქი! ხომ შევთანხმდით!

(კარისკენ გაემართებინა).

ელისაბედი — ვერ წარმოიდ-
გენთ, როგორ მიყვარს ეს სიტყვა: „სა-
იდუმლო კუნძული“, „საიდუმლო ბა-
რათი“, „საიდუმლო სერობა“... მერე
მე თვითონ ვეტყვი. ნახვამდის. ასე აქო-
ბებს.

არჩილი — ნახვამდის.

ელისაბედი — ძალიან გთხოვთ...



არ ჩილი — ბატონო?

ელისაბედი — ძალიან გთხოვთ... გაუფრთხილდეთ. ისეთი უმწეოა, ისეთი საცოდავი გული აქვს, არაფერი გაეგება ცხოვრებისა. არ უნდა ვამბობდეთ ამას. გაუფრთხილდით, თუ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, დედა ჩემი!

(არჩილი თავს დაუქრავს, მიდის. ელისაბედი ცოტა ხანს კართან შეყოვნდება, მერე ოთახში დაბრუნდება, ფანჯრის ფარდას გადასწევს და ქუჩაში გაიხედავს. მერე სარკესთან მივა, დიდხანს და გულდასმით ათვალიერებს თავის თავს. მერე მაგნიტოფონს ჩართავს და ისევ ფანჯარასთან დაბრუნდება. მერე ცეცხვი-ცეცხვით გადაკრის ოთახს და სამზარეულოში შევა.)

ისმის ზარის ხმა.

ელისაბედი სამზარეულოდან გამოდის და კარს აღებს, კართან ხის ჩემოდნიანი კაცი დგას).

ბიჭიკო — ეს უფრეხელიძის ბინაა?

ელისაბედი — (აღტაცებულ) ოოო!

ბიჭიკო — (მკაცრად) დედათქვენი შინ არის?

ელისაბედი — დედაჩემი მე ვარ! ბიჭიკო — რააა?

ელისაბედი — ის, ვინც თქვენ გნებავთ — მე გახლავართ! თქვენ კი, თუ არ ვცდები, ტელევიზორის ოსტატი უნდა იყოთ!

ბიჭიკო — თქვენ დარეკეთ?

ელისაბედი — ხომ გამოვიცანი?

ბიჭიკო — რა გამოვიცანი, ქალო?

ელისაბედი — არ უნდა დამერეკა? ერთი კვირაა, გელოდებით.

ბიჭიკო — ერთი კვირა ბევრია?

ელისაბედი — შემობრძანდით. (ოსტატი ბინაში შემოდის).

ელისაბედი — გამარჯობათ.

ბიჭიკო — იცი, თბილისში რამდენი ტელევიზორია?

ელისაბედი — ყველა გაფუჭებულია?

ბიჭიკო — ზოგი გაფუჭებულია, ზოგიც ფუჭდება. ხელოსანი კი ცოტაა.

ელისაბედი — ზოგი გაფუჭებულია, ზოგიც ფუჭდება?

ბიჭიკო — (თითს დაუქნევს) აბა, აბა! ეგეთები არ იყოს!

ელისაბედი — ტელევიზორზე გეკითხებით.

ბიჭიკო — მე ვიცი, რაზეც მეკითხები. თანაც, მანქანა არა მყავს, სხვები მანქანებით დაბრძანდებიან. ერთი მე ვარ უმანქანო.

ელისაბედი — დაბრძანდით, და ისვენეთ, დალლილი იქნებით.

ბიჭიკო — რამ დამალა?

ელისაბედი — ერთი კვირაა, ფეხით მოდიხართ.

ბიჭიკო — ერთი კვირა რატომ?

ელისაბედი — მე ხომ ერთი კვირის წინ დაგირეკეთ.

ბიჭიკო — მერე მეც მაშინვე ავდექი და წამოვედი?

ელისაბედი — არა?

ბიჭიკო — მაგას გირჩევენია, ტელევიზორი მაჩვენო!

ელისაბედი — ოი, ტელევიზორი!

ბიჭიკო — ეს ტელევიზორია?

ელისაბედი — მე მგონი...

ბიჭიკო — არ გამაცინა!

ელისაბედი — აბა, რა არის, თქვენი აზრით?

ბიჭიკო — ჰა-ჰა-ჰა!

ელისაბედი — ჩვენ კი ტელევიზორად ვხმარობდით.

ბიჭიკო — ახლა ცოტა ხანს სარეცხის მანქანად იხმარეთ.

ელისაბედი — როგორ?

ბიჭიკო — როგორც ტელევიზორად ხმარობდით, ისე! მოკლედ, უნდა გამოცვალო, რად უნდა ამას ამდენი ლაილი!

ელისაბედი — ჯერ გენახათ, იქნებ..

ბიჭიკო — იქნებ-მიქნებ არ ვიცი მე! უნდა გამოიცვალოს! იყოდეთ ფერადი ტელევიზორი, თუ ფული არ გაქვთ?

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

გაფუჭებულია
ზოგიც ფუჭდება?

ბიჭიკო — (თითს დაუქნევს) აბა, აბა! ეგეთები არ იყოს!

ელისაბედი — ტელევიზორზე გეკითხებით.

ბიჭიკო — მე ვიცი, რაზეც მეკითხები. თანაც, მანქანა არა მყავს, სხვები მანქანებით დაბრძანდებიან. ერთი მე ვარ უმანქანო.

ელისაბედი — დაბრძანდით, და ისვენეთ, დალლილი იქნებით.

ბიჭიკო — რამ დამალა?

ელისაბედი — ერთი კვირაა, ფეხით მოდიხართ.

ბიჭიკო — ერთი კვირა რატომ?

ელისაბედი — მე ხომ ერთი კვირის წინ დაგირეკეთ.

ბიჭიკო — მერე მეც მაშინვე ავდექი და წამოვედი?

ელისაბედი — არა?

ბიჭიკო — მაგას გირჩევენია, ტელევიზორი მაჩვენო!

ელისაბედი — ოი, ტელევიზორი!

ბიჭიკო — ეს ტელევიზორია?

ელისაბედი — მე მგონი...

ბიჭიკო — არ გამაცინა!

ელისაბედი — აბა, რა არის, თქვენი აზრით?

ბიჭიკო — ჰა-ჰა-ჰა!

ელისაბედი — ჩვენ კი ტელევიზორად ვხმარობდით.

ბიჭიკო — ახლა ცოტა ხანს სარეცხის მანქანად იხმარეთ.

ელისაბედი — როგორ?

ბიჭიკო — როგორც ტელევიზორად ხმარობდით, ისე! მოკლედ, უნდა გამოცვალო, რად უნდა ამას ამდენი ლაილი!

ელისაბედი — ჯერ გენახათ, იქნებ..


ბიჭიკო — იქნებ-მიქნებ არ ვიცი მე! უნდა გამოიცვალოს! იყოდეთ ფერადი ტელევიზორი, თუ ფული არ გაქვთ?

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.

ელისაბედი — რას ამბობთ, ფულის მეტი რა გვაქვს? რა ვყოფთ, რა მოვეუხერხოთ, აღარ ვიცი. წაგვეკა.



დაგვახრჩო ამდენმა ფულმა, გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, ცოტა მაინც მოგვაშორეთ. ვანა არა, ვთქვი კიდეც — ამ საქმეში თუ ვინმე გვიშველის, პირველ რიგში ტელევიზორის ოსტატი-მე-თქი!

ბიჭიკო — ბიჭოს, რა ლაპარაკი ცოდნია!

ელისაბედი — ლაპარაკი კი არა, ლაილაი!

ბიჭიკო — კარგი, გეყოფა. მამ, შენ ამბობ, ეს ტელევიზორიაო, არა?

ელისაბედი — ვამბობ კი არა, ვამტკიცებ, მითუმეტეს, რომ ზედ აწერია!

ბიჭიკო — ხაზენმა მითხრა, წიდი, ნახე, ასეთი რა ტელევიზორი უდგათ, უიშისოდ რომ ვერ ძლებენო. მე რომ მცოდნოდა, როგორ მოვიდოდი! რას გავს, რა დღეშია საცოდავი! მხეცი ბავშვები გყავთ ალბათ.

ელისაბედი — კი, ვერ ვაბამთ!

ბიჭიკო — ეს რა ვნახე — კოლონიის ტელევიზორია?! რა უქნიათ, რა უწვალეზიათ, რა უტრიალეზიათ, რა დუღლეჯიათ, ღმერთი არა გწამთ? თქვენ სად იყავით, ბავშვებს რა ესმით, უფროსია დამნაშავე! აჰ, აჰ, აჰ, ამის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება, ქრისტე კი არა ვარ. ჭერ ერთი ეკრანი აქვს გამოსაცვლელი, მეორეც, ნათურები! სახელოსნოში მოიტანე და იქნებ როგორმე გადაკეთოთ. სპეციალურ ბრიგადას ჩამოვყალიბებთ, მოვუხერხებთ რამეს ალბათ. თუმცა, მეექვსევა კი... რა ვიცი. შენ მაინც მოიტანე, ნუ გერიდებდა. რას იზამ, მარტო შენ კი არა გვავს ბავშვები. კი მაგრამ, ასეთმა ახალგაზრდა ქალმა როდის მოასწარი ვათხოვება?

ელისაბედი — თხუთმეტი წლისა გავთხოვდი, ძალით გამათხოვეს!

ბიჭიკო — მოგიტაცეს ალბათ.

ელისაბედი — ალბათ.

ბიჭიკო — როგორ თუ ალბათ, აღარ გახსოვს?

ელისაბედი — რაღა მახსოვს, ეგ როდის იყო!

ბიჭიკო — პოდა, მოიტანე, დაგეხმარებით. თუ გამოსახულია რა უწვება, ხმას მაინც გაიგონებთ, ამისგან ესეც ბევრია. ჩვენი მისამართი ზომ იცი?

ელისაბედი — სამჯერ ვიყავი.

ბიჭიკო — სამჯერ იყავი და მე ვერ მნახე?

ელისაბედი — რა ვიცი...

ბიჭიკო — მე რომ გენახე, უსათუოდ წამოგყვებოდი. მე დაზარება არ ვიცი. არ უნდა მოგერიდოს. უნდა მოხვიდე და მითხრა, ბიჭიკო, მე ბიჭიკო მქვია, ტელევიზორი გამიფუტდა, ამხანაგურად მომეხმარეო, მითუმეტეს, რომ მოტაცებული ყოფილხარ, ანუ, დაზარალებული. იმ წუთას ავდგები და წამოვალ, ხელში კეფირის ბოთლიც რომ მეჭიროს, გვერდზე გადავდგამ და წამოგყვები. როგორ? ბავშვებს ტელევიზორი უყვარდეთ, უიშისოდ ვერ ძლებდნენ, ტელევიზორი გაფუტდეს, ბავშვები უტელევიზოროდ დარჩნენ, ბიჭიკომ გაკეთება იცოდეს და არ გააკეთოს? ვერაინტი არ არსებობს! ანა, კარგად იყავი, ხომ გაიგე, რაც გითხარი, უსათუოდ მოიტანე ტელევიზორი ჩვენთან, ნუ მოგერიდებდა. თხუთმეტისა მომტაცესო. ვერ უყურებ, როგორ მსისაბანდებს! ბიჭიკოს კი ჭერაც ცოლი არ მოუყვანია. კიდეც კარგი, თქვენთან ლიფტი მაინც მუშაობს, ახლა ერთ ღადილას მისასვლელი ვარ, ერთი თვეა მელოდებიან, მაგრამ ვიცი, რომ იქ ლიფტი არ მუშაობს, მეთერთმეტე სართულზე რა ამიყვანს! იმათ ლიფტი გააკეთონ, მე ტელევიზორს გავუკეთებ, ყველამ თავის საქმეს მიხედოს და აეწყობა ცხოვრება საათივით. ასე არ არის? არ მახსოვს, როდის მომიტაცესო, ორი შვილი მყავსო...

ელისაბედი — სამი!

ბიჭიკო — სამიო! კარგი რა!

ელისაბედი — იქნებ გეცადათ, იქნებ როგორმე მაინც...

(ბიჭიკო კარს გაიხურავს. მაგრამ მშინვე დარეკავს ზარს, ელისაბედიც სასწრაფოდ გაუღებს).



ბიჭიკო — ეს უგრეხელიძის ბი-
ნაა?

ელისაბედი — მობრძანდით, მო-
ბრძანდით!

ბიჭიკო — მადლობთ, გენაცვალე,
შემოსასვლელად არ მცალია. აი, აქ ხე-
ლი მომიწერეთ. მართალია, გალოდი-
ნეთ, მაგრამ ბოლოს მიინც ხომ მოვე-
დი!

ელისაბედი — დიახ... რატომ?

ბიჭიკო — თქვენთან რომ ვიყავი,
იმიტომ. ზოგთან მიხვალ, პატივს სცემ,
ის კი ხელსაც არ მოგიწერს.

ელისაბედი — აი, აქ?

ბიჭიკო — ჰო, ზუსტად მანდი!

ელისაბედი — შეიძლება ჭვარი
დაუქსვა?

ბიჭიკო — წერა-კითხვა არ იცი?

ელისაბედი — არა.

ბიჭიკო — დაუსვი, რა ვქნა. აი,
ეგრე. აბა, ნახვამდის.

ელისაბედი — თქვენთან აღარ
დავრეკო?

ბიჭიკო — რატომ არ უნდა და-
რეკო? მე ეგ ვითბარი? ქვეყანა რე-
კავს, შენ ვითომ სხვაზე ნაკლები რი-
თა ხარ! ისე ჩემი ამხანაგური რჩევა თუ
გინდა, გადააგდე ეგ ტელევიზორია თუ
რაღაც ჭანდაბა. ახალი იყიდე. აშენდა
ქვეყანა, თქვენ რა დაგემართათ? ფული
ბევრი მაქვსო, მე რომ მატყუებ, შენს
თავს მოატყუე. წერა-კითხვა ვერ გის-
წავლია, არადა, გმირი დედა ხარ...

(ელისაბედი კარს მიხურავს, იღიმე-
ბა. ბიჭიკოსთან საუბარმა აშკარად გა-
ამხიარულა. სამზარეულოსკენ გაემარ-
თება, მაგრამ ისევ ზარის ხმა მოაბრუ-
ნებს).

ელისაბედი — (ღიმილით) ო, ბი-
ჭიკო, ბიჭიკო!..

(კარს აღებს, კართან ბავშვის ეტლი
დვას, შიგ ბავშვი ზის. ელისაბედი ეტლს
გაეგებება).

ელისაბედი — უი, ეს ვინ მო-
სულა?! მობრძანდი, გენაცვალე. უკვე
დაიწყე სტუმრად სიარული? მარტო გა-
მოგიშვეს? ყოჩაღ! ყოჩაღ!

(ამ დროს გამოჩნდება გურამი, ელისა-
საბედის კარის მეზობელი).

გურამი — უკაცრავად, ჩემო ელი-
საბედ, ზარი დავრეკე და შენ შევბრუ-
ნდი, რაღაც დამაფიქვდა, მაგრამ თავი
რომ მახსოვს, არ გიკვირს? შენი ჭი-
რბე, ბავშვი უნდა დაიტოვო საღამო-
მდე...

(მაიწვდის მიხაკების თაიგულს, ეტლს
ელისაბედის ბინაში შემოაგორებს. გა-
კვირვებული ელისაბედი თაიგულს ათ-
ვლიერებს, რაც თავი ახსოვს, გურამს
მისთვის თაიგული არ მოუტრთმევია).

ელისაბედი — რა დაგემართა,
გურამ, რა მოხდა ასეთი, ეს თაიგული
რას მიეაწეროთ? რა კარგი მიხაკებია!

(გურამი თაიგულს გამოართმევს).

გურამი — მოგწონს? მთელი ჩემი
იმედები მაგ თაიგულზეა ახლა, ამით
ვაპირებ ჩემი გაქცეული თალიკოს შე-
მორიგებას. მანამდე შენ უნდა მიმიზე-
ლო ზურიკოს. ზუსტად ამოდენა იყავი,
ეზოში ეტლით რომ გასეირნებდი. ოც-
დაორი წელია გიცნობ, ბოლოს და ბო-
ლოს, გვერდი გვერდ ვცხოვრობთ, კა-
რის მეზობლები ვართ...

ელისაბედი — გურამ, რა საჭი-
როა ამდენი ლაპარაკი, პირველად ზომ
არ ვიტოვებ ბავშვს!

გურამი — რა ვიცი, ველარავის ვე-
ლარ ვაგებინებ ვერაფერს. ვთქვათ და
მხურვალე, დაუოკებელი ტემპერამენტი
მაქვს, ვთქვათ და ბებია მყავდა ზანგი,
დავუშვათ-შეთქი... ეჰ, თუმცა, შენ რა-
ტომ გეუბნები ამას, შენ რას გერჩი!
გაუგებრობის მსხვერპლი ვარ, ელისა-
ბედ, გაუგებრობის! აი, მაწონი!

(აწვდის მაწვნის ჭილას).

— ზუსტად ორ საათზე მიირთმევს.
ახლახან ჭამა, ორ საათამდე არ გაილ-
ვიძებს, მოშვიდება და ტირილს დაიწ-
ყებს. როგორც კი შეჭამს, მაშინვე ისევ
დაიძინებს. კობო დედამისია. ერთე-
ლაც შეიღ საათზე აჭმევ, თუ იჭამდე
არ მოკვდი. ეს კი ჭალაღის საფენე-
ბია, გამზადებული — თუ ჩისხველა.
მოკლედ, ელისაბედი უნდა დაეხმაროს
გურამს.

ელისაბედ დი — კი მაგრამ..

გურამი — მეც ეგ არ მიკვირს?! სად მირბოდა, რომ მირბოდი ევითა მაინც, რა მოხდა, არც კი დაინტერესებულა, რა დღეში იყო მისი ქმარი ჩავარდნილი.

ელისაბედ დი — რა მოხდა მაინც ასეთი?

გურამი — რა მოხდა და წუწკები ხართ ქალები, წუწკები! სულ ერთი და იგივე გიტრიალებთ თავში. კაცს რომ დაინაწავთ, ხომ...

ელისაბედ დი — მოკლედ, ცოლს უღალატე ისევ?

გურამი — მე ვუღალატე? შენგან ამას არ ველოდი! აბა, ჩერ მომისმინე და მერე გამამტყუნე, შენც ხომ ჩემი ცოლი არა ხარ, ბოლოს და ბოლოს ჩემთვის ვხაზავდი რაღაცას. რა ვქნა, ცხოვრება ხომ მინდა, ზოგს საფლავი ჭირდება, ზოგს აგარაკი, ჰოდა, მეც ირჩები დღის ბოლოს და ვხაზავ. კარი თანამშრომლებმა დატოვეს, ეტყობა, ღია, ისე შემოვიდა, არც გამოვიცა...

ელისაბედ დი — ვინ?

გურამი — არის ერთი, შენ არ იცნობ. არც კი მომსალმებია, ისე გაიხადა დუბლიონკა, სვიტრი, შარვალი, ჩექმები და დამეტაკა...

ელისაბედ დი — მერე?

გურამი — რა მერე? ვებრძოლე, რაც შემეძლო. მაგათ რას მოერევი. გაგიგონია?

ელისაბედ დი — გამოდის, რომ...

გურამი — კი, მასე იყო ნამდვილად!.. ამ დროს შემობრძანდა სწორედ ჩემი შეუღლე სახელოსნოში, ლაღად შემოხებტა—ირემივით! რა უნდა ცოლს ქმრის სამსახურში, გეკითხები, მითუმეტეს, როცა ქმარი დაკავებულია? ასე რომ, ახლა შესარიგებლად მაქვს საქმე. მშობლებთან გაიქცა, მომკლა შავის დეენამ.

ელისაბედ დი — როდის მოხდა ეს ამბავი?

გურამი — გუშინ. კიდევ კარგი, შაბათი და კვირა დაემთხვა. ერთ დღეს კიდევ არა უშავს, მაგრამ ზეგ სამსახურ-

რში ხომ უნდა წავიდე? თქვენს მშობლებს შეგვინახავენ! მშობლებს მდგარი გენერლის დედა ვატირე მე, სარკეში უღებს თავის თავს „ჩესტს“! ჩემისთანა ანტიმილიტარისტი არ არსებობს დედამიწაზე და, მაინც და მაინც, მე შემხვდა გენერალი სიმამრი! ბედი მაქვს ამის მერე მე რამეში? ეთქვათ, წავედი ორშაბათს სამსახურში, ბავშვს რა ვუყო? თუ მარტო ჩემი შვილია? მობრძანდეს და მიხედოს, შეიწუხოს თავი. ცოლობა უნდათ, დედობა არა! აი, ეს არის საგანგაშო, ავიწყდებით ქალებს თავისი მოვალეობა. არც გარდაქმნა შევლით მაგათ და არც არაფერი.

ელისაბედ დი — ეს ლამაზი მიხაკები სად იშობენ?

გურამი — საბჭოს ქუჩამდე ხომ გაძლებს?

ელისაბედ დი — საბჭოს ქუჩამდე კი, როგორ არა.

გურამი — ეს მიხაკები, ჩემო ელისაბედ, ჩვენს მეზობელ სანდროს გამოვართვი.

ელისაბედ დი — ვის? რას ამბობ, გურამ, სანდრო ხომ მოკვდა! წუხელ პანაშვილზე ვიყავით მე და დედაჩემი.

გურამი — მართალი ხარ, მოკვდა, თქვენც კარგად მოქცეულხართ, პანაშვილზე რომ მისულხართ, ჰოდა, მიხაკები რაღად უნდოდა სანდროს, რაში ჭირდებოდა? ჩავედი და მის ძმიშვილს ვთხოვე, უფრო სწორად, ყრიდა და არ გადაეყარევიან, იმდენი აქვთ, სად წაიღონ, არ იციან, მოაქვთ და მოაქვთ, მოაქვთ და მოაქვთ ახალი და ახალი ყვავილები. მეჩქარებოდა და იმიტომ, თორემ ფული კი არ მენანება. მოკლედ, ელისაბედ, ხომ დაიმედებულს მიშვებ, ხომ მიმიხედავ ჩემს მემკვიდრეს, ჩემს სიცოცხლეს, ჩემს იმედს, ხომ არ ეტყვი უარს მაწონზე, ხომ გამოუცვლი საფენს? საღამომდე უსათუოდ დავბრუნდები, აღრეც შეიძლებოდა, მაგრამ ლამაზი უყვართ ბევრი მთელ ოჯახს, დედიან-შვილიანად, ხომ უნდა მოვე-

სმინო ბოლომდე, მაგათ ხელში ვარ, რა ვქნა!

ელისაბედი — მამ, მაწონი ორ საათზე...

გურამი — ნუ გეშინია, თვითონ გაუახსენებს, როცა მოშივდება, არ მოერიდება. დედას გავს. თუ ეს უკვე გითხარი.

ელისაბედი — საღამომდე მოასწრებ?

გურამი — რაო, მოასწრებო? საღამომდე, შეიძლება, პირველი ცოლიც შემოვირიგო. აბა, კარგად იყავი, აბა, პაჩი გურამიკო ბიძია!

(ელისაბედი ლოყაზე კოცნის, გურამი გარბის, ელისაბედი ბავშვის ეტლს თავის ოთახში შეაგორებს.)

სცენა ცოტა ხანს ცარიელია.

ისმის მუსიკა.

ბაო თავისი ვასალებით აღებს კარს, შემოდის. აცვია: ჭინისის შარვალი, ტყავის ქურთუკი, ბოტასები. მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, ჩანთიდან ჩოგანს ამოუყვია ტარი. ჩანთას გარდერობთან აგდებს, ქურთუკს არ იხდის, ოთახში სავარძელში გადაესვენება. ცოტა ხანს უძრავად ზის, მერე ყურმილს იღებს, კრეფს ნომერს, ყურმილს დებს, ეტყობა, დაკავებულია. ყურადღებით ათვალეირებს თავის ბოტასებს. დგება, წინკარში ვადის, ჩანთიდან სიგარეტის კოლოფს იღებს, ოთახში ბრუნდება, ისევ სავარძელში ჯდება, სიგარეტს უკიდებს. ხელახლა კრეფს ნომერს, ყურმილს ახეთქებს. სიგარეტს საფერფლეში მოსრესს. ნაქსოვ, პომპონიან ჭულს იხდის, თავის გაჭნევით თმას გაიშლის. ახალ სიგარეტს უკიდებს, ისევ კრეფს ტელეფონის ნომერს, ისევ დაკავებულია! დგება, ოთახში დადის, ფანჯარასთან ჩერდება, რალაცას უყურებს ქუჩაში დმინტერესებული, მერე სავარძელთან ბრუნდება. ჯდება, კრეფს ტელეფონის ნომერს, როგორც იქნა!)

ბაო — არა, არა, არა! არასოდეს აღარ დავრეკავ! საერთოდ, არავის არ დავურეკავ, ტელეფონს აღარ მივეკარებ! ამდენს რას ლაპარაკობდი მაინც.

რა გაქვს ამდენი სალაპარაკო? ვინ არის, ის საცოდავი, უსაქმური, ასე რომ გიგდებს ყურს, არ გაწყვეტინებს, ყურმილს არ გიკიდებს! ჰო, კორტებზე ვიყავი. არა, გივი არ მინახავს, იქ მივდივარო? იყო ალბათ და ვერ დავინახე. იქ იმდენი ხალხი ირევია ახლა ტენისი ზომ მოდაა! მეზარება. მაგრამ მაინც მივდივარ. ჰო, ყველაფერი მეზარება. ყველაფერზე მეტად კი მანქანის გარეცხვა! ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, როგორ შემძულდა ეს მანქანა იმას? როგორ არა ყავს მანქანა! ააა, უკვე გითხრეს, უკვე ჩავხარეს არა? დაეცადა ცოტა და მე თვითონ მოგიყვებოდი ყველაფერს. თუმცა არც არაფერია მოსაყლო. რალა დროს ჩემი გათხოვებაა, მეყოფა, ჩემი წილი სიამოვნება ერთხელ უკვე მივიღე. საკმარისია. ქალი რომ ქმარს გაეყრება, აღარ უნდა გათხოვდეს, აზრი აღარა აქვს. ვუყვარვარ? რა სულელი ხარ, ნატო, ვუყვარვარ კი არა... ალბათ, მოვწონვარ, ეგ არის და ეგ. არა, რა თქმა უნდა, არც ესაა ცოტა. დაიცა, დაიცა...

(ქურთუკს იხდის და იატაკზე აგდებს).
— ქურთუკი გავიხადე, დამცბა. რა მაცვია? ახლავე ჩამოგითვისლი: ლურჯი სვიტრი, ჰო, ლეოვში რომ ვიყიდე, ჭინსები, ქურთუკი გითხარი. ელისაბედმა ქუდიც ჩამომაფხატა, ისე არ გამოიშვა. იცი, ქალურად ჩაცმა მომენატრა. დრო არა მაქვს — ადამიანურად ჩავიცვა. უარესს გეტყვი — აღარც მინდა, გადავეჩვიე! ნამდვილი ქალი მაშინა ხარ, სარკესთან როცა ზიხარ, მსახიობივით. იმიტომ, რომ განუწყვეტელი თამაშია ქალის ცხოვრება. თამაში და ომი, ეს საღ წავიკითხე? არსად... რა ვიცი... ფილოსოფოსობა დავიწყე ამ ბოლო დროს. შეიძლება მართლაც საღდაც წავიკითხე... აღარ მაბსოვს. საუკუნეა, არაფერი წამიკითხავს. გურნალს თუ გადაეფურცლავ ზოგჯერ. დღეს ტელევიზორში ზომ არ არის რამე საინტერესო? თუმცა, ჩვენი ტელევიზორი არ მუშაობს. შენთან მოვიდე ვიდეოზე? გენიოსი ხარ! არა, ჩაიშალა ეს საქმე — დღეს ზომ

შებათია, ჩემი და უნდა მესტუმროს, მე-
 უღლესთან ერთად. ერთი კვირის წინ
 შევთანხმდით. ახლა გაიგე, ჩემი სიძე
 რომ გინეკოლოგია? რა თქვი? გინეკო-
 ლოგი სვავიფითაო? რატომ? რალაცის
 სუნი იკრა და მოფრინავს? ო, რა ხარ,
 ნატო, რა! რა არის ისეთი, შენმა ენამ
 არ თქვას გესმის? ჰო, კარგი მელო-
 დიაა ბერლიოზე გიყვდება. გინდა ხმას
 ავუწიო? მეზარება, ნუ ამაყენებ რა!
 რა თქვი? ელისაბედმა როგორ არ იცის,
 დღეს დაბარებულიც კი ყავდა, ალბათ
 მოსალაპარაკებლად. რა ვაცივებს? გუ-
 შინ არჩილმა მითხრა, ელისაბედმა და-
 მიბარაო. არა, ჩვენი ლაბარაკი არ იქ-
 მის, სამზარეულოშია. მთელი დღე იქ
 რომ იყოს, ის უნდა. რას გაიგებ, რო-
 დის წამოუღელის, როდის არის კარგ
 გუნებაზე და როდის არა. ზოგჯერ
 დღეში ორჯერ ალაგებს ბინას. სპორ-
 ტის გაგონება არ უნდა, ჩვენს ოჯახში
 ერთადერთი სპორტსმენი მე ვარ. არა,
 რას ამბობ, ელისაბედზე ლამაზი რო-
 გორ ითქმის! მე დედა ვარ, მაგრამ
 სიმართლე სიმართლეა, არა, რა თქმა
 უნდა, არც მთლად უშნოა, უფრო კა-
 რგი იქნებოდა, თვითონვე რომ არ იმა-
 ხინჯებდეს თავს. ელისაბედი? რას ამ-
 ბობ, ელისაბედი ბიჭისკენ გაიხედავს?
 ეგ საკითხი, მე მგონი საერთოდ არ
 აინტერესებს. ერთად ერთი სურათი
 აქვს თავის ოთახში და ისიც ლომის
 ფოტოა. მონაზონია დაბადებითაც და
 მოწოდებითაც. კი, კი, ნამდვილად. შე-
 მთხვევით ყური ხომ არ მოგიკრავს ზომ
 არ გაიხსნა სადმე ახლო-მახლო კარგი
 მონასტერი, ნაცნობობით რომ იღებდ-
 ნენ? იქ მოვაწყობდი უსათუოდ. კი,
 ასეა საქმე. რა მეშველბა! მამამისზე
 გიყვდება. არადა, არაფერი კარგი არ
 უსწავლესია მამას მისთვის, ეგაა რომ,
 მამამისის სანადირო თოფს... არა, არ
 წაუღია... კარგ მონადირესავით დამ-
 ლის და ააწყობს. შენი შვილიშვილი
 სად ბრძანდება? ჩემი ნათლული. მეორე
 ბებიასთან? აბა, გულზე იქნები გა-
 მსკდარი. ჰო, ჰო, იმ წუთას დაგიჭერე!
 ახლა რას უნდა ვაკეთებდე: შენ გელა-

პარაკები. მერე შხაპს მივიღებ, ნეტა-
 ვი, ცხელი წყალი თუ მინდის, გულზე
 ვისადილებ. ძალიან მშობია. ელისაბედის
 იმედი მაქვს. შენი ქეთიც კარგ კერ-
 ძებს ამზადებს? კი, მაგრამ, სად ისწა-
 ვლეს მაინც? რასაკვირველია, თუ და-
 მკირდა, მეც ვაჯავებებ. ისე ძალიან
 კი მეზარება. ახლა ამ სიბერეში დავი-
 წყო სადილების კეთება? არ მერტყვიან
 — ადრე დაგეწყო, ქმარიც შინ გეყო-
 ლებოდაო?! შენ ყოჩალი გოგო ხარ,
 ქმარი ბოლომდე შეინარჩუნე. რაო?
 საყვარელიც არა ყავს? ნუ დაუფიცებ
 თუ გიყვარდე, ნამეტანს ნუ მოინდო-
 მებ ახლა. ჰო, ყველაფერი ჩემი ბრე-
 ლია. მართალი ხარ, ჭკვიანმა ქალმა ჩე-
 რჩეტისგან განსხვავებით, უნდა იყო-
 დეს, როდის იყოს ჩერჩეტი. მაგრამ,
 იცი, მე თამაში არ შემეძლია. მეც შე-
 მქმლო წინსაფარი ამეფარებინა და ცო-
 ცხით ხელში დაგტრიალებულიყავი, კა-
 ცის მოტყუებას რა უნდა! მაგრამ არ
 ვიკადრე. ეტყობა, ოჯახის ქალად არ
 ვარ დაბადებული, არადა, არ დაგიმა-
 ლავ, ვნანობ ძალიან. ერთი-ორჯერ ვი-
 ფიქრე, ხომ არ გამოვაქვეყნო გაზეთ-
 ში ასეთი განცხადება: ვეძებ წყნარ,
 ჯანმრთელ, კარგ ჯამაგირიან შუახანს
 ვადაცილებულ მამაკაცს, სხვა მონაცე-
 მები, თუნდაც მამაკაცური, აუცილე-
 ბელი არ არის-მეთქი. ასე უფრო მშვი-
 დად ვიქნები და იმიტომ. საერთოდ გა-
 დავეჩვიე მაგ საქმეს. არა, კარგად ვერ
 გამოიგე — მარჩენალ იმპოტენტს კი არ
 ვეძებ, არამედ, ჩვეულებრივ, რიგით,
 ტელევიზორის მოყვარულ, კეთილ, ში-
 ნაურ ცხოველს. ჩემი გამოსწორება არ
 იქნება? რალა დროს ჩემი გამოსწორე-
 ბა! ან რატომ უნდა გამოვსწორდე,
 ღირს კი? აი, მეც ვაგვხდები ბებია და
 მამაშინ ალბათ გამოვსწორდები. ვითომ
 შენ სულ... კარგი, კარგი, რა შეიცხა-
 დე?! ვითომ ახლა უარს იტყობი ერთი
 მოდლღეზილი ვატერბოლოისტი რომ
 შემოვიდეს მანდ სამზარეულოში სტა-
 ფილოს ლეკვით? სტაფილო რატომ გე-
 წყინა ასე? სტაფილოს გადააგდებს,
 ბოლოს და ბოლოს. რა თქვი? ვერ მი-



ხედება? სად გაქვს სამაგისო სტაფილო? მაგარი ხარ, მაგარი! ვაიგე, ნახიკოსთვის ძუძუ მოუჭრიათ. კი, ხშირად ავადმყოფობდა. ჰო, ფეხზე მოიხადა ყველაფერი, არ დაწოლილა. კარგი ერთი! ქალს ვინ დააწვენს ისე, თუ მისგან რამეს არ გამოელის?! გამაჩერე ახლა, თორემ ჩემით არ გაგჩუმიდები. შეხერე-ზადა ვარ. ლეენი რომ ავად იყო, ღამ-ღამობით ლაპარაკით ვართობდი ხოლმე. მოკლედ, არ მცალია, შხაპი უნდა მივიღო. გვეყოფა, დავიღალე ამდენი ლაპარაკით.

(კიდებს ყურმილს. ცოტა ხანს უძრავად ზის, ტელეფონს დასცქერის. მერე ატირდება. შემოდის ელისაბედი).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ამას რას ვხედავ, რა გატირებს? იტირე რამე? აბა, მაჩვენე, რა იტირე?

(ღედას ბოტასებს ხდის, საშინაო ფლოსტები მოაქვს).

— ო, რომ იყოდე, ვინ იყო აქ!

(ერთმანეთს შესცქერიან).

(პაუზა).

ბ ა ო — (ცრემლს იწმენდს) რას მეუბნები?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — კი, მე დავიბარე!

ბ ა ო — მერე?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რა მერე?

ბ ა ო — მოგეწონა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — შენ მეტი გეკუთვნის!

ბ ა ო — მიანც რაზე ილაპარაკეთ, რა უთხარი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ნუ გეშინია, არ მიუტყვამს, ტელევიზორს რომ ვერ გაშორებ, ღამით ლოგინში რომ კითხულობ, წენიანს რომ არ ჰკამ, სულ ტალახში ამოგანგლული რომ დადიხარ!

ბ ა ო — ელისაბედ, იცი, როგორ მშოია! რა გვაქვს დღეს სადილად?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რა გვაქვს და ჩიხირთმა!

ბ ა ო — კარგი რა, აღარ შემიძლია, ამომივიდა ყელში! სხვა კერძის გაცეთება არ იცი?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — მამაჩემს უყვარს ჩიხირთმა!

ბ ა ო — მამაშენი რა შეუქმნე ყელში ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — დღესი ბაჭყალი ჩემის დღეა!

ბ ა ო — უ, სულ დამავიწყდა! აბა, მობრძანდებიან დედა-შვილი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ჰო, მამაჩემი და ბებიჩემი.. მანამდე თუ გინდა, ერბოკვერცხს შეგჩვენებ. აბა, მაჩვენე ხელე-ბი! წადი ახლავე და დაიბანე!

ბ ა ო — როდის მოვიდა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ხელი დაიბანე-მეთქი, ვის ვეუბნები!

ბ ა ო — წავალ, შხაპს გადავივლებ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ეგ კიდევ უკეთესი. მე მანამდე რამეს მოგიზადებ. შენ ხომ სადილობამდე ვერ მოითმენ, შენ ხომ პატარა გოჭუნა ხარ! მართლაც გინდა გაგაბარო? ბიჭიკო იყო დღეს აქ!

ბ ა ო — ბიჭიკო ვიღაა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ბიჭიკო? ღმერთო ჩემო! ტელევიზორის გამკეთებელია ბიჭიკო!

ბ ა ო — მერე გააკეთა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — არა.

ბ ა ო — რატომ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რა მხეცი ბავშვები გყოლიათო, შენზე თქვა. არ უნდა ათქმევირო ბიჭიკო ბიძიას ასე. მე შეიძლება ბიჭიკოს გავყვე ცოლად. მართლაც, შენ თუ გათხოვდები, მე რაღა გავაკეთო აქ. ავღაგები და ბიჭიკოს გავყვები. ძალიან მოგეწონე.

ბ ა ო — რას მეუბნები?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — რატომ გაგიკვირდა?

ბ ა ო — კი არ გამიკვირდა — გამოიხარდა! ბიჭიკოლა გვაკლდა. დამცინი არა?

(სააბაზანოში შედის. ელისაბედი სააბაზანოს გამოღებულ კართან ჩერდება).

— (სააბაზანოდან) მართალი ხარ... აირია ყველაფერი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — ცივი წყლით არ დაიბანო!

ბ ა ო — (ყვირის) რა უნდა ჩემგან, რა?

ელისაბედი — უყვარხარ ალბათ.

ბაო — კარგი ერთი, რა დროს ჩვენი სიყვარულია!

ელისაბედი — არ მესმის, რას ამბობ!

ბაო — (ყვირის) რა დროს ჩვენი სიყვარულია-მეთქი!

ელისაბედი — ეგ არასოდეს არ არის გვიან...

ბაო — რა დაესიზმრათ, ცხელი წყალი რომ მოდის?

ელისაბედი — რა თქვი?

ბაო — (ყვირის) აირია ყველაფერი, აირია!

ელისაბედი — თმა არ დაისველო!

ბაო — ელისაბედ, თავი დამანებე თორემ, გესერი ამ საპონს!

ელისაბედი — რა, არ შეიძლება, რომ უყვარდე?

(ბაო სააბაზანოდან გამოდის, აბანოს ხალათი აცვია).

ბაო — ნამდვილად სასაცილოა ჩემი ამბავი...

(თავის ოთახში შედის. ელისაბედი ახლა იმ ოთახის კართან ჩერდება).

ელისაბედი — როგორი ლამაზი ხარ. ყველას უყვარხარ. შენ კი წარმოადგენაც არა გაქვს სიყვარულზე. და, საერთოდ, არაფერი არა გაქვს წარმოდგენა, არაფერი არ იცი. სულ მე ხომ არ გეყოლები! ვთქვით და მარტო დარჩი, რა გეშველება!

(ბაო ოთახიდან გამოდის, კაბა ჩაუცვამს, აბანოს ხალათს სააბაზანოში შეიტანს, გამობრუნდება, ელისაბედი უკან დაყვება და ელაპარაკება).

— ჰო, ეგ კაბა გეცვას, აღარ გაიხადო! პატარა გოგოს გაეხარ. ძალიან გიხდება ისე, რად გინდა, პატარა გოგოს რომ გავდე, ერთი სული მაქვს, როდის გაეხდება შენოდენა. ჩემს თავს ვერ ვიტან, იმიტომ, რომ პატარა ვარ, თუმცა, აღარც მე ვარ პატარა. არც პატარა ვარ და არც დიდი. დიდ ქვებში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო. შეიძლება გეყოლება?

ბაო — რა შეკითხვაა ეს, დღესვე უნდა გიხსენებოდა?

ელისაბედი — რა ვიცი... კაცებს უყვართ ბავშვები.

ბაო — ღმერთო ჩემო! კარგი... გვეყოფა...

ელისაბედი — რატომ გაგიკვირდა, ჯერ ახალგაზრდა ხარ!

ბაო — მაგაზე არც მიფიქრია... რა დროს ჩემი შეილია...

ელისაბედი — თუკი იმას ენდომება, უარი არ უთხრა.

ბაო — მე და იმას საკმარისადა გვეყავს შეილება!

ელისაბედი — მთავარია, რომ უყვარხარ.

ბაო — უყვარხარ, არ უყვარხარ! თუ ჩემი ხათრი გაქვს — ეგ სიტყვა არ გამაგონო!

ელისაბედი — ეპ, ჩემო კარგებო, დაფასეთ, სანამ ვინმეს უყვარხართ!

ბაო — ო, რა ბებერი ხარ, ელისაბედ, ასი წლის ბებერი! დათოც ასე ფიქრობს?

ელისაბედი — დათო ჩემი მგობარია! ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, დათო პოეტია!

ბაო — აი, შენ, მაგალითად, დათოს ცოლად თუ გაჰყვებოდნი?

ელისაბედი — არავითარ შემთხვევაში! მაგრამ, საერთოდ, მხოლოდ იმ პირობით გაეთხოვდებოდნი, თუკი ჩემი მომავალი ქმარი დათოს სამუშაო კუთხეს მიუჩენდა ჩვენს ბინაში!

ბაო — აბა, დარჩენილხარ შინაბერად!

ელისაბედი — მე ეგ საკითხი არ მალეღვებს.

ბაო — საერთოდ, თუ გაღელვებს რამე?

ელისაბედი — როგორ არა. აი, მე და დათო ფულს ვაპროვებთ. მთარგმნელობითი კომპერატივის ჩამოყალიბებას ვაპირებთ.

ბაო — რისთვის აგროვებთ მაინც ფულს?

ელისაბედი — წამო, ერბო-
კვერცხს შეგიწვამ.

(სამზარეულოში შედიან).

— ფულს იმიტომ ვიგროვებთ, რომ
დათოს მამა უნდა გამოვიზინათ.

ბაო — არა, ერბო-კვერცხი არ მი-
ნდა, ჩაის დაველეე. დათოს მამა დაქე-
რილია?

ელისაბედი — არა.

(ჩაის უსხამს).

— არ არის დაქერილი.

ბაო — აბა, რა დემართა?

ელისაბედი — კარაქი წაუსვი
პურს. ჩაის უშაქროდ ნუ სვამ-მეტქი,
რამდენჯერ უნდა გითხრა!

ბაო — არ გესმის, რას გეკითხები?

ელისაბედი — სხვა დროს გე-
ტყვი. სადილს უნდა მივხედო.

ბაო — თუ იცი, დეიდაშენიც რომ
უნდა გვესტუმროს?

ელისაბედი — რას მეუბნები?

ბაო — შოთკოსთან ერთად. დამა-
ვიწყდა შენთვის მეთქვა. ამას წინათ
შევეთანხმდით. ახლა რომ დავურეკო,
ნუ მოხვალმეთქი, შეიშლება. ხომ იცი
მაგის ამბავი.

ელისაბედი — აბა, მართო ჩი-
ხირთმა არ გვეყოფა.

(გამოაღებს მაცივრის კარს).

— მაცივარში რა გვაქვს: ხორცი, ძე-
ხვი, თევზის კონსერვი, ერთი ქილა კი-
ტრის წნილი, კვერცხი. არც ისე ღა-
რიბები ვყოფილვართ, მოვახერხებ რა-
მეს, ნუ გეშინია.

(მაცივრის კარს მიხურავს).

— კარტოფილს მოვხარშავ, ბოსტნე-
ული გვაქვს, მამაჩემი თავის საფირმო
სალათის გააკეთებს. ხაჭაპურსაც გამო-
ვაცხოზ უცებ. ცომს მოვზელ და რომ
მოვლენ. მერე დავაკრავ. ფიჭვი ნუ
გაქვს, არ შევარცხვებით, არავის ვათქ-
მევიწებთ — უჭვენოთ ეს რა მოსე-
ლიათო!

(მავიდასთან ჩამოქდება).

— მე რომ მკითხო, დათოს მამის ამ-
ბავი დასაწერია. მეც დავისხამ ჩაის.

ბაო — მოგაშვიდა?

ელისაბედი — არა.

(ისხამს ჩაის).

— დათო ერთი წლისაა, მამისი ავარიამი რომ მოყვა და მას შე-
რე, ზეიბარი, უპატრონოთა და ინგლის-
ლთა რომელიღაც თავშესაფარში ცხო-
ვრობს. თავისი ნებით. ერთ მშვენიერ
დღეს შინიდან გაიპარა, სამუდამოდ...
არავინ იცის, სად მდებარეობს. ეს თავ-
შესაფარი, თანაც გვარიც გამოიცვალა,
ალბათ იმიტომ, არ უნდა მის კვალს რომ
მიაგნონ...

ბაო — კი მაგრამ, ცოლი... დათოს
დედა არ ყავს?

ელისაბედი — როგორ არა, დე-
და ყავს. ეტყობა, არ უყვარდა. არც
დათოს არ უყვარს დედა...

ბაო — ღმერთო ჩემო!...

ელისაბედი — იმიტომ, რომ ეს
ამბავი დაუმალა. სხვებისგან შეიტყო,
სხვებმა უთხრეს, ასეთი რამ არ იმალე-
ბა. დედა ეუბნებოდა, მამაშენი მკვდა-
რიაო. ამას წინათ ვიღაც კაცი მოიყვო-
ნა, შენი მამა იქნებოდა, უთხრა დათოს,
მეც ხომ მინდა ცხოვრებაო. გესმის —
მეც ხომ მინდაო! დათოს გადაწყვეტი-
ლი აქვს, ყველა ასეთი სახლი მოინახუ-
ლოს, მთელ საბჭოთა კავშირში, სათი-
თაოდ გამოკითხოს ყველა ზეიბარს,
მთელი სიცოცხლე რომ მოანდომოს ამ
საქმეს.

ბაო — და მაგიტომ აგროვებთ
ფულს?

ელისაბედი — იცი, საბჭოთა
კავშირში რამდენი ასეთი სახლია?

ბაო — ღმერთო, როგორი...

ელისაბედი — (ღიმილით) ბავ-
შეები ერთ არა?

ბაო — როგორი დაუნდობლები ყო-
ფილხართ!

(ამ დროს შემოესმებათ ბავშვის ტი-
რილი).

ელისაბედი — თრია!

ბაო — (კედლის საათს შეხედავს)
მართლაც, თრია. კი მაგრამ ვინ ტირის?

ელისაბედი — ბაო, უნდა გამო-
გიტყდე, ოღონდ, მშვიდად მომისმინე
და ნუ გამოიბრაზდები, შეეცადე, გამო-
გო.



ელისაბედი — მე კი სიცილი არ ვიცი.

ბაო — სიცილს რა ცოდნა უნდა?

ელისაბედი — არც მე და არც შენ სიცილი არ ვიცი. ხომ სწორია? მე თუ ვგავარ მაშას? მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი.

ბაო — შენ? არა, არ გავხარ.

ელისაბედი — დედა, რა უყვარდა მაშას ყველაფერზე მეტად?

ბაო — რა უყვარდა? არ ვიცი...

ელისაბედი — მაინც?

ბაო — არა, არ ვიცი... მგონი... არაფერიც არ უყვარდა...

ელისაბედი — სრულებით?

ბაო — არ მახსოვს. ჰო, სრულებით არაფერი.

ელისაბედი — დედა!

ბაო — რას გადამეკიდე, ელისაბედ, რა გინდა?

ელისაბედი — ოღონდ, იცოდე სიმართლე მითხარი!

ბაო — კი, ბატონო.

ელისაბედი — შენ თუ გიყვარდა მაშანემი?

(რეკავს ტელეფონი, ერთი აპარატი სამზარეულოშიც უღვავთ).

— მითხარი, გიყვარდა თუ არა?

(ბაო გაკვირვებული შეხედავს).

ბაო — ვინ?

(თითქოს დრო გაჰყავს, სანამ უპასუხებს, ელისაბედი ყურმილს იღებს).

ელისაბედი — გისმენთ! არა, სხვაგან მოხვდით.

(ღებს ყურმილს).

ბაო — ვინ იყო?

ელისაბედი — შეეშალათ.

(რეკავს ტელეფონი).

— აი, კიდევ!

(იღებს ყურმილს).

— გისმენთ, ბატონო! ოოო, გამარჯობა, გამარჯობა!

(ყურმილს ხელს დაფარებს, დედის გადაუჭურჩულებს).

— ბებია!

(ყურმილში).

— რა გამიხარდება? რა ვიცი... შენი ნახვამ მართლა რა გამიხარდება? ალ-

ბათ ციყვი! არა, ნამდვილი კი არა...
კანფეტი. სხვა? არ ვიცი-მითხარი.
გითხარი. კარგი, დროებით. გელოდე-
ბით.

(ღებს ყურმილს).

— ზოგჯერ გული გადამიქანდება, თითქოს რაღაცა მაიწყვდება, ძალიან მნიშვნელოვანი. თითქოს რაღაც დამაბარეს, მე კი აღარ მახსოვს.

ბაო — რა დაგაბარეს? ვისთან?

ელისაბედი — თუნდაც, შენთან! არადა, ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის. მე კი აღარ მახსოვს.

ბაო — ვინ დაგაბარა?

ელისაბედი — არც ეგ მახსოვს.

ბაო — (ბავშვს ეფერება) შეხედეთ, როგორ იცინის, შეხედეთ რა თავბუღურად იკრიჭება, ჰმს და თან იცინის.

ელისაბედი — ბებიაჩემს რაც არ უნდა ვუთხრა, მაინც შოკოლადს მომიტანს...

(ისიც ბავშვს ეფერება).

— რა გიხარია, გენაცვალე ასე? კი, მალე მოვა მაშინ, დედისთან ერთად. გაიცინე, გაიცინე! ნელო, ბიჭო, არ დაიხრჩო!

მეორე მოქმედება

(სამზარეულოში წინსაფარიანი ლევიანი სალათას აკეთებს, ისეა გართული საქმით, ბაოს შემოსვლას ვერ ამჩნევს. ბაო მიეპარება და ფერღებში ცერებს წაქრავს).

ლევანი — (მოთლოდნელობისაგან შეხტება) აჰ!

ბაო — (სიცილით) რა იყო, ლევან, შეგეშინდა?

ლევანი — ძალიან შეგეშინდა.

ბაო — მამატიე.

ლევანი — სანამ ჩემი ცოლი იყავი, რატომ არ მაშინებდი ასე?

ბაო — შენი ცოლი რომ ვიყავი, ვითომ სადილის კეთებას გიშლიდი? რაღაც არ მახსოვს... ყველანი უკვე სხედან, არ მოდიხარ? მათიკომ გიკითხა-

ლევანი — ზეითუნის ზეთი ხომ არ გაქვს შემთხვევით, მე ვერ ვნახე.

ბაო — შენ წარმოიდგინე, მაქვს.

კარადაში უნდა გენახა, ქვემო თაროზე.

ლევანი — (კარაიდან იღებს ზეთის ბოთლს) ვერ უყურებ ბაოს!

ბაო — ელისაბედმა მოიტანა ამას წინათ, სად ეშოვნა, არ ვიცი.

ლევანი — ახლა უკვე ნამდვილი სალათა გამოვა! მათიკოს გარდა, სხვა ვინ გყავს სტუმრად?

ბაო — ჩემი და გაბლაღს, ქმართან ერთად. ერთი ჩემი ნაცნობია...

ლევანი — არჩილი?

ბაო — არჩილს იცნობ?

ლევანი — მე და არჩილი, სხვათაშორის, ერთ კლასში ვსწავლობდით!

ბაო — ერთხელაც არ წამოგცდენია!

ლევანი — არც იმას უთქვამს?

ბაო — არც იმას უთქვამს.

ლევანი — ისე, კაცმა რომ თქვას, უცნაური კია ნამდვილად...

ბაო — რა არის უცნაური?

ლევანი — (სიცილით) ყველამ რომ ერთ დღეს მოვიყარეთ თავი.

ბაო — რა გაციინებს?

ლევანი — ვიტყვი?

ბაო — ეს შემთხვევით მოხდა. მაგალითად, არჩილს სრულებით არ გელოდებოდი. არა, უმჯობესია იცინო.

ლევანი — ჰოდა, ვიცი.

ბაო — ბარემ ნინოც მოგეყვანა და, მართლაც, ყველანი ანუ, როგორც იტყვიან, სრული შემადგენლობით ვიქნებოდით.

ლევანი — ჰო, ნინო გვაკლია...

ბაო — წამოგეყვანა მერე, ვითომ რა მოხდებოდა?

ლევანი — არაფერი...

ბაო — რასაკვირველია, არაფერიც არ მოხდებოდა! როგორც გავიგე, ცოლად ირთავ, მართალია?

ლევანი — თბილისში რა დაიშალება...

ბაო — მიბასუხე, მართალია თუ არა?

ლევანი — რაღა დროს ჩემი ცოლის შერთვა!

ბაო — ეგ არასოდეს არ არის გვიან. (პაუზის მერე).

— ნინო კერძების გაკეთების ნებებს?

ლევანი — ახლოს არ მაკარებს.

ბაო — რატომ?

ლევანი — ვერაფრით გავაგებინე, ჩემი ხელით გაკეთებული კერძი რომ მიყვარს. ხომ არ ვეტყვი, შენ რომ დამაჩვიე საჭმელების კეთებას. არა, საყვედურით არ გეუბნები, პირიქით, ამისთვის გულწრფელად მადლობელი ვარ შენი. აქ რომ მოვდივარ, გული პირდაპირ სამზარეულოსკენ გამიწევს ხოლმე. შეიძლება თამამად ითქვას, ამ სახლში ყველაზე კარგი დრო სამზარეულოში მაქვს გატარებული. კობლებიანი ჭამი რა უყავი?

ბაო — გატყდა.

ლევანი — რას მეუბნები?! როგორ მეწყინა...

ბაო — მე გამოიტყდა, შემთხვევით.

ლევანი — სულ ამას გეუბნებოდი, დაუდევარი ხარ-მეთქი, არ გჭეროდა და აჰა, ბატონო!

ბაო — ვიცი, რომ გეწყინებოდა...

(უცებ გადაიკისკისებს).

ლევანი — (გაკვირვებული) რა იყო, რა გაციინებს?

ბაო — იცი, რა გამახსენდა — ხელის სათხოვნელად რომ მოხვედი აქ, პირველად: როიალივით შემოგიტანეს ამხანაგებმა ოთახში: შავი კოსტუმი, შავი ბაბთა, შავი ფეხსაცმელი...

ლევანი — (ღიმილით) მიჭერდა, სხვათაშორის, ძალიან.

ბაო — ვილაკამ შეგაცდინა, თორემ შენ ასე სასაცილოდ არ ჩაიცვამდი.

ლევანი — (ღიმილით) როიალი რომ ვაგახსენა!

ბაო — (სიცილით) ჰო, როიალივით შემოგიტანეს!

ლევანი — და მაინც ის დრო სჭობდა...

ბაო — ოჰო?

ლევანი — ახალგაზრდები ვიყავით... მამაშენი ცოცხალი იყო...

ბაო — იმან მოისურვა, აქ გვეცხოვრა...

ლევანი — იმან კი არა, შენ არ მიატოვე!

ბაო — უნდა მიმეტოვებინა?

ლევანი — მაგას არ გეუბნები...

ბაო — მერე ეს კარგია თუ ცუდი?..

ლევანი — ელისაბედი რომ გაჩნდა, როგორ გაიხარა...

ბაო — მინდოდა, ელისაბედსაც დამახსოვრობოდა...

ლევანი — იშვიათი აღამიანი იყო... როგორ გაუხარდა, ელისაბედი რომ დაფარქვით ბავშვს!

ბაო — დედაჩემის სიყვდილმა გატება, თორემ ახლაც ცოცხალი იქნებოდა... ვერ გაძლო უიმისოდ.

ლევანი — ჰო, ვერ გაძლო...

ბაო — რა მაგის პასუხია და ახლა რომ მოგვარდე და გაკოცო, იყვირებ?

ლევანი — რა თქვი? მომვარდე და მაკოცო? ჰა-ჰა-ჰა! ვიყვირებ კი არა, ქვეყანას შეგვიყრი!

ბაო — მაშინ მოიხსენი წინსაფარი და წამოდი.

ლევანი — (სიცილით) ვითომ ჩემი წინსაფარი გადელეგებს ასე?

ბაო — (სიცილით) ვითომ შენ არ გინდა ჩემი კოცნა?..

(შეცვლილი ხმით).

— იცი, ვინ მოკვდა: მეორე სართულზე რომ ცხოვრობდა, სანდრო, თუ განსოვს...

ლევანი — „მოსკვიჩი“ რომ ყავდა?

ბაო — ჰო...

ლევანი — რას ვეუბნები?

ბაო — საბურავები დააძვრეს ერთხელ და ასევე დარჩა, აგურებზე შეყვებულნი.

ლევანი — ყავდა ვინმე?

ბაო — არავინ...

ლევანი — საწყალი...

(პაუზა).

— ბაო, ხომ ვცხოვრობდით მე და შენ ერთად, თუ დამესიზმრა?

ბაო — როგორ არა, ნამდვილად ვცხოვრობდით, თანაც, სულ ასე ტკბილად.

ლევანი — მერე რა მოხდენოდა და დავემართა?

ბაო — რა ვიცი...

(პაუზა).

— (თითქოს რაღაცას ხმამაღლა იხსენებს) — შემოვიდა, კუთხეში დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, გულზელი დაიკრიფა. არც კი მახსოვს, ის სკამი ადრეც თუ იდგა იქ, შეიძლება საგანგებოდ მისთვისაც კი დადგეს კართან, საიდანაც მთელი ჩვენი ლაბორატორია, ანუ, როგორც ჩვენ ვეძახით, „სამხეცე“, მოჩანდა. აგერ ოცი წელი ხდებდა, რაც ამ ლაბორატორიაში ვმუშაობ, იქ დავიკავი საკანდიდატო, სადოქტორო და ამ ხნის განმავლობაში ერთი ხეირიანი კაცი არ შემოსულა, რა თქმა უნდა, ჩვენი ინსტიტუტის დირექტორს არ ვგულისხმობ, ოთხმოცდაათს გადაცდა და დიდხანია ჩვენთან, ანუ ამქვეყნად აღარ ითვლება.

ლევანი — არ მინდა, არ მაინტერესებს.

ბაო — (თითქოს ლევანის სიტყვები არც კი გაუგონიაო) ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ, მისხალ-მისხალ, ყველა ნაბიჯი, ყველა ინსტიტუტში, ყველა ინსტიტუტის ყველა ოთახში, ორი წლის განმავლობაში მხოლოდ მაგაზე ლაპარაკობდნენ, თუ როგორ გაექცა ასეთ ლამაზ, სახელოვან მამაკაცს ცოლი და ვიღაც ბათუმელ ექიმს ჩამოეკიდა კისერზე. ქმარი და ორი ქალიშვილი მიატოვა...

ლევანი — არ მაინტერესებს-მეთქი, ხო გითხარი!

ბაო — (თითქოს არ ესმის) ასე რომ, ძალიან სასურველი სტუმარი გახლდათ და, ამასთანავე, რა თქმა უნდა, მოულოდნელიც. თუმცა, მისი პროფესიისა და გაქანების კაცი ჩვენს ლაბორატორიაში ადრეც უნდა შემოსულიყო, თუნდაც, იმიტომ, რომ ჩვენნაირ ცდებს ისინიც ატარებდნენ თავიანთ ინსტიტუტში, ისინიც, ჩვენსავეით, ცხოველთა ნევროზებს აკვირდებოდნენ. დიახ, ცხოველებსაც აქვთ ნევროზი, უნდა ნახო, რა ნევროსტენიკი თავგები გვყავს!

ასე რომ, ძალიან ნუ მეტიჩრობ შენი ნევროზით. იჯდა გულზელდაკრეფილი და მე მიყურებდა. მე ჩემთვის რაღაცას ვწერდი. ყოველთვის ვგრძნობ, როცა მიყურებენ. თავი აფწიე და შევხედე. თვალი არ მოუშორებია, სახე არ შეცვლია... ასე გავიცანი არჩილი...

ლევანი — მე რატომ მიყვები ამას?

ბაო — ისე...

(შემოდის ელისაბედი, ძველებური საათი უჭირავს. ელისაბედს ფეხდაფეხ შემოაყვება ბებიაშის ვენერა).

ელისაბედი — აი, რა მომიტანა ჩემმა ძვირფასმა ბებიამ!

ვენერა — მეფერამეტე საუკუნისა, უბრალო არ გეგონოს!

ელისაბედი — საათი კი არა — გუგულის გალიაა!

ვენერა — გამოხტება და დიძახებს: გუ-გუ, გუ-გუ! მაგრამ არ მუშაობს!

ელისაბედი — მე ციყვი ვთბოვე, ბებიამ კი გუგული მომიყვანა!

ვენერა — გუგული დაახლოებით ციყვია!

ელისაბედი — დიდი მადლობა, ბებიო!

ვენერა — რომ არ მუშაობს, მაგას ყურადღებას ნუ მიაქცევ. რაც თავი მახსოვს, სულ ასე იყო, არავის უთქვამს, რატომ არ მუშაობსო. არც ხელოსანთან წაგვიღია. დროს ყველა საათი აჩვენებს, ამას სხვა დანიშნულება აქვს შეხედვებზე, გაგახსენდება, რომ არსებობდა სხვა დროც, სხვა ხალხიც... ხომ მართალია, ბაო?

ბაო — მართალს ბრძანებთ, დედა.

ვენერა — ასე რომ...

ელისაბედი — (იძახის) გუ-გუ, გუ-გუ!

ბაო — სტუმრები მივატოვეთ, სი-რცხელია...

ელისაბედი — ეს საათი აი აქ იყოს, კარადის თავზე, დროებით.

(კარადის თავზე დებს საათს).

ვენერა — ბაო, შენმა დაიკომ სიცილით დაგვხოცა, ისეთ კარგ გუნება-

ზეა. ძალიან მზიარული გოგონაა...
გინგლინიქსეკა

ბაო — შოთიკოს ბრალია ისე ანებივრებს, ვითომ მაგის მეტს ცოლი არ ყოლია! ნორას ბავშვობაში ხერხემლის გამრუდება ჰქონდა... თუმცა, ეს ბევრჯერ მაქვს მოყოლილი.

ვენერა — მე, მაგალითად, პირველად მესმის.

ბაო — მთელი ბავშვობა და მერეც, კარგა ხნის განმავლობაში ევპატორიის რომელიღაც სანატორიუმში გაატარა, ხეიბარ, გააფებულ, თითქმის გამხეცებულ ბავშვებს შორის. მერე, როცა, გამოჩანმრთელდა, ძალიან გაუჭირდა შეჩვეოდა ჩვეულებრივ, ადამიანურ ცხოვრებას. მოკლედ მაიმუნებით იყო. ახლა მის ქმარს რომ ჰკითხო, მაგაზე ლამაზი, მაგაზე ჰკვირნი და მაგაზე დარბაისელი ქალი არ დადის ჰქვეყანაზე...

ვენერა — სიყვარული ბრმააო, ამბობენ.

ბაო — მართალი ბრძანდებით, დედა. ხელისგულზე ატარებს, აღმერთებს...

ვენერა — კი, ძალიან მზიარული გოგოა! ო, როგორი დიდებული სალათა გაუკეთებია ლევანს, მარტო შეხედვა ერთ რამედა ღირს! მოდი, მე წავიღებ ამ სალათას. წავიდეთ, ელისაბედ, წამომყვიე!

(ბეზიასა და შვილიშვილს დიდის ამბით მიაქვთ სალათა).

ლევანი — (სიცილით) რა უცნაური ქორწილია. პირველი ქმარი და დედამთილი მაყრებად, მგონი, ჯერ არც ერთ ქალს არ ყოლია. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამოგონია. ყოჩაღ, ბაო, ყოჩაღ!

ბაო — (სიცილით) აბა, შენ რა გეგონა!

ლევანი — (წინასაფარს იხსნის, ზედ ხელებს იშრალებს, სკამზე დაადებს, კედელზე მიკიდებულ პიჯაკს ჩამოხსნის, ჩაიცვამს) ყოჩაღ...

ბაო — იცი, ნამდვილად უცნაური რა არის? გითხარა?

ლევანი — მითხარი.

ბაო — ნამდვილად უცნაურია ის, შენ რომ ასე სხვანაირად ლაპარაკობ! ლევანი — მაინც როგორ ვლაპარაკობ?

ბაო — თითქოს რაღაცას ნანობდე. ლევანი — რას უნდა ვნანობდე მაინც?

ბაო — მე რა ვიცი, ეგ შენს თავს კითხე.

ლევანი — მე და შენ ყველაფერი გვქონდა, გარდა... როგორ გითხრა... ამაზე ნშირად ვფიქრობ ხოლმე... მოკლედ, ბედნიერები არ ვიყავით არც მე და არც შენ. ადამიანს კი უიმისოდ გაძლება არ შეუძლია.

ბაო — ვითომ ვინმემ იცოდეს, რა არის ბედნიერება.

ლევანი — მე, პირადად, მაშინ ნამდვილად არ ვიციდი, ახლა კი ვიცი.

ბაო — აი, მე არ ვიცი და, სიმართლე რომ გითხრა, არც მჭირდება.

ლევანი — ბედნიერება სიმშვიდე ყოფილა... შენც გჭირდება, როგორ არ გჭირდება, ოღონდ, გრცხვენია ამის აღიარება. ახლა ბევრი რამის გვრცხვენია, არადა, ის ბევრი რამ აუცილებელია ადამიანური ცხოვრებისათვის. მაგალითად, გვრცხვენია ბედნიერების, სიყვარულის, გვრცხვენია ერთგულების, თანაგრძობის, სათნოების, თავდადების... თითქოს ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა, უფრო სწორად — დაძველდა ადამიანისათვის კი აუცილებელია ბედნიერი იყოს, უყვარდეს, ვიღაცას თანაუგრძნობდეს... ახალი ბედნიერების, ახალი სიყვარულის გამოგონება არ შეიძლება. ზოგი მაინც იგონებს ბედნიერებას, ტყუილებისაგან აკოწიწებს, იჭერებს, ბედნიერი ვარო, მაგრამ მალე ხვდება, რა მწარედ ცდება. ნამდვილსა და ტყუილ ბედნიერებას ერთი საერთო ნაკლი აქვს — არ შეიძლება მარადიული იყოს. თუმცა, რა აზრი აქვს ბედნიერება მარადიულია თუ წუთიერი, თუკი ნამდვილი არ არის?

(უკიდებს სიგარეტს).

... სასწრაფოს რომ გამოვიძახებდი, არც გამომხედავდი ხოლმე...

ბაო — იმიტომ რომ გეჩვენებოდა, ცუდად ვარო. მეც მომაწივებოდა (უკიდებს სიგარეტს).

ლევანი — არა, იმიტომ, რომ გული მქონდა, ნერვები უმსგავსობას ვერ ვიტანდი.

ბაო — რასაც სხვები ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ!

ლევანი — ჰო, მშვიდად, აუღელვებლად ვპირუტყვდებოდი.

ბაო — ნუ აპარბებ.

ლევანი — მე ვაპარბებ?

ბაო — მერე გულის ხეთქვით უშველიდი მაგას? რატომ განგაშს არ ტეხდი, თუკი ამას ამჩნევდი! მარტო შენ, ლოგინში გემართებოდა სიმართლის თქმის შემოტევა! ნუ გეშინია, ამ საქმეში მარტო არა ხარ, უმრავლესობას ეს ავადმყოფობა ჰქირს. მე შენ უფრო, მე შენ უფრო...

ლევანი — თქვი!

ბაო — გითხრა?

ლევანი — მითხარი!

ბაო — მაგარი მეგონე! შენ კი ხელებს უკოცნიდი ექთანს, ღამით ნემსს რომ გიკეთებდა, ფანჯრიდან გადახტომა გინდოდა, რაიმე იღვისთვის კი არა, ელემენტარული ნევროზული შემოტევის გამო. იმაზე რატომ არ გიფიქრია, ბოროტება იმიტომ არის ძლიერი, რომ ჩვენა ვართ სუსტები. მომეცი სიგარეტი!

(სიგარეტიდან უკიდებს სიგარეტს).

— (ღიმილით) გამაბრაზე...

ლევანი — (შეცვლილი ხმით) ადამიანს ყურადღება და მზრუნველობა ჰჭირდება...

(იყვირებს).

— დიას, ადამიანები ვერ ძლებენ უერთმანეთოდ! ვიღაცას ხომ უნდა შენჩივლო, მტკივაო, პასუხად ვიღაცამ ტყუილად მაინც ხომ უნდა შეიცხადოს, ტყუილად მაინც ხომ უნდა გადააქნიოს თავი!

ბაო — შენ მწერალი ხარ, თანაც კარგი. შენი საქმე წერაა!

ლევანი — დიდი მადლობა შეხსენებისთვის, ეგ, რომ მაინც დანამდვი-

ლებით ვიცოდე... (უეცარი გაცხარებით) შენ კი ვითომც არაფერი, ვითომც ნევროზიანი თავი ვიყავი, თუმცა, უეცრავად, ნამდვილად განდიდების მანიითა ვარ შეპყრობილი. — სად მე და სად ის თავი, შენი საფეჭრალი, შენი სალოლიავებელი!...

ბაო — ღმერთო, რა გვეშველება!

ლევანი — რატომ ამბობ მაგას?

ბაო — ისე...

ლევანი — მაინც?

ბაო — (ღიმილით) თავზე ეკვიანობ?

ლევანი — ჰო, თავზეც! თავზეც! გასაგებია?

ბაო — გჩვენებოდა ყველაფერი.

ლევანი — ისიც მეჩვენებოდა, ერთხელ ღამის სამ საათზე რომ წამოხტი, ჩაიცვი და საღაღაც წახვედი? ფანჯრიდან ვიყურებდი, როგორ ჩაჩექი მანქანაში. სად, სად წახვედი იმ შუალამისას? ხომ არასოდეს მიკითხავს, ახლა ხომ აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, ახლა მაინც მითხარი სიმართლე!

ბაო — (ცოტა ხნის პაუზის მერე) ბერდები...

ლევანი — მათიკოსთან ავდიოდი ხოლმე, იმიტომ, რომ იმასაც არ ეძინა, იმიტომ, რომ ჩემი დანახვა შუალამისას მარტო მათიკოს გაუხარდებოდა, ისიც ხომ მარტო იყო, ჩემსავეთ. პასიანს შლიდა, თან შვილსა და შვილიშვილებზე მიყვებოდა... შენ კი... მოკლედ, ვიტანჯებოდი და ვერ გიტანდი!...

ბაო — ვიცი...

ლევანი — ჰო, ვბერდები, ვბერდები...

(ბაო მივა და თმაზე ხელს გადაუსვამს, ლევანი ხელს დაუქერს).

— მითხარი!

ბაო — არ შემეძლო, აღარ შემეძლო შენი უმწიბრის ყურება...

ლევანი — ძალიან ვწვალობდი.

(ბაო სკამზე ჩამოჯდება).

— იცი, აღამიანს რა კლავს? აუხდენელი ოცნებები, მეტი არაფერი. ოცნება, თუ არ ასრულდა, ისე გაიზრდება, რომ გულს გაგიხეთქავს. აი, მე,

მაგალითად, რაზე ვოცნებობდი? — ქსეცილოც კია სათქმელად. მენდობდი ცენტრალური სიბედიით წავსულიყავი ქალაქგარეთ. ეს იყო და ეს... მხარზე თოფი გადაშეკიდა, ვითომ სანადიროდ მივდიოდი. ესეც ვერ ავისრულე. თუმცა ველოსიპედიც ვიყიდე და თოფიც მაგრამ ვერც ველოსიპედის ტარება ვისწავლე და ვერც თოფის სროლა. წარმოგიდგენია! სხვა ოცნებებზე რაღა უნდა ვთქვა!

ბაო — ველოსიპედით შორს ვერ წახვალ!..

ლევანი — შენ გგონია, თოფით მოკლავ რამეს?

ბაო — მაგრამ ჯანმრთელობის მხრივ აშკარად ხომ უკეთესად ხარ?

ლევანი — ჰო, კარგადა ვარ... უკეთესად... მაგრამ...

ბაო — რა მაგრამ? რატომ გაჩუმდები, განაგრძე!

ლევანი — (სიცილით) უშენოდ დავრჩი!

ბაო — (სიცილით) რაო, უყურადღებობა მოგენატრა?

ლევანი — (სიცილით) შენ წარმოიდგინე, მომენატრა!

ბაო — (სიცილით) დედაშენმა არ გაიგოს, თორემ გაჩვენებს მონატრებას.

ლევანი — სულ ტყუილად გძულს დედაჩემი.

ბაო — მძულს?

ლევანი — რა ქნას, შეილი უყვარს...

ბაო — რატომ უნდა მძულდეს?

ლევანი — ...განა ეს საყვირველია?

ბაო — შენ მაინც შენსას ამბობ!

ლევანი — სხვა არავინა ყავს ჩემს მეტი.

ბაო — ჰოდა, ახლა მთლიანად მისი ხარი ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო! ჰოდა, დაურჩი კიდევ! წამო, გავიდეთ სტუმრებთან, სირცხვილია.

ლევანი — შენ წადი, მე ცოტა ხანს დავრჩები.

ბაო — არ გშია?

ლევანი — არა, აღარ მშია.



ბაო (შეცვლილი ხმით) მეც მინდოდა ვინმეს ნამდვილად, აი, ისე, როგორც წიგნებშია, ვყვარებოდი. მინდოდა კი არა, ჩემთვის აუცილებელი იყო იმის ცოდნა, რომ ვილაცას ვუყვარვარ. ქალი სხვანაირად ვერ გაძლებს, უნდა სჩეროდეს, რომ ვილაცას უყვარს, თორემ ისე წონასწორობას ვერ შეინარჩუნებს, სადმე წაიფორბილებს უსათუოდ. ამას წინათ „ბავშვთა სამყაროში“ თოჯინა ვნახე, შენ მიგამსგავსე, ვიცი დე და ჩემს საწოლთან, ნათურის აბაჟურზე ჩამოვკიდე, ასე გახდი ისევ ჩემი ოთახის მუდმივი ბინადარი. მომწონდა, როცა გამოვიხედავდი და შენს სახეს დავინახავდი. ნათურას მალლა ავწევდი და მაშინ შენი უზარმაზარი ჩრდილი შეშლილივით დაძრწოდა ოთახში. იცი, მიხაროდა იმაზე ფიქრი, რომ იტანჯებოდი... ადამიანი, ეტყობა, ოცნებაში ცხოვრობს ნამდვილად.

ლევანი — გინდოდა, რომ მე მყვარებოდი?

ბაო — ჰო...

ლევანი — უცნაურია.

ბაო — შენ გგონია, სულერთია, ვის უყვარხარ?

ლევანი — დავიბენი, ან არაფერი არ მ'ეპის, ანდა...

ბაო — (სიცილით) ანდა, მე ვაფრენ!

ლევანი — ბაო, იცი, რომ ნინო ტყუილია, იცი, რომ ნინო ჩემი მოგონილია, იცი, რომ არავითარი ნინო არ არსებობს?

(მივა, მის წინ დაიჩოქებს, თავს კალთაში ჩაუდებს, ტირილით).

— არ არსებობს!... არ არსებობს!... მე მოვიგონე!... ტყუილია! ნინო არ არსებობს.

ბაო — ლევან, ადექი ახლავე, რას შერები? ადექი-მეთქი!

(შეცვლილი ხმით).

— მე ვიცი, ვიცი...

(ლევანი თავს ასწევს, შეხედავს).

— რა იცი? ვინ გითხრა?

ბაო — ვის უნდა ეთქვა... ისე, ვიცი...

(ლევანი წამოდგება, საბუდეზე წასვლა ჩამოსვლამ).

ლევანი — მართალი ხარ, ადამიანი ოცნებაში ცხოვრობს ალბათ ნამდვილად... ჰო, არავითარი ნინო არ არსებობს, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია... მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის...

ბაო — იცი, ლევან, შენ ზედმეტად კეთილი კაცი ხარ!

ლევანი — ოჰო?

ბაო — ჰო, ზედმეტად კეთილი!

ლევანი — რას ნიშნავს „ზედმეტად კეთილი“? მე არ მიყვარს კეთილადამიანები!

ბაო — იმიტომ, რომ თვითონ კეთილი ხარ! ოღონდ, ერთ რამეს გეტყვი და არ გეწყინოს: სიკეთე და სუსტი ნებისყოფა ერთად საშინელებაა. თუ კეთილი ხარ, ძლიერი ნებისყოფაც უნდა გქონდეს, თორემ ბევრს დალუპავ შენი სიკეთით...

(შემოდის ელისაბედი, ჭუჭყიანი თევზების გროვა შემოაქვს).

ელისაბედი — დედა, იცი, ბიჭიკო მოვიდა!

ბაო — ბიჭიკო ვინ არის?

ელისაბედი — აღარ გახსოვს?

ბაო — ტელევიზორის გამკეთებელი?

ელისაბედი — ეტყობა, ძალიან შევეცოდეთ...

ბაო — რა დროს ტელევიზორია, ელისაბედი?

ელისაბედი — გავუშვა?

ბაო — არა, რას ამბობ! პირიქით, ხელი ჩასკიდე, თოკით დააბი, დასვი, ასაღილე. პატივი ეცი. მაგის გაშვება როგორ შეიძლება!

ელისაბედი — თანაც, თვისით მოვიდა, ჩემი ხათრით!

ბაო — მითუმეტეს! წავალ, სტუმრებს მიგხედავ თქვენც წამოდი. გესმის, ლევან?

(გადის).

ელისაბედი — მამა, არ მოდიხარ?

ლევანი — აი, მოვდივარ.

ელისაბედი — იჩხუბეთ?

ლევანი — რატომ უნდა გვეჩხუბა?

ელისაბედი — იცი, დედა ნორამ შამპანური დალია!

ლევანი — რას მეუბნები?

ელისაბედი — აბა!

ლევანი — (სიცილით) რა გვეშველება ახლა!

ელისაბედი — არაფერი! დავიღუპეთ!

ლევანი — იცი, დედაშენმა მითხრა, თურმე მე ზედმეტად კეთილი ვყოფილვარ!

ელისაბედი — შენ?

ლევანი — ჰო, მე.

ელისაბედი — კი მაგრამ, ზედმეტად კეთილი რას ნიშნავს?

ლევანი — არ ვიცი.

ელისაბედი — ნეტა, ვინმემ თუ იცის?!

ლევანი — როგორ გითხრა...

ელისაბედი — ბაო ისე არ იტყოდა, უნდა გავიკითხოთ ნაცნობებში, იქნებ ვინმემ იცოდეს, რას ნიშნავს ზედმეტად კეთილი.

ლევანი — (ფიქრიანად) მართალი ხარ, ისე არ იტყოდა...

ელისაბედი — ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს შენზე.

ლევანი — მაინც რას ამბობს?

ელისაბედი — მიყვება რაღაცეებს.

ლევანი — მაინც რას?

ელისაბედი — (მღერის) ეძინება ჩემს გოგონას, ეძინება ელისაბედს, აა...

ლევანი — ეგ რა არის?

ელისაბედი — არ გახსოვს?

ლევანი — (მღერის) ეძინება ჩემს გოგონას, ეძინება ელისაბედს, აა. არა, არ მახსოვს!

ელისაბედი — ერთი ძია არჩილს უნდა ვკითხო...

ლევანი — რა უნდა ვკითხო ძია არჩილს?

ელისაბედი — რას ნიშნავს „ზედმეტად კეთილი“?

ლევანი — შენ... ძი...
ნობ?

ელისაბედი — კი, ვიცნობ.

ლევანი — მერე?

ელისაბედი — რა მერე?

ლევანი — როგორი კაცია ძია არჩილი?

ელისაბედი — როგორია და... როგორ გითხრა... მოკლედ, ჰომო საბინეია!

ლევანი — ეგ არ არის ცოტა.

ელისაბედი — რა თქმა უნდა.

ლევანი — მეტი არაფერი?

ელისაბედი — მეტი რა უნდა იყოს?

ლევანი — მართლაც, რა უნდა იყოს მეტი?

ელისაბედი — (მღერის) ეძინება ელისაბედს ააა...

ლევანი — (ძალიან მკაცრად) შენც დედაშენივით უფულო ხარ!

ელისაბედი — მამა?

ლევანი — (თითქოს გამოფხიზლდო, სიცილით) ის თუ გახსოვს, როგორ ვთამაშობდით მე და შენ ერთად?

ელისაბედი — ვთამაშობდით?

ლევანი — არ გახსოვს?

(თავზე ქვაბს იხურავს, ზედ კოვზს უბრაბუნებს).

—, აი ასე! ძალიან მოგწონდა! კისკისებდი და კისკისებდი.

ელისაბედი — ასე?

(ახლა ის იხურავს ქვაბს, ახლა ის უბრაბუნებს ზედ კოვზს).

ლევანი — ჰო, მასე!

ელისაბედი — კარგი თამაშია.

ლევანი — ზოგჯერ ცხენი ვიყავი, ზედ შემასკუბდებოდი და ჰერი ფეხებს მირტყამდი გვერდებში, ეს თამაშიც ძალიან გიყვარდა.

(ართმევს ქვაბს და ისევ იხურავს, ისევ უბრაბუნებს კოვზს).

— ზედმეტად მასხარა ვიყავი, ზედმეტად კეთილი, ზედმეტად მშინარა! ექთანს ხელს ვუკოცინდი ზოლმე. ფანჯრიდან გადამხტარხარ როდისმე?

ელისაბედი — მამა?

ლევანი — (მღერის) ეძინება ელი-

საბედს, უძინება ელისაბედს, ეძინება ელისაბედს, აააა!

ელისაბედი — მე წავალ...

ლევანი — (იხდის ქვაბს) ჰო, წადი...

(ელისაბედი მიდის. ლევანი სიგარეტს უკიდებს. შემოდის არჩილი).

არჩილი — რამდენჯერაც არ გიკითხებ, სამზარეულოშიაო, მითხრეს. რას აკეთებ აქ, რატომ არ გამოდიხარ. როდის გახდი ასეთი კულინარი! გამარჯობა, ლევანი!

(ერთმანეთს ხელს ართმევენ).

ლევანი — სწორედ ამ წუთას ვაპირებდი წამოსვლას... როგორა ხარ? ქუჩაში რომ შემხედროდი, ვერც გიცნობდი ალბათ. ორმოცი წელია, არ მიხანბინარ.

არჩილი — ჰო, თითქმის... ორმოცი წელი, წარმოგიდგენია შეიძლება, აქ ჩამოვყადე?

ლევანი — როგორ არ შეიძლება... ზოგი ამდენს ვერც ცოცხლობს...

(არჩილი სკამზე ჯდება, სიგარეტს უკიდებს).

არჩილი — მე დღეს შემთხვევითა ვარ აქ...

ლევანი — არ არის საჭირო...

არჩილი — ნამდვილად შემთხვევითა ვარ!

ლევანი — რა ჩემი საქმეა!..

არჩილი — მომისმინე!

ლევანი — მოდი, მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ!

არჩილი — განა არ ვიცი, რომ ჩემი გულსთვის არ გამოდიხარ ამ ბუნკერიდან! შენ გგონია, ჩემთვის ადვილია ამაზე ლაპარაკი? მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი ყველაფერი, მაგრამ ზომ ზდება... ახლო შეგობრებსაც ემართებათ ხოლმე, განუყრელ შეგობრებს.

ლევანი — რამდენსაც გინდა, იმდენს დაგისახელებ. სისულელეა ამაზე ფიქრიც კი, მე სრულებით არ ვადანაშაულებ. მითუმეტეს, რომ არც უფლება მაქვს...

არჩილი — მაგას ნუ იტყვი! უფლება რა შუაშია? ზომ არსებობს კიდევ

რაღაც, აი, თუნდაც, ყველასგანაც უფრო წყებული — სინდისი!

ლევანი — მართალი ხარ, სინდისია, რაც ადამიანს მხეცისგან ასხვავებს. მეტი კი არაფერი. საშინელებაა სინდისის ქენჯნა.

არჩილი — მართალი ხარ, საშინელებაა.

ლევანი — იმიტომ არის ადამიანი ყველაზე ძლიერი ცხოველი, რომ ამასაც უძლებს. ლომი სინდისმა თუ შეაწყუბა, ანტილოპა რატომ შეეკვამეო, დილუბება.

არჩილი — (ღიმილით) შენი თქმით გამოდის, რომ სინდისი სისუსტე ყოფილა.

ლევანი — ლომისთვის, რა თქმა უნდა!

არჩილი — მაინც რა არის სინდისი, როგორ გგონია?

ლევანი — (სიცილით) სინდისია ის, რაც მე და შენ არ ვაგვაჩნია!

არჩილი — (სიცილით) აბა ლომები ვყოფილვართ!

ლევანი — ჰო, ლომები... მოკლედ, არავის ბრალი არ არის... ბაომ, საერთოდ, არც კი უნდა გაიგოს...

არჩილი — მართლაც, რატომ უნდა გაიგოს, რა საჭიროა!

ლევანი — კარგი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი... კი მაგრამ, რა არ უნდა გაიგოს?

არჩილი — ისე ვთქვი...

ლევანი — მაინც?

არჩილი — იცი, მე დავუმაღე, რომ გიცნობდი.

ლევანი — მე კი ვუთხარი.

არჩილი — თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს!..

ლევანი — არაფერი.

არჩილი — იცი, აქეთ რომ მოვდიოდი ვინ შემხვდა ქუჩაში? „წრიბა“!

ლევანი — „წრიბა“?

არჩილი — ალექო სილაგაძე. ჩემს გვერდით რომ იჯდა არ გახსოვს?

ლევანი — „წრიბა“, „წრიბა“! როგორ არ მახსოვს! რაო?

არჩილი — მანქანა გამიჩერა, ტელეფონიანი შავი „ვოლგა“...

ლევანი — შენ „წრობა“ ეძახე, ეხდიდი კაცია ახლა...

არჩილი — სად მუშაობს?

ლევანი — ვერ კითხე?

არჩილი — არ ჩაეჭვევი მანქანაში, ფეხით შინდოდა გავლა.

ლევანი — ეგ „თქვენ დარჩით“ გახლავთ, ჩემო ბატონო, ასე რომ, ნუ ეხუმრებით „წრობას“!

არჩილი — „თქვენ დარჩით“? ასეთი თანამდებობააც არსებობს?

ლევანი — არ გაგიგია?

არჩილი — არა, ეტყობა, ახალია.

ლევანი — არა, საკმაოდ ძველია. „თქვენ დარჩით“ ის თანამშრომელია, უფროსი თათბირის მერე რომ იტოვებს! არჩილი — აბა, მართლა დიდი კაცი გამხდარა! (შემოდის ბაო).

ბაო — რა კარგი საზოგადოება შეყრილა აქ! მეც მომაწყვეინეთ რა სიგარეტები!

ლევანი — აი, ჩვენი ანტილოპაც მოვიდა!

ბაო — (ჭდება, სიგარეტს უკიდებს) რაო, ანტილოპაო? ეს როგორ გავიგო, ქათინაურია?

ლევანი — რა თქმა უნდა!

ბაო — დიდი მადლობა!

ლევანი — არაფრის, არაფრის...

(პაუზა).

ბაო — რატომ განუშდით, ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

ლევანი — არაფერი... ისე...

არჩილი — ვლამარაკობთ...

ბაო — ილამარაკეთ მერე, მე მიყვარს ჰკვიანი ხალხის მოსმენა!

ლევანი — (იმეორებს) ჰკვიანი ხალხის მოსმენა...

ბაო — ეს ისე იშვიათია ჩვენს დროში...

ლევანი — უცნაური სიზმარი ვნახე წუხელის, თითქოს სოფელში ყანას ვთოხნიდი...

ბაო — გეცხოვროს მაინც როდისმე სოფლადა!

ლევანი — მერე რას ვთქვამო? გიტომაც რალაცა ნიშნავს: ჩრდობა (სიცილით) მე მგონი ფესვები აგვტკივდა).

ბაო — (სიცილით) მერე, ეს სასაცილოა? თქვენს თავზე რატომ არ გეცინებათ?

ლევანი — ჩვენს თავზე რატომ უნდა გვეცინებოდეს?

ბაო — ჰო, შენ და არჩილს რატომ არ გეცინებათ თქვენს თავზე?

ლევანი — რატომ უნდა გვეცინებოდეს-მეთქი?

ბაო — აი, მე კი მეცინება!

ლევანი — მერე, გვითხარი მაინც, რატომ გეცინება?

ბაო — არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი... მეცინება კი... რალაც აირდა-რია ყველაფერი.

ლევანი — მერე ამიტომ გეცინება? თუმცა, მართალი ხარ! ამ წუთას ჩემსა და არჩილზე უფრო სასაცილო აღმძიანები მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობენ! შენ ტყუილად არ გაგეცინება! ბაო, ეტყობა, მართლა ვი-მსახურებთ სიცილს. უბრალოდ ორი სასაცილო კაცი შეხვდა ერთმანეთს — ერთს უკვე აღარავითარი უფლება არა აქვს ამ სახლში, მეორეს კი ჯერ არა აქვს არავითარი უფლება! ამიტომაც ვსხედვართ სამხარეულოში ემიგრანტ მთავრობასავით...

ბაო — არა, მაგიტომ არ მეცინება, თუმცა, კარგად კი იხუმრე...

ლევანი — გეითხარი, იქნებ ჩვენც გაგვეცინოს! მარტო სიცილი, მორიდებით რომ ვთქვა, ეგოიზმია, ჩემო ძვირფასო!

ბაო — არ ვიცი-მეთქი, ხომ გითხარით, ნამდვილად არ ვიცი. ისე რალაცა კი ხდება ჩვენს თავს!

ლევანი — და ამიტომ გეცინება?

ბაო — შეიძლება... შეიძლება ამიტომაც...

(ამ დროს ელისაბედი შემოიხედავს).

ელისაბედი — (გაკვირვებული) რა მშვიდად სხედხართ?!

ბაო — აბა, როგორ უნდა ვისხედეთ, ელისაბედ?

ელისაბედი — (გაკვირვებული. სიცილით) რა მშვიდად ლაპარაკობთ?!

მისამი მოკმედიბა

(დიდი ოთახი. ბიჭიკო ტელევიზორს აკეთებს, ელისაბედი თავზე ადგას. დანარჩენები მაგიდას უსხედან).

ბიჭიკო — რა მინდოდა, რა მომარბენინებდა, წავსულიყავი შინ, ტელევიზორი არა მაქვს, თუ რა. ამის კი არა ჰგავს!

ელისაბედი — (სიცილით) მართლაც, რა გრჯიდა, ხელი ხომ მოგიწერე ქალაღდზე, რალამ მოგიყვანა?

ბიჭიკო — მეც ეგ არ მიკვირს!

ელისაბედი — მოდი, ჭერ ისადილე და მერე ვააგრძელე მუშაობა. თუ ველარ შორდები, ეტყობა ძალიან საინტერესო სამუშაოა!

ბიჭიკო — რა თქვი?

ელისაბედი — ისადილე-მეთქი!

ბიჭიკო — არ მშია, არ მშია და არაფერი არ მინდა საერთოდ!

ელისაბედი — კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ!

ბიჭიკო — ამან კიდე — სამი შვილი მყავსო! კარგით რა, ამდენი ტყუილი არ მოგებზრდათ!

ელისაბედი — სამი კი არა, ესენი, ვისაც უყურებ, ყველა ჩემი შვილია!

ბიჭიკო — როგორ არა, როგორ არა!...

ელისაბედი — არა გჯერა?

ბიჭიკო — რას ჰქვია, არა მჯერა! მჯერა და ეგრე?!

ელისაბედი — ბაო, მოდი აქ!

ბაო — რა გინდა, ელისაბედ?

ელისაბედი — ხომ ხარ შენ ჩემი შვილი?

ბაო — რასაკვირველია!

ელისაბედი — (ბიჭიკოს) არც ახლა გჯერა?

ბიჭიკო — ხომ გითხარი, მჯერამეთქი. აი, ის ბებერი ქალიც შენი შვილია არა? ალბათ, თანაც ნაბოლარა!

ელისაბედი — შენ წარმოიდგენე, მართლაც ასეა ყოჩაღ, ბებერი როგორ გამოიყენა!

(ფიქრიანად შესცქერის ქალბატონ მათიკოს).

— თანაც ნაბოლარა... მამა, ქალბატონ მათიკოს ლიმონათი დაუსხი.

მათიკო — არა, არ მინდა, გმადლობთ!

ლევანი — ქალბატონო მათიკო, თქვენი ვაჟი როგორ ბრძანდება?

მათიკო — (ღიმილით) კარგად, კარგად, მადლობთ...

ლევანი — თუმცა, რა კითხვა უნდა!...

მათიკო — სულ „დედა“ და „დედა“, სულ „დედა“ და „დედა“, სულ ეს აკერია პირზე, მეტი სიტყვა არ იცის. დღეში რამდენჯერ უნდა დამირეკოს, რამე ხომ არ გჯირდებათ. რა უნდა მჭირდებოდეს? შენს თავს მიხედულ-მეთქი, ვეუბნები. მაინც რეკავს და რეკავს, რეკავს და რეკავს...

ლევანი — კახა და მამუჯა როგორ არიან? ხომ არ მეშლება თქვენი შვილი-შვილების სახელები?

მათიკო — ენაცვალოთ ბებო! კახა თხუთმეტისაა უკვე, მამუჯა — ცამეტის!

ლევანი — აბა, უკვე ვაქაცები ყოფილან!

მათიკო — ისინიც სულ „ბებოს“ გაიძახიან, სულ ტელეფონზე არიან ჩამოკიდებულები.

ლევანი — კვიცი გვარზე ხტისო...

მათიკო — ბიჭო, დამანებეთ თავი-მეთქი, ვეუბნები, სწავლაზე იფიქრეთ, სწავლაზე იფიქრეთ, სწავლაზე-მეთქი, ვინ გისმენს!

ვენერა — აი, ახლა ამ ეკლერს ვუყურებ და ვფიქრობ, ნეტავი, ისეთი ჭანმრთელი კუჭი მქონდეს, ამის კამა შემეძლოს-მეთქი!

ბაო — რა თქვით, დედა, რისი კამა შემეძლოსო?

ვენერა — ეკლერის, ეკლერის!

ბაო — გიყვართ ეკლერი?

ვენერა — ვერ ვიტან!

მათიკო — ეკლერის რა მოგახსენოთ და...

ვენერა — არც მე მოთქვამს სალაპარაკოდ!

მათიკო — რა თქმა უნდა! სხვა რაღაცას მოგახსენებთ... რაც უფრო ებერდები... ოღონდ ნუ გაგეცინებათ. ერთხელ, მგონი, ლევანსაც კი ვუთხარი... ასე მგონია, მთავარი რაღაც მავიწყდება-მეთქი!

ელისაბედი — მეც! მეც! მეც ასე მგონია, მთავარი რაღაც მავიწყდება, ენაზე მადგას და ვერ კი მოთქვამს!

ბაო — ელისაბედ, გვაცალე ლაპარაკი!

მათიკო — მაგალითად, მსოფლიოს შვიდი საოცრება აღარ მახსოვს!

ვენერა — მეც არა ვთქვი, მათიკოს მართლაც რაღაც ავიწყდება-მეთქი! მე ეგ არასოდეს არ ვიცოდი, ისევე, როგორც გამარჯვლების ტაბულა. და, საერთოდ, არასოდეს დავინტერესებულვარ ასეთი ზღაპრებით.

მათიკო — აი, მე კი ვიცოდი და დამავიწყდა... მახსოვს მხოლოდ სემირამიდას ბალი. ეს კი ძალიან ცუდია — ბალი ხომ სამოთხეს ნიშნავს!

ბაო — (თითებზე ითვლის) სემირამიდას ბალი, ეგვიპტური პირამიდები, ზევსის ქანდაკება...

ლევანი — ფიდიასის ზევსის ქანდაკება...

არჩილი — როდოსელი კოლოსი...

ბაო — არტემიდეს ტაძარი... მეტი აღარ მახსოვს!

ლევანი — ეგ რამდენია?

ბაო — ხუთი.

ლევანი — ალექსანდრიის შუქურა თქვი?

ბაო — არა, არ მოთქვამს. ესეც ექვსი — ალექსანდრიის შუქურა! აბა, მე-შვიდე საოცრება ვის ახსოვს? მე-შვიდე, მე-შვიდე საოცრება მიკარნახეთ!

მათიკო — მე ყველა დამავიწყდა, ბალის გარდა...

შოთიკო — ბარემ კუბიკებიც მოგვეტანა და პატარა სახლიც აგვეშენებინა.

ნორა — რად გინდობდა, კეთილმეპატარა სახლი?

შოთიკო — სახლობანას ვითამაშებდით.

ნორა — სულ სახლობანას არ ვთამაშობთ, შოთიკო, მე და შენ?!
ელისაბედი — აბა, ყავა ვისაც უნდა, ხელი ასწიოს!

ნორა — მაგას ჯობია, შამპანური დამისხას ვინმემ!

მათიკო — ელისაბედ, მე ჩაი მომიტანე, შენს გაზრდას!

ელისაბედი — ახლავე მოგართმევთ ჩაის. ბატონო არჩილ, თქვენ რას მიირთმევთ, ჩაის თუ ყავას?

არჩილი — სულერთია...

ელისაბედი — მამა, შენ?

ლევანი — ჩემთვისაც სულერთია.

ნორა — კი მაგრამ, გამაგიყვებს ეს ხალხი, შამპანურიც ხომ უნდა დალიოს ვიღაცამ?

ბაო — (თითებზე ითვლის) სემირამიდა, ზევსი, კოლოსი, არტემიდე, შუქურა... პირამიდა...

ელისაბედი — ეს ტორტი ყველამ უნდა გასინჯოს, დედაჩემის გამო-მცხვარია!

ვენერა — რას ამბობ, ელისაბედ, ბაომ ტორტი გამოაცხო?

ბაო — (ღიმილით) ელისაბედ, ელისაბედ!

ელისაბედი — რა იყო, დე?

ბაო — ეს ტორტი და, საერთოდ, ყველა ნამცხვარი, რასაც სუფრაზე ხედავთ, ელისაბედმა იყიდა კოოპერატივში.

ელისაბედი — ბიჭიკო, ტორტი გინდა?

ვენერა — პირველად ვნახე, ხელოსანი რომ მუშაობდეს! აი, ნამდვილი საოცრება რა არის, ეგვიპტური პირამიდა აჯობებს ამას!

ბაო — დედა, ნუ უშლით ხელს, თუ შეიძლება...

ვენერა — მიკვირს-მეთქი, სხვა ხომ არაფერი მოთქვამს!

ბიჭიკო — ქალბატონო, ერთი მე

მკითხეთ, როგორ მივირის, მაგრამ რა ვქნა!

ვენერა — ააა, მივხვდი — ესეც კოოპერატივის წევრი იქნება!

ბიჭიკო — (ღიმილით) მეც ელისაბედმა მიყიდა, ტორტივით.

ელისაბედი — ბეზიკო, დაცა, უკეთეს ნაჭერს მოგიპირი. ეგ ჩემს თევშზე გადმოდღე. აი, ასე, ყოჩაღ. აი, ხელსაზოცი!

ვენერა — უცნაურია, აი, ამ წუთას არაფერი მაწუხებს, არაფერი არ მტკივა!

შოთიკო — საერთოდ, რა გაწუხებთ, ქალბატონო ვენერა?

ვენერა — ყველაფერზე მეტად მაინც წწევა მაწუხებს, შემკამა პირდაპირ!

შოთიკო — არ უნდა შეაქმევივით თავი.

ვენერა — მასწავლეთ, ბატონო, როგორ მოვიქცე?

შოთიკო — ცურვაზე იარეთ.

ვენერა — ჩემს ასაკში?

შოთიკო — და იქნებით ჩიტივით.

ვენერა — ჩიტივით თუ თევზივით?

შოთიკო — თქვენი ნებაა, რომელიც გინდათ, აირჩიეთ, არც ერთს არა აქვს წწევა.

ვენერა — აღამიანს რომ თევზობა ან ჩიტობა გაუხდება სანატრელი, აი, ეს არის საშინელება!

ელისაბედი — ბეზიკო, ბეზიკო, დილაობით ისეც ვარჯიშობ?

ვენერა — ეპ, ჩემო ელისაბედ, ჩემი დილის ვარჯიში პირველია!

ელისაბედი — ღმერთი გწამს, ბებო?

ვენერა — რა თქმა უნდა, მწამს!

ნორა — მეორე ბოთლი არ გავხსნათ, ასე იდგეს ხელუხლებლად?

შოთიკო — გეყოფა, საკმარისია!

ნორა — იქნებ წერილი დევს მაგ ბოთლში, იქნებ ვიღაცა გვეძახის — მიშველეთო, არ უნდა ვნახოთ?

ელისაბედი — მომაწოდეთ, მე

გავხსნი. აბა, ბავშვებო, ყურებზე ხელს აიფარეთ!

(უბნოდ ხსნის შამპანურის ბოთლს).

ნორა — ელისაბედ, დედიკო, ბოთლის გახსნა კარგად გცოდნია აბა, ახლა ის შევამოწმოთ დასხმაც თუ იცი. აი, ჩემი ჭიქა ავიღოთ ექსპერიმენტისთვის, ვითომ ლაბორატორიაში ვართ და ვითომ ეს სინჯარაა! დაასხი, დაასხი, თამამად, ყოჩაღ! მოდით, იცით, რას გაუმარჯოს! ჩვენ რომ ერთადა ვართ — აი, იმას გაუმარჯოს! ცუდია? გეხვეწებით. გავევიმარჯოს რა! მომიჭახუნეთ ჭიქები! იცით, როგორ მიყვარს, ჭიქას რომ მიჭახუნებენ! აი, ასე! ძინ! შოთიკო, შენც! თქვენც, ჩემო ბატონო არჩილ! თქვენც, ქალბატონო ვენერა! შოთიკო, დავლევ რა!

შოთიკო — შენი ნებაა!

ნორა — დაველი, იცოდლე!

შოთიკო — დაცალე, რა ვქნა!

ნორა — მოდით, იცით, რას გაუმარჯოს!

შოთიკო — სხვასაც დააცალე!

ნორა — (ბიჭიკოს) ჭაბუკო, მოიხედე, აქეთ!

ბიჭიკო — მევე?

ნორა — დიან, შენ! აბა, აქ სხვა ჭაბუკს ვის ხედავ. მოდი ჩემთან, ბიჭუნავ!

ბიჭიკო — მე ბიჭუნა კი არა, ბიჭიკო მქვია!

ნორა — უკაცრავად, შემეშალა. მომიახლოვდი, ნუ გეშინია!

ბიჭიკო — მევე? მეშინია? რისი?

ნორა — შოთიკოსი თუ გერიღებ, სულ ტყუილად, მაგას გინეკოლოგიის მეტი არაფერი აინტერესებს. აბა, აიღე, ბიჭიკო, ჭიქა! არა — ორი თითით, წვიპად დაიჭირე! აი, ასე! ვერ უყურებთ ბიჭიკოს?! აბა, ახლა მომიჭახუნე! ძინ! იცი, რას გაუმარჯოს! შოთიკო, რას გაუმარჯოს, მიკარნახე!

შოთიკო — ბიჭიკო მანდ არა გყავს, მაგან გიკარნახოს.

ნორა — ბიჭიკო, მოდი, რაც იქნება, გვითხარი, რამე სადღეგრძელო!

ბიჭიკო — არა, სხვა დაგამთავრო და მერტობა იქნება და დღეობა თუ ნორა — დაბადების დღეზე ვგიჟდები!

შოთიკო — ეს დაბადების დღეა, ნორა?

ნორა — (ვეკლუცად იღიმება) მე რომ გასათხოვარი ვიყავი, სამ ხულიგანს ერთად ვუყვარდი. მაშინ საკუთარი ხულიგანი თუ არ გყავდა, კარგ გოგოდ არ ითვლებოდი. სანამ შოთიკო ცოლად მითხოვდა, ორჯერ სცემა ჩემმა პირადმა ხულიგანმა. თქვი, შოთიკო, ხომ გცემა ჭუბიკამ ორჯერ, ხომ გცემა?

შოთიკო — კი, გცემა. ვალიარებ.

ნორა — ბიჭიკო, შენც ხულიგანი ხომ არა ხარ, დედიკო?

ბიჭიკო — რატომ უნდა ვიყო ხულიგანი?

ნორა — ძალიანაც ცუდი, ხულიგანი თუ არა ხარ. შენ გგონია, გამახარებ? ღმერთო ხულიგნებიც კი აღარ არიან დღეს! ო, რა თავაზიანი, რა დაბეწვილი, რა ერთგული, რა თითით საჩვენებელი ხულიგნები იყვნენ წინათ. სულ ესენინისა და ლადო ასათიანის ლეკსებით მელაპარაკებოდნენ, სულ თეატრში და კონცერტებზე დამყვებოდნენ. კიდეც გაბედავდა ვინმე და მათი თანდასწრებით უწმინდეს სიტყვას იტყოდა! იმ დღეს ერთი ლაწირაკი მეუბნება ავტობუსში — რა ვქნა, შოთიკოს გადამკიდე, სამსახურში ავტობუსით დავდივარ — ადე, შე მანჭურის ინდაურო! მინდოდა შევპასუხებოდი, ყოველ შემთხვევაში, პროტესტი მაინც გამოვთქვია, არ ვარ მანჭურის ინდაური-მეთქი, მაგრამ გადავყლაპე, იმასავით, რას აკმევენ ინდაურებს? მოკლედ, რასაც ინდაურებს აკმევენ, იმასავით გადავყლაპე. ეტყვი რამეს და ისე წყინთ, ისე წყინთ, მეტი არ იქნება! შეიძლება, ისე გაგალამაზონ. მანჭურის ინდაურობა სანატრელი გაგიზდეს. შოთიკოს რომ მოუყუყვი, იცით რა მითხრა — თმა რომ გაქვს წითლად შეღებილი, იმიტომ გითხრა ალბათო. მოკლედ, დამწყებ პოეტად გამოიყვანა ის

ლაწირაკი? ბიჭიკო, ხულიგანს ჩემსკენ დილიყავი, ხომ სცემდი მართლად? ძიას, ხომ სცემდი?

შოთიკო — ხელს რომ უშლი მაგაკაცს მუშაობაში, ვერ ატყობ?

ნორა — შოთიკო, ვუთხრა ბიჭიკოს, ორსულობა არქიტექტურულ ზედმეტობად რომ მიგაჩნია, გავუმხილო? ვუთხრა როგორ ვწითლდები შენს გამო, ტელევიზორში პოეტებს რომ უქსმენ, გამრავლდითო!

შოთიკო — პოეტებისთვის ლაპარაკი ადვილია! მართო ლაპარაკით ვერ გამრავლდები! გამრავლებას ბევრი რამე ჭირდება.

ნორა — მაგალითად, რა?

შოთიკო — იმის გარდა, რაც ყველამ ვიცით და, რაც რა თქმა უნდა, მთავარი და ძირითადია, გამრავლებას ჭირდება პირობები. ადამიანური ატმოსფერო!

ნორა — ბაო, ბაო, ჩემო დიკო, შეხედე ერთი, ხომ გავს შოთიკო სიცილიელ ბანდიტს?

ბაო — (სიცილით) შენ რა იცი, როგორია სიცილიელი ბანდიტი?

ნორა — ვიდეოში მაგის მეტი რა მინახავს! მოდი, ყურში გეტყვი რაღაცას!

შოთიკო — ნორა!

(ნორა ბაოს ყურში რაღაცას უჩურჩულებს, თან შოთიკოს თვალს არ აშორებს).

ბაო — (ყალბი დაინტერესებით) კარგი ერთი!

ნორა — ყველაფერს გეფიცები!

შოთიკო — ეპ, არა ხარ არსად წისაყვანი, მაგრამ რას იზამ!

ვეენერა — (ლიმილით) ლეენი პატარა რომ იყო, ეგონა, ყველანი მასთან ერთად, ერთ დღეს გაეჩნდით ამ ქვეყანაზე. ზოგი დედად, ზოგი მამად, ზოგიც ბებიად და ზოგიც, რა თქმა უნდა, ბავშვად. გარკვეული თვალსაზრისით, არც ცდებოდა. ბავშვები, საერთოდ, არ ცდებიან. ამიტომ უყვირდა, ყველანი ერთად რატომ არ ვიზდიდით დაბადების დღეს.



ბ ა ო — (სიცილით) ყველას ჩემი დაბადების დღე გონია!

ვენერა — მე რაც მგონია, მაგას ნუ მათქმევინებ!

ბ ა ო — მაინც რა, დედა, რა გგონიათ?

ლევანი — (უხერხულობის გასაფხანტავად) ქალბატონი მათიკო, თქვენს გარდა, დღეს ალბათ აღარავინ ატარებს ლორნეტს. არ მახსოვს, მგონი, ადრე არ ხმარობდით...

მათიკო — ეს ლორნეტი ამას წინათ სრულიად შემთხვევით ვიპოვე დედაჩემის ნივთებში. (სიცილით) ავგაროზივით ჩამოვიკიდე კისერზე. თანაც, ვინც არ მომეწონება, ცხვირზე წამოვარტყამ ხოლმე. ამ ლორნეტთან დაკავშირებით, თუ გნებავთ ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვებით.

ელისაბედი — ბავშვებო, ბავშვებო, აბა, ქალბატონ მათიკოს მოგუწმინოთ, ხომ გიყვართ სასაცილო ამბები!

მათიკო — დედაჩემი ჭორჭაძის ქალიყო, ძალიან ლამაზი და განათლებული. კინოშიც გადაიღეს თურმე ერთი ორჯერ, მაშინ ჯერ კიდევ სილამაზის გამო იღებდნენ ქალებს კინოში. მაგრამ ის ფირები ახლა, რა თქმა უნდა, აღარავის ახსოვს. ალბათ უკვალოდ დაიკარგა. რევოლუცია რომ მომხდარა, პეტერბურგში ყოფილა. მაშინვე საქართველოსკენ გამოუწევია, რა გააჩერებდა! გზაში მატარებელს ბანდიტები დასცემიან. რამდენიმე ქალი და მათ შორის დედაჩემიც ატამანის საბლში წაუყვანიათ, ალბათ დროს სატარებლად. ერთმანეთში ახელილი, გაღეშილი ხალხით ყოფილა თურმე საგსე ოთახი. დედაჩემისთვის უბრძანებიათ, ქმავიდაზე იცეკვეო. დედაჩემი კი ატამანისკენ წასულა, ლორნეტი მოუმარჯვია, ატამანს დაკვირვებია და უკითხავს, თქვენ რომელი ზოობარკიდან ბრძანდებითო. არ ვიცი, რა სასწაულს გადაურჩენია მაშინ. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, სიამაყემ გადამარჩინაო. ალბათ... ბნელ ხალხს სიამაყისა ეშინია, ამიტომაც, რომ ან სპობს

ან აღმერთებს, რაც, სხვათა შორის, ენულოთ და იგივეა არ ვიცი, რამდენად... საცილოდ მოგეჩვენათ ჩემი მონაყოლი, მე კი, ეს ლორნეტი რომ ვიპოვე, ტირილის მაგივრად, სიცილი ამივარდა — მთვრალ ბანდიტებში ლორნეტისანი დედაჩემი და გაშტერებული ატამანი წარმოვიდგინე...

არჩილი — მართალი ბრძანდებით, ამაყი აღამიანისა ყველას ერიდება!

მათიკო — დიახ, მეც მაგას მოგახსენებთ...

ლევანი — ან სპობს ან აღმერთებს...

მათიკო — ბატონო?

არჩილი — არა მართო სხვის სიამაყეს...

მათიკო — (ვერ ხედება, რომ ლევანი და არჩილი მას კი არ მიმართავენ, თითქმის ერთმანეთს ესაუბრებიან, ან ადრე დაწყებულ საუბარს აგრძელებენ) — თქვენ რომელი ზოობარკიდან ბრძანდებითო, წარმოვიდგინათ!

არჩილი — შეიძლება, ყველაზე მეტად საკუთარი სიამაყის ეშინია...

ლევანი — სიამაყე იგივე სინდისია!

არჩილი — უბისოდ უფრო ადვილია ცხოვრება...

ლევანი — თუ არსებობა?

არჩილი — მართალი ხარ, არსებობა... ცხოვრებისთვის სიამაყე აუცილებელია.

ელისაბედი — მეც მოვყვები ერთ სასაცილო ამბავს, შეიძლება!

ვენერა — ასეთივე სასაცილოს?

მათიკო — მე არ მითქვამს, ქალბატონო ვენერა, ყველამ გაიცინეთ-მეთქი, მე მეცინება ამ ლორნეტზე, მეტი არაფერი!

ელისაბედი — მოდი, ყველამ მოვყვეთ თითო სასაცილო ამბავი. ვითომ სიცილის გაკვეთილი გვაქვს!

ნორა — უი, რა კარგი იქნებოდა, სიცილის გაკვეთილები რომ იყოს!

მათიკო — ეგლა გვაკლია, ისედაც სულ ნასწავლი სიცილით არ ვიკრიკვებით?

მათიკო — რა შიშის ვაძულებს და, ბატონო არჩილ, ერთი რამ მინდა გკითხოთ, მიიხრეს, ბიოლოგი ბრძანდებით, ვის ეცოდინება ეს თქვენზე უკეთესად...
არჩილი — ბრძანეთ, ქალბატონო, გისმენთ.

ვენერა — სად გაქრენ, სად დაიკარგენ ქალაქიდან ჩიტები, შოშიები, მერცხლები, მოლალურები. იცით, წინათ მთელი ქალაქი ჩიტებით იყო სავსე.

ვენერა — ქალბატონო მათიკო, თავი დაეკარგეთ და ჩიტებს მისტირით? მათიკო — ქალბატონო ვენერა, თქვენ ყველაფერს უკიდურესობამდე ამწვავებთ!

ვენერა — მე? როგორ გეკადრებათ... არავითარ შემთხვევაში!

მათიკო — იცით, როგორ ამშვიდებს ჩიტის ხმა ადამიანს!

ნორა — ქალბატონო მათიკო, თუ შეიძლება, ერთი წუთით მათხოვეთ ეგ ლორწეტი.

მათიკო — ინებეთ, გეთაყვა.

ნორა — (ართმევს ლორწეტს, შოთიკოს მიუბრუნდება) მიზნება?

შოთიკო — გზატავს, პირდაპირი (ლორწეტი ხელიდან ხელში გადადის).

ვენერა — ბატონო არჩილ, გინდათ გიმკითხოთ?

არჩილი — მიმკითხოთ? მინდა, რატომაც არა!

ვენერა — მაშინ მარცხენა ხელი მოშეკით! (არჩილის ხელისგულს აკვირდება) — ო, როგორი დამთმობი და წყნარი ყოფილხართ!

არჩილი — წყნარი? კი, წყნარი ვარ.

ვენერა — და მშიშარაც! არ გეწყინოთ — ყველა მამაკაცი მშიშარაა. ეგ მე მკითხეთ, მე ხომ სტომატოლოგი ვარ! საკმაოდ წინდაუხედავიც ყოფილხართ!

არჩილი — ნუთუ ეს ყველაფერი მართლა ჩემს ხელისგულზე წერია?

ვენერა — დაინტერესდით?

ბაო — (სიცილით) დედა, მკითხოთაბა როდის დაიწყეთ?

ვენერა — (ბაოს ყურადღებას აქცევს) დიდხანს იცოცხლებთ. ეს სიცილი ხანია, ხომ ხედავთ — რამსიგრძეა, შერიდიანივით!

ნორა — სანამ ხირომანტიის სეანსი მიმდინარეობს, ბიჭიკო, მოდი, ჭიქა მომიჭახუნე. გავიმეოროთ, რაც გასწავლე, თორემ დავავიწყდება. ვამეორება ცოდნის მამა!

შოთიკო — დედა!

ნორა — მოდი, დავნაძლავდეთ! ვის ვკითხოთ?

შოთიკო — ნორა, გეყოფა!

ნორა — თქვენთვის დედა, ჩემთვის მამა გააჩნია, საიდან შეეხედავთ და, საერთოდ, ახლა ქალი და კაცი ძნელი გასარჩევია!

ბიჭიკო — რა კარგი ვინმეა, კაცი!

შოთიკო — მოგწონს?

ბიჭიკო — ძალიან!

შოთიკო — ვინდა გაჩუქო?

ბიჭიკო — მაჩუქო? როგორ თუ მაჩუქო?

შოთიკო — როგორ და როგორც ჩუქნიან. შენი იყოს!

ბიჭიკო — ჩემი იყოს? მე რად მინდა?

შოთიკო — როგორ თუ რად გინდა? გესმის, რას ამბობს — ნორა რად მინდაო!

ბაო — ჰოდა, მართალს გეტუბნება, რად უნდა მგავს შენი ნორა, ნორა შენი ცოლია.

შოთიკო — გმადლობთ, ბაო, შესენებობსათვის.

ელისაბედი — ვერაფრით ვერ ვისწავლე სასაცილო ამბების მოყვლა!

მათიკო — რა თქვი, ელისაბედი?

ელისაბედი — არაფერი. თქვენზე არ მიიჭვამს!

მათიკო — ამ დილითაც დამირეკა მოსკოვიდან, როგორა ხარო, რამე ხომ არ გჭირდებაო, რა ჩამოგიტანო.

ბაო — უკაცრავად, ქალბატონო მათიკო, ვერ გავიგე, რა თქვით, ვინ დამირეკაო?..

მათიკო — ჩემმა ვაჟმა, ვინ დაძი-



რეკავდა. დედოკო, როგორა ხარო, რა ჩამოვტანო...

ბაო — პირდაპირ სამაგალითო შვილი გყავთ! ამოდენა თანამდებობა, ამდენი საქმე და მაინც დედა ერთი წამითაც კი არ ავიწყლებს!

მათიკო — ვუთხარი, დროა, როგორმე შეურიგდე იმ აზრს, რომ აღარ გვეყოლები-მეთქი (სიცილით) ეს ხომ არ გამოვეყრები, ბოლოს და ბოლოს! რას არ მიგზავნის შოფრის ხელით, იცის, ტკბილი რომ მიყვარს ძალიან...

შოთიკო — ქალბატონო მათიკო, თქვენს ვაჟს კარგი ბინა აქვს? თუშეცა, რა კითხვა უნდა.

მათიკო — საუკეთესო! ჩემი ვაჟი ხომ...

შოთიკო — ვიცი, ვიცი, სადაც მუშაობს. ეგ ყველამ იცის. შე ის მაინტერესებს...

მათიკო — არ დაამთავროთ, არ დაამთავროთ! ვიცი, რასაც მეკითხებით. ბევრს აინტერესებს ეს, საქმე ის გახლავთ, ბატონო ჩემო, რომ მე დამოუკიდებლობა მიყვარს. თანაც, უბინაო ხომ არ გგონივართ — აი, ზუსტად ასეთი ბინა მაქვს. მალე კახაც ცოლს შეირთავს და მარტო აღარ ვიქნები. ჩემთანაა ჩაწერილი (სიცილი) ახლა ადრე ირთავენ ცოლს! (ჩვეულებრივად) სხვაგან მაინც ვერ გავძლებ, შვილთანაც კი, ისე შევეჩვიე ჩემს ბინას, ჩემს ნივთებს, ჩემს სკამს, ჩემს თეფშს, ჩემს კოვზს, ჩემს ყვავილებს ქოთნებს. კაბინეტში ველოსიბედის თვლიანი სავარძელი დგას, იმ სავარძელში იჯდა ჩემი დამბლადაცემული მეუღლე. ოთახიდან ოთახში დავტარებდი, ახლაც დავსარილებ სავარძელს და ახალ ამბებს ვუყვები: ჩემმა ვაჟმა ანანასის კომპოტი რომ გამომიგზავნა, წუხელ „ილუზიონში“ რა აჩვენეს და ასე შემდეგ მოკლედ, სულ ოთხი წელიღა მიჭირს. ოთხ წელს ციხეშიაც კი ძლებენ, ხომ მართალია?

შოთიკო — არ ვიცი, ქალბატონო, არ გამომიძლია.

ბაო — (თითებზე ითვლის) სემი-

რამიდა, ხევისი, პირამიდა, კლონიკო ტემიდე, მუჭურა...

ნორა — ბიკიკო, არ მოგშინდა?

ბიკიკო — (ღიმილით) აი, მოვრჩები და მერე ვიქეიფოთ!

ბაო — (განზე დგება) ელისაბედ, მოდი აქ!

ელისაბედი — რა ვინდა, დე?

ბაო — შენ გგონია, არჩილი მე დეპუტატიე?

ელისაბედი — ვინ ვითხრა, რომ მგონია?

ბაო — მე თვითონ არ ვიცი, რატომ მოვედიო...

ელისაბედი — შავს რა ცოდნა უნდა, უყვარხარ!

ბაო — ელისაბედ, ხომ გაბოვდე!

ელისაბედი — დე, იცი, მგონია, რომ რაღაც შავიწყდება! მართლა გეუბნები!

(ბრუნდებიან).

ბაო — (არჩილს მხარზე ხელს დაადებს) ძალიან დაგაინტერესა მკითხობამ?

არჩილი — იცი, სკოლა გამახსენდა... ქალბატონი ვენერა საზეიმო საღამოებზე მღეროდა ხოლმე. ხომ მართალს ვამბობ, ქალბატონო ვენერა?

ბაო — დედა, საერთოდ, კარგად მღერის.

ვენერა — განა თქვენ ჩვენს სკოლაში სწავლობდით?

არჩილი — დიახ, ლევანის კლასში.

ვენერა — ღმერთო ჩემო!

არჩილი — აღარ გახსოვართ არა?

ვენერა — ნუთუ თქვენ ის არჩილი ხართ?

არჩილი — (სიცილით) დიახ, ის არჩილი ვარ. ოღონდ, ბებერი!

ვენერა — როგორ არა... როგორ არა... დედათქვენი როგორ ბრძანდება?

არჩილი — აი, ვაგახსენდით!

ვენერა — ძალიან პატარები იყავით... უცებ დამეკარგეთ...

არჩილი — სხვა სკოლაში ვადავედი.

ვენერა — დედათქვენი კი სულ

26
თბილისი

მახსოვს. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მოდის სკოლის დერეფანში... ალბათ ახლაც ლამაზია. ასეთი ქალები არ ბერდებიან. დირექტორი უსათუოდ ზელზე აკოცებდა ხოლმე...

არჩილი — დედაჩემი დიდხანია სოფელში ცხოვრობს.

ვენერა — ვინ? ქალბატონი ელენე? ღმერთო ჩემო! კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი? ელენეზე უფრო ქალიქელი ქალი არ არსებობდა და არც ახლა არსებობს ალბათ. როგორ ლაპარაკობდა ფრანგულად. როგორ უყრავდა... თუ გახსოვთ, ზოგჯერ აკომპანიორობასაც მიწევდა ხოლმე.

არჩილი — როგორ არ მახსოვს! რა მოხდა და... უბრალოდ ასე აეწყო ყველაფერი. ჩემი უფროსი ძმა სტუდენტობის დროს დაიპირეს. მართალია, მალე გამოუშვეს, მაგრამ თბილისში ცხოვრების უფლება აღარ მისცეს. ბიძაჩემი აგრონომი იყო, იმან წაიყვანა თავისთან სოფელში და რადგან ჩემი ძმა ტუბერკულოზით იყო ავად, ბიძაჩემი კი მარტოხელად ცხოვრობდა, დედაჩემიც თან წაჰყვა... ორი-სამი წელი იცოცხლა კიდევ... ჯერ ბიძაჩემი გარდაიცვალა, მერე ჩემი ძმაც მოკვდა... ახლა მხოლოდ დედაჩემი ცხოვრობს იქ, საფლავებს უფლის, სიმინდს თოხნის, ჩაის კრეფს, კოლმეურნეობის წევრია...

ვენერა — ნახულობთ ხოლმე?

არჩილი — ძალიან იშვიათად... ჩემი ძმა ისე მოკვდა, არ მინახავს. შუა აზიაში ვიყავი, ექსპედიციაში...

ვენერა — (ღიმილით) ჩემი სიმღერა რამ გავახსენათ?

არჩილი — იცით, დედაჩემს გავხარით!

ვენერა — რას ბრძანებთ, დედათქვენს როგორ შევედრები! ის ძალიან ლამაზი ქალი იყო. რა დუნდობელი ყოფილა ცხოვრება, თუმცა, მაგის მეტი, მე თვითონ რა ვიცი...

ნორა — მე რატომ მიმაღავდით, ქალბატონი ვენერა თუ მღეროდა! ეს რა კარგი რამ გავიგე! ქალბატონი ვენერა, იმღერეთ რა, გეხვეწებით, ნუ

გვეტყვიან უარს! ძალიან გასკდნულნი ვენერა — ვიმღერო? (შეკაცდა)

რატომ უნდა ვიმღერო?

ელისაბედი — ბებიკო, იმღერე რა, მეც გეხვეწები!

ვენერა — რა ვიმღერო? ბოო, უთხარი, თავი დამანებონ!

ბაო — (ღიმილით) მე ამათთან ვერაფერს ვაეწყობ. უნდა დათანხმდეთ, სხვა გზა არა გაქვთ.

ვენერა — რას ქვია, სხვა გზა არა მაქვს! რაღა დროს ჩემი სიმღერა! უთხარით, ბატონო არჩილი, ამ ქალბატონებს, როდის იყო ეს ამბავი, მას მერე მთელმა ცხოვრებამ გაიარა!

არჩილი — მაგრამ თქვენ ისევ ისეთივე ხართ!

ნორა — შოთიკო, შენც შეებეწევი იმღეროს. სიმღერაზე ვგივდები!

შოთიკო — ქალბატონო ვენერა, ხომ იცით ამის ამბავი, ეს თუ ვინმეს გადაეკიდა, ვთი იმის ბრალი, მაინც არ მოგეშვებათ. ისე, მეც გაუწერელად გთხოვთ, რა მოხდება, რომ იმღეროთ!

ელისაბედი — ბებიკო, ხალხს ნუ ახვეწინებ! ხომ ხარ დემოკრატიის მომხრე!

ვენერა — გამაგებინე მაინც, რატომ უნდა ვიმღერო?

ბაო — იმღერეთ, დედა, იმღერეთ, თქვენ კარგად მღერით!

ვენერა — აღარაფერი რომ არ მახსოვს... როგორ შეიძლება ასე უცებ... უაკომპანიმენტოთ მაინც ვერ ვიმღერებ!

ბაო — ქალბატონი მათიკო აგერ არ ბრძანდება, ის ხომ პიანისტია!

ვენერა — აბა, არ ყოფილა ჩემი საშველი! გავგივდები, მგონი, მართლა მამღერებენ ეს უღმერთოები! (მათიკოს) შუბერტის „ავე მარია“ იცით?

ნორა — შუბერტის „ავე მარია“ მე ვიცი!

შოთიკო — შენ არ გეკითხებიან!

ნორა — მაგ სიმღერას იტალიელი ხუჭუჭა ბატკანი მღეროდა რადიოში!

მათიკო — (როიალს მიუჭდება) დავიწყოთ?



ვენერა — დამაყდრეთ, სული მო-
მათქმევინეთ (ლევანს) ვიმღერო?

ლევანი — შენი ნებაა!

ნორა — და ჩვენ — ვერანდაზე
ჩამწკრივებული, სარკოფაგებში ჩაქე-
დილი ევბატორიის მუმეები — სულ-
განაბლები ვუსმენდით!

ვენერა — (არჩილს) თქვენი ხათ-
რით ვმღერო, იცოდეთ!

არჩილი — დიდი მადლობა, ქალ-
ბატონო!

ვენერა — ვატყობ, ველარ გადა-
ვრჩები (მათიკოს) დაეწყოთ!

(მღერის)

ნორა — და იცით, რას ვნატრობ-
დით?..

შოთიკო — ჩუ!

ნორა — ...ღმერთო, ოღონდ, ეგ
რობერტინოც ჩვენსავით დააკუტე, აი,
აჰ, ვერანდაზე, ჩვენს გვერდით, ჩვენ-
სავით ზეიბარი, გაჭიმე და შეტი არა-
ფერი გვინდაო!

ბაო — რას ამბობ, ნორა, რა საში-
ნელებაა!

ნორა — აბა, შენ რა გგონია! შო-
თიკო, რა საზიზლარი შამპანურია, და-
მისხი რა!

შოთიკო — კარგი, გეყოფა, ადე-
ქი...

ნორა — არა, ასე არა, უნდა მით-
ხრა — ადგ, შე მანჭურიის რნდაუროო!

შოთიკო — წამო, წავიდეთ შინ!

ნორა — დამაცა, ლორნეტით დაგა-
კვირდე! არა, შენთან არ წამოვალ, რომ
იცოდე, რას გაგხარა! შენ მარტო წადი.
ბოლოს და ბოლოს, ჩემს სახლში ვარ
და თანაც ძალიან მაინტერესებს, გაა-
კეთებს თუ არა ბიჭიკო ტელევიზორს.
ისე კაცმა რომ თქვას, ამუნდსენმა
პოლუსი აღმოაჩინა, ნიუტონმა ვაშლი
გამოიგონა, ქალბატონი ვენერა ამღე-
რდა, წესით, ბიჭიკომაც უნდა გააყე-
თოს ტელევიზორი, ვისზე რა ნაკლე-
ბია!

ბიჭიკო — (ელისაბედს) ეს კაცი
დედაშენის საქმროა?

ელისაბედი — ჰო.

ბიჭიკო — მეორე კიდე მამაშენი?

ელისაბედი — ჰო, მამაჩემი უნდა
ბიჭიკო — დედაშენის მამაა?
ქმარი!

ელისაბედი — კი.

ბიჭიკო — ეს ქალი რომ მღერის,
ბეზიაშენია არა?

ელისაბედი — როგორ უცებ
გარკვეულხარ ყველაფერში!

ბიჭიკო — გაგიტდება კაცი!

ელისაბედი — ბიჭიკო, შენ რომ
ტელევიზორს მიხედო, ვითომ არ აჯო-
ბებს?

ბიჭიკო — თქვენ რაღა ტელევი-
ზორი გინდათ?

ვენერა — (სიმღერას ამთავრებს)
გაგაფრთხილეთ, რაღა დროს ჩემი სიმ-
ღერაა-მეთქი, ხომ დარწმუნდით!

არჩილი — რას ბრძანებთ, ქალ-
ბატონო, შესანიშნავი იყო, გმადლობთ!

ვენერა — მე კი ისევე იქა ვარ, დე-
დათქვევითან. „სადაურსა სად წაიყვი-
ნო“, ხომ გაგიგიათ. ყველაფერს უნდა
მოელოდე ამ ცხოვრებიდან...

ნორა — ელისაბედ, აბა, ერთი შენც
შეხედე ამ ლორნეტით შოთიკოს!

ელისაბედი — აი, შევხედე! უი,
ვერაფერს ვხედავ! თვალები მეტყინა!
(უცებ შეცვლილი, ათრთოლებული,
ტირილგარეული ხმით).

— დეიდა მათიკო, დეიდა მათიკო...

მათიკო — რა იყო, ჰირიმე?

ელისაბედი — გადმოდით რა
ჩემთან საცხოვრებლად?

მათიკო — (ღიმილით) ოჰო?

ელისაბედი — გადმოდით რა!

მათიკო — თქვევითან გადმოვიდე?

კი მაგრამ, რატომ-მეთქი?

ელისაბედი — იცხოვრეთ რა
ჩვენთან, ერთად ვიცხოვროთ. ყველანი
დავეტყვევით. სულ, სულ ჩვენთან იცხო-
ვრეთ.

მათიკო — ვერ გავიგე?... ბაო, რას
ამბობს ელისაბედი, ამისხენი! რატომ
დაგებადა, ელისაბედ, ეს უცნაური აზ-
რი, მეხუმრები?

ელისაბედი — გადმოდით რა
ჩვენთან, სულ გადმოდით!

მათიკო — რას ნიშნავს ეს „სულ
გადმოდით?“ და საერთოდ...

ნორა — უი, ელისაბედი ტირის!

ელისაბედი — (ტირილით) ქალ-
ბატონო მათიკო, ნუ გეშინიათ რა, ძა-
ლიან გთხოვთ, ნუ გეშინიათ!

მათიკო — (წამოდგება. მკაცრად)
რისი უნდა მეშინოდეს?

ელისაბედი — (ტირილით) ზომ
იცი, ზომ იცი...

მათიკო — ბაო, რა დაემართა
ელისაბედს?

ელისაბედი — (ტირილით) ჰო,
ნურაფრისა გეშინიათ... ნახეთ, რამდენი
ადგილი გვაქვს, ერთი ოთახი საერთოდ
ცარიელია...

ბაო — (მკაცრად) ელისაბედ, რა
დაგემართა?!

მათიკო — ვერ გამოგია, რა ხდე-
ბა აქ! ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს
მაინც? რატომ უნდა გადმოვიდე თქვენ-
თან საცხოვრებლად, განა მე უბინაო
ვარ?...

ელისაბედი — (ტირილით) ნა-
ხეთ, რამისიქე ლინზები აქვს ამ ლორ-
ნეტს, ტელესკოპივით...

მათიკო — (გამოგლეჯს ლორნეტს)
ეს თავხედობაა და მეტი არაფერი!
ელისაბედ... არ ვიცი, რა ვთქვა... მე
ამას შენგან არ ველოდი!

ელისაბედი — (ტირილით) შე
ყველა მეცოდებით, ყველა!

მათიკო — არავის თქვენი შესა-
ცადი არაფერი ჰქირს, ქალიშვილო! ეს
კარგად დაიხსომეთ! ასეთი ისტერიკე-
ბი კი თქვენთვის ძალიან ადრეა, ესეც
არ დაგავიწყდეთ!

(გაბრაზებული მიდის).

(პაუზა).

(ელისაბედი ტირის).

ნორა — კარგი ახლა! დამშვიდდი
და გვითხარი, რა ბზიკმა გიკბინა!

ელისაბედი — (ტირილით) არა-
ფერი... არაფერი... ისე...

ნორა — ბოლოს და ბოლოს, ელი-
საბედს ისეთი არაფერი უთქვამს!

ბაო — მიხვდა ყველაფერს... ელი-
საბედ, თუ იცი, რა ჩაიღინე?

ელისაბედი — (ტირილით) ...შენ
გგონია, მინდობა?... ჩემდა! **!!!** უნდა
რად... ლორნეტის ლინზებს ხელი რომ
მოკვიდე, ცუდად გავხდი... ძალიან შე-
მეცოდა... არავინ, არაფერი ამ ქვეყნად
აქამდე ასე არ შემეცოდებია... კინაღამ
დავიბრჩვი... არ ვიცი, რა დამემართა
(კრემლს იწმენდს. ღიმილით) შეიძლე-
ბა გავგვიცილი...

ლევანი — რა ქარაგმებით გველა-
პარაკებით, ბარემ გვითხარით, რა მოხ-
და, რაშია საქმე?

ბაო — რა უნდა მომხდარიყო? მი-
ხვდა, რომ ყველაფერი ვიცოდით.

ლევანი — მაინც რა იცოდით, ვი-
თომ რა ისეთი საიდუმლო უნდა ჰქონ-
დეს მათიკოს?

ბაო — ყველას თავისი საიდუმლო
ეჩვენება მნიშვნელოვნად!..

ლევანი — მაინც რა საიდუმლოა
ასეთი?

ბაო — ის, რომ მარტო ცხოვრობს!..

ლევანი — ეს რა საიდუმლოა —
ეს ყველამ იცის!

ბაო — რცხვენია...

ლევანი — ეგ არც პირველია და
არც უკანასკნელი, რამდენი ცხოვრობს
მარტო!

ბაო — ...მაგრამ იმდენად აუტანე-
ლია მისთვის სიმარტოვე, ზოგჯერ იქა-
მდისაც კი მიდის, სასწრაფო დახმარე-
ბას ეძახის ხოლმე შუალამისას, ითმენს
ნემსს, ოყნას, ათას სისამაგლეს, ოღონდ
თუნდაც, ათი წუთით მარტო არ იყოს...
რცხვენია, რომ შვილიც ყავს და შვი-
ლიშვილებიც და მაინც მარტოა, არც
ერთი არ აკითხავს, არც ერთი აქ მო-
სული არ გვიჩინავს. იმათ მაგივრად
რცხვენია, გონია, ვერავინ ხედება, არა-
ვინ იცის, თუნდაც, ის ამბავი, რომ,
როცა მისი მამული და მამლის ცოლი
გადასახლებიდან დაბრუნდნენ, შეილმა
ნება არ დართო, უბინაოები ცოტა ხნით
მაინც შეეფარებინათ, ჩემს კარიერაზე
იმოქმედებო. აი, მაშინ დაეცა მათი-
კოს მეუღლეს დამბლა. მათიკოს გონია,
ის ამბავიც არავინ იცის, მისი მეუღლე
შემთხვევით ღიად დარჩენილ კარბში



თავისი თვლებიანი სავარძლით რომ გა-
გორდა და კიბეზე გადაიჩნება. მათიკოს
გონია, რომ არც ის ამბავი იცის ვინ-
მემ, მისმა ვაჟმა გაზეთშიც რომ არ გა-
მოაცხადა მამის სიკვდილი, იმიტომ, რომ
მამის თვითმკვლელობაც კარიერაში შე-
უშლიდა ხელს...

ელისაბედი — (ტირილით) სათ-
ვალეც უკეთია და ლორნეტსაც ხმა-
რობს! იმის კი არ ვეშინია, რომ დაბრ-
ნავდება და ველარ დაინახავს, არამედ
თვითონ მას რომ აღარ დაინახავენ,
აღარ შეამჩნევენ, რადგან აღარ დას-
კირდებათ, ბრმა ხომ ბინის დარაჯადაც
არ გამოდგება!

ნორა — ნუ ტირი, კარგი...

(ელისაბედს ხელს მოხვევს, თვითო-
ნაც ტირის. ბაოც შეუერთდებათ; სამი-
ვე ტირიან).

შოთიკო — ერთს ვერ ვაჩუმებდი,
ახლა სამის მორევა არ გინდა!

ლევანი — კარგით, კარგით, გე-
ყოფათ!

ბაო — (ღიმილით, ცრემლს იწ-
მენდს) მართლაც, რა გვატირებს!

ნორა — (ღიმილით) — ელისაბედ-
მა გადაგვრია!

ბაო — სულ ტყუილად ვაწყენინეთ
იმ ქალს!...

ელისაბედი — რა ვიცი, რა და-
მემართა, ლორნეტში რომ გავიხედე,
ცუდად გაგზინდი!

ნორა — მე რაღა მატირებს, მე
რაღამ გამომაშტერა!

ელისაბედი — ავალ, ბოდის
მოვუხდით...

ლევანი — ეგ უარესია.

ბაო — ჰო, უარესია...

ლევანი — დაივიწყდება...

ბაო — ჰო, სხვა რა გზა აქვს, დაი-
ვიწყებს.

ელისაბედი — რომ ჩვენც და-
გვაივიწყდეს...

ბაო — ჰო, რომ ჩვენც დაგვაივიწყ-
დეს...

ნორა — ღმერთო, ყველა სხვის და-
სანახად ცხოვრობს! იმიტომ, მოდი,
იციო, რას გაუმარჯოს!

ბაო — გაჩუმდი რა, ნორა! ^{ნორა} ^{ნორა}

ნორა — რა, ქეიფი დაქაზანდები?
ბაო — (ძალიან გაღიზიანებული)
— ქეიფი! ქეიფი! ქეიფი!

ნორა — რა დაგემართა, ბაო?

ბაო — არაფერი... (სიცილით) ელი-
საბედს უნდა, ყველა ერთად გცხოვრო-
ბდეთ, ყველა!

ელისაბედი — (სიცილით) ჰო,
უნდა გავხსნა კოოპერატიული დიდი
საბავშვო ბაღი, სადაც ყველანი ერთად
ვიქნებოდით, წნევას გაუზომავდით ვრ-
თმანეთს, ბორბლებიანი სავარძლით
ვისიერებდით, ოღონდ, რა თქმა უნ-
და, კარს არავითარ შემთხვევაში, ღიად
არ დაგვოვებდით. როდესაც ბავშვები
გყავს მობარებული, ყველაზე მეტად
ღია კარის, ასანთისა და თვლებიანი სა-
ვარძლის უნდა გეშინოდეს!

ლევანი — რაღას ვუცდიოთ, ყვე-
ლანი ერთადა ვართ, ასეთი იშვიათი
შემთხვევა მეორეჯერ შეიძლება არც კი
გგქონდეს — ბარემ ვითამაშოთ კიდევ
საბავშვო ბაღობა!

ნორა — ოი, რა კარგი რამ მოი-
ცდებოდა ლევანმა, მოდიოთ ვითამაშოთ
რა!

ბაო — რა ვითამაშოთ, ნორა, გა-
გიყდი?!

ნორა — მოდი, ვითამაშოთ, ვითომ
რაღაცას ვითამაშობთ!

შოთიკო — დაიწყო ამან თავისე-
ბური!

ნორა — მოდი, ვითამაშოთ, ვითომ
ერთადა ვართ!

შოთიკო — ხომ გითხარი, წავი-
დეთ-მეთქი შინ, არსად არა ხარ წამო-
საყვანი, ჩვენი საქმე მარტო პანაშვი-
ლებზე სიარულია!

ნორა — მოდი, ვითამაშოთ, ვითომ
ერთმანეთი გვიყვარს! მოდი, ვითამა-
შოთ, ვითომ ერთმანეთის წნევა მართ-
ლა გვაინტერესებს, ვითომ თევზები
ვართ და ჩიტები, ვითომ ბორბლებიანი
სავარძლით დავასიერებთ ერთმანეთს
და ვითომ წუხანდელი „ილუზიონის“
იდიოტობებს ვუყვებით... მოდი, ვითა-
მაშოთ, ვითომ...

ლევანი — ჩემი ველოსიპედი სად არის?

ელისაბედი — (აღტაცებული) მაიკო?

ლევანი — ჩემი ველოსიპედი ცოცხალია?

ნორა — ვკვიდები დაბადების დღეზე!

შოთიკო — რამდენჯერ უნდა გითხრა, დაბადების დღეზე არა ვართ-მეთქი. ადამიანო!

ნორა — მერე, რა, მაინც ვკვიდები!

ვენერა — ლევან, მგონი, ჩვენი წასვლის დროც მოვიდა!

ლევანი — არსადაც არ წამოვალ. სანამ ველოსიპედს არ მომიტანენ და ჩემს თოფსაც!

ბაო — ლევან, ველოსიპედი რად გინდა ან თოფი? ნუ გადამრიე!

ლევანი — სანადიროდ მინდა წავიდე, მაგრამ მანამდე კიბეზე უნდა დავეგორდე! სად არის ჩემი ველოსიპედი, ელისაბედი?

ელისაბედი — (ველოსიპედი მოაქვს) — აი, მაიკო, ველოსიპედი! (კოტა ხნის მერე, თოფიც შემოაქვს) — აი, შენი თოფიც!

ლევანი — გმადლობთ, ელისაბედ, შენ ძალიან კეთილი გოგო ხარ, გინდა, რომ კიბეზე დავეგორდე, არა? (თოფს მხარილივ გადმოკიდებს).

ელისაბედი — ძალიან, მინდა, ძალიან, ძალიან!

ლევანი — მეც ძალიან მინდა, მაგრამ ველოსიპედის ტარება რომ არ ვიცო?

ელისაბედი — ეგ ადვილია, ერთ წუთში გასწავლი! შოთიკო, მოდი, დაუქირე მამას ველოსიპედი. ბატონო არჩილ, თქვენც მოგვეხმარეთ! მაიკო, აბა, შესკუპდი ველოსიპედზე, ხელები აი აქ ჩაავლე, ეს არის საკე. ეცადე, წონასწორობა დაიკვი!

ლევანი — ხელი არ გამიშვათ!

შოთიკო — მაგრად გვიჭირავს, ნუ გეშინია!

ბაო — საკეს ნუ აქანებ!

ნორა — შეხედეთ, რა სასიამოვნოა ლემა, შეხედეთ!

(მაგიდის ირგვლივ დაატარებენ ველოსიპედზე შემჯდარ ლევანს, ყველა ცდილობს, რაიმე ურჩიოს, მიუბნაროს, ასწავლოს).

ლევანი — ხელი არ გამიშვათ!

ვენერა — შე მშინარა, შენა!

ლევანი — ხელი არ გამიშვათ-მეთქი!

ნორა — აი კიბეზე უნდა დავეგორდო?

ლევანი — ჯერ ტარება ხომ უნდა ვისწავლო?

შოთიკო — ჩვენში რომ ვთქვათ, კიბეზე დაგორებას რა სწავლა უნდა!

ლევანი — თუ კარგია, მოდი, შენ დაჯექი!

შოთიკო — მე კიბეზე დასაგორებლად არა მაქვს საქმე!

ნორა — შოთიკო, ჩაგეთვალა!

არჩილი — ნუ გეშინია, მაგრად მიჭირავს!

შოთიკო — პედალს დააჭირე ფეხი, პედალს!

ნორა — რა უნიჰო ყოფილა!

ბაო — ნორა, ლევანი მწერალია, სპორტსმენი კი არა!

ნორა — ველოსიპედის ტარებას რა სპორტსმენობა უნდა!

არჩილი — გასწორდი, ლევან, წელში, რა დაგემართა!

ელისაბედი — მაიკო, გამაგრდი!

ლევანი — ვერ ვმაგრდები და რა ვქნა!

ელისაბედი — ცოტაც და თბვისუფლად გადაეშვები კიბეზე!

ლევანი — ბიჭიკო, მოდი, მომეხმარე!

ბიჭიკო — აქა ვარ, ნუ გეშინია!

შოთიკო — პედალი დაატრიალე, პედალი!

ლევანი — პედალის გარდა, სხვა სიტყვა არ იცი?

ვენერა — შენც დაატრიალე, ლევან, პედალი, რატომ ახევეწინებ ხალხს!



ლევანი — ვერ ვატრიალებ და რა ვქნა!

ვენერა — მაშინ ჩამოდი ველოსიპედიდან, გვეოფი თამაში!

ლევანი — თამაშისთვის მცალია, საქმე მაქვს!

ელისაბედი — ბებიკო, ბებიკო, ხომ კარგად ვერთობით?!

ბაო — ნუ ბრაზობთ, დედა!

ვენერა — (ძალიან გაანჩხლებული, იატაკს ფეხს დაკრავს) — დედას ნუ შეძახი! როცა დრო იყო, მაშინ არ შეძახდი და ახლა გაგახფი დედა?!

(ამ დროს ბავშვის ტირილის ხმა შემოესმებათ, ყველანი ერთ ადგილას გაქვავდებიან).

ელისაბედი — შედილა!

ვენერა — თუ არ მეჩვენება, მგონი...

ნორა — დიახ, ბავშვი ტირის!

ლევანი — თანაც, ძალიან ახლოს! (ველოსიპედს კედელზე მიაყუდებს). — მართლა, ბავშვი ტირის, ხომ იცი!

ვენერა — თანაც ჩვენს ბინაში!

ნორა — აი, აქვე!

შოთიკო — მგონი, მეორე ოთახში!

ლევანი — აქ ბავშვს რა უნდა, ვისი ბავშვია?

ელისაბედი — ახლავე გაგაცნობთ, ეს თქვენი ახალი თანაჯგუფელია!

(გავა და თითქმის მაშინვე შემოაგორებს საბავშვო ეტლს).

— აი, გაიცანით, ბავშვებო, ეს მჩხევანა, ეს სულელი, ეს ლორმუცელა ესა! ნახეთ, ნახეთ, როგორ თქველფს მაწონს!

ვენერა — ელისაბედი!

ელისაბედი — რა იყო, ბებიკო?

ვენერა — ვისია ეს ბავშვი?

ელისაბედი — ამას რა მნიშვნელობა აქვს!

ვენერა — როგორ თუ რა მნიშვნელობა აქვს?!

ელისაბედი — მთავარია, ყველანი ერთად ვართ!

არჩილი — (საათზე დაიხედავს,

ბაოს) — მართლაც შვიდი ყოფილია ჩემი წასვლის დროც მოსულა (წასვლას დაამირებს ბაო გამოჰყვება).

ბაო — რა გეჩქარება?

არჩილი — მზატიე, რომ ასე დავითხზავდ გესტუმრე.

ბაო — მოიწყინე არა ჩვენთან?

არჩილი — პირიქით... ბევრი ვიცინე...

ბაო — ჰო, ბევრი ვიცინეთ!

არჩილი — რა კარგი ყოფილა ოჯახური იდილია!

ბაო — აი, ხომ ხედავ! აბა, შენ რა გეგონა!

არჩილი — არაფერი...

ბაო — არჩილ!

არჩილი — ბატონო?

ბაო — მეცინება...

არჩილი — დღეს, რატომღაც, სულ გეცინება!

ბაო — ჰო, დღეს, რატომღაც სულ მეცინება. განა შეიძლება აღამიანმა ამდენი ვინმე შეირთოს ერთად: მე, ელისაბედი, ლევანი, დედამისი...

არჩილი — ლევანი და დედამისი რა შუაშია?

ბაო — საქმე ის არის, რომ მე იმათ ვერ დავტოვებ!...

არჩილი — განა დატოვებული არა გყავს?

ბაო — არა, ეს სულ სხვაია... როგორ ფიხსნა!... უფლება არა მაქვს... არ გესმის არა? თუმცა, არც მე მესმის... ჩემს გარდა, მათ არავინა ჰყავთ, ჩემი და ელისაბედის მეტი... შაბათი მათი ცხოვრების დღეა... ასე რომ... როგორ უნდა მივატოვო?


არჩილი — ვერაფერი გამიგია, ღმერთმანი!

ბაო — ვერც მე!

ვენერა — ბატონო არჩილ, წასვლას ხომ არ ამირებთ?

არჩილი — დიახ, ქალბატონო ვენერა, ჩემი წასვლის დროა...

ვენერა — ცოტაც დაიცადეთ და ერთად წაეიდეთ, ლევანი მანქანით წაგვიყვანს, თუ თქვენცა გყავთ მანქანა?



გონიერად — არა, მე უმანქანოდა ვარ.

ვენერა — მიხუშე მტკიცეს!

არჩილი — (ღიმილით) — ფეხით გავივლი ცოტას... გმადლობთ...

ვენერა — კი, ბატონო, თქვენი ნებაა!

ბაო — (არჩილს) — ნუ დაიკარგები!

არჩილი — არ დავიკარგები...

ბაო — გამოიარე ხოლმე...

არჩილი — კი, გამოვივლი...

ბაო — დარეყე!

არჩილი — დავრეყავ კიდევ...

(გამოდებულ კარებში) პალიკარნიის მავზოლეუმი!

ბაო — მავზოლეუმი?

არჩილი — ჰო, პალიკარნიის მავზოლეუმი! ესეც მეშვიდე საოცრებაა...

ბაო — საოცრება...

არჩილი — ნახვამდის (მიდის).

ვენერა — (ბაოს) — წავიდა?

ბაო — ჰო, წავიდა...

ვენერა — კარგია, შინაურები დავრჩით!

ბაო — ჰო შინაურები დავრჩით!... პალიკარნიის მავზოლეუმი...

ბიჭიკო — აი, ასე — ტელევიზორიც გაკეთდა! ჩაიბარეთ!

ნორა — უი, რა კარგად აჩვენებს!

ბაო — შემახედეთ! არა, ეს ნამდვილად ილუზიონისტი ყოფილა! ეს რა ქნა, წარმოგიდგენიათ?!

ნორა — შოთიკო, ჩვენი ტელევიზორიც ხომ არ შეგვეკეთებინა?

შოთიკო — ტელევიზორს მოგცემ მე შენ!

ბიჭიკო — ნურაფერს ხელს ნუ მოჰკიდებთ, არ ატრიალოთ, არ აწვალთ, წესიერად მოექცით და წესიერად იმუშავებს. ეკრანი კი უსათუოდ უნდა გამოუყვალეთ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ბაო — დიდი მადლობა, ბიჭიკო, დიდი მადლობა!

ელისაბედ — (ტელევიზორს გამორთავს). მე მაინც მინდა ჩემი სასაცილო ამბავი მოვეყე!

ბაო — რა დროს ეგ ვერც კლიკებდენ?

ელისაბედ — რატომ, დე, რატომ არ არის ამის დრო?

ბაო — რა ვიცი... სტუმრებს მიხედე!

ელისაბედ — ეს ამბავი მინდა შენ მოგიყვე!

ბაო — მერე მომიყევი...

ელისაბედ — არა, მერე დამავიწყდება... სულ რაღაც მავიწყდება, ქალბატონი მათიკოსავითა ვარ, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მავიწყდება, ვერაფრით ვერ გამიხსენებია. დათოზე რომ გიყვებოდე ამ დღით, გახსოვს?

ბაო — (სხვა რაღაცაზე ფიქრობს) — როგორ არა... როგორ არა...

ელისაბედ — მომისმინე, დე! დედამ რომ უთხრა, ვთხოვდებო, გიყვივით გამოვარდა გარეთ და მომავალი მამინაცვლის მანქანას წიხლი დაუშინა მანქანამ ისეთი კვილი მორთო, თითქოს ცოცხალიაო.

შოთიკო — „სეკრეტი“ ექნებოდა...

ელისაბედ — რა ვიცი, რა ჰქონდა, მე ის ვიცი, რომ ვილაყამ, მოპირდაპირე სახლიდან თოფი ესროლა. კიდევ კარგი ჩიტის საფანტი იყო, მარტო ზორცი დაუგლიჯა, არ მოკლა! ბევრი ეძებეს, ვერ მიაგნეს იმ მოხალისე ეანდარმს! რომ იცოდეთ, რა არა დევს მანქანებში — მგლის ხაფანგები, ზორცილები, ჩანგლები! ვთქვათ აღმაინი მანქანას მოპარვას აპირებს, უსათუოდ უნდა მოკლა?!

ლევანი — რას გვიყვები, ელისაბედ, კარგად გავგებებინე, ვინ ესროლა, რატომ ესროლა?

ელისაბედ — არ ვიცი, რატომ გიყვებით... არა, არ ვიცი ნამდვილად... ქალბატონ მათიკოსავით ვარ-მეთქი, ხომ ვთქვი, რაღაც მავიწყდება თითქოს, მთავარი...

ვენერა — ჩვენ ყველანი მათიკოები ვართ...

ლევანი — ოჰო? ეს რაღაც ახალია!



ვენერა — იმიტომ, რომ მოგონი-
ლო ცხოვრებით ვცხოვრობთ!.. და ვთა-
მაშობთ... და გვეჭრა... და ბედნიერები
ვართ!..

ლევანი — დედა?

ვენერა — განა არ ვიცი, ახლა ჩე-
მი სიმღერა იდიოტიზმი რომ არის, განა
მართლა სკლეროტიკი ვარ, მაგრამ რა
ეჭნა! მითხარით და ვიმღერე, იმიტომ,
რომ სულ ასე ვიყავი, მეუბნებოდნენ,
იმღერეო და მეც ვმღეროდი.

(მღერის ნაწყვეტს „ავე მარდიდან“).

ლევანი — დედა?!

ვენერა — მეშინოდა!

(იციანს).

ნორა — ცირკია, ნამდვილი ცირ-
კი!

ვენერა — რატომ ერთხელ არავინ
მკითხა, რა გემღერებო! მეშინოდა,
მეშინოდა და იმიტომ ვმღეროდი.
თქვენ არ იცით, როგორი მშინაა ვარ,
მაგრამ ვმალავდი იმიტომ, რომ შიშის
გამხელისაც მეშინოდა. ძაღლმა თუ
შეგატყო, გეშინია, შეგკამს!

ლევანი — წამო, დედა, წავიდეთ!

ვენერა — ჰო, ყველაფრისა მე-
შინოდა. ყველაზე მეტად სიმარტოვის,
მათიკობის, პენსიონერობის, უპატრო-
ნოთა თავშესაფრების. შუალამისას მე-
ღვიძება ხოლმე, გული ამოვარდნაზე
ჩაქვს. მგონია, სახლში ვილაც უტბო
დადის. ეს მას მერე დამჩემდა, რაც ლე-
ვანის მამა ერთხელ შუალამისას ისე
გააქრეს, თითქოს არც კი ყოფილა ამ
ქვეყნად არასოდეს... თითქოს მე მომე-
ჩვენა ერთი წუთით... მინდა ლევანის
ოთახში შევევარდე. მიშველე-მეთქი, მა-
გრამ, თქვენ წარმოიდგინეთ იქ შესე-
ლისაც მეშინია — ხომ შეიძლება შე-
ვალო კარი და... ლევანი არ დამხედეს,
ალარ დამხედეს!... აი, რა საშინელი ფი-
ქრები მომდის თავში!

ელისაბედი — ბებო, ბებო, რა
დაგემართა, ბებიკო?

ლევანი — მე ვგ არ ვიცოდი...

ვენერა — ეს არავინ იცის... წა-
მოდი, ლევან, წავიდეთ, თავი მტყვივა
ძალიან..

ლევანი — ჩემს ოთახში შემოსე-
ლა გეშინია?

ვენერა (სეცილით). — ვებუ-
რობ, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ვებურობ!
რატომ უნდა შემოსოდეს შენს ოთახში
შემოსვლა? (შეცვლილი ხმით) — და
უცებ რამე რომ დამემართოს...

ლევანი — კარგი, დედა...

ვენერა — ხომ შეიძლება შუა
აზიასში ექსპედიციაში იყო! ან ხომ შე-
იძლება საზღვარგარეთ მოგზაურობდე
და ვერ ჩამოხვიდე!... და მე უნდა მა-
რტო ვიყო, მთლად მარტო... ყველაზე
მეტად იმ დროს მეშინია სიმარტოვის...
ბაო, ბაო, მოდი ჩემთან, შვილო! (მოე-
ხვევა, მყერდში ჩაიკრავს).

(ორივენი ტირიან).

ლევანი — (შოთიკოს) — გესმის
რამე?

შოთიკო — მე, საერთოდ, არც
ვცილობ, ქალებს რამე გავუგო, იმი-
ტომ, რომ აზრი არა აქვს.

ვენერა — ბაო, შე საცოდავო,
ბაო!

ბაო — (ტირილით) — ჰო, დედა,
ჰო..

ელისაბედი — (ყვირის) — კა-
რგით, გეყოფათ!

ბაო — (შემკრთალი მოხედავს) —
რა გაყვირებს?

ელისაბედი — მამა, მომიხმინე!

ლევანი — (საცოდავი ღიმილით
შეხედავს, თითქოს იგრძნობს, რაც უნ-
და უთხრას ელისაბედმა თითქოს ამ
ღიმილით აფრთხილებს კიდევ, არ
თქვაო) — რა იყო, ელისაბედ, გისმენ.

ელისაბედი — (ძალიან მკაც-
რად, ასაკით გაცილებით უფროსი ადა-
მიანის გაბზარული ხმით) — ნულა მო-
ხვალ აქ ჩვენთან... სტუმრად! ასე აქო-
ბებს!...

ბაო — (მოულოდნელობისაგან გა-
მშრალი) — ელისაბედი?!

ელისაბედი — (ისევ იმ ხმით,
ოღონდ, სრულებით აღარ ეტყობა მღე-
ლვარება) — თქვენ გგონიათ ქალბა-
ტონი მათიკო მართლა უყვება რამეს
მეუღლის სავარძელს? მართლა დააგო-



რებს ერთი ოთახიდან მეორეში? იქნებ გგონიათ, მართლა ვერ ელევა თავის ნივთებს: თეფშს, კოვზს, სკამს, ყვავილების ჭოთნებს, ბორბლებიან სავარძელს? სიაშოვნებით გადაასხამდა ბენზინს და დაწვავდა ყველაფერს — ისე ძულს, ისე ძულს, მაგრამ რა ქნას, სხვა გზა არა აქვს. ან იქნებ გგონიათ, ის ბორბლებიანი სავარძელი მართლა არსებობს? იქნებ არ იცით, რომ ის სავარძელი დიდი ხანია დაიშხვრა თავის პატრონთან ერთად!...

ბ ა ო — ღმერთო ჩემო...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (იყვირებს) — მონებს ვერ ვიტან!

ნ ო რ ა — ელისაბედ, ავად ხომ არა ხარ, დედიკო?

ვ ე ნ ე რ ა — არა, ავად არ არის, უბრალოდ უზრდელია, მეტი არაფერი! ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — როგორ მშვიდად ხარ, ყველანი!

(პ ა უ ზ ა).

ვ ე ნ ე რ ა — კი, ბატონო, აღარ მოვალთ, ჩვენი ფეხი აღარ იქნება აქ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — შე თქვენ ყველანი მიყვარხართ!

ვ ე ნ ე რ ა — არავის არ ჰქირდება თქვენი სიყვარული! გმადლობთ! დიდი მადლობა! ამიტომაც, დღეს ახალგაზრდობა არავის რომ არ უნდა, აღარც თვითონ ახალგაზრდას და აღარც მოხუცს! წამო, ლევან, წაეიდეთ! და საერთოდ, არ მახსოვს, აქ მოვსულიყავი და არ გვეჩხუბოს. რიდასთვის მოვდივართ აქ ყოველ კვირას! ლევანი დღეებს ითვლის ხოლმე, სულელი! ბოლოს და ბოლოს, ვინმეს მაინც ხომ უნდა უხაროდეს ჩვენი სტუმრობა!

ლ ე ვ ა ნ ი — კარგი, დედა, დამშვიდდი.

ბ ა ო — მოსაკლავი ხარ, ელისაბედ, მოსაკლავი!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (ღიმილით) — მერე, რალს უდღით, მომკალით!

ნ ო რ ა — (ტაშს შემოჰკრავს აღტაცებული) — უი, რა კარგია! მოდიოთ რა, ელისაბედი მოვკლათ!

შ ო თ ი კ ო — მაინც, რეტი მოვკლათ, ძვირფასო!

ნ ო რ ა — აგე, თოფი! თოფი რომ კლავს ადამიანს! ლევან, რა ჰემინგუეისავეთ დგახარ, მოგვეცი ეგ თოფი! (ართმევს ლევანს თოფს).

შ ო თ ი კ ო — როგორ არ კლავს, მაგრამ ვინ იცის აქ თოფის სროლა! მე, პირადად, ეგ საქმე არ მეხერხება!

ბ ა ო — (ღიმილით) — არც მე!

ნ ო რ ა — მე ხმისაც კი მეშინია! აი, ბიჭიკოს ვთხოვოთ! ბიჭიკო, შენც გეშინია, გენაცვალე?

ბ ი ჭ ი კ ო — რისი უნდა მეშინოდეს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — თუ არ გეშინია, გამოართვი თოფი!

ბ ი ჭ ი კ ო — რატომ უნდა გამოვართვა თოფი?

ნ ო რ ა — მშიშარა!

ბ ი ჭ ი კ ო — მე ტელევიზორის ოსტატი ვარ. დამიძახეთ, მოვედი. ხომ გააკეთებ ტელევიზორი? თოფთან რა მესაქმება! სათამაშოდ სად მცალია?

ნ ო რ ა — (სიცილით) — ამ ბიჭუნას ჩვენ მოცილილები ვგონივართ!

ბ ი ჭ ი კ ო — მე არაფერიც არ მგონიხართ... მე ტელევიზორის ოსტატი ვარ...

ნ ო რ ა — მე უკეთესი წარმოდგენა მქონდა შენზე, ბიჭიკო!

ბ ი ჭ ი კ ო — ტელევიზორი ხომ გააკეთე?...

ნ ო რ ა — შოთიკო, ისევ შენ უნდა იკისრო ეს მოვალეობა! მართალია, არ არის სასიამოვნო, მაგრამ რას იზამ...

შ ო თ ი კ ო — რა მოვალეობა? რას ამბობ?

ნ ო რ ა — სხვათაშორის, შენ ამას უთოფოდაც კარგად ახერხებ!

შ ო თ ი კ ო — რას ვახერხებ უთოფოდ?

ნ ო რ ა — ასე რომ, ნუ ჩაგვიშლი მხიარულებას. გამოართვი თოფი!

შ ო თ ი კ ო — აჰა, გამოგართვი მერე?

(ნორას ართმევს თოფს).



ელისაბედი — (ღიმილით) —
მერე დამიმიზნე!

შოთიკო — აბა, დავიმიზნე! ახლა
რა გავაკეთო?

ნორა — შოთიკო, ნუ მომჭერი თა-
ვი! ცოტა ტვინი გაანძრე!

ელისაბედი — (ღიმილით) —
ჯარში არ გიმსახურია?

შოთიკო — არა, ნორა, შენ გა-
ჩუმდი! (ელისაბედს) ასე ვიდგე?

ელისაბედი — (ღიმილით) —
რატომ უნდა იდგე ასე! ახლა გამოპ-
კარი ჩახმახს! ნუ გეშინია — გატენი-
ლია!

შოთიკო — გატენილია?

ელისაბედი — თამამად, თამა-
მად!

(დაქიმული, დაძაბული პაუზა).

(გამაყრუებელი ხმით ირეკება ზარი.
ბაო კარს აღებს, შემოდის გურამი. აშ-
კარად არ ელოდა აქ ამდენ ხალხს. და-
ბნეული ღიმილით ესალმება ყველას.
ვერ გააკვეთლა, რა ხდება, რატომ
უმიზნებს ელისაბედს თოფს შოთიკო.
ბავშვის ეტლთან მიდის).

გურამი — (ბავშვს გაეთამაშება,
თან ხალხს თვალს არ აშორებს) —
ალე, ალუუ!.. ხომ არ მოიწყინე, გენა-
ცვალე! (ელისაბედს) — თალიკო არ
შემოვიდა, ხომ იცი, როგორი მორცხვი
და მორიდებულია! დიდი მადლობა,
ელისაბედ, გადამხადოს! შენ რომ გათ-
ხოვდები და ქმარი გაგაქცევს, ბავშვებს
მე დაეიტოვებს!... ალუუ, ალუუ...

ელისაბედი — (ვითომ ლორწე-
რით აკვირდება გურამს) — თქვენ რო-
მელი ზოოპარკიდან ბრძანდებით, ყმაწ-
ვილო?...

გურამი — (ღიმილით ელასარაყე-
ბა ბავშვს) — აბა, წავედით, კირიმე,
დედოკო გველოდება, ნერვიულობს! ალ-
ბათ, სულ სტუმრობა როგორ შეიძლე-
ბა! გმადლობთ, ელისაბედ, დიდი მად-

ლობს, წველბატონთაგან ნახევრის...
რგადებრძანდებოდეთ! (ბიჭი წაიქცა
(მიავრტებს) ეტლს, (მიდის).

გენერა — მე მგონი, ჩვენც რომ
წავიდეთ, არ იქნება ურიგო.

ბაო — რა გეჩქარებათ, ხვალ ხომ
კვირაა!

გენერა — მერე რა... სახლი მაქვს
დასალაგებელი... წამო, ლევან, წავე-
დეთ.

ლევანი — ჰო, წავედეთ... წავე-
დეთ...

შოთიკო — თქვენ კი მიღიხართ,
მაგრამ მე როდემდის ვიდგე ასე, სუ-
რათს ხომ არ მიღებენ!

(ლევანი ართმევს შოთიკოს თოფს,
ცოტა ხანს ხელში ატრიალებს, მერე
ელისაბედს გაუწვდის).

ლევანი — ეს წაილე და თავის ად-
გილას დადე!..

ელისაბედი — ჰო, თავის ადგი-
ლას დავედებ...

(თოფი მეორე ოთახში გააქვს, ბრუ-
ნდება).

ნორა — აბა, ძვირფასებო, კარ-
გად იყავით! ყველას გკოცნით! შოთი-
კო, აბა, ცოცხლად, გამომყევით!

ბიჭიკო — მეც წავედი... კარგად
იყავით!
(როგორც კი სტუმრებს გაისტუმრე-
ბენ, ბაო მაშინვე სავარძელს გამოაჩო-
ჩებს, ტელევიზორის წინ დადგამს, ტე-
ლევიზორს ჩართავს და სავარძელში
მოიკალათებს. ელისაბედი სუფრის ალა-
გებას შეუდგება).
(ირეკება ზარი).
(ელისაბედი კარს აღებს, კართან ბი-
ჭიკო დგას).
ელისაბედი — თხო, აბა, ვის
ვხვდავ! შემოდი, ბიჭიკო!
(ბიჭიკო არც ადგილიდან იძვრის, არც
ხმას იღებს).
ელისაბედი — დავრჩა რამე?
(ბიჭიკო არ პასუხობს).
ელისაბედი — რა დავემართა,

ლობს, წველბატონთაგან ნახევრის...
რგადებრძანდებოდეთ! (ბიჭი წაიქცა
(მიავრტებს) ეტლს, (მიდის).

გენერა — მე მგონი, ჩვენც რომ
წავიდეთ, არ იქნება ურიგო.

ბაო — რა გეჩქარებათ, ხვალ ხომ
კვირაა!

გენერა — მერე რა... სახლი მაქვს
დასალაგებელი... წამო, ლევან, წავე-
დეთ.

ლევანი — ჰო, წავედეთ... წავე-
დეთ...

შოთიკო — თქვენ კი მიღიხართ,
მაგრამ მე როდემდის ვიდგე ასე, სუ-
რათს ხომ არ მიღებენ!

(ლევანი ართმევს შოთიკოს თოფს,
ცოტა ხანს ხელში ატრიალებს, მერე
ელისაბედს გაუწვდის).

ლევანი — ეს წაილე და თავის ად-
გილას დადე!..

ელისაბედი — ჰო, თავის ადგი-
ლას დავედებ...

(თოფი მეორე ოთახში გააქვს, ბრუ-
ნდება).

ნორა — აბა, ძვირფასებო, კარ-
გად იყავით! ყველას გკოცნით! შოთი-
კო, აბა, ცოცხლად, გამომყევით!

ბიჭიკო — მეც წავედი... კარგად
იყავით!

(როგორც კი სტუმრებს გაისტუმრე-
ბენ, ბაო მაშინვე სავარძელს გამოაჩო-
ჩებს, ტელევიზორის წინ დადგამს, ტე-
ლევიზორს ჩართავს და სავარძელში
მოიკალათებს. ელისაბედი სუფრის ალა-
გებას შეუდგება).
(ირეკება ზარი).

(ელისაბედი კარს აღებს, კართან ბი-
ჭიკო დგას).

ელისაბედი — თხო, აბა, ვის
ვხვდავ! შემოდი, ბიჭიკო!

(ბიჭიკო არც ადგილიდან იძვრის, არც
ხმას იღებს).

ელისაბედი — დავრჩა რამე?
(ბიჭიკო არ პასუხობს).

ელისაბედი — რა დავემართა,

ლაპარაკი დაგავიწყდა? შემოდი-მეთქი შინ!

(ბიჭიკო გატრიალდება და წავა).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (ცოტახნის პაუზის შემდეგ) — ღმერთო, რა ეშველება ამ ხალხს!..

(კარს მიხურავს, სუფრასთან დაბრუნდება, საქმეს გააგრძელებს).

ბ ა ო — ვინ იყო?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — (პაუზის მერე) არაფერი...

(პ ა უ ზ ა).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი — უიმე! დღეს ხომ სანდროს დაკრძალვაზე უნდა წავსულიყავით, ხუთ საათზე! ხომ ვამბობდი, ხომ ვამბობდი, რალაც მთავარი მავიწყდება-მეთქი, ხომ ვამბობდი!..

დასასრული.



თვითმფრინავში



ქართული
წიგლისათვის

საბჭოთა ბუზი
საერთაშორისო რეისით მიემგზავრება!

თვითმფრინავში
160 მგზავრია.

ყველა
საბაჟო ფილტრშია გატარებული.

ყველას,
პასპორტის გარდა,

ვიზაც აქვს...

ბუზს კი

არ ქირდება

არც პასპორტი, არც ვიზა,

რადგან ბუზია და

ჩემზე მეტ ნდობას იმსახურებს.

აფრიკა, განა.

პატარას რომ არეინ ერჩის,

რისგანაა, განა?

განზე დგომა რომ არჩია,

იქნებ იმისგანა?

ნეტაე, ჩემი საქართველოც

იმას დაამგვანა!





ქვემოთ მოცემული

სტატიები წიგნისწამყვანთა კავშირების

საგანგებო

გვერდებზე

სინანული

ვბერდები,
ჩემი სინანული ჭერ არ ბერდება,
გასაოცარი შუქით თვალებს ისევ მინათებს,
რადგანაც ჩემი სინანული
ჩემი არაა,
ოღი ცისაა,
ციდან ჩემში ჩაედინება.

თითქოს მაშინაც,
როცა მიწის შავი ბელტები
პირბასრი თოხის დაცემისას ჩაიშლებიან,
მე ვგრძნობ სინანულს
და არ ვიცი ვინ მენანება,
ნეტავ სხვის წარსულს ვაფხვიერებ
თუ ჩემს მომავალს?!

ვბერდები,
ჩემი სინანული ჭერ არ ბერდება,
შენს გამო ჩემი სინანული
არის ერთი წლის...
არ ჯობდა ჩემთვის ვყოფილიყავ,
ჩემს ღამეებში
კვლავ მიუღწევლად მომჩვენებოდი?!

ვბერდები, ჩემი სინანული ჭერ არ ბერდება,
რადგან ერთი წლის სინანული ჩვენ გვაკავშირებს,
ალბათ, ოდესმე, ჩვენც ვიქცევით ამ შავ ბელტებად
პირბასრი თოხი მოგვიყვება ამბებს საშინელს.

სხვა გზა არ იყო,
შენ თბილისში ველარ განაბავდი
და მე წავედი
ჩვენს საერთო მოგონებებთან;

იქ, ჩვენ ორივე ერთად ვცხოვრობთ
და მომავლი
რა რიგ პოროტიკ არ უნდა იყოს,
ველარ შეძლებს ჩვენს დაშორებას.

მე შევიცვალე.
 უცნაურად გადავსხვავდები,
 რადგან ვერაფერს ვეღარ ვპოვებ.
 მოგონებების მწარე თაფლით
 ესაზრდობ ახლაც
 და სიკვდილამდე, ვიცი, შევოფა.

ვწერ ჩემთვის,
 ისევ წარსულია ჩვენი პატრონი,
 მომავალი კი
 დავიწყებით რომ გვემუქრება,
 უჩემოდ მიდის წარსულისკენ,
 სადაც ჩვენ ვრჩებით სამარადისოდ
 და გვეჩვენება რომ წინ მოვდივართ.

თითქოს და დარდი ვრცელდება ციდახ,
 გროვდება გულში და სიტყვას ბადებს,
 რომელიც არის ისეთი წმიდა
 რომ იმის შუქზე დამეებს ვათევ.

კვლავ მიბმული ვარ უთვალავ ძაფით
 დარღზე, ციდან რომ ჩამოდის ახლაც
 და წუთისოფლის დინება სწრაფი
 მაჩვენებს მოთმენას და თავის დახრას.

უერარქიის ხავსიან ყბებს
 საფეხურები ლოჭებად უჩანს.

არა მახვილით, არამედ ლოცვით
 და ღვთის ლოდინით, დუმილით მკაცრით,
 მუხლმოდრეკილი შენს სახელს ვკოცნი.
 მოვითმენ კიდევ თუ კიდევ გვაყო.

წლებმა გულზე რომ გადიშლივინეს
 ტყვიებით, ღრენით, ნიჩბებით, შხამით
 და ყოვლადწმიდა რომ შეგვივინეს,
 ამოგვივლისეს თვალები ღამით,

წმინდაა წამი ჰეშმარტთან მიახლოების
 და მატყუარა მეტაფორას მტყუარა
 გინჯის მტყუარა
 ვიშველიება

ჩემი გულისტქმის გამოსახატად.

მე ვგავარ კის მისრელს
 გადაჭანტულს —
 კის ფსკერიდან ცას რომ ახედავს
 და მაღლა ყოფნა მოენატრება.

წარსული თითქოს უფსკერო კაა,
 სად უთვალავი მოგონება ისე
 ლივლივებს,
 აღარც კი მჭერა რომ ოდესმე
 მაღლა ამოვალ.

სადაც ამძვარა მრავალი ტიპა
 და მიზობლავენ ზევითკენ უჩაღ.

ღმერთო, უშველე, ვერ გრძობენ რადგან
 დარღს, თანდათან რომ ვრცელდება
 ირგვლივ
 და წარმავალი დღეების დგანდგარს
 ხარბად სტაცებენ ცოდვების გვირგვინს.

მე ვუერთდები თვითნაბად ლოცვას
 და ისევ გულის საყდარში ვმალავ.
 ისევ მოველი განთიადს როცა
 მზე ემსგავსება ღეთისმშობლის დაღალს.

მაშინ დამარცხდა, როცა მახვილი
 მლოცველთა თავზე აღმართა ეშმაბ.
 ის მოიყვანა აქ გაბელებამ
 და სისხლისმსმელი ურჩხულის გეშმა.

მაინც გადაერჩით, ის კი ილოკავს
 სისხლიან თათებს და გვემზერს ზიზღით,
 რომ ჩვენი ჭიში არ წაიღევს,
 რომ ძლიერ ცოტა დაღვარა სისხლი.



...მეტი იმედი...
...მეტი იმედი...

...მეტი იმედი...
...მეტი იმედი...
...მეტი იმედი...

აღარც იმედი,
აღარც უიმედობა,
აღარც სიხარული,
აღარც მწუხარება,
მხოლოდ არარაობა,
არარაობა და არაფერი.

მეგრამ არ არის საზღო,
არ არის ჩანჩქერივით სიცოცხლე,
არის მხოლოდ ცხოვრება,
დაგრძელებული ბორკილი
ჩანჩქერამდე რომ არ გვიშვებს.

დილაც არის,
საღამოც არის,
მაგრამ არ არის გზა,
არც გზის მაჩვენებელი ვინმე,
მხოლოდ არარაობა —
დაგრძელებული ბორკილი
გზამდე რომ არ გვიშვებს.

არის ოცნება —
ლამის მარადიული,
მრავალი თაობის შემშუსვრელი,
არის მხოლოდ დაგრძელებული
ბორკილი
ოცნებისკენ რომ არ გვიშვებს.

არის ვნება,
არის სიძულვილი,
მაგრამ არ არის სიყვარული,
არც სიყვარულის მსურველი ვინმე,
არის მხოლოდ არარაობა —
დაგრძელებული ბორკილი
სიყვარულამდე რომ არ გვიშვებს.

არის საკუთარ ფიქრში
დამალვის მცდელობა,
მაგრამ არ ჩანს ფიქრიდან
ვასასვლელი გზა.
არის მხოლოდ დაუსაბამო სიერცე,
სადაც დაუსაბამობაა ბორკილი.

არის თავშესაფარი,
არის დაბადება და სიკვდილი.

არის ქვეყანა,
სადაც არაფერი არის,
მაგრამ თითქოს ყველაფერი არის.

იქნებ კიდევ დაგვიგრძელონ ბორკილი?!

თვალებს ისევ გინახავ
განათებულს შზის სხივით,
სწორედ ისე გინახავ
ადრე რომ გინახავდი,
ილიმება მიზაკი
შედედებულ სისბლივით,
რა მწარეა ღიმილი,
საყვარელო, ნახვამდის.

თუ უშენოდ გავუძელ
ღამეების ურდოებს,
თუკი სხვა შევიყვარე
და სხვის ბაღში ავეყვავდი,
მაინც მოვალ ოდესმე
უფესვო და ურტოო,
ვიცი, შენ შემთფარებ,
მაგრამ ახლა ნახვამდის.

თუკი გაგახსენდები,
თუკი მოგენატრები,
თუკი გამახსენდება
რომ იმედად გსახავდი,
დაღლილ-დაბერებული,
ქვეყნის გზებზე ნათრევი
ისევ მოვალ, ახლა კი
საყვარელო, ნახვამდის.

მსურს თავი გამოვცადო
და მიყენდო თუთფვემას,
იქნებ გადავიტანო
სიყვარულის სახადი,
ჩავიმალო სიტყვებში
და ავიკნძო წიგნებად
ქამი სიწინანულისა
და მწუხარე ნახვამდის.

მაცოდნ მკვდარ, რობოტზე რთვად სკეპტიკურად
 ,ოცნა აცდობს ამ ინტელექტუალურად
 მე აღარავეს მოველი რადგან...
 მეც აღარავეს მომელის უკვე,
 თუმცა ვახსოვარ ზოგიერთ მათგანს
 და ზოგს, ყასიდად, გუნდრუკსაც ვეკმევე.

შენც დარჩი მარტო, როგორც ის გვრიტი
 ობლად რომ ზის და არავეს ელის...
 შენი თვალეები სიხარულს მგვრიდა,
 ორი ლამაზი მომწვანო ველი.

არც გვიანია და არც ადრეა,
 რაღაც უაზრო დუმბილის დროა,
 არც თვითონ ვიცი, სად წამათრია
 ბედმა და ასე რამ ამატროა.

ეზივარ გზის პირას, გამვლელ-
 გამომვლელს
 ვათვალეებ და ვეძებ საშველს
 და სიტყვას, მზეში რომ ამოვავლე,
 სალამურებად ეურიგებ შაშვებს.

გამთენიისას მატუქებს კორდი
 ლამის დარდიდან ამოსულ ყვაველს,
 ჭერ კი ლამეა და ლამე მკორტინის —
 ჭავრისფრთიანი ბებური სეავი.

გათენდი, ვწყველი ლამეს შიშნარეცს
 და ის ვინც ლამით არ დაისრულა,
 ვერ გრძნობს სხეულის თბილი კვიშნარი
 ცრემლის ვარსკვლავებს როგორ
 ისრუტავს.

რა გზაა ერთხელ თუ არ დასრულდა,
 სხვა გზაზე თუ არ გამომიყვანა,
 ბოროტი მზერით ვარ დაისრული,
 ვიფიქვებ ყველას ვინც კი მიყვარდა.

„ცნობილი“
 „აბაზი“
 „სენეზიბი“
 ისინი უფრო უკეთ გალობენ
 და სწოტმელს ჩემსას ბინდებს უმხელენ,
 ერთი მათეიქრებს, რომ ორგულობას
 და გულგრილობას არ ავუმხედრდე.

ველარას შველის ჩემი ამბოზი,
 უძღური ხელის გასაყსაყება,
 ვმაღავ სტრაციონებს სისხლში გაპოხილს,
 სისხლის სუნი არ იკრან სვაეებმა.

დუმბილი — ჩემი ძველი ძმობილი,
 როცა ბაგეზე ხელს ამფარებს,
 მეტყვის: ეს მე ვარ სულით ობოლის
 მარადიული თავშესაფარი.

ისევ გრძელდება რადგან ყაყანი
 და ცის საკითხებს დაბლა არკვევენ,
 ფეთქავს ფრთა ახლადამონაყარი
 და შენი სახე თვალის სარკეზე.

შენი სახელი რისთვის მომესმა,
 როცა თვალეებში ლამე ჩატოვეს,
 მე ველოდები დილას, როდესაც
 ჩიტები პაერს აამჩატებენ.

როცა გამოვალ მომღერალ სკასთან,
 გადავივიწყებ, როგორ მიქირდა,
 იქ ცხოვრობს ჩემი ერთგული კასტა
 მზეს ელოდება ზეცის ფიკიდან.

მხოლოდ ის ერთი მოჩანს უცვლელად,
 მივისწრაფოდი მუდამ ვისკენაც,
 მას წლები ჩემი გადაუცელავს,
 სად გულმა ჩემმა ვერ მოისვენა.

მომავლისაკენ ზეჯრი ვირბინე,
რადგან აწმყოში ვპოვე ვერარა,
თუმც ზვალინდელი ისევ ბიბინებს,
მაცდურმა თუ არ გამოვერანა.

დღეს აღარ ვჩქარობ, რადგან შევეცადე
თავი ჩემი და სწრაფვა ამოვკრახე
ახლა მარტოდენ მზიბლავს შენი ცა,
მუდამ შენსავეთ დაუსაბამო.



გაურკვევლობისკენ მიდის გზა,
იქნებ საერთოდ არ მიდის გზა
და იმიტომ მგონია რომ
გაურკვევლობისკენ მიდის.
იქნებ ეს გზა არა და უგზობობაა
და იმიტომაც ვერთვის იგი
გაურკვევლობას?!

ჩვენი დუეტი აქედრდება
მთვარის თანხლებით.
შენი ყელი ისე იჭაბჭაბებს,
რომ მე ვიგრძნობ: —
ხმოვნების სიჭარბე ანათებენ მას,
იმ ხმოვნებისა
თეთრი ვარდებივით რომ იშლებიან
ღამის ქაერში
და უფაჭიზეს ნიავს ბადებენ.

ყვავების გუნდი ჩამოიშალა,
თითქოს დაქშვა
დაძინებლი შავი ფარდა აბრეშუმისა
და საღამო ჩამოიყოლა.

გაურკვევლობისკენ მიდის გზა,
იქნებ საერთოდ არ მიდის გზა
და მეჩვენება რომ მიდის.



რა საცოდავად ჩანს აქედან, ანუ მალლიდან,
კაცი ჩინისთვის ყოველივეს უარმყოფელი,
აღარც კი ახსოვს თვალთმაქცობით ვის რა წაღლიტა,
დღეს აქებს იმას, ვისიც გუშინ იყო მგმობელი.

მე არ მშურს მისი, მხოლოდ ერთი რამე მალონებს,
იმ ქალის გული ბრიყვმა როგორ მოინადირა,
ნამდვილად ვიცი, იმ ღამაზმანს რომ გააღორებს
და მთელ ცხოვრებას გადაუქცევს გაბმულ ნაღიმად.

გამეცინება, უმეცრება ჩემი მალეღვებს,
რომ შემეშალა, რომ ის გოგო ხატი შეგონა,
ჩემთვის ვიგონებ იმ მშვენიერ ქალთა სახელებს,
დროდადრო ბრიყვებს რომ ირჩევდნენ თავის შეგობრად.





ადამ გომელიაშვილი

სიკვდილი კაკლიანში

ამ მოთხრობის ავტორი ადამ გომელიაშვილი (1912-1943) „ადამ ალენელის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა 30-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში. ვისაც გულდასმით წაუკითხავს ძვერნალი „ჩვენს თაობა“, უთუოდ ემახსოვრება ეს სახელი. ადამ ალენელი ლაღო ასათიანთან, ალექსანდრე საჯიანთან, მირზა გელოვანთან, კოტი ხიმშიაშვილთან, გიორგი ძიგაშვილთან და სხვებთან ერთად გამოვიდა ლტერატურულ ასპარეზზე, მაგრამ არც მას დასცალდა. პოეტის ცხოვრების გზა ტრაგიკულად წარიმართა და დასრულდა... ლექსებთან ერთად წერდა მოთხრობებსაც, რაც თავის დროზე არ გამოქვეყნებულა. მისი არქივი ამჟამად ინახება ჭ. ნ. ლიზა ვახუშტიელთან. მოთხრობა „სიკვდილი კაკლიანში“ მან მოგვაწოდა, ჩისთვის რედაქცია მადლობას მოახსენებს.

ბინდდებოდა, როცა თუშების რაზმში ალენის კაკლიანს მიაღწია.

ეს მიდამო დაეკებად გაწოლილა ალაზნის მარცხენა კიდეზე და იმ დროს ატეხილი ჭალითა და უზარმაზარი ხეებით ყოფილა აქოჩრილი.

ჭალაში — ოდესღაც თეთრი, ახლა კი წვიმიისაგან ჩამორტყეხილი, თითქოს გავერანებული — ეკლესია მოჩანს.

ეკლესიის აღმოსავლეთით კაკლიანი უფრო ხშირდება და თაღებად შეკრული მოშორებით მდებარე სასახლის ნანგრევებამდის მისდევს.

მგზავრებმა ამ ტყვიანსაკენ აიღეს მიმართულება. მიდიოდნენ ნელა, სრული დუმლით, ზოგი ცხენით, ზოგი ჯორით, უმრავლესობა კი — ფეხით. ერთი ჯორი შუაში ჩაეყენებინათ და ორ კაცს დიდი სიფრთხილით მიჰყავდა.

ჯორს მარცხენა მხარეს ცალად შეკრული რბილი ტვირთი ეკიდა. მარჯვნივ კი ორ დიდ „ქოკრზე“ საკმაოდ ფართო ლასტი სიგრძეზე დაემაგრებინათ და ნაბადი გადაეხურათ.

ლასტზე დაჭრილი იწვია.

როცა ეკლესიასა და ნანგრევებს შორის ხშირ კაკლიანს მიაღწენ, წინამძღოლმა ჯორი შეაჩერა.

— აქ ვათიოთ ღამე, უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვი, შეშაც ბლომადაა და ბაღაბაღი!

ცენოსნები დაქვეითდნენ. — ყველაზე უფრო მსხვილი კაკლის ქვეშ მიაქუჩეს ჯორები და ყველა მდუმარედ, შეთანხმებულად შეუდგა საჭმეს. რამდენიმე მათგანი შეშის მოსაგროვებლად წავიდა.

როცა ყველა ჯორი ჩამობარგეს, დაჭრილს მარტო მაშინ მიუბრუნდნენ.

ის ლასტიანად მოხსნეს და ფრთხილად დაუშვეს მიწაზე.

მეორე მხარეს ნაკიდი რბილი ბარგიც საკვირველი მზრუნველობით მოათავსეს იქვე.

ჯორები საბაღაბოდ მიუშვეს.

ბარგი ხის ძირთან მიაღაცეს.

ამასობაში ცეცხლიც დაინთო და ყველაფერი უფრო ამკარად გამოჩნდა.

სახეებს ძველებური ხალისი და სითამამე აღარ ემჩნეოდა. ყველა მოქან-



ცულოვით ზანტად მოძრაობდა და, თითქოს, მეორეზე გამწყვდილი, ლაპარაკს ერიდებოდა.

დაქრულულ წარბებიდან ჩამოშვებული გრძელი ბეწვები წამწამებში იხლართებოდნენ და ბოლმისაგან დაბინდულ თვალებს უფრო აბნელებდნენ.

ათოდე შემოარს თავები ისე ჰქონდათ შეხვეული, რომ მართო თვალები, სხვირი და პირი უჩანდათ.

ხუთს კი — ზოგს მარჯვენა, ზოგსაც მარცხენა ხელი კისერზე ჩამოეკიდა.

ცეცხლის ირგვლივ ჩამუხლეს. დაღლილი სახსარი ცბელ მიწას ჩაეკეცა.

იდგა ნესტოების ქშენა და გაგორებული ჯორების კმაყოფილი ფრუტუნიალანხანი შრიალეზდა მკერდგაშლით.

შორს, სადაც, მშვიერი ტურა შესჩახაოდა ღამეს. ჰოტის ძახილი გასდევდა ფრთამალ ნიავს და ალაზნთან ჩალიანებში იკარგებოდა.

ცეცხლის გუგუნი აფრთხობდა ხის კენწეროებზე დაკიდებულ ყორანს ღამეს და იქაურობას რალაც ზღაპრულ ელფერს აძლევდა.

— ქავთარ!.. — გაეხმაურა ბერო ფერგამკრთალ სიბნელეს კაკლის ქვეშ.

— დაჭრილი რას შერება?

— მგონია, ჩაეძინა. —

ისევ ალაზნის შრიალი.

ტურის ჩხავილი, ჰოტის ძახილი და ხის კენწეროზე ფრთავაშლილი ღამე.

ცეცხლის გუგუნი და ცეცხლის ირგვლივ სამარისებური მყუდროება.

ღუმილი... ღუმილი...
შავი ღამე, ყორანის ფრთასავით შავი. ბერომ ისევ სიბნელეში შეიხედა.

— ლაგაზ, ცალი გახსენი, თორო აყოლდება, თქვენ კი, ვაეებო, ჰრილობებს მოუარეთ, შალამო დაადეთ! —

ლაგაზმა რამდენიმე ნაბიჯზე მდებარე რბილ ცალს ხელი გაავლო და ცეცხლისაკენ მოითრია. სისბლით დათხვრილ ცალს ჩათოები ფრთხილად შეხსნა, თითქო ეშინია, ბარგს რაიმე ზიანი არ მიაყენოსო. ირგვლივ შემოხვეული ნაბადი შემოაცალა და ორი დიდი ხურჭინი დარჩა ცეცხლის პირას.

ხურჭინის ქვედა კუთხეებს ფეხები

დაადგა, ორივე ხელი შიგ ჩაუშვა და...
ჯერ კაცის გასისხლიანებული პრეზენტის მოჩნდა რამდენიმე ჰრილობის, ხეზე

დევ კი შუაზე გაკვეთილი მკერდი.

— კაკლის ტოტზე დაჰკიდე!.. —
დინჯი კილოთი უბრძანა ბერომ.

კაბუკმა თუშმა ბრძანება ზუსტად შეასრულა და ორი მეომრის გამოშვიგული, წელში გადატეხილი ღეში კაკალზე დასტოვა ღამესთან.

— სიფრთხილევ გმართებს, ბალოო, ღამის ფრინველმა ან ტყის კატამ არაფერი ავნოს. — გააფრთხილა ბელადმა „ბალოო“ და ცეცხლის ირგვლივ ისევ ღუმილი ჩადგა...

დაჭრილის თავთან მუხლებზე ჩამჭდარ დილოიძეს ფიჭვჩაყეცილი შავი თვალები შავი ნაბდისთვის მიეშტერებინა, ფეხებთან მოკეცილი ქავთარი კი ღამეს ბურღავდა, ნესტოებს ათამაშებდა და რალაცას ჰკვირობდა.

ნაბადი ოდნავ შეირბა...

ქავთარმა თვალები ღამიდან დაჭრილისაკენ წამოიღო.

— გაიღვიძა? — ჩურჩულით შეეკითხა დილოიძეს.

— სსს. იყუჩე... —

პირზე გადაფარებულ ნაბადს ფრთხილად გადასწია.

დაჭრილს შუბლი და კეფა შეხვეული ჰქონდა. გაყვიტლებულ სახის კანს სიცოცხლისა აღარაფერი ემჩნეოდა.

თვალები დაეხუჭა.

სუსტად სუნთქავდა.

ქალღღივით გათეთრებული ტურები თრთოდნენ, თითქო რალაცის თქმა უნდათო. ერთხელ პირიც გახსნა, მაგრამ სუსტი ხრიალის მეტი არაფერი მოისმა.

დილოიძემ ყური დაჭრილის მიუახლოვა და სმენად გადაიჭკა.

ავადმყოფი ეხლა კი მთელი ტანით შეინძრა, სახის უსიცოცხლო კანი ეკიმა, აუთამაშდა, ნესტოები უფრო დაებერნენ და ყელს გაურკვეველი ხრიალი მოაწვა.

ქუთუთოებმა ნელა აიწიეს წარბებისკენ. ჩამჭრალი თვალები უმოძრაოდ მი-



— ეგ ლევის მარჯვენა, ბადერა!

— ისა?!

— ის ქისტისა!

— აი, ის, სისხლიანი რო მოჩანს?!

— ის კიდევ დიდოსი.

— რად უნდა დადას მოჭრილი ხელე-
ბი, ნაწ!

— წესია, ბადერ, ადათი, ვაეკაცმა
მოკლულ მტერს მარჯვენა უნდა მოაქ-
რას.

— მეც რომ ვაეკაცი ვიქნები, ქისტს
მოვკლავ და ორივე ხელს მოვაჭრი.

კარები ჭრიალით იღება და შემოდის
თეკიანი. დად.

— სად იყავი, დად?! — ეგებება შვი-
ლი შემოსულს და მუხლებზე პატარა
ხელს უცაყუნებს:

— აი, რა მოგიტანე, ბალო, — ამ-
ბობს გრუხუნით დად და კალთის წვერს
ქაშირიდან გამოაძრობს.

იქიდან ორი სისხლიანი ხელი გად-
მოეარდება ნაცარში.

შემკრთალი ბალო უკან გაიწევეს.

— ფუპ, სისხლიანებია...

— ლაზათიც სწორედ მაგაშია, —
ისევ გრუხუნებს დად, ახლად მოჭრილ
ხელებს ახალ ორკაპზე ამაგრებს ჭერის
ზემოთ, ბოლში.

ბაღს ესეც უყვარს.

— ზოლში რატო ინახე, დად?!

— როცა გაიზარდები, მაშინ გაიგებ,
ესლა კი სჯობია, დაიძინო, ათი უკვე
დაწოლილა მეთერთმეტეს რალა ღმე-
რთი გიწყრება!

— ნანა ღამე აღარ იძინებს, დად,
სულ შეკრული ბოღით, ტანისამოსი-
ანად კერასთან ზის, სანამ მზე ამოვა და
ჩვენ გაგვეღვიძება.

— შენ მაინც დაიძინე, თორთ ქის-
ტები მოვლენ და წაგიყვანენ.

ბაღს შიში იტანს, ნელა დგება და
ძმების გვერდით თივაზე მიგდებულ
ტოლიკში ეხვევა.

გადის ხანი.

პატარას წლები ემატება.

ის ტოლებში „ლაშქრობას“ თამაშობს.

— კობო! — ეუბნებიან ტოლები —
შენ საფერხეს ძალიან ნუ აკენებ, თო-

რო მტერი მტერს ცდიფუნს ცდიფუნს
და... კობო ხელს იტყუნს კიდეც
„აღივით“ აჩერებს, თავს უჭერს, ტო-
ლებით ეხმარება.

კობო...

დედამ შეარქვა მეტ სახელად, რად-
გან ბაღი სულ კახეთში წასვლაზე
ოცნებობდა.

— „კობა“ როდის წავალ, ნან,
ცხვარს როდის გავყვები იქითკენ, „კო-
ბივ“ თბილს მაჭმევენ, ნან, ჭიბეს ავივ-
სებ და შენც მოგიტან.

გამობხდა კიდევ ხანი...

კობო გაიზარდა, დაჯაბუდა, დედამ
დაპირებისამებრ თეკა და დიდი ბორ-
გები შეუყვრა.

ის უკვე თვრამეტი წლისაა, ხის
„ცხენი“ ნამდვილ ცხენში გადაცვალა
და მთელ დღეს უბელო საფერხეთი ხე-
ლანტეებში დაჭირითობს.

მოუსვენარიო. სახლში ვერ ნახავთ.
თუშეთის მიდამოებში ყველა კენჭსა
და ჭვას იცნობს.

შეტარა გრძელი ხანჯალი ჰყიღია წე-
ლზე, ტოლები რომ შეიყრებიან სამ ცი-
ხესთან. სამლარიან ფოლადზე მზე იცი-
ნის.

ბიჭები ერთმანეთს ებრძვიან.

ვარჯიშობენ. ხშირად გაჭრილი კანი-
დან სისხლი თქრიალით გადმოდის, მა-
გრამ ეს არაფერია, მარჯებელიო —
იტყვიან უფროსები.

და...

უღარდელია, ჩეილი, თავისუფალი,
როგორც მის ხეუბე თმაში შემძვრალი
ანცი ნიავი.

პო... თამაშია, დაუდგარი, — მერე
რა მაგარი მუხლები აქვს! ყველგან და
ყოველთვის სირბილით, მგლურით და-
დის, მოქანცვას როდი გრძნობს, თით-
ქოს მგლის ფეხები ებასო...

რა კარგია მთა, უყვარს ბიჭს კლდე-
თა ნაშალი, ჩამოწოლილი ქანდები და
ნამჭერქვეშ ჩაქვილი მდინარის ზათ-
ქი. კარგია მთა... მის სოფელზე ლამაზი
ხომ ქვეყანაზე სხვა აღარ მოიპოვება.

უამი კვლავ მოივლის დღეებს, წლებს.

ქამმა კობიოს ოცდაორი წელი გამო-
უხვია თქვან კალთაში და...

ქაბუქმა ბალღური უზრუნველობა
მსრებიდან ჩამოივლო...

ცხვარს გაყავა.

არყის წვერგამოსული „კარანი“ ჯო-
ხი ამოიჩარა ილღიაში, ხალიანი „ყა-
ლჩალი“ წამოიკიდა და...

მთის ბურაბის დილის ცრემლები თა-
ვის ბორცვებზე დაყარა.

მეცხვარე თვლანთვემდის მარტოდ
თელავს ხასხასა ფერდობებს.

მარტოა ჩანდებთან...

მარტოა ქარიან აედარში, — სველი,
გალუმპული...

მარტოა ღამესთან, დღესთან...

„ნაწიღარი“, ფარა... ფარა „ნაწიღა-
რი“, არც ხმის გამცემი საღმე. თვეში
ერთხელ ჭერს თუ ამოუტანენ, რამდე-
ნიმე სიტყვას თუ გაღმოუვდებენ, თო-
რო...

პატარა ლეკვი დასდევს მეცხვარეს.
ბანჯგელიანი, ბურთოვით ლეკვი და...
რაკი ლევა ფერისაა, „ლევა“ შეარქვა.
ის მეტად გონიერია, ანჩლო, ცხვარს
არ მოსცილდება.

ერთხელ: ქანღიანში ნოტო დაუსბლტა
მეცხვარეს.

სალამოთი „ნაწიღარს“ რომ მიუახ-
ლოვდა, ფარა თვალში ეცოტავა, არც
ლეკვი ჩანდა საღმე.

მახლობელ ბეჭზე გადაიბრინა, ჩანდს
შეუსტვინა და ყური მიუვლო.

ლეკვის წყავწყავი მოისმა, ხმას მი-
ყვა.

ლეკვი კლდის თავზე ჩაცუცქულიყო
და ძირს, ქანჩახებში, შერჩენილ ცხვარს
გაჭაერებოთ უყევდა.

პატრონი რომ დაინახა, წამოხტა,
უფრო გაგულსდა, გამხნევედა და ხმას
შეუმაღლა, თან ცალი თვალი პატრო-
ნისკენ ჰქონდა მიჭკეული. ნახვერებ-
ში ჩასვლა მოინდომა, სცადა კიდე-
მაგრამ...

ყეფა უფრო აღვილი გამოდგა, ვიდ-
რე პატარა თათის კლდეზე მოკიდება.

მეცხვარეს შემოურბინა კულის ქნე-

ვით. რამდენჯერმე გაეხლტუნა უხეშებში
ში.

კაცმა და ლეკვმა კლდეში შერჩენილი
ნოტო გამორევეს: პირველმა ჭკის სრო-
ლით, სტვენით, მეორემ კი ყეფითა და
დახვეული კულის მოშველებით.

ჭკვიანი იყო ლეკვი. კაცივით საზრი-
ანი და უფრო უკეთესი ძაღლი დადგა.
ჰმ...

ასე მიითვლიდა. ქამი დღეებს, წლებს.
ერთხელ მეცხვრე ქმა მკვდარი მოი-
ტანეს ქისტეთიდან, წელზე გადაჭრილი
ხურჯინში იდო.

დედამ ბევრი იტორა, ივაგლახა, კი-
ნაღამ თან გადაჰყავა, ბოლოს ლოგინად
ჩაეარდა და აღარ ამდგარა. ორი თვე
დნებოდა ბეჩავი, ძვლებზე ტყავი შეა-
ნმა, თვალები ჩაუქრა.

ახსოვს, როგორ არა, კარგად ახსოვს.
სალამო ხანი იყო. ცაზე ღრუბელი
თეთრი ნაბადივით ეკოდა.

სნეულ დედასთან ორი მნახველი დე-
დაკაცი იჭდა. ორივეს თვალები შესწი-
თლებოდათ და მანდილის სველ ყურს
ხელში უაზროდ სთელავდნენ.

დედამ ხელის ნელი მოძრაობით ანი-
შნა მოსულიყო.

ბიკი მუხლების კანკალით მიუახლოვ-
და.

დაიჩოქა და თავი სნეულისაკენ და-
ხარა. იმან უკანასკნელი ძალა მოიკრი-
ფა გაძვალტყავებული ხელები კისერ-
ზე მოხვია შეიღს და გამხმარ მკერდზე
ნახად მოიკრა.

— ბედნიერი კაცი გამოდი, ბადერ,
ჩემი სიტყვები ყოველთვის გახსოვდეს,
ორნიღა დარჩით, თქვენ შინც დაგიფა-
როთ სამების მადლმა მტრის ტყვიისა-
გან. გაფრთხილდი, ბადერ, ვეკაცი იყა-
ვი, მამაპაპის საფლავებს ურჯულოებს
ნუ ამოათხრევიებ. დაიხსოვე ჩემი უკა-
ნასკნელი დარიგება, ბადერ, არ დაივი-
წყო შენი ნან.

და სნეულს ხმა ჩაუწყდა, თვალები
ღია დარჩა, ხელები მოშვებულად მოე-
შენენ მის კისერს და მოისმა მანდილო-
სნების ქვიითინი.

— ნან, ჩემო ტკბილო ნან! — დაიბ-

ლავლა შეიღმა და დედის უშობრად სხეულს გადაეხვია.

ძლივს ააგლიჯეს მიცვალბულს. დაჭრილს მღელვარებისაგან სახე დაიპრანჭა. სხეული მძლავრად გაჭიმა და კელში გმინვა ამოაგლო.

— ნანი — გაიშრიალეს უსიკოცბლო რუჩებმა და ისევ დადუმდნენ.

— ბოდავს, ბურანშია, — წასჩურჩულოა დილოიძემ ქაეთარს — ეს ცუდს ნიშნავს, ნეტავი დამშვიდდებოდეს!

დაჭრილი კვლავ გაყუჩდა. მღელვარებამ გადაიარა. სხეული ტყვიანასმულივით უძრავი ვახდა. ცხვირთან მიტანილი ხელი ძლივს შეიგრძნობდა სუნთქვას.

ბურანი ისევ... გადასული დღეები ქარში გაფანტული ფოთლებივით ირევიან და... კობიო ისევ თუშეთშია, წოვათაში.

სალამოს ბინდი და ბრძოლიდან დაბრუნებული მხედარი ერთად მიადგნენ მამის ეზოს.

ცხენოსანი შესავალ კართან ჩერდება.

დაქვეითება ვერ გაუბედნია. რალაც აკაეებს. რა?!

იქნებ სინდისმა დააკრა უნაგირს?! იქნება მშობლიური კერა აღარ იზიდავს!..

ჰო, — სინდისი, რა მძიმეა ის. სჯობია, მკერდზე ბორბალა დაიბჭირო, გულში ალაზანი მიუშვა, ვიდრე... მშ...

სინდისი, მოვალეობა...

უკანასკნელი მამა მტერმა მოუკლა... იმისი სახლში მოტანა ვერ შესძლო, მტერს თავი ვერ დაადრია.

ფუ... სირცხვილი... სირცხვილი...

მამამ ბინდიდან გამოაბიჭა და ბურანუთის წვევით კარებს მოადგა.

— შენი ძმა სადღა არი?! — ეკითხება მოკლედ მოხუცი და ვაჟს ორ თვალს ლადარივით ესვრის.

— მტერმა მომიკლა და იქვე დარჩა!..

ცხენის ფეხებში ფეხს უკლავს. ხელი თავჩაკიდებულ შეიღს.

— შენ კი ველარ მოკვდი?! რიდასთვის მოდიოდი აქ, უჭულო. შერცხვენილი! — მოხუცი ნელა ბრუნდება და უკანვე ბინდში შეაბიჭებს.

მარტო დარჩენილი მხედარი ფიქრობს:

სად წავიდეს?! ამაღამ, საღამე მახლობლად გაათენებს.

ხვალ კი, ღმერთი უჩვენებს გზას. ცხენი ბილიკს ღამეში შესდევს. მხედარს ბოღმით ავსებული გული მიაქვს, და მხრებზე დამძიმებული სინდისი ჰკიდია. სად მოიტანოს ან ერთი, ან მეორე?!

აგონდება შევირვებულს. აკლდამა... კლდეში შეთხრილი მღვიმე... იქ წავა, იქ დასტოვებს ორვე ძნელად საზიდ ბარგს და...

ხვალ მხარმსუბუქად გაუდგება... — საით?!

— ვინ იცის?!

პირსავსე მთვარე ოქროს ღილივით მთის ქედს ჩაეკერა.

ქაბუცი ფრთხილად აბიჭებს აკლდამის ღირეს: მთვარის შუკი მიუძღვება უცხო სტუმარს.

თაღებად შეკრულ გამოქვაბულში მყუდროებაა.

ქვის ტაბტზე დაობებული ძვლების ხროვა მოჩანს.

უცნაური, მძიმე სუნნი დგას.

კარებთან ახლო, ჩონჩხი ასვენია ფერფელში დაფლული.

ფერფელი... აღმათ ტანისამოსის ნარჩენია.

აი, თავის ქალის ირგვლივ შავი ფერფლი უსწორმასწოროდ გაშლილია. ეგ მანდილი უნდა იყოს...

ჰო, ნამდვილად მანდილია. ვაფაკი თითის ფალანგს ჰკედებს ხელს.

— უუუჰ, მტკივა!.. — წრიბინებს ძვალი. მხარს შეეხო. მტკივა! — წამოიკივლა იმანაც.

— მტკიცე, მტკიცე... — ნანა წარმოდგენ
დანარჩენი ძქვების... —

— მტკიცე. — გუგუნებენ თაღები.
— ვეტყვია, მოგვშორდი... — გრუ-
ხუნებს იქაურობა და...

კარგბნან მდებარე ჩონჩხი შეტოკდე-
ბა, შეინძრევა, შემანდილიანი თავის
ქალა წამოიწევს, მუხლები მოიხრებიან.
და წამომდგარი ჩონჩხი ჩონჩხა ხე-
ლებს შესულსაქენ გაიწვდის.

— ბადერ, ბადერ!.. ჩემო ხორცო,
სად დამეკარგე. მოდი, მომიახლოვდი.

— ნან, ჩემო კარგო ნან!.. — კობიო
წაბარბაცდებდა და უკვე წამომდგარ
ჩონჩხს ვაშლილ ხელებში შეუვარდე-
ბა.

— ბადერ, ჩემო ნუგეშო, მამამ გა-
მოვადგო, დედასთან მოხველ, მოდი,
მოდი, მომეკარ გამბზარ შეერღზე...

— ნან, რა ცივი ხარ, თითქო თბილი
იყო შენი უბე, რა დაგეშართა, ნან?!

— აქ ყოველთვის ზამთარია, ბადერ,
ყოველთვის ცივა, აი, მანდილს მოგახ-
ვევ, დაგათბობ.

— ნან, გადასწიე მანდილი, სუნთქვა
მეხუთება, ვიხრჩობი, ნან!

ნესტოები დაებერა, მკერდი მძლავ-
რად აუქანდა და ტანმა ნერვიული
თრთოლვა დაიწყო. დაჭრილმა ცალი
ხელის ამოძრავებაც სცადა, გულთან
მიიტანა, თითები საზარლად დაეკრუნ-
ჩხა, ლილისფრად გადახსნილმა ბაგემ
კი ხრიალს ქაფიც გადმოაყოლა.

დილოიძემ თეკის კალთით პირზე
მომდგარი დუფი გადასწმინდა.

— წყ... — ყელში გაქედილმა ხრი-
ალმა აღარ დაამთავრებინა.

ისევ წითელი ღვინო გადააყლაპეს.

დაჭრილი დამშვიდდა, მძიმედ და გა-
ბმით სუნთქავდა. მოდუნებულ კანს
კვლავ ყვითელი ფერი დაედო და გა-
ყურდა.

— კობიო, კობიო!.. — ჩაუშრიალა
დილოიძემ.

ხელი შუბლზე გადაუტარა, ოფლის
ცივი წვეთები გადასწმინდა...

დაჭრილმა თვალები გაახილა-
უძლერი და დამჭრალი თვალები.

შერაშში ოდნავი გაკვირებაც ვერაფერ
რთა. ქუთუთოებმა უფრბა და წინაწიქმა
და უსწნსრო გუგანი ამოძრავდნენ.

— მიტრო, შენა?!.. — შეეკითხა ის
მისუსტებული ხშით.

— ობოლა ვარ, კობიო! დილოიძე.

— ჰოო! — გააგრძელა და შერა ახ-
ლა ქვეთარზე გადაიტანა — ჰოო... —
გაიმთორა მან მკირე სიჩუმის შემდეგ:

— კობიო, მოიხედე, კაცო, ამღვნი
ძილი ვის გაუგონია!

— მეძინა?! — სუსტად გაიკვირვა
და შესვენების შემდეგ დაუმატა, — მე
კი მეგონა ვიხრჩობოდი.

— დაგიფაროს სამების მადლმა, რას
ამბობ მაგეებს!

— ობოლავე, ნაბადს დასწიე, გულზე
ქვესავით მაწევს. სუნთქვას მიშლის.
ნაბადი წელამდე ჩააცურეს.

— წყალი დამალევიწე!..
წითელი ღვინო გადააყლაპეს.

— კიდევ!

კიდევ დაალევიწეს, პირი ორიოდჭერ
გააწყლალუნა, გამშრალ ტუჩებზე ენა
გადაისვა და სახისკანი ოდნავ ამოძრავ-
ვა.

— ფუჰ, მწარეა! — გადმოაფურთხა,
თეთრი კბილები ნაცრისფერ ღამეს და-
ადგა.

დილოიძე და ქვეთარი გამხნევენენ;
ავადმყოფმა მოიხედა, გამოშვობინდა
უთოოდ, სახეზე აღისფერი დაჭრავს,
ლაპარაკიც რომ დაიწყო, ჩანს ღმერთი
არ გასწირავს.

დანარჩენებიც დაჭრილისაქენ მობ-
რუნდნენ. ყველას ღმირილია შეურხია
ულვაშის ბოლოები. ყველას, — ბერო-
სა და ზაქარიას ვარდა, ისინი კვლავ
გულჩათხრობილი, მოჭრულული უნდო-
ბლობით უყურებდნენ დაჭრილის მომ-
ჯობინება-მოხედვას.

არ სჯეროდათ ალბათ...

უღლ ნიშანს ხედავენენ, ალბათ...
კობიომ თვალი გადააგლო რაზემე-
ლებს, თითქოს ეძებსო ვიღაცას.

— შორთი სად არის?!

პასუხი არავინ გასცა, რამდენიმემ კა-
კალზე ჩამოკიდებულ ლეშს გადაახედა.

— ერისტო?! — კვლავ შეეკითხა დაპირილი.

ისევ დუმილი და მეომართა დახრილი თავები.

— სად გაგზავნე, ბერო, რატო არ მეტყვი?!

— დამშვიდდი, ვაჟო, იყუნე, ორივე მთაში გავგზავნე ამბის მისატანად.

— მთაში?! — კითხვით და გაკვირვებით გაიმეორა დაპირილი.

— ეხლა კარგი იქნება მთაში... — დაუმატა ნალვლიანად. შემდეგ ღამეს მიაჩერდა და ასე დარჩა მცირე ხანს.

— ბერო, ეხლა სადა ვართ?

— ალვინს კალაში.

— როდემდის დავრჩებით?

— დილამდის.

— უპ, შორია, ბერო, ძალიან შორი, დაეხიზნობი, სული შემეხუთება მანამდე!

პაერი აღარ ეყო, ცოტა შეისვენა, გამხმარი ენით გადაილოკა და...

— მოგკვდები?... — იკითხა ერთბაშად.

— გფარავდეს იახსრის ხატი, ეგ როგორ თქვი, ვაჟო, გულში როგორ გაივლე ეგეთები, სულ უბრალოდა ხარ გაქმრული კეფახე.

— კმ... — მწარედ გაეღიმა დაპირილს, თვალები გადაენამა, ღრმად შეისუნთქა და გაგრძელებულად ამოიხზრა.

— სიკვდილს რა ხელი აქვს შენთან, კობიო, დაღესტანს უნდა გადავუქროლოთ, ქისტეთის ბილიკები უნდა გადავზომოთ, ნაბარევი სისხლს მთა დააშვინდავებს, გაასაღებს... — ნაძალადევი ღიმილით ამოაქოთა დილოიქემ თუშური სული და თავის სიტყვებში თვითონვე შეეკვდა.

— ობოლავ, ჩქარა წამიყვანე მთაში, თორე აქ ვერ ვძლებ, ქავთარ! აქი შენც მპირდებოდი, აქი ყველა მეუბნებოდით, მაშ აქ რაღად დამაწვინეთ?!

— წაგიყვანთ, სამების მადლმა, წაგიყვანთ. მაგრამ ცოტა უნდა დაისვენო, მოჯანიანდე!

ბერო, ცხენზე კდომას შევიძლებ.

მე თვითონ წავალ, ოღონდ ჩქარა, ჩქარა რა მომავორეთ აქაურობას!

— დამშვიდდი, ვაჟო, დამშვიდდი, ცოტა წაიძინე და მერე გზას გავუდგებით.

— არა, არა, ეხლავე მომიყვანეთ ცხენი, მთაში მოგვეთდები, ბარი კი მკლავს, ბერო, მახარობს!

დაპირილი მთელი ტანით წამოიწია, ბეჭები ნაბადს ააცილა, მაგრამ ულონო იდაყვებმა ვერ დაიმარეს და მოდუნებული ისევ ნაბადზე დაეშვა.

თვალები მილულა, გაფითრებული ტუჩები დაიხურნენ, სახის კანმა ძიგძიგს უკლო, სიყვილზე კარბად ჩაისხა და...

რამდენიმე წუთის შემდეგ დაპირილი აღარ იხიზნოდა.

— ლაბარაკმა დაასუსტა და ჩაეძინა, მოერიდეთ, დეე, იძინოს... — ბერო ცეცხლისკენ მობრუნდა, დინჯმა ნაბიჯებმა გაიყოლა იმისი ტანი, და იქვე, მიგდებულ კუნძვე დასკვა. ყალიონი ფიქრთანად გამობერტყა, ხალი ჩაყარა, მსუქნად გააბოლა და ღამეს გადააწია.

— დილამდე გათავდება... — თავისთვის დაასკვნა მან. ნახევარი ხმით ღაგაზს მიუბრუნდა. — ხალი გაზილე, წაგივანაშვით, ჯორებს მიხედეთ, კაცებო, შორს არსად წავიდნენ, ნადირმა არ გააფუქოს, ობოლავ, ქავთარ, მოდიეთ აქეთ, მაგას ადვილად აღარ გამოეღვიძება, მემრე მივხედოთ!

ყველა განკარგულებისამებრ ამოძრავდა.

ღამე საკეთარ გულივით გაშავებულყო.

ტურას მოზარეები გამოენახა და უფრო თავგამოდებით ჩახოდა.

კოტი ისევ გაპიოდა ბებერ კაკლზე და ფრთის ქვეშ ნიავშეკეცილ ღამეს კენკავდა.

რიყეზე გაწოლილი ალაზანი კი კულმოქნევით კვლავ ჩალიანს შესჩიოდა...

აქა-იქა ტოტების ტყაყუნე და ყრუ ხმაური მოისმა. მოწყვეტილი სტვენა კოტს კაკლის ხეზე შეუვარდა და გააჩუმა.



ქალაში ადამიანები დადიოდნენ.

როცა ჭორებმა ქოსა კულები სიბნელიდან გამოაძრეს და ცეცხლს მოუქნიეს, გაფანტული მგზავრები ისევ ბინაზე მოგროვდნენ და თან ჭორების კმაყოფილი ფრუტუნნი მოიყოლეს.

ლაგაზმა გახელილი და დაბუნჯული ხალი დაახვედრა, ყალჩალიდან რამდენიმე გამხმარი კალტი ამოაგორა და ეახშაში უკვე მზად იყო.

ყველა ზანტად შეუდგა ქამას, თითქოს არავის შიოდა.

ზოგი ცეცხლს მისჩერებოდა, ზოგი — ლამეს.

ზოგი ფიქრობდა, ზოგს კი გული და ტერნი ცარიელი ჰქონდა, ფიქრი ეზარებოდა.

წუთები მიითვლებოდნენ.

ხალის გუნდა დნებოდა, პატარავდებოდა... კალტის ნამცეცი ყელს აწვრავდა და...

აღენის კაკლიანში ღამე ღამისებურად იწვა.

იწვა და სდუმდა.

ნელი, მინახებული წყმუტუნნი მოისმა.

ყურადღება არავის მიუქცევია.

წყმუტუნნი და ფანტნი უფრო აშკარად ჩაიღვარა მყუდროებაში.

ყველამ მიიხედა, ლუჯმა ყელში გაეხირათ, ზოგს პირი ღია დარჩა, გამტვრდნენ.

ძალი დანახეს, ლევა — დიდი ძალი. დაჭრილს თავზე დადგომოდა, სახეს ულოკავდა და თან საცოდავად წყმუტუნებდა.

— ჩიოდა თუ უხაროდა.

— ვინ იცის!

პირველად დილოიძე მოეგო გონს; ძალისაყენ გაიწია, უნდოდა გაეგლო, მაგრამ ბერომ ხელის აქნევით შეაჩერა.

— მოიცა, ეგ ბობლიას ძალია, მაგას კაცი უნდა მოსკვებოდეს, მყეფარი დაწინაურებულა, მგზავრი კი უკან მოედინება.

მეომრები მიწაზე დაკრულივით უმოძრაოდ შეკუყრებდნენ. უკვირდით და

ამ გრძნობას ენა დაება, ფიქრი დაწესავით ჩაებნელებინა.

ნარკუნულში ძალი კი, ძალი... შიშლინოთქან ისევ ლოკავდა დაჭრილს. კუდის ქნევითა და წყმუტუნით ეალერსებოდა მწოლარეს.

დაჭრილმა ერთბაშად ამოიგმინა, თვალები გადახსნა...

აქამდე უაზრო, უსიცოცხლო მზერამ გაკვირებდა, სიხარული და ბოლმა ერთად გამოხატა.

ქუთუთოებმა ჯერ რხევა დაიწყეს. შემდეგ წარბის ქვეშ შეიკეცნენ და თვალის კაკალი თითქო ბუღეს გადაშეკრდა.

ფართოდ გახელილმა თვალებმა ძალი იცნეს უთქოდ.

ტანმა თრთოლვით წამოიწია, ორი ყვითლად გამხმარი, უღონო ხელი ნაბადს მოსცილდა და აკანკალებულ ძალს ქეჩოზე მოეხვია.

— ლეგო, ლეგო, ჩემო ძალო!

მკლავები მოდუნდნენ, თავისით მოეშენენ კისერს და აზიდული ტანი მოსხებილივით დაეცა ნაბადზე.

მთელი სხეული მძლავრად დაიკრუნჩხა; ყელიდან მოწყვეტილმა ხრიალმა აძიძიგებული ტუჩები ქაფით დაფარა.

შემდეგ ტანი კვლავ მოეშვა და მოდუნებულად გაიშალა. შებლზე ცივი ოფლის წვეთები დაასხდა.

გუგამ წარბებისაკენ გადაიწია და ღამეს თვალი თეთრად მიაჩერდა.

დილოიძემ მკერდზე ყური დაადო.

ის უკვე აღარ სუნთქავდა.

— გათავდა, წავიდა! — ყრულ ჩაილაპარაკა დილოიძემ და დანარჩენებს ხელით ანიშნა მოსულიყვენენ.

დაწინაურებული ქავთარი მიუახლოვდა ძალს.

— დაიკარგე, შე სატილოვ! — შეუტია თან წიხლი წაჰკრა.

ძალი დაიწყმუტუნა და მოშორების მაგიერ, იქვე, მკვდრის გვერდზე ჩაწვა.

მიცვალებულს შემოეხვივნენ.

ღიად დარჩენილი თვალები დაუბურეს. ხელები მკერდზე გადაუჯვარედინ-

ნეს. ნაბადი მოაცილეს და ფეხების დაკიშვის შემდეგ უკუდგნენ.

მკვდარს ირგვლივ შემოერკალნენ. უღვაშები ჩამოიშალეს. ქედმობდილებმა ხანჯლის ვადები ხელით დაბლუჯეს და თავები მოწყვეტილად დაეშენნენ მკვრდზე.

ძალი ნელა წამოდგა. კუდის ქნევით მკვდარს ტუჩი მიუახლოვა. დაასუნა. შემოუარა მეორე მხრიდან — კვლავ დაასუნა. შემდეგ შეჩერდა და ყურდაცქვეტილმა კვიანი თვალები გვაშზე მიუშვა.

ასე დარჩა მკვრე ხანს.

ფეხებსაც მიაკითხა და ბოლოს ისევ თავთან მივიდა.

რამდენჯერმე განმეორებით იყარა სუნი და... კუდი ძირს დაუშვა და უკანა ფეხებს შორის მიწამდის ჩაჰკიდა.

თავი აიღო. მხედრებს შეჰხედა და როცა იმათ თვალებს ვერ წააწყდა, ძალღერი მზერა ისევ მკვდარზე გადაიტანა.

თავბალღუნულმა ორი ნაბიჯი გადადგა მკვდარი თავის უკან.

შეჩერდა, პატრონისაკენ მოტრიალდა და უკანა ფეხებზე ჩაჭდა, ჩაცუცქდა. ორი, თითქო გადანამული თვალი მგლოვიარე ადამიანებს შემოავლო. თავი მაღლა ასწია, კისერი გაჭიმა, ტუჩები ღამეს მიაბჯინა და — უუუ... უუუ...

ყმუილი ღამეს ალაზანმა წაართვა და მკერდში ჩაიხვია.

— უუუუ... უუ... — ყმუოდა უპატრონოდ დარჩენილი ძალი.

ღამეს თუ შესჩიოდა მასავით იღუმალს.

ვინ იცის? — არაფერ.

ბერომ თავი ნელა ააცილა მკერდს. სახე გამოუჩნდა; აწითლებულ თვალბთან ორი ცრემლი ბზინავდა, მარტო ორი ცრემლი.

— დედის მაგიერ ძალი დასტირის, ტიალი — სთქვა გაბზარული ხმით და თავი ისევ კისერს დაეკიდა.

გაისმა ჩუმი, ოდნავ გასაგონი კვითინი, კვითინი შეკავებული, ვაქკაცურარი.

— უუ... უუუ... — შეკმუულად მკვლელობი კალას.

ზაქარის ცალ უღვაშს ცრემლი დაეკიდა, მეორე ხელს მოხვდა, მესამე — ხანჯალს.

ის ტიროდა, ტიროდა ცალი თვალით. ცხენის თქარუნი და გამხმარი ტოტების ლაწანი ერთად მოხვდა ყურს. აჩქარებული კაცის ფეხის ხმაც გაისმა. მოიხედეს..

მათ წინ ქალი იდგა, შავად მოსილი. მოლოზნის ტანისამოსით.

იცნეს...

— ნანი, ნანი!.. — გაეხმაურნენ.

იმან ერთხანს უაზროდ უყურა მტირალ კაცებს, შემდეგ თითქო ნაცარი გადააყარესო, გაფითრდა, ხელები გაშალა.

— კობიო!.. — შეკვივლა სახარლად და გაიცვებულ გვაშზე დაემხო.

— უუუუუ... — გაკმუულა მთებს ძალღმა..

ისევ კვითინი... ყრუ ოხვრა... უღვაშებზე დამსხდარი ცრემლები და... ყმუილი... ყმუილი... გლოვა..

ბერომ ქუდით თვალები გადაიწმინდა, უღვაშებზე ხელი ჩამოისვა.

— მოერიდეთ კაცებო, დაიტეროს მაგ ბეჩავმა, მარტო დატოვეთ.

ყველა შემოეცალა. ცეცხლს შემოტმწყრივდნენ. დილოიქემ და ქავთარმა კი ჭალაში გაშლილ სიბნელეს მიაშურეს.

წუთები კიდევ ჩაითვალნენ.

ღამე ისევ ღამისებურად იწვა.

— ჰეე, ბიჭოოო!.. — მოისმა ძახილი.

ძალღმა ყმუილი შესწყვიტა და ყურები წამოიხიდა.

— ლავაზ, მიდექი, ვინ იძახის!

ახალგაზრდა თუშმა ღამეს გახედა.

— ჰეე... — გაეხმაურა.

— რომლები ხართ მანდა, სადაურები?..

— თუშნი ვართ, ქალაქიდან მოვალთ.

— ხო სისალეა, დიდი ზარალი ხო არ

მოგსვლიათ? — შეეკითხა ისევ სიბნე-
ლიდან უცნობი.

— სამი მოგვიყვებს, იმათში ბობლი-
ას კობიოც ურევია.

სიბნელემ მცირე ხანს იყურა. უც-
ნობს მაშინვე არ გაუცია პასუხი. შემ-
დეგ კი ღამემ ბოხი ხმით გადმოსძახა.

— თქვენ ცოცხლები იყავით, თუ-
შებს გამარჯვება ნუ მოაკლდებათ, რა
ვეყოთ, მაგ ჰირსაც გავუძლებთ.

ღამე ისევ ყურად ჩამოიფაფრა.

— ეგ თვითონ ბობლია აბრეკე გავუქო-
ხეთ მოვიდეს.

გინგლინოშენა

— ბობლიაე!..

არავინ გამოეპასუხა.

— ლეგო, ლეგო! შენ მაინც სად და-
მეკარგე, ტიალო! — დაიგრუხუნა სი-
ბნელემ და ისევ გაჩუმდა.

ძალმა წამუტუნით პატარა მანძი-
ლზე გაირბინა. შემდეგ პაერი დაყნო-
სა. მკვდარ პატრონს გადმოხედა და ლა-
მეში წასულ უცნობს უფრო საცოდა-
ვად გაჰყურებდა.

მე ჯავახეთს რა მიშავდა

ქვაბლოვანთან სახლი შედგა,
სახლი შედგა და რა სახლი!
არ მიძრახოთ სახლის ქება, —
დატკებოდით მისი ნახვით;
ცა ფირუზად მადნებოდა,
არე მჭონდა ჭეჭილივით..
მოძახილი ჰჭონდა ხევთა,
ოქროობდა ჩემთვის სხივი.
შვიდი მესვა ვაჟიშვილი,
შვიდთავენი — თვალეზილა...
ორბის თვალი — შვიდი წყვილი
ცეცხლს კვესავდა ლავეარდს მიღმა;

მესვა კობტა ასულეზიც,
სამნი — შზიან-წყლიანები...
ტანად — ალვად ასულეზი,
გულის გამატიალეზნი;
გიჰრებოდა მათით რიზი, —
ძირს გიკცევდნენ ზეიშებად...
მათ ბილვაზე ოქროს ციხე
ნისლეებს გადიყრეინებდა;
მერე... მოხდა მოსახდენი
და საწუთროც გამიშავდა..
ჩამიყამდა ნათლის დღენი,
მე... ჯავახეთს რა მიშავდა!

ვედრება

საქართველოში რაც ხდება,
განა უბრალოდ ხდება,
ღმერთის მალაღის დიდ ნებას
ერთვის ქართველის გზნება.
გაფლენთილია მიდამო
თავისუფლების სულით...
ღმერთო, ჩვენთვისაც იდარე, —
აპყვე ქართველის სურვილს.

თავისუფლების წადილი
მეცხრე ცის ზემოთ აღის..
ღმერთო, გზა გაგვიადვილე,
აპყვე ქართველის წადილს!
საქართველოში ის ხდება,
რითაც ფასს სდებენ ყოფას...
უფალო, გვარგე დიდება —
თავისუფლებით ტკბობა!

იშლარი!

იშლარე ჩემო საყვარელო, იშლარე ჩემო, —
სიშლარა ბრძოლის იარაღის ერთი სახეა;
ამ იარაღით მოღის შვება და მოღის გვემა,
ამ იარაღით უნდა კუპრი ბნელი გაბიო.



ქართველი
ბიბლიოფილთა

იმღერე ჩემო, აღმადგინოს სიმღერამ უნდა, —
სიმღერა არის ფენიქსის ვაფი...
სულწინასულ სხეულთ ისევე ისე უბრუნებს სულთა,
სიმღერით ჩამქრალ გონებაში ენთება აზრი.
ჩვენ მოგვცა ღმერთმა იარაღი ყველაზე მკრედილი,
ყველაზე მარჯვე იარაღი გიორგუნა უფლით;
შემართეთ ყელი... ჰა, ქართველო, ხმაღს იკარ ხელი,
მტერი ამნაირ სიმღერას უფრთხის;
„ქართველო ხელი ხმაღს იკარო“ — შემართე ყელი...
ამა სიმღერით უცხომ უნდა ქართველი იცნოს;
აბა, ბურთი და მოედანი, პა, ბრძოლის ველი, —
ოღონდ, ამ პანგზე ყელში უნდა ფოლადი იცხო;
იმღერე, ჩემო საყვარელო, სხევანაირ ხმაზე;
სიმღერა ბრძოლის იარაღის ერთი სახეა...
არავინ იცის მტრად მიმხტარი ქართველი კარზე,
სიმღერით ბრძოლამოგებულის კი აქვს სახელო.

ეს ყოფითობა!

ყოველდღიური მიმოქცევა, ზრუნვა, ტრიალი,
ათასში ერთხელ — მოვარდნილი ღირიზში ხილად...
ეს ყოფითობა — პოეტის სულს გაწნული სილა —
მისვლა და მოსვლა... პური, ბორცი... გულის ფრიალი.

მხოლოდ ეამიყამ მობერილი ამო ნიავე —
ბოლოს და ბოლოს ერთ სტრიქონთან დარჩენა წყვილად,
სიტყვის კიდილში მოფრენილი ფერადი დილა —
შენი მარცხის და გამარჯვების თანაზიარი;

მიდის, ილევა რომანტიკის ეამი ტიალი,
საცაა კიდევ მიიქცევა საღათას ძილად...
მიინავლება მოვარდნილი ოდეს გრიალით;

ზათკით მოსული მისულია ჩაქრობის პირას;
პოეტის სულში ჩამკვლეულია ცეცხლის პრიალის
ეს ყოფითობა — პოეტის სულს გაწნული სილა.

რატომ მოვედი...

რატომ მოვედი ქვეყანაზე — ფიქრობს პოეტი;
რატომ მოვედი ქვეყანაზე — არ ფიქრობს ჩარჩი...
ღიასაბლისი დგას და წვნიანს არიგებს ჩამჩით,
მხოლოდ პოეტი ცხოვრობს დროსთან უთანხმოებით.

რა აზრი ჰქონდა ამა ჭვეყნად ნეტაერ მოსვლას და... ებურლება ფილოსოფოსს ამ კითხვით: თავი; ჰგვის მეეზოვე თავის ბედთან შეკრული ზავით, რატომ მოვედი... არ ასვენებს ეს კითხვა მგოსანს.

საშველს არ აძლევს ფილოსოფოსს მოლბენის დროსაც რატომ მოვსულვართ... ასტყორცნია ფიჭრები ზემოთ... ამა კითხვისგან დაქარგვია ცხოვრებას გემო;

უაზრო იყო ნუთუ მართლა ამჭვეყნად მოსვლა, თუ უაზროა, რად მოვსულვართ, მითხარი, ჩემო... აწუხებს ანდა, ცაში ავრილს ეს კითხვა ფრთოსანს?!

თუკი ცაში ვერ აიჭერ

ვაი, გალიის ჩიტები, ვაი, ჩამკვდარი სულები, სილაღისათვის შობილნი, სილაღეწართმეულები!

წყალსაც აწვდიან ბეჩაეებს, საკენკსაც დროზე უყრიან, მაინცლა მათი არსება სევდა-გოდებას უპყრია.

ფრთბშიმადლებულთ ეს ფრთები საფრენად დაეანგებიათ, თუკი ცაში ვერ აიჭერ, ფრთები რილასი ფრთებია!

თავისუფლების სანაცვლოდ ტყვეობა ერგოთ წყალობად, ხანდახან კიდევ გალობენ, ვაი, ამნაირ გალობას!

გალობა მათი დაღია, თავისუფლებაწაგვრილის, პატივს კი უხვად იღებენ უწყალოდ პატივყრილნი;

ო, რა ძალიან მეცნობა გალიის ჩიტთა ცხოვრება, თუმც... რის ცხოვრება, ტყვეობით ჩაკვდომა და დამდოვრება;

მიდი და, ასეთ ყოფაში, წინ რკინა რომ გაქვს ლობედა, იხარე და იგალობე, თუკილა გეგალობება!

ვაი, გალიის ჩიტებო, თავისუფლებაწაგვრილნო, ჩემსავით სხვა ვინ გაგიგებთ, ფრენის უფლებააყრილნო!



გურამ გიორგობიანი

წმინდანთა საუფლო

სად არის ქვეყანა,
ასე კურთხეული, ასე ღამაში?
სად არის ხალხი,
ასე მლოცველი, შეუპოვარი, ასე ამაყი,
რომელიც არ ყოფილა არასოდეს
არც დამპყრობელი, არც ავაზაკი?

ეს ის მზარეა, ამირანის,
მისი მოდგმის შთამომავლობა.
ჰოი, ქართველო, პირნათელო,
კირთა მთმენო და მშვენიერო,
ღმერთმა ვიბოძა სამშობლოდ
უზენაესი ქვეყანა—წმინდანთა საუფლო!

იერიში წყაროსთან

სიყმაწვილეში,
როცა თვალი მზეს შეჰხაროდა,
გავყურებდი ოცნების კოშკებს,
მზის სხივები რომ აგებენ ცის
კაბადონზე,
ვიხვეწებოდი, თითქოს ამას განგება
მთხოვდა,

ვიწმინდებოდი მაშინ მე სულით.
სინამდვილეში
ბედად შერგო სულ სხვა ნაპირი,
სადაც ლოცვა გეკრძალებოდა,
ბოლო სამშობლოს სიყვარული
გეთვლებოდა დანაშაულად.
იყო შიში და მღუმარება,
ყვავილს არ ჰქონდა ფერი თავისი
და კაცს იერი.
მაშინ შევეყირე! ო, გაყინეთ ჩემი
სხეული

და გაათბეთ რომელიღაც საუკუნეში!
მაგრამ უეცრად ხმა შემომესმა:
„აბა, შეხედე: სწყურია წყალი
ჰუნეს და სინიბს, უხედნს და ულაყს,
მაშინ როდესაც მტარვალი მხეცი

მეფობს წყაროსთან.
შენ კი ზეცისკენ გავირბის თვალი,
რამ ჩაგიჭრო ძველი ძალა და სითამამე-
ნუთუ არ გახსოვს,
წინ ილტვოდა მუდამ მამაცი,
შენი ვალია, ჩაუნერგო მათ
გულოვნება!“

...ავედი სერზე
და ჩემში მინავლული ნაღვერდალი
კვლავ აგიზგიზდა.
ვრცელ მწვანე არეს თვალი მოვაველე
და რომ მომესმა ბინულის ახლოს
ცხენთა თქარუნი,
როგორც ხარის რქას,
სხივებს ბოლოში ხელი ჩავეკიდე,
მოვლუნე ოგი
და მზის სხივი ცის მშვილდად იქცა...
და ცისარტყელა რომ ინთება ნაწვიმარ
ცაზე.

იმ მიმდევრობით
ისარი შვიდი გავსტყორცნე მშვილდით,
თან მივაძახე: აბა, ჰე, მიღით!
ცხენებს ფლოქვებში ჩაენთოთ ცეცხლი.



ყალუზე რომ შედგნენ,
ერთიც მძლავრად დაიჭიბინეს
და მიიტანეს იერიში მზეცზე
წყაროსთან!

მთვარის ნაზ შექზე
ნაკადულისკენ ნავარდ-ნავარდფეხენულნი
გარბოდნ (ქვეყნიშენქა)

შპინოვსკის ნაიღა

რაკი სამშობლო გვერგო ასეთი

რა უმიზეზო დღე იდგა, ლია,
რა უმიზეზოდ ვიღბენდით მართლა,
რა შარიშური გაჰქონდა ნიავს,
როდესაც შეევხდით აწყურის კართან.
რა მატირებდა, ვერ გეტყვი, ლია,
მაგრამ მე შენი ცრემლებიც ვიგრძენ...
ჩანს, ქართველები იქამდე გვექვია,
აწყურის ციხე გვაცრემლებს ვიღრე.
ვიკარგებოდით სიდიადეში,
ვიეღინთებოდით სიდიადეთი...
ჩვენ ამირანებს უნდა ვბადებდეთ,
რაკი სამშობლო გვერგო ასეთი;
ზეაობდა მზე და ვიდექით მზეში.

ბაჭალოს ზოლი მისდევდა ფერდობს...
გვმართებს სხვაგვარი ალლო და გეში,—
რაკი ასეთი სამშობლო გვერგო...
აი, ამნაირ სამშობლოს, ჩემო,
თავისუფლებაც სხვაგვარად შეენის;
და თუ ამქვეყნის შეილობას ვჩემობთ,
ბოლომდე ვხარჯოთ უნარი ჩვენი!
რა მატირებდა, კი იცი, ლია,
ვიხარე, შენი ცრემლიც რომ ვიგრძენ,
რადგან ქართველიც იქამდე გვექვია,
სამშობლოს ზველრი გვაცრემლებს
ვიღრე!

ღურმიძისან გრიგოლავისი

ძალის კუდი

მოთხრობა

ერთი ცალი ზედ თვალზე ამაფარა ქარია. ხელი მოკვირდა, თვალებიდან მოვიშორე, თითებით მოვჭიმუჭუნე და შინელის ჯიბეში ჩავჩურთე. აღიონამ, რომლის მხერხრხეც მაცქვს გადაადებული ცალი ხელი, მითხრა, რად გინდაო, რა-მეთქი, გავიკოე. ეგ ფულიო. მარ-თლაც რად მინდოდა? აღიონამ რაკი მკითხა, ამით მიფხვდი, რომ ჯიბეში ჩამიდგოა. ფულის მოუყარული ბავშვობიდან არ ვიყავი. კი მჭირდებოდა ხან რისთვის და ხან რისთვის. კინოსა, თეატრისა, წიგნებისა, ნაყინისა თუ ლაიდის წყლებიანათვის სახარჯო ფულს ყოველთვის მამძღვედნენ მშობლები. ამიტომ არასოდეს მიცდია, მეშონა ფული. მეექვსე კლასში ერთი ამხანაგი გამოყვანდა ხანდებან ჩვენი სკოლის უკან, იქ თანატოლი და უფროსი ბიჭები ზარს თამაშობდნენ ფულზე. მოშორებით მეთვალყურეები ჰყავდათ დაყენებული. რო დანახავდნენ ჩვერკენ მომავალ მასწავლებელს ან უფროსს ვინმეს, ზექსო, დაიძახებდა და მოთამაშებნიც იმავედოს მი-ოთფანტებოდნენ სხვადასხვა მხარეს. ზექსი რას ნიშნავდა, არ ვიყვოდი, ვუდებოდოდი, რა-ღაც გამაფრთხილებელი სიტყვა იყო. ჰოდა, ხშირად ვახლდი ჩემ მეგობარს. მაგრამ ვერა და ვერ ჩამითრია თამაშში. იმიტომ კი არა, რომ აზარტი არ ნამეკიდებოდა ხოლმე. დიდი ინტერესით შევიკეროდი ძირს გაყრილ კამათლებს, მომწონდა, კამათლებს რომ გაყრიდა ბიჭი და გაშლილ ხელისგულს მუხლის ოაცს ან ნეთეს მიარტყამდა. ტყაცანი გაქო-ნდა ხელისგულს. ზოგი კიდევ მოსწროდა თუ არა კამათლებს, შეკრულ მჯიღს მკერდზე მიიხეთქებდა რამდენიმე ისე ოსტატურად აკეთებდა ხელის ამგვარ მოძრაობებს, თავი რომ მოგველა ვარჯიშით, ვერ მიბძახვდი, იმ-გვარად არ გამოგვიდოდა. ეს მხოლოდ მათ შეეძლოთ. ამით ზოგს თავიკი კი მოსწონდა. აზარტი კი ნამეკიდებოდა, მაგრამ ფულის მოგების სურვილი არ გამჩენია. აზარტიანი და ინტერესიანი კი ვიყავი. მეორე ამხანაგმა ერთხელ საბილიარდოში შემეყვანა. გამიტყდა ბილიარდის თამაშში, მაგრამ შინ არ გამხედვდი ამას. მაშინ ბავშვებს მერძალბოდით ბილიარდის თამაში. ახლა ბავშვებს სახლში უდგამენ ბილიარდს. მაშინ კი აკრძალული ხილი იყო... ჩემზემად დედო-ოდი, ხურდა ფულაბს ვაგროვებდი. ფულზე არ ვთამაშობდი ბილიარდს, მაგრამ ფული ამისთვის მჭირდებოდა, ნაგების შემთხვევაში

ფროის ღირებულება. რომ გადასწავლა მომე-
კიორისთვის.

არ ვიციოდი ფულის ყადრი. იმიტომ კი არა, ბავშვობიდან დანყებული სულ რომ ჩამჩრი-
ნებდნენ გახუთებიდან, კრებებიდან, რადიო-
დან, სკოლის მერხებიდან, საბჭოთა ადამი-
ნისთვის ფული არ არის მთავარი, თვითონ
ადამიანი ყველაზე დიდი კაპიტალიო, —
(არ მესმოდა, რატომ იყო ადამიანი კაპიტა-
ლი, ვერ ნარმომეფგინა, როგორ შეიძლება
ადამიანი ყოფილიყო კაპიტალი), — ბუნებით
არ ვიყავი ფულის მოგვარული და აღბათ
ამიტომ ვერ ჩავერთე აზარტულ ყომარბაზო-
ბაში.

ჩანართი

ცოტახნით შეეაჩუროთ ბუფუს თხრობა. გზი-
დან მინდორზე რომ ნინ ხელუბგამეფერილი
ჯარისკაცი გაიჭრა და ქარს გატაცებულ,
ქაერში მოფარულაზე ნითულ სამთუშინას მი-
სდევდა დასაქურად, თითქოს პეპელას მის-
დევსო, დროებით ამასაც მოვაშორით თვალ-
მერე, ჩანართის ჩამთავრებისთანავე მივყვით
ჯარისკაცს და პეპელას.

როგორც მოგახსენეთ, იმგამად იქ გახლ-
დით და, რა თქმა უნდა, მეც ტყვედ აღმოე-
ჩნდი, იმავე კოლონიში მივიზღაზნებოდი,
რომელშიაც ბუფუ ბუდია და მისი მეგობრე-
ბი.

ნითელი სამთუშინაების ფრიალიც კარგად
მახსოვს.

რა დამაფინყებს?!

ჩემს გვერდით ერთმა ჩია ჯარისკაცმა უბე
ამოიყოს გზაზე აკრფილი სამთუშინაებით.
ვიკითხე, რა თავში იხილი, რას ნვალობ-მეთქი.
შენ გეტყობა ქართველი ხარ, ვადაი, მე ბან-
ძელი ებრაელი ვარო, ქართულად დამინყო
ლაპარაკი თქვენ, ქართველებმა რა იყით
ფულის ყადრი, რაც თქვენ ფულები გიფან-
ტით მარჯვნი და მარცხნიც, იმ ფულით
ერთი კაი სახელმწიფო გაიმართებოდა ნელ-
ში, ხო გახსოვს, თბილისში ერთმა თქვენმა
თავაფმა, — იგი პოეტი იყო, — ლეონის დე-
ქანი გახსნა, ურთ ნელინდში გაკოტრდა,
მოგება კი არა, ვალებით აიქყო ყვლამდე.
ვინ დუქანში შემოვდა, ლეონი ისე ასეა,
ფულის აღება არ იყადრა, ნაცნობებისაგან
ხო არა და არა, ბევრ უტნობსაც ისე ატანდა,
ღმერთმა შეგარგოსო, ეუბნებოდა და გაკოტ-
რდა. ჩვენ, ებრაელები რომ არ შესახლებო-
დით და არ დამამაკაცებოდით, რა გეშულებო-
ბოდათ ქართველებს, ვაჭრობის მარიტალი
თქვენთვის ღმერთს არ მოუცია, ვერ გააჩაღ-
ბდით ვაჭრობას და გაგვიჩრდებოდათ, და-
განაცვლ, ფული ხო ვერა და ვერ დააჭრო-
ვებდით, ილია ქვაჭვაყაც რომ არ ნამოგვლე-

ლებობდათ. საკუთარ ბანაკაც ვერ შექმნიდით, იმიტომ რომ ფულის შენახვა არ იყოთ, ფულს დაზოგვთ უნდა, ვადაი, ჩვენ ვაგროვებდით ფულს და მერე, მართალია, სესხად და სარგებლის ნაწილადაც გაძლევდით, როცა გააჭირდებოდათ, თქვენგან ბოძებულ ფულს თქვენვე განიხილებდით ხოლმე, მაგრამ რას იზამ, ხო დახმარება იყო, ხო ეპაუფილები იყავით?

არ დაგლახებულყო, ისედაც ჩია, მთლად არ დაიზიანებულყო, სხაპასხუბით მელაპარაკებოდა, თან, თუ თვალს წაატახდა, გზაზე დადგებოდა. წინ მიმავალ ტყვეებს გადაეჯვრებოდა, დათხეროდა სამთუმნიანებს, კრეფდა უბეში იკუჭავდა. დაჭრილი არ იყო, საღსალამათად გადარჩენოდა ნუხანდელ ზარმუხიანობას და ისე ეწერებოდა მესაუბრებოდა, სულაც არ გრძნობდა ტყვეობას, არც იმაზე ფიქრი ეტყობოდა, გერმანელები რომ მუსრს ავლებდნენ, ერთიანად, განუკითხვავად გუგავდნენ ებრაელებს. შეიძლება იმიტომ იყო ამნაირ ხასიათზე, მოულოდნელად ამდენი ფულის პატრონი რო გახდა, უბე ამოიკისო, ჯიბეები გაიტყნა.

ფული ყოველთვის ფულიაო, ქადაგებდა კვლავ მიმიყო, (მე წინ მიმიყოს მქაბიანო, გამოურია ნელან საუბარში), — ფული არც ისე მიმიჭა, ვერ ატარო, უფულობის ტვირთით უფრო მიმიჭა კაცისთვის. ფული კაცს ტვირთად არ აწვება, უფროსად ამ უბეში და ჯიბეებში, წითელი არმია ისე არ წახდებოდა, ჩვენ ამით ხელში ჩაგვტოვოს, რა იცი, ოშია, ამ აურზაურში ჩავარდნილობს, ჩვენ გვიჭირს მდგომარეობის აწონა-დაწონა, გარემოებათა ნიშნების გარჩევა, თორემ რატომ ამ უნდა გეკონდეს იმედი, ამ განამანაში ჩავარდნილებს, რატომ უნდა ამოგვიჩრქვა იმედის წყარო, მთლად არმია ხომ არ დამარცხებულა შეკაცო, ჩვენ დამარცხდით, ამ კუნძულზე მყოფნი, წითელი არმია ქვე ცოცხლობს ჯერ ამ ზღვის გაღმა, ხო შეიძლება წამოუაროს პურეკობიდან, აღვამი მოაქციოს ამ კუნძულის გერმანელები, გასრიოს, დაგენაცვლე, განვეციტოს, გაეუფოს, ჩვენ ხო გვეშველება, მერე ამით ხელში ხო აღარ ვიწმენით და, აი, მაშინ ნახეთო, რა ტყვიანი ბოჭი უფილა ბანძელი მიმიყო, ამ ტურტლიან წითელ სამთუმნიანებს რომ უბეში და ჯიბეებში იტყნოდა. ვინ იცის, მაშინ ინანო კიდევ შენ, ფურქრითი უფარა გზაზე, რატომ არ აეკრიფე, ეპარა რატომ გაეატანო. ფულს, დაგენაცვლე, არასოდეს გაუდის ყადლო, — მქაბიანა და მქაბიანა მიმიყო.

ბოლოს გრძელი გზაც გაილია. ზღვის ნაპირს მივალნივთ. გერმანელებმა ეკლიანი მავთულელებით შემორაკვეულ ერთ ადგილას შეგურდეს

ახლა, როცა მიმიყოს ამბავი მუჭუჭუნეულ ჩემდაუნებურად დედაჩემი გამახსენებდა, თელმა სამთუმნიანებმა გამახსენეს დედაჩემი.

ფრონტზე, წინა ხაზზე პირველი ხელფასი რომ მივიღე, ჩაუფე გულისჯიბეში, ჩაკვეცი. წითელი სამთუმნიანები იყო მეტნილად. მედო და მედო გულისჯიბეში, აბა, რაში უნდა დამეზარჯა, რა უნდა მეყიდა სანგრუბად და მინურბად გადათხრილ არემარენზე? ერთხელ პრიგადის შტაბის ბუდატტრამა მიხზრა, თუ გინდა შინ ვისმენს გადაურბივებ შენი ხელფასიო. ცას ენეო სიხარულით, რაკი ეს შეიძლებოდა, მაშინვე დედაჩემის სახელზე გავაფორმე ჩემი ხელფასის გადარიცხვა.

ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, თქმა რად უნდა, ჩემს წერილებს აღარ ლეებულობდა დედაჩემი, მაგრამ ჩემი უზხო-უველოდ დაკარგვის ცნობას ვერ მიუღწევია ჩემი ქალაქის სამხედრო კომისარიატამდე და დედაჩემი ომის დამთავრებამდე, ესეგი, ჩემი შინ დაბრუნებამდე, ყოველთვიურად ლეებულობდა ჩემს ხელფასს. ამან გააძღვინა დედაჩემს.

წერილებს აღარ ლეებულობდა, მაგრამ მოკლული არ ვეგონე, რაკი ჩემი ხელფასი ეძლეოდა. ფული იყო და, რასაკვირველია, ხარჯავდა, მაგრამ სხვა მნიშვნელობაც ქონდა მაშინ იმ ფულს — ჩემს შესახებ არაფერი ეწმოდა, სასოებას კი არ ქარგავდა, დალუპული რო იყოს, კინლა მომცემს მის ხელფასსო, ვარაუდობდა, იმედს ებღუჭებოდა, სული უთბებოდა ამნაირი ფიქრით.

ამ ჩანართით, — ხომ გახსოვთ? — ბუდუს ნაამბობი იქ შევწყვიტე, როცა მან თვალი მოქრა პარკში მოფარფატე სამთუმნიანებს გადევნებულ ჯარისკაცს.

მივყვეთ ბუდუ ბუდიას ნაამბობს:

საშა

გერმანელმა ბადრაგმა დაინახა თუ არა კოლონიდან მინდორზე გაჭრილი ჯარისკაცი, რომელიც ზე ამურელი ხელეზით პარკში ქარის ატაცებულ ფულის დაჭურას ცდილობდა, — მართლა გეგონებოდა, პეპელას მისდევსო, — მოიმარჯვა ატტომატო, მიუშვარა ჯარისკაცს და სამჯერ გაისმა: ტრა-ტა-ტა ტრა-ტა-ტა ტრა-ტა-ტა

მაღლა მტლავებანეული ჯარისკაცი ჩაკეცა, ჩაეჯდა და მიწაზე გაიმოტა.

გზის კიდზე დროცა დგას, დროგში შემძულ ცხემს თავი ძირს დაუხრია და ქვესაცხით გამეშვებულა. თვალეზი დაუხუჭია, თითქოს ძინავსო. პატრონი არსად ჩანს. ტყეებში ისე ჩაუარეს, უფრადდება არ მიუქცევიათ.

დროცა მიუუახლოვდით თუ არა, გენადიმ ქალი ჩამოიხზრა, კოჭლობით მივიდა, ცხენს

ფაფარზე ხელი გადაუსვა, აღვირს ხელი ნა-
 ვლო დაწინ ნაიზიდა. ცხენი არც ახლა შე-
 რხეულა, თითქმის მინამღე თაედახრლაშა ფე-
 ხი წინ წარსდგა, წელა მიჰყვა გენადის. არც
 ამისთვის მიუქცევია ყურადღება ვინმეს, გა-
 რშემო ლასლასით მიმავალ ტყვეთაგანს. არა-
 ვინ გამოჰქედებია, დროგი სად მიგყავსო.
 შუა გზაზე შემოსულმა გენადი ცხენს, ერთ-
 ხანს ასე მიჰყვა წინ-წინ. მერე შეაჩერა დრო-
 გი, მითხრა, მოკედება ეს გოგო შენი თრე-
 ვით, შეეჯექო, აღიონამ მამინვე მიმადგო
 დროგთან, ჩამომაჯენა და გვერდით მიმის-
 კუბდა, არჩილმა რამდენიმე სხვა მძიმედ
 დაჭრილიც მოათავსა დროგის ორივე მხარეს.
 გენადი წინ შეეჯდა, აღვირი მოიპარეჯა და
 უცხო გოგონა გვერდით მოისვა, აღვირი შე-
 არხია, ცხენს ფერდებზე შეხვო შეთრთოლე-
 ბული აღვირები, დროგი წელწელა დაიძრა.

არავის არ შეუცხადებია, არც გვერდით
 მომავალ ტყვეებს, არც გერმანულ ბადრაგებს,
 რომლებიც მოშორებით მოჰყებოდნენ განე-
 ლილ კოლონას, არც დროგის პატრონი გამო-
 ჩინდა და გამოგვეფეცებოა გენადიმ ივარაუ-
 და, ალბათ ვინმემ მიაგლო გზაზე, გერმანე-
 ლები რო გამოჩნდნენ მოულოდნელად, გულ-
 გახეთქილი გაიქცა და მიიძალა, ცხენს ისე
 ჰქონდა თავი დადრეკილი მინამღე, ლოღინით
 გადაქანცულს ჰგავდა, პატრონს აღარ ელო-
 და და მიითვლემოდა კიდეც. — (ღვთის წყა-
 ლობით, გენადის კარგად ეხერხებოდა ცხენის
 გულში ჩახედვა), — ღმერთმა ჩვენ დაგვახვე-
 დრა ამ გზაზე ცხენი და დროგიო, თქვა გე-
 ნადიმ და მერე გვერდით მჯდომ უცხო გო-
 გონას ჰკითხა, შეილო, შენ ვინა ხარო?!

მე საშა მენახიანო, მონათლული ალექსან-
 დრადა ვარ, მაგრამ შინაურებისთვის საშა
 ვარ, ზოგმა ტოლ-მეგობარმა საშუნია შემარ-
 ქვა, ინსტიტუტშიაც მშობიდან ბავშვობიდან
 გამოყოლილ ამ მოსაფერებელ სახელსო, აქ
 ჩვენს ნაწილში, რუსებმა საშუკა შემარ-
 ქვეს, ერთმა უკრაინელმა ლიტერანტმა სო-
 შკო, სოშკო და საშუელს არ მამოდებდა, სო-
 შკო, ომის მერე შინ უნდა წაგყავანოო. მო-
 კიდე, ბიძია გენადი, ალექსანდრა მქვია და
 ამდენწაირად გადამიკეთეს სახელი. აი, გვარს
 კი ვერაფერი მოუხერხეს, გიორგობიანი ვიყა-
 ე და შინაც და აქაც ასევე მძაბდნენ, ვერც
 რუსმა, ვერც თათარმა ვერაფერი მოუხერხა,
 ალბათ იმიტომ, რომ გიორგი გაურცლებული
 სახელია, ხმოვანებიც და თანხმოვანებიც
 ერთნაირი სიძლიერით ვლერენ: გრ-რ-ო-ო...
 გერმანელებიც ხშირ საქართველოს გეორგიენს
 ეძახიან... გიორგობა... წმინდა გიორგი... გე-
 დრგიენ... ვერ დაგვიმალავ, ბიძია გენადი, ძა-
 ლიან მომწონს ჩემი გვარი — გიორგობიანი...
 აი, სახელი კი არ მომწონს, ამ სახელით კა-
 ცემსაც ნათლავენ, მე სხვა სახელი უფრო

შემეფერებოდა, ვთქვათ, შიზა, ფრანკი ვინა
 ლა და მისთანანი, მაგრამ, აბა რა უნდა, ში-
 შა მქვია და თქვენც საშა დამიძახეთო. დე-
 დაჩემი კი მელუნებოდა ხანდახან, ქალბიჭა
 ხარ და შენ ბიჭის სახელი უფრო შეგეფერე-
 ბაო.

ისე სხაპასხუპით მიაყარა უცხო გოგონამ
 ეს სიტყვები გენადის თითქოს დროგზე კი
 არ ისხდნენ, — რის დროგი, რა დროგი, სულ
 გადაადინედა გენადის, აღვირი რომ ეჭირა
 ხელთ, თავი მდიდრულ ეტლში წარმოიდგინა,
 რომელშიც უცხო გოგონა მომზიბლავად ეჭი-
 კტუებოდა.

ვინ გაგიშტა, შეილო, რა გინდოდა შენ ამ
 დასაწყებშიო, ეს თითქოს თავისთვის ჩაილა-
 პარაკა გენადიმ, მაგრამ საშამ, რა თქმა უნ-
 და, შეკითხვად მიიღო და კვლავ ენად გაიკ-
 რიფა:

— არავინაც არ გამიშტა, გასამეტებელი
 გოგო არა ვარ მე, ბიძია გენადი, საყვარელი
 გოგო ვარ და უჩაილი გოგო, შერო იყოდე,
 გაგვიდეები, ისეთი მარჯვე ვარ, სწორედ აქ
 ვიყავი მე ახლა საჭირო, სამედიცინო ინსტი-
 ტუტს მერეც დაეამთავრებ, ერთი თვეა აქა
 ვარ და ხუთი დაჭრილი ჯარისკაცი გადავარ-
 ჩინე, ისეთი ქარცეცხლიდან გამოვიყვანე, გა-
 რშემო ყველაფერს რომ ბუგავდა, მე რომ არ
 მიმეტნო, იმათ ცოცხლებს რაღა გადაარჩე-
 ნდათი ხუთი ჯარისკაცი, აბა... მათ შორის
 საში — ქართული. საცა ფეხს გადაადგამ,
 ქართული რო არ ნახო, ხო არ შეიძლება, ა,
 ასე არაა — ხუთში საში ქართული იყო. ინ-
 სტიტუტის მერხზე ვდომას და ადამიანის
 ჩონჩხის ნეკნების თელას ახლა ეს ააქ ვო-
 ბია?! მჯეროდა, რომ ვოხდა, იმიტომ წამო-
 ვედი, მტარებელში რომ შევიდიოდე. დედაჩე-
 მმა კაბის კალთაც კინალამ ჩამომახია, სად
 მიდხარ, შე გადაურელო, არ გაგიშვებ, შენი
 ამბავი რო ვიცო, ცოცხალი ვეღარ გამოხვალ
 იქიდანო, მომადხხა, მაგრამ მამაჩემმა ჩაკე-
 და მაგრად ხელი, შეანჯღრა, გეყოფა, ქალო,
 შეგასთან ტყვიას რა უნდა, ხო იცი შენი შეი-
 ლის ამბავი, მისკენ გამოსროლილ ტყვიებს
 ხელით დაიჭერს და იმ ტყვიებით მერე კენ-
 ქობანას ითამაშებს... კენჭობანას რა მოგახ-
 სენოთ, მაგრამ ტყვიების ზომეკალში კი გა-
 ვიქროლ-გამოვიქროლე და „ვაიმედებას“ რო
 მიძახდა, ისეთი ბოჭყე გამოვაბოხე იქიდან. იქ-
 ნება ჩემი საბედო გადავარჩინე, იქნება ქე
 მომნახოს ომის მერე... ნუხელ რა ღვთის რი-
 სხვას გამოუხსნელტო, ეს თქვენ თვითონაც ნა-
 ხეთი ის რუსის გოგოც მაგარი ყოფილა. რა
 ქვია? „ო, აღიონა, აღიონა. რა კარგი სახე-
 ლია. აღიონა ჩვენებურად. განითადს წინმავს,
 ნეტავი მე მერქვას ასეო... მარჯვე გოგო ყო-
 ფილა აღიონა, გულადი და მარჯვე, ამხელა
 კაცს როგორ ვააგფოფრებოდა, თუმცა მე

-რომ არ გადაგწყვეტოდი. შეიძლება გატყრ-
რებოდათ იმი ჯოჯოხებიდან სულს გამო-
ტანა. კაცო კაცითაო, ხშირად გამიგონია, მა-
რთლაც ასე ყოფილა. მაინცდამაინც დიდი
ჭრლობა არა გაქვს, ბიძია გენადი, მაგრამ
ჭურჭი რომ გასკდა, ალბათ შაერის ძლიერმა
ტალღამ წაგაქცია, გაგანაუა, სულ ახლოს
ვიყავი თქვენთან, დავინახე, როგორ გადაგემ-
ხო ის გოგო, ბუმუღ, მიშველუ, მიშველუო, ემა-
ხდა ვიღაცას, ამ დროს წაგანყდით მეც და,
ნუ გეშინია, აფერ ვარ, მე გიშველითქო, ჩავ-
ძახე გოგონა და ორივემ წაგათრეით ორმოში,
გათუნებინას მოხვედი გონს, გახსოვს, ბიძია
გენადი, თუ არ გახსოვს? თუმცა რას გკვი-
რებო, რატომაც არ გემახსოვრება, რა დაგა-
ვიწყებსო.

საშა ისე სულმოუთქმელად ლაპარაკობდა,
გენადიმ ვეღარ მოახერხა შიგადაშიგ თავისი
სიტყვაც ჩაერთო, თანდათან ისე მოხიბლა ამ
გულუბრველო გოგონას საუბარმა, მოჯადო-
ებულღვით უსმენდა და აღარც ცდილობდა,
რამე ეკითხა.

ნიღბულჯვრიანი სანიტარული ჩანთა მუხ-
ლებზე დიდო, ყურებიანი ბენვის ქუდი
ქურა და მთელი თავი ქუდში იყო შემალუ-
ლი, ოღონდ ოვალური პირისაზე თოვლივით
უციმიციმებდა, თითქოს ბენვიან ქუდზე მიხა-
ტული ყოფილიყოს. წვერილი წარბები და
თვალწამწამი ქათქათა პირისახებზე ისეთი
მკვეთრი შავი ფერისანი არიან, გეგონება,
ტუსით დახატულიაო.

რაც გვერდით დაუჯდა დროგზე, მას მერე
ხო შეუჭრებლად ტაკტიკებს და ტატაკებს.
პატარა ვარდისფერ ტურბზე მაინც ეტყობა,
შუაში ოდნავ ამოპურქულნი რომ არიან.
მთელ სახეზე იმნარი უმანკო პავშვის იერი
აფექს, არ შეიძლებაოდა ამ ჯოჯოხებითი გე-
ნადის ეს არ შეემჩნია და ალბათ ამიტომაც
უთხრა, ვინ გაგიმეტა, შეილო, რა გინდოდა
შენ ამ დანატყვეში, პატრონი არა გაყავაო.

**ქუთაისის ბულვართან ნაოყოფილი
ფირკები**

საშას ლაპარაკმა ისე მიიზიდა, ვერც კი
გავიგე, როდის ჩაებინა დროგზე ჩემს გვერ-
დით ჩამოგდვარ ალიონას, გუშინ მთელ დღეს
განამებულდი, მერე მთელ ღამეს გატანული
გოგო მშვიდად სუნთქავდა. მაშინ დაფხედე
მძინარეს, როცა საშამ ბოლო სიტყვები ჩა-
მოფქვა: „აი, ასეთი გოგო ვარ მეო“.

დაფხედე ჩემს კალთაზე თავმიდებულ ალი-
ონას და ჩემდაუბებრად გავეფიქრე, ეს ჩემი
ცოფითი სასვე რაღას ამეღვენა. ბედისწერას
თურმე განწირული ვეადვი, ამ დღემი ჩა-
მაგდო კიდეც, ამას შიანი რად შეშვარა, მე
ახლა რაღა შემიძლია ამის საწუვეშოდა და
განახლოვდა? რაც ჩვენს შორის მოხდა,

ამის გამო რაღაც ვალდებულებაქმნიდა?
რია. ახლა დროგზე მედარმა, უნდაც ჩემს
მოთქმულმა, ალიონას რა დაფხედე, ეს აზრი
ამეკვირება.

ვგაც ვავეფიქრე: ეთქვით ალიონას დავეფ-
რებია შიარი კლიშოვისათვის და თავის სო-
ფელში გაბრუნებულიყო, დარწმინდოყო იქ,
გამომთხოვებოდა, აქ არ იყოს ახლა, დროგ-
ზე, ჩემს კალთაზე თავმიდებული. გული დამ-
წყებებოდა გამომთხოვებისას? ვინატრებდი
ახლა, ნეტავი აქ იყოსო? მართალი რომ გი-
თხრათ, არც მოვიანატრებდი და არც გული
დამწყებებოდა განშორებისას. შეიძლება ახლა
გამხსნებოდა, მაგრამ თუ მომაგონებებოდა,
მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა, რა საბრალო
გოგონა-მეთქი.

„აი, ეს კი, — ვეფიქრებ ჩემთვის, — სულ
სხვანაირად არის ანთებული ჩემს მიმართ.
კარგად ვგრძნობ ამას და სწორედ ეს მაში-
ნებს, რა გქნა, ხელს ხო არა ვკრავ, მომშო-
რდი, დამეკარგე, მომწყდი თავიდან-მეთქი.
კაცმა რო თქვას, ამას, რა თქმა უნდა, ვერ
უტყუოდი, რაღაცნაირმა ახანაგურმა, მეგობ-
რულმა ძაფებმა მეც მიმათასეს მასთან. არა,
ასე ვერ გავწინავ, კიდეც რომ ვუთხრა, ეს
ხო იგივე იქნება ამისთვის, ადგე და ტყუა
პირდაპირ გულზე მიახლო. არადა, რა გქნა,
რა წყალში ჩავეარდუ, რა ვუშველო, უავე
ასეთი ახლობელია და ხომ უნდა ვიზრუნო
ამის ბუღბუდაც“.

უცებ კოლონა შეჭრდა.

რომელიღაც სოფელში შეესულვართ.

სოფელი ქალები შემოვიდნენ კოლონაში,
წყალსა და პურის ნატეხებს არიგებენ. ტყე-
ები მიესივნენ, მიაცხრნენ, ალაგ-ალაგ ქალები
განძახდნენ, ჩემი პეტრუშკა ხომ არ შეგ-
ვედრიათო. ჩემი იგორუშკა ხომ არ გინახა-
თო?..

ალიონა შევანჯღრივ, გავაღვიძე დაფთე-
ბული ნამოჯდა. მაშინვე შევედღრე, თავს
უშველავ სოფელი ქალები გადაგამალავენ,
შეგიფარავენ, ხო ხედავ, რა ეკითღები არიან,
პური მოგიტანეს, დაგვარწყულეს, გავევი
რომელიმეს, გერმანელი ბადრაგი, როგორც
ჩანს, ბუერი არ არის, ალბათ თიბო-ოროლა
თავში და ბოლოში, თორემ ამ ქალებს ასე
როგორ მიუშვებდნენ ჩვენთან, გაყვევი, გო-
გო, რომელიმეს, დარჩი ამ სოფელში, შე-
ხიზნე სოფელს, მე როგორმე მოგქედი, თუ
გადაურჩი-მეთქი.

მოვიდა კიდეც ერთი ქალი, პურის ნატეხე-
ბი ჩაგვჩარა ხელში, წყალი დაგვადევინა.
დედაა ეს გოგო მაინც გადაარჩინე, წაიფანე
შინ, გადაამალე-მეთქი, ვუთხარი ქალს. ხელი
ჩაკოდა ალიონას ქალმა, ნამოდი შეილო, გე-
რმანელები თავსა და ბოლოში მიგიძღვი, თუ
ვერც დაგვინახავენ, ნამოდი, მაგრამ, არა,



არაო, გასასვლელი ხელები აღიონამ, არსადაც არ წავიღო, ცოცხალი თავით ამას ვერ მოვშორდები.

შორია.

გათადებ.

ნაიფ, თავს უშველო, ანი არასოდეს ვეცვი აღიონას.

როგორც ჩანს, ნურამწერელმა მე ამომირჩია ამისთვის და ნურამწერელის ნება-სურვილს ვინ გადალობებია, მე რომ გადავედო.

გაიკლანა ისევ კოლონა გზაზე. გენადიმიც ნელა დაძრა დროგი.

გვარინადა მომშობია.

პურის ნატეხი კი შემომარტა ხელში იმ ქალმა, მაგრამ ღრანტები გაკრული მატებს, ლუკმა ვერ გაუღებ, ნამცეც-ნამცეც დავრდები ენაზე, ნურწყვით დაშხალი ნამცეცები აბეზივით ვყლაპე და პურის ნატეხი ასე შევჭამე. საღამომდე ვიარეთ.

ორჯერ შეგვახვენი.

ზღაზენით მიმავალ კოლონის ბოლოდან დროგამოშვებით ავტომობილების კაკანი ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, გზადაგზა ვიღაც-ვიღაცები ეცემოდნენ, მძიმედ დაჭრილებმა ვეღარ შესძლო სიარული, დაშხმარე, მხარში ამომდგომიც აღარავინ აღმოაჩნდათ, დაეცნენ და ვეღარ ადგებან, ცდილობენ წამოადგომას, მუცლებს დააბეზენენ მიწას და წამოიხრებიან, მაგრამ ღონე აღარ ყოფნით, ისევ გაიმხლართებიან მიწაზე, თავს ნამდგარი გერმანელი მთავრობები ერთი-ორჯერ შეუღრენენ, ადექითო, მაგრამ წიღეს რო ვეღარ წამოიხრათავენ სისხლგამოლეული და ღონედაცლილი ნაჯარისკაცადნი, ავტომობილს მიუღრენ და გათადებდა ნაჯარისკაცლთა ტანჯვა.


ეს ხმა ზარავს კოლონაში მოღალასაც დაჭრილებს, ჩურჩულ-ჩურჩულ კოლონის თავამდე აღწევს ბოლოში მოშხდარი ამბავი და ყველა იძებბა, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, არ დაეცეს, არ დაეადრეს, საღსალამათად მყოფნი ხელს უწვდიან, ყველა არა, ზოგ-ზოგი ვურადადღებასაც არ აქცევს მის გვერდით დაცემულ, ან ჩამუხლულ დაჭრილს, თავისი სადარდებელი მოჭარბებია, არაფრად არ ადგებს მოვასის გასაჭირს. რას იზამ, არიან ასეთებიც იქაც, აქაც, შინაც, ვარეთაც, სამეზობლოშიაც, სანათებაშიც, ყველა გურისა — ქართველიც, რუსიც, თათარიც, ბალტიისპირელიც, უზბეკიც. არიან თავისთვის, თავისთავისთვის, თან მოგდებს, მოგყვება გვერდით, მოგყვება და საქმიანობს შენთან ერთად, ანუ მოგტყავს გეტყვის, გაგაცინებს, გაიცინებს, ჩაგეზიარება სიცილიში, ქაშაში, სუფრასთან მოგყვება, სადღეგრძელოს გეტყვის იცნოს, ცამ ქუხილი დაიწყოს, მომეციო, მასსხებო, ამა და ამა საქმეში ხელი გამომართეო. გეტყვის, ვთხოვს. ცხოვრობს ასე შესს

მხარდამხარ, ნაცნობია თუ უცნობი უნდა მხარდამხარე არა გაქვს, როგორც ჩვეულებრივად დო, თავისთავა. შენ რომ გაჭირვების ტალღის იყავი მისთვის, შენ თუ გაგაჭირდა, ტალი და ცვენი კი არა, ერთ ნვეთ ცვარს არ გაიმეტებს შენთვის ბალახიდან, ფოთლიდან. ადამ და ევა რომ მიწაზე ჩამოყარა მამაუფაღმა და ადამის მოდგამა იწყო გამრავლება, ე. იმდროიდან გაჩნდა ამნაირი კაცოც და მერე მისი მოდგმა მოხვევა და მოხვევა ნუთისოვალს. არიან ასეთები მშვიდობიანობის გასსვლ, მფოთლიანობის ეამსაც. ზოგი მათგანი ომმა ეითომ გამოაფხიზლა, სცვიდლთან თამაში მარტოკანა კაცს გაუჭირდებო, გამოიტანა ასეთი დასკვნა რამდენიმე კვირის შემდეგ და თანამებრძოლებისკენ თვითონვე გაინფინა და მხარეზე ხელი. ზოგ-ზოგი მიხვდა ამას. ამნაირი ჯიღაგის ზოგი აქვს კი კერპი გამოფა, ვერა და ვერ გაიმეტა გაჭირვებული მოვასისათვის ერთი ნვეთი ცვარც-ავერ, ჩვენთან ერთად ჩამდგარან კოლონაში და ჯურჯურობით თვითონ სასლამათის ფუნებზე სკიდა დაჭრილი ტყვე. გულგრილად შესხეცენ, სხვანი და სხვანი რომ ოღონა-მონრეტლინი შედგომიან მხარში დაჭრილ მეგობარს, შეიძლება მეგობარც არ არის, სრულიად უცნობია, მაგრამ მაინც შედგომია, გაძნელება ასე სიარული, მაგრამ მაინც ვერ უკრავს ხელი გაჭირვებულისათვის და მიათრებს.

რა არის ეს?

რა ძალა ეზიდება დაემუღლისკენ ამ ბიჭებს, ამ ყმანელებს, ჯურჯურობით შხამგარეული სამსელი რომ არაფერი დაუღვივით, გამოუცხადებს, გამოუჯვავებს ცხოვრების გზაზე, თვითონვე თავზარდაცემულს ტყვეობის ეღდით, ვინ, რა უბილავი რამ ჩააგონებთ, მიდი, მიეშველე, ხელი ჩასჭიდე, მხარში შეუდექი, თორემ მთავრობაზე გერმანელი მოყვება კოლონას ბოლოში, არ დაინდობს, არ შეიბრალებს, კაცია ისიც, ადამიანია, მაგრამ არ დაინდობს და არ შეიბრალებს, რადგან ჩვენსა და მას შორის მტრობაა ჩამოყარდნილი. ჰოდა, შენ არ შეუდექი მხარში თანამდგომელ ნაჯარისკაცს და ის, მტერი ხო არ შეიღებს ბუჭებს რა იცის, იქნება დაჭრილი არ არის და იგონებს, მერე წამოდგება, იარაღს იშოვის და კვლავ ბძოლას დაუწყებს. ამიტომაც ტრა-ტრა-ტრა... მიაყრის ავტომობილს ტყვეობს და არხონად მიხვება ცოცხად დაჩრწილთა კოლონას ბოლოში.

ამ შიშმა, ავტომობილის ტყარცელტყარცალმა დაძაბა კოლონა. თავიდან თუ განელილი იყო გზაზე, ახლა უფრო შენივთდა, შეიკრა, შესქედდა, დაჭრილიც და საღსალამათიც ცდილობს მენწინავს არ ჩამორჩეს, აღარ ჯა-



ჯღანებენ გერმანელი ბაფრაგები, ბევრნი არც არიან, არ მოუწოდებენ მიღწევებულ ტყვეებს, არ ჩამორჩეთ, ფებს აუჩქარეთ, განზე არ გამოხვიდეთო. ამას ყველაფერს ავტომატის ხანგამოშვებითი კავანი ანუსტრავს.

თითქმის ყველა ერთი აზრით არიან შებოტილი, — ამისთანა ყოფას სიკვდილი ჯობიაო, მაგრამ სიკვდილი მაინც არავის უნდა. სიკვდილის შიშმა ისინი ახლა უხილავი თოკებით გადააბა ერთმანეთს.

ავტომატის კავანს რომ გაიგონებს, ზოგი ჩაილაპარაკებს კიდეც, მოისვენა სანყალშაო, ჩაილაპარაკებს, ჩაიურჩილებს თავისთვის, ან გვერდითას ეტყვის ასე, მაგრამ თვითონ არ უნდა ასეთი მოსვენება. ამიტომაც უფრო ძაბავს ძალ-ღონეს, იქნება სული მიათარიოს იქამდეც, საცა მიჰყავთ.

ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა მიიყვანონ სადმე, ხო უნდა დააბანაკონ, სულ ხო არ ივლიან და ივლიან, თავადაც ხო უნდა მოითქვან სული.

ბანძელი მიშკო კოლონაში ხან წინ იყო, ხან უკან, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს. ქართულებს ეძებდა. ჩვენც გადაგვაკინწყდა და ახლა არჩილს მისადედა გვერდივერდ. არჩილს ლაპარაკის იშტა ჩაშრტელი ჰქონდა. ისედაც სიტყვაძვირს ახლა მთლად ჩაუვარდა ენა. მძიმედ მიჰყვებოდა კოლონას და თავის ფეხებში იყო ჩაძირული. ყური კი მოჰკრა, საშა რა შეეკითხა გენადის, ვინ არის ეს ახმახიო, რამხელა ბეჭები აქვს, მოჭიდავე ხომ არ ყოფილაო, მაგრამ აინუნშიაც არ ჩაუგდია ენაგარტაღა გოგოს ცნობისნადლო.

ბანძელი მიშკო კი ხანგამოშვებით სიტყვას გადაუგდებდა, რა თქმა უნდა, ქართულად, მაგრამ თავისებურად, ქუთაისელ ებრაელებს რომ ახასიათებთ, ჩვენს მეტი რომ ვერაინ შეამჩნევს, იმგვარად.

მიშკო ბანძელი კია, დედამამა ახლაც ბანძაში ჰყოლია, თვითონ კი ცოლ-შვილიანად ქუთაისში ცხოვრობს, იქ უმუშავნია, ებრაელების უბანს შესისხლბოცებია. ქუთაისი ხომ თავის მკვიდრებს, ძირითადას, მამაპაპურს შო და შო, მაგრამ ჩამოსულსაც ერთი-ორი თვის შემდეგ თავის ელფერს აძლევს, ჩაითრევს, ჩაიყოლიებს თავისებური ჩარხის ბრუნვით. არც მთლად ქალაქურია ეს ელფერი და ჩარხი, არც მთლად სოფლური. ინდუსტრიული კი შეარქვებს, რამდენისაც ფაბრიკა-ქარხანაც აშენდა, რაა მერე, მის მკვიდრებს ინდუსტრიულია არა ეტყობათ რა, არც გარეგნულად, არც მოქალაქეთა წეს-ჩვეულებებში. ინტელექტუალური ცხოვრება კი გაციხარია, ჩქევის და ჩქევის. მწერალი, თეატრი, მასწავლებლები, წიგნი და საღონები იმნაირი და იმაგვარი, რომელიც განბავთ ვეროპულ ქალაქს რომ დაშვენებდა.

ქუთაისი დიდი სოფელიც არის და დიდი ქალაქიც

ამიტომ აქაური ებრაელებიც განხორცილნი საქართველოს სსფა კუთხეების ებრაელებისაგან წეს-ჩვეულებებითაც, საუბრის სტილითა და კოლოთიც, ლექსიკოთაც კი.

— ებრაელების უბანს ქუთაისში ხანძარი რომ გაუჩნდა, თუ გაგვიგონია, დაგენაცვლე? — ჰკითხა მიშკომ არჩილს.

რამ გაახსენა, რა დროს ქუთაისის ხანძარიო, კი გაიფიქრა არჩილმა, სრულებითაც არ სურდა ახლა ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც უპასუხა:

— შო, გამიგონია.

— გაგვანება, აბა, არ გაგვგონება, არც ისეთი პატარა იქნებოდი, არ დაგმამხსოვრებოდა. გეუბნები მე შენ, იმისთანა ხანძარი დუნისას არ ახსოვს.

— ხანძრის მეტი რა ყოფილა, შე კაცო, ქვეყანაზე.

— კი, შემოგველე, კი, დაგენაცვლე, თქვენ, ქართულებს რომ ხანძრები ავტრიალებოთ ცაზე და მიწაზე, იმისთანა ხანძრებს მოსეს ჯამაათიც ვერ გაუძლებდა. ვერა-მითქი, მე და ჩემმა ღმერთმა!

— შენ რა იცი? — ჩაკითხა არჩილი.

— ეცი, ვიცი, თქვენთან დავიბადე, ჩემი მამაპაპების საფლავები თქვენს მიწაზეა, თქვენს ენაზე ვლაპარაკობ, ვინა ხართ და რანი ხართ, აბა, არ უნდა ვიყოდე?!

— შენ, გეტყობა, ურიგო კაცი არ იქნები.

— გატლია არჩილს.

— რიგაინ ვარ, დაგენაცვლე, აბა, რა ვიქნები, — უღალატო ვარ, სანდო კაცი ვარ, ქუთაისში ყველამ იცის ეს, არ გვიშვა არაფერი მოღალატე და ცრუშენტილა კაცის.

— თქვენ, ებრაელები, სანდო ხალხი ხართ.

— კაცი რა კარს გაგიღებს, შინ შეგიშვებს, შეგიფარებს, თავისივე ეზოში დაგასახლებს, იმისთვის სანდო უნდა იყვე, შეგეშე, შეთვისე, გაძლიერდი. თქვენი წყალობით არა ვართ, რა ვართ! ქართველებისთვის ჩვენ სანდო ვიყავით, ვართ და ვიქნებით მუდამ.

— ბევრი შემოეშვით და დავასახლეთ, მაინც არაფრად გვაგდებენ, ჩვენი ენა რომ ისნავლონ და ჩვენს ენაზე გველაპარაკონ, ამას თაკილობენ. ჩემს ჭურვემ მის ენაზე უნდა ელაპარაკო მანცდამაინც.

— არიან მასეთებიც, არიან, რამდენიც გინდა, მრავლებიან და მრავლებიან, ისე მრავლებიან, ცალკე სკოლებიც დასჭირდათ. ჩვენ, არა, დაგენაცვლე, ქართულად ვლაპარაკობთ და შეილებიც ქართულ სკოლებში შეგყავს. მწერალიც გყავს ერთი, გურცელ ბაზოვი, გეტყვინება. იმან დანერა რომანი ქუთაისის ხანძარზე

— ვიცი. „ფეთხანი“.

— ნახანე რო ბრძანე, დაგენაცვლე, იმნაირმა უტხო თესლის ხელხმა ქუთაისშიც ნამოყვეს თავი, კარგა ხანია. ეგიც გეცოდინება შენ, მარა ნურასუკაცრავად, თავინთ ნებაზე არ მოუშვეს ქუთაისლებმა. კეთილი ინიბენ და ალაპარაკდნენ ქართულად, ისე ლაპარაკობენ, დაგენაცვლე, ვერც კი გაარჩევ ქუთათურფობასგან. ფრანგებო, გერმანულბო, ბერძნებო, სომხებო, რუსები ხო და ხო... ყველამ თავინი საყდარი და სალოცავი აიშენა. ჩვენაც ქე გვაქვს სინაგოგა. იმ უშველებელ ხანძარს სინაგოგა გადაურჩა მარტო.

— წმიდა ტაძრები უფრო უძლებენ ხანძრებსა და ქარიშხლებს.

— თქვე დალოცვილებო, თქვენ იმისთანა ადგილებზე აშენებდით ტაძრებს და ეკლესიებს, ეშმაკი ვერ მოუდგებოდა და გადაგირჩათ ამიტომაც.

— შენ გეტყობა გვარჩინად იცი ჩვენი ისტორია.

— ვიცი, დაგენაცვლე, ვიცი. ქუთაისის ბუღვართან ვარ გაზრდილი. ბაგრატი იქვეა და ბევრჯერ აესულვარ კობებით იქამდე, გელათი და მწვანეყვავილაც მინახავს. დღემდე მიკვირს, ვადაი, რა ხარკაშეზებით ან რა ბერკებებით აათრიეს გელათის კედლის ვეებერთელა ღრულები იმ მთაზე. ყოველ საღამოს ბუღვართან ვიყავი, ამხანაგები მყავდა ჩემი ტოლი მწერლები და პოეტები. პო, პო, პო, რას არ გაიგონებდი იმათგან, ხელისგულზე ეღოთ ქვეყნის წარსული, როგორ ეფერებოდნენ, როგორ ელოლიავებოდნენ, როგორ ამყობდნენ იმით! რო შემატყვეს, მაინტერესებდა, ხანდახან წიგნიც მომიტანეს, შინ გამატანეს, ნაკითხეო. ებრაელების დანეველილ ბედს ვუდარებდი თქვენასა. ჩვენ ვერ გავუძელით ისტორიულ ქართველებს, დავიშალეთ, დავნარსკესულ, სახელმწიფოებრივობა ვერ შევიწარმოეთ, მოსემ და მისმა ჯამაათმა ვერ მიადნეს აღთქმულ ქვეყანას. თქვენ, ასე მცორერეცხებენება და ასე პატარა ადგილამაშლის პატრონებმა კი დღემდე არ დაკარგეთ ეროვნული და სახელმწიფოებრივი სახე. მარტო შენმა კოხმზე, კახეთმა, რაც გადაიტანა, — (ხო მიცხვდი, დაგენაცვლე, კახელი რო ხარ, კილო-კახე შეგატყვე), — იმას ერთი დიდი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა. ამ დღემი რო ვართ ახლა ჩვენ, არ გავგონებთ ასიათასობით კახეთიდან გარეული ქალები და ბავშვები. დიდი და პატარა, შამაბასმა რო წალალა ფრედიდანისკენ? ჩვენაც ასე მიგვერევიბიან ახლა ეს ოჯახდაქვეულები. სად მიგვერევიბიან ნეტავი?

— ფულს რო ბოჭავდი გზაზე, სხვათაირი კავრ მივქონე, მიშეყო, — გადახვდა არჩილიამ მიშეკოს.

— რატომ, დაგენაცვლე?!

— ფულის მეტი არაფერი აინტერესებდა მე, თქი, გავიფიქრე.

— ფული უნდა გაინტერესებდეს, დაგენაცვლე, ფული მაინც ფულია. ფულს ჯადო ძალა აქვს, იცოფე ახლა რო გერმანული ფული მომცა ზლომად, იმ ბაღრაგებს, ბოლოში რო მოგვეყვიბიან და წარამარა ავტომატებს აჩხაკუნებენ, მივეცემდი და, რა გგონია შენ, მოვისყიდდი, ძირს დაცემულ დაჭრილებს ნუ ესვრით-მეთქი, ვუტყობდი და გვეითებდი, რა გგონია შენ, გადაეარჩნენდი საცოდვეებს. დიდი ძალა აქვს ფულს, ნამეტანი დიდი.

— შენ ფულის გარდა სხვა რამეც გაინტერესებს თურმე.

— ქუთაისის ბუღვართან გაზრდილ კაცს ბევრი რამე უნდა აინტერესებდეს, დაგენაცვლე.

საშაბრი მის ძვეს

ღამე ცისქვეშ გავათიეთ.

ერთი საფლის განაპირას, მავთულხლართებით შემოღობილ ტიალ მიწდორზე შეგვაკურჩეს. ეკლიანი მავთულებით შემოღობილი ადგილი იქნება ადრე ნახორის სადგომი იყო, აქა-იქ მიმოყრილი ფუნა და მოშარდული ადგილები მეტყველებდნენ ამას. მავთულებიც ჩაფანტული და აღგ-აღაგ მიმორღვეული ჩანდა.

გარშეშო გერმანული მეავტომატე პადრაგები იდგნენ.

ქანცვამოცლილი ტყეები მიწაზე მიეფარნენ. საქონლის ფუნისა და შარდის სიმყრალისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, დაპყარგვით ამ სიმყრალის შეგრძნების უნარი, ზოგი ძალაშარტულით და ქრილობების ტივილებით გულშეღონებულთ ერთი სული ჰქონდათ, მიწაზე როდის მიეგდებოდნენ და სულს მოითქვამდნენ.

ჩვენ დროგი შესასვლელთან შეაჩერა ორმა გერმანელმა, ზედ მსხდომნი გადმოგვეყარეს. გენადის ერთი ავტომატიანი გერმანელი დროგზე გვერდით მიუჯდა და საფლისაკენ ხელი გამოშვრა, იქით წაიყვანე დროგი.

სოფელში დიდი კასრი უშოვიათ, დროგზე დაუდვიათ. აუვიათ წელით, მოიტანეს და გენადის უბრძანებ, წყალი გაუნარილე ტყეებსო. შესასვლელთან გარე იდგა დროგი, ათათი კაცი გამოჰყავდათ და გენადი შათ უსხამდა წყალს თავათიანთ ქურქელში. ზოგს არც საველე ქვაბი ჰქონდა და არც მათარა, პილოტურას უშვერდა გენადის, იქვე პორთან იყუდებდნენ და სულმოუთქმელად სვამდნენ, პილოტურებში ვრცავდა წყალი, ზედ ეწუნებოდათ და ამიტომ სვამდნენ სულმოუთქმელად, რაც შეიძლება ნაკლები დაღვროდათ.



ინსურენციულად დაიკარგა მინაზე განდენ და მიიძინეს.

ვიღაცა მალა-მალაღი, სათვალისანი მითორი საშასთან მივიდა, მე ექიმო ვარ, შენ ალბათ მონყალების დაი ხარ, კიდეც კარგი, ჩანთა არ დაგეყარება. საშა წინ დაუდგა მითორს, დიას მონყალების დაი ვარ, მაგრამ სამწუხაროდ ჩანთაში აღრადფერი შექვს, გზა-დაგზა გაუხარჯე ყველაფერიო. ევაც მონყალების დაიო? — ალიონაზე მიუთითა მითორმა. ევაცო, მაშინვე მიუგო საშამ. აბა, ახლავე, სასწრაფოდ, ჩამოუარეთ ამით და გამოარკვიეთ, კიდეც ხომ არ არიან სანიტრები, ექიმები, ბანდები და ნამლები თუ რამ შემორჩათ, ნამოილონ და აქ მოვიდეს ყველაო.

საშამ ალიონას ჩაჰკიდა ხელი და უნესარგოდ მიმოფანტულ ტყვეებში შეერია...

მალე დაბრუნდნენ. თან მოჰყავთ რამდენიმე კაცი. მითორი არც მისალმებია, არც ვინაობა გამოუკითხავეს, პირდაპირ მიმართა მათ:

— ბევრია დაჭრილი, სანამ ადგილზე მიგვიყვანდნენ, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ. ჩამოიპარეთ, ნახეთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ, ისე დაეხმარეთ, გადაუხვიეთ ქრილობები, რომელთაც მძიმე ქრილობა აქვთ, გამაგებინეთ მე. ჩვენი მოვალეობა ახლა ეს არის და ნუ დაიზარებთ.

ალიონა და საშა ნაშუალამევეს დაბრუნდნენ ჩვენი. ნამონდნენ ჩემს გვერდით და რაკი ჩვენ მძინარენი დაგვიგულეს, ერთხან იჩურჩულეს:

ალიონა — მე რომელი სანიტარი ვარო?

საშა — რა უნდა, გოგო, სანიტრობასო!

ალიონა — ნამლები მე არ ვიცი და არაფერიო.

საშა — მე გასწავლიო.

ალიონა — ქრილობას რო შევხედავ, შეშინაო.

საშა — მერე რა, შეეჩვევიო.

ალიონა — ვერ შევეჩვევიო.

საშა — აბა, ამ გაჭირვებულებს მოვლა არ უნდაო?

ალიონა — კი უნდაო.

საშა — მერედა, ჩვენ თუ არ მოვუარეთ, ვინ მოუვლისო?

ალიონა — სხვა რამეს გავაკეთებო.

საშა — სხვა რამის გასაკეთებლად შეიძლება კაცებთან არ გავგაჩერო.

ალიონა — რატომო?

საშა — რატომ და გოგო ხარ, თავისთან ნაკუვიანდ გერმანელები, ან ოთახს გამოგაგვიყვინებენ ან ქურჭელს დაგარეცხინებენ, ვინ იცის კიდეც რას არ მოგთხოვენო.

ალიონა — მაგათთან რა მინდაო?

საშა — მაგათ ხელში ხარ, ან რასაც მოისურვებენ, იმას გაგაკეთებინებენო.

ალიონა — ვაიმეო!

საშა — რა იყოო?

ალიონა — ამას რომ მომავიწყდებოდა, საშა მოვიკვლიყო. (ალბათ ჩემსკენ მიანშინა საშას).

საშა — სანიტრად რომ იქნები, დაჭრილებს ვერ მოგაშორებენო.

ალიონა — მაშ, კარგი, კარგი, ვიქნებიო.

საშა — შე ეშმაკო, მაგის შეყვარება აგრერიგად როდის მოახნარი ამ აურზაურშიო?

ალიონა გაიტრუნა. ცოტახნის შემდეგ საშამ საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა.

საშა — შეხედე, შეხედეო!

ალიონა — რა იყოო?

საშა — რამდენი ვარსკვლავია ცაზეო!

ალიონა — ვხედავ, მერე რაო?

საშა — იქ ჩვენ-ჩვენი ბედის ვარსკვლავიც კიაფობსო.

ალიონა — შენი რომელიაო?

საშა — რა ვიციო.

ალიონა — აბა, ის საიდან იცი, შენი ბედის ვარსკვლავი იქ როაო?

საშა — ბებიაჩემი მეთვლიდა ხოლმე ასეო.

ალიონა — ბარემ ისიც ეთქვა რომელიაო.

საშა — მაგი შენ თვითონ უნდა აირჩიო.

ალიონა — მერე აირჩიეო?

საშა — კი, ავირჩიეო.

ალიონა — თუ აირჩიე, მითხარი, რომელიაო?

საშა — ერთხელ ავირჩიე, მარა თვალი რო მოვაშორე, მერე ვეღარ ვიკანი, ყველანი ერთხაირები არიანო.

— ალიონა — შენ საიდან გაჩნდი ჩვენთანო?

საშა — მინიდან ამოვმევიო.

ალიონა — იმ ცოფო-მადლით საესე მინიდანო?

საშა — პოო.

ალიონა — რამ ამოგაძვინაო?

საშა — ჩემმა ბედის ვარსკვლავმაო.

ალიონა — ავი არ ვიცი ჩემი ბედის ვარსკვლავიო?

საშა — ცაზე დამეყარა, თორემ ისე ქე ვიცი, თან რომ დამეფეს, არ მშორდება, ხან ტვირთად მანქეს, ხან ფრთხილად შემესხმებაო. ალიონა — მელაპარაკები თუ ლექსს მიკითხაო?

საშა — ლექსი რა შუაშია, გელაპარაკებო.

ალიონა — გოგოსგან მე მაგნაირი ლაპარაკი არასოდეს არ გამიგონია.


საშა — ახლა ხო გესმისო?

ალიონა — სულ ერთი დღეა გიცნობ და უკვე მომწონხარო.

საშა — არც შენ უნდა იყვე ურიტო გოგო.

ალიონა — შენ რო ჩემი ამბავი იცოდე...

საშა — რა ამბავია ასეთიო?



ალიონა — ახლა ვერ გეტყვი, მერეო.
საშა — ჰო, კარგი, აბა, ახლა დავიძინოთო.

„საშას მატყუარი“

მეორე დღეს, ნაშუადღევს მივადნით ზღვისპირეთის ერთ ქალაქს.

ჩვენ ისევ გენადის დროგით მივგორავდით. არჩილი არ ჩამომგდარა დროგზე, სულ ფეხით იარა და გვერდიდან არ მოშორებია ბანძელი მიწილა, რომელიც იმდენ რამეს ეუბნებოდა, მივირდა, როგორ უძლებს-მითქი არჩილი, მვეონა, შადგამ, საცაა იფრენს-მეთქი, მაგრამ არა, პირიქით, ხანდახან თვითონაც ჩაებმებოდა ხოლმე, რადაცით დანტერესდებოდა, მიშიკოს მოულოდნელ შეკითხვებზე სასუხოზადა.

კოლონის ბოლოში გერმანელების ავტობატების კაკანი უფრო გახშირდა. ეს იმას ნიშნავდა, გზა გაძნედა, დაჭრილებს გაუძნედათ, მათ დამხმარებასაც გაუძნედათ. შიმშილიც მოგვეჩალა, ერთი ფინჩხა პურიც არ მოიძებნებოდა, არავინ გვაძლევდა. ბერძნად ველარ შეძლო დაჭრილების ზიდვა, მხრებიდან გამოცვალენ უბედურებს, ისინიც ვეცმიან გზაზე და, აბა, გერმანელებს მეტი რაღა დარჩენიათ და ტრა-ტა-ტა-ტა... ტრა-ტა-ტა-ტა... გვექმის ხოლმე კოლონის ბოლოდან.

უქიში მაიორი ჩვენს დროგს არ შორდებია, ორი მძიმედ დაჭრილი მოათავსა დროგზე, დაჭრილები სულს ლაფავენ და მაიორი ნარამარა მათ დასცქერის. ხანდახან საშასა და ალიონას გზავნის კოლონის წინ და უკან, დაჭრილებს მიხედუთ, ბიჭებს უთხარით, გაიჭირვონ და არ მიატოლონო. ალიონაცა და საშაც გაძვრება-გამოძვრებიან კოლონის წინ და უკან, ამხნევებენ დაჭრილებსა და მათ დამხმარებას, ცოტაც კიდევ, ცოტაც გაუძნელით და მალე მივადნეთ, მალე გუშველებათო, მერე ბრუნდებიან და მაიორს ეუბნებიან, რაც ნახეს და რაც იღონეს.

დროგზე გამოტოლი დაჭრილები კვენსიან, ზორგავენ.

— ბიძია გენადი, — უთხრა საშამ გენადის, — ამ დროგს რო დაავლე ზელი და დაისაკუთრე, მივირს, როგორ შევჭრჩა.

— ნუხელი ორი ტიპი მოვიდა ჩემთან, — თქვა გენადიმ, — მითხრეს, მაგ ცენუს ბოლოს მაინც ნაგართმევენ გერმანელები, ხალხი შიმშილით იხოცება, მოგვეცი ეგ ცენი, დავკლავთ და ხორცი გავინანილოთო. თავიდან მომწყვდით და მეორედ არ გამიბდლოთ-მითქი ეგ, შეეუბლებირე. კუდამოძუებულები გაიძურნენ.

— გათახსირებულები.
ნუ ამბობ მაგრე, მოშივდათ, მშიერი

კაცი აღარფერზე ფიქრობს, დაჭრილებიც კი ფეხებზე დაიკიდეს, მოშივდათ-მითქი რას იხამ, არიან ასეთებიც. გინჯინქმეკა — ბიძია გენადი, — თქვა საშამ, — ეგ საცოდავები თუ გადარჩნენ, შენზე უნდა ილოცონ.

— ეჰ, ჩემო კარგო, ოღონდაც გადარჩნენ და მიზე უნდათ ილოცონ და უნდათ სულაც ნუ გათხსინებენ.

— უნდა ილოცონ, აბა, რა, ეს დროგი რო არ იყოს, ესენი კარგა ხანია უსულოდ ეყრებოდნენ გზაზე.

ზღვისპირა ქალაქში გერმანელებს უკვე გაუმზადებინათ ტყვეთა თავმოსაყრელი ბანაკი. რომელიღაც დიდ მოედანზე ცის ქვეშ შემოუღობიათ ეკლიანი მავთულებით, მიუშენებიათ საგუშმაგო მალალი ჯიხურები. ერთ მხარეს გაუშლიათ ბრეზენტის გრძელი კარვები დაჭრილების თავშესაფარებად.

ჩვენამდეც მოუყვანიათ ტყვეები, რომლებიც თავიანთ ნებაზე განლაგებულყვნენ, ვინ სად და ვინ სად. დაჭრილებიც მოეთავსებინათ კარვებში, ტყვე სანატრები დასტრიალებდნენ თავს დაჭრილებს.

ჩვენს შეგვლათეს ამ ბანაკში. ექიმმა მაიორმა ალიონას და საშას დაავალა, დაჭრილებს აქ მოუყარეთ თავიო და თვითონ დროგიდან გადმოყვანილ მძიმედ დაჭრილებს მუშაძვა კარავში.

როგორც კი დაბრუნდნენ, ალიონა და საშა მაშინვე მე, არჩილსა და გენადის მოგვაცხრენ. კარავის კიდეთან აფგილები მიგვიჩინეს, თავადაც გვერდით მოთავსდნენ.

დროგსა და ცენუს მივხედავო, და გენადი ნავიდა.

შენილება გაფხინეთ და ნაშოვნეკით მე და არჩილი.

ჩამძინებოდა.
თვლი რო გაუახლე. ჩემს გვერდით საშა იჯდა მხოლოდ არჩილი და ალიონა გენადიმ ნავიყვანა, დროგით ბალანდა უნდა მოიტანოს, ჩვენი ქვაბურებიც წაიღეს, ბალანდას მოგვართმევენო, მითხრა საშამ და დაუმატა:

- ბოდავდი ძილში.
- ვამბობდი რამეს?! — დავინტერესდი.
- ამბობდი, მარა არ შესმოდა სიტყვები, ნახევარ სიტყვებს ლულულულებდი. ნახევარს — ყლაპავდი.
- ვერ გაშალიეძე?
- შენთვის ახლა ძილი ყველა ნამალზე უკეთესია.
- თუ უნვალობდი...
- მერე რა, მძინარე ნვალობდი, ცხადში ხო არა?!
- მაინც უნდა გაგვლიძებინე. იქნებ მაგ-ლაჯუნა მანვა, ცოდაო კაცი ამ დროს.

სულისმხუთაცი მავლაჯუნა არ განვა-



ლებდა. შენ. ალიონაც აქ იყო, რაღაცას რომ
ტყუარდღუნობდი. რას ამბობსო, მკითხებოდა,
მაგრამ რა შეპასუხნა, მე თვითონ არ მესმო-
და შენი ჩიქორთულად ნაბოღვარი.

— სად არიან? — ბანზე ავუგდე სიტყვა
საშას.

— ხო გითხარი, ბალანდს მოვიტანითო. ნუ
გეშინია, შენს ალიონას არაფერი მოუვა, არ-
ჩილი ახლავს თან.

— რისი უნდა მემინოდეს? — მივაშტერდი
საშას, არ შეამა, შენს ალიონასო, ეს რო მი-
თხრა.

— კაცმა რო თქვას, კი უნდა გემინოდეს,
ამ ბრძოში არაფერი მოუვიდეს.

— კარგი ერთი, რა უნდა მოუვიდეს? —
არ მსიამოვნებდა, ასეთი საუბარი რომ მამო-
ინყო საშამ, მაგრამ მაინც ვაპასუხობდი, უტუ-
ლოდ და უხასიათოდ.

— რაც მითავარია, გერმანელებმა არ დაად-
გან თვალი.

— გერმანელები ჭირივით ვზიზღება.

— ჰო, ვიცო, — თანაგრძობით გამისწორა
თვალი საშამ, — მიაშპო. რა უბედური გოგო
ყოფილა, რამდენი რამე გადაუტანია. კარგი
ბიჭი ყოფილხარ შენაც, ბუდე.

— მე რა შუაში ვარ? — ნუთუ ჩაუყაჭა
ყველაფერი ამ სულელმა, გავიფიქრე, რა სა-
თქმელი იყო, რა ატლიკინებდა, მომერია სი-
ბრაზე, მაგრამ შევეცადე საშას არ შეემჩნია
ეს.

— როგორ რა შუაში ხარ! გადაგირეგია
გოგო, უშენოდ ერთი ნუთითაც ვერ ძლებს.
მე მეგონა...

— რა გეგონა?!

— ის მეგონა, რომ... მეგონა კი არა, ვიცო,
ქართველი ბიჭები ძაან ეტანებოთ რუს გო-
გონებს, აქაოდა, იოლად დასაყლიდებელი
არინაო, თუ დაინახებო, ჩვენსკენ აღარც იყუ-
რებოთ. ვიფიქრე, გარნიდან ასეთები არიან
ეს გასაწყვეტლები და აქ, ფრონტზე ზნეს ხო
არ შეიცვლიდნენ-მითქი და მეგონა, შენც ასე
იყავი აკიდებული ამ გოგოზე.

— მე კი არა, მაგია აკიდებული ჩემზე.

— მოგიჯადოებია გოგო და, აბა, რა იქ-
ნება?

— არაფერიც არ მომიჯადოებია.

— კიი გული გიჩვენებია და გოგოსთვის ეს
ჯადოა, თილისმაა, სამსალაცაა და ნეტქარიც
კიი გულის ჩვენებაც არ არის იოლი, შენ რო
იყოდე, ყველას კი არ შეუძლია კიი გულის
ჩვენება. მერე რა, რუსი როა. ყველას თავისი
ნეს-ჩვეულება აქვს. მრავალრიცხოვანი ერების
ქალებს არ ეშინიათ არაფრის, ამიტომაც უფ-
რო თავისუფლები და ნებიერები არიან მ-
მაკაცებთან ურთიერთობის საქმეში, იცოცხ-
ლეთქვა სიყვარულიც ჩვენზე არანაკლებად
იციან, ანა კარენინსავეითაც შეუძლიათ სიყ-

ვარული და ნატაშა როსტოვსავეითაც. ნამი-
კითხავს მე ესენი და ვიცო. ჩვენს მკითხველს
ცხოვანი ურის ქალებს სხვა ვალე დავტყუ-
რა მდგომარეობამ, სისხლის აღრევსა გვე-
შინია, გამარჯვლების ვინთა ვართ შეპყრობი-
ლნი, გაქრობის ლანდი თანა გვედევს ისტო-
რიული ქარტეხილებით გადაჯეგულ გზებზე,
ოჯახისა და კერიის ძელზე ვართ გაქრულნი
ოჯახის მონები ვართ ჩვენ და ამოსავით
თავისუფლებისა და ნებიერების უფლება არა
გვაქვს. ალიონას ბედი, მართალი გითხრა,
ძალიან შემანუხა. ეს ხომ არაადამიანური
ძალადობაა. თმი თავისთავად ძალადობაა,
ამიტომაც თითქოს არაფერი არ უნდა გაგი-
კეორდეს ომში, მაგრამ ქალის ღირსების ასე
გათუფსა, გასკესა, ნაბიღენა ბარბაროსობაა,
მხეცობაა, ველურობაა. შენ თვითონ არ იცი.
რა გმორბა ჩაიღინე. გმორბაა ეს, ბუდე.
ქართველი კაცისგან მარტლაც გმორბაა,
ზნეობრივი გმორბაა. შეიძლება, — მე ესეც
არ გამივირდება, — არ გიყვარს, სრულბო-
თაც არ მიგირევს გული მისკენ, შეიძლება
არც გარეგნულად მოგნონს და მით უფრო,
ორიოდე დღეში მაგისკენ სულერი მიზიდუ-
ლობის ძალა არც გიგრძენია ჯერ, მაგრამ
მაინც თანაუგრძნე, მინსათან გასწორებულ
ყველური ღრსება აღუდგინე, ნააქებე, დაარ-
ნმუნე, — რნმენაა მითავარი, ჩემო ბუდე,
რნმენის გარეშე ადამიანს უჭირს ცხოვრება.
— დაარნმუნე, რომ ყველაფერი გათელილი
არ არის ჯერ, ომის ძალადობას შეუძლია
ადამიანი ფირიკურად გაანადგუროს, მოკლას,
მაგრამ სანამ სული უფგას, სასო არ უნდა
წარიკვეთოს.

— შენ ისე მელაპარაკები... — შევანყე-
ტინე საშას გაგრძელებული სიტყვა.

— ვიცო მე, რასაც გელაპარაკები, — პირზე
ხელი ამხურა საშამ, — პატარა ნუ გგონი-
ვარ და ნუ ფაკვირს, ეს ღლაპი რგებს მიქა-
დაგებსო.

— არ მიფიქრია მე შენზე, ღლაპაო.

— იფიქრე, თუ გინდა. ამ ერთ თვეში იმ-
დენი რამე გადაიხდა თვის, ღლაპი კი არა.
კიი გამოვლილი დედაკაცი გინონა თავი. არც
მოსვლამდე ვიყავი მთლად მამა აბრამის ბა-
ტკანი, მეც ვიყეშე ჩემი ნილი სამოთხის შხა-
მი და; ჰა, აქა ვარ მეც, ამ ღვთის დანყე-
ლილ მინახე, თქვენთან, თქვენს გვერდით.
აქ თაგვადსულებითა და შფოთით ერთი დღე
თურმე ერთ ნელს უდრის, ფუი, რამ მათქმე-
ვინა, უდრისო, უდრის კი არა, ჯერც კი დაი-
ტვეს.

— გეტყობა შენ, არა ხარ ცუნდრუკა გოგო.

— ცუნდრუკა და ქარაფშუტა გოგოები ში-
ნაც მებარებოდა.

— ბიჭები?

— ბიჭები მის უფრო.

— აბა, მე რა მეშველებოდა, სადმე რო გადავტოვდი?!

— ქარაფშუტა ბიჭობის არაფერი გეტყობა შენ, — შემომღიმა საშამი, — ერთი მუშტიკრთვა ბიჭი ამეღვინა, საცა ვიყავ, იქ გაჩნდებოდა, ამივლიდა და ჩამივლიდა გამოკვანწული, წინ მკერდგამოჯგიმული, თავს მანონებდა თავისი მხარბეჭით. ისე კი ვიციდი, ქარაფშუტა იყო. ხელს წავატანდი ვინმე კაფანდარა ბიჭს, მკლავს გაუფრთხიდი და ახლა მე ავუვლიდი და ჩავუვლიდი ჩემს მიჯნურს. მეორე დღეს ცხვირდაბრქველი მოვიფიქრე და ხოლმე სკოლაში ჩემი არწვეული კავალერი. ერთხელაც ერთი ჩემი ტანმორჩილი ნათესავი ავიფიქრე, კრივე დადიოდა. ავუარე და ჩავუარე მასთან ერთად ჩემს თავყინსმცემელს ბულვარის კიდეზე. წინ გადაგივდგა, მკერდზე ხელი მივიდო და თავი დადგრიკა, ჩვენ ბოდიში, მშვენიერო, ამ პიდანასთან გარებგამორების რაფერ კადრულობო, თქვა და ჩემ ნათესავს თითი ამოლო ნიკაპში. თვალის დასამხამებში ჩემი რაინდი მიწაზე, ბულვარის კიდის ბურქებში აფართხალდა და მერე უძრავად გაიშობა. იმის მერე აღარ გამორჩენილა ჩემს არწმარებზე... შენ რომ გადამყრდი, ჩემი ნათესავი მკარვე ბიჭი არ დაამჭირდებოდა. ვხედავ, არა ხარ შენ ისეთი ტიპი.

— გუშინს აქეთ ასეთი რა დაინახე ჩემში?
— შენში რა უნდა დამენახა, პერანგის ზორტებით გაქვს გადახვეული მთელი თავკისერი.

— მეც ამიტომ გეუბნები.
— ახლაც შემოგხსნი მაგ ზორტებს, ბანდები მოვიტანე. მომიცეს დაჭირლებისთვის, მძინარეს ხო არ გადაგიხვევდი, ველოდი, როდის გაიღვიძებდი, ნამოჯექი!

ნამოვიხარე და მარჯვად მოვკალათდი.

საშამი მუხლებზე ნამოიშარდა და დაიწყო გადახვეულის შეხსნა.
— მაგ გოგოსთან დამოკიდებულებით მივხვდი შენს კაცობას. აბა, შუბლი კიდეც რომ კოჩანდეს, ზედ კი არ გაწერია ვინ ხარ და რა ხარ. თუმცა ძალიან ატკინე გული ალიონას.

— რა ჩავივინე ასეთი?!

— სოფელად დედაკაცს რო ვეცდებოდი, ნივანგ ეს გოგო და სადმე გადაშალეო. იმას ჰგონია, თავიდან მოშორება გინდოდა მისი.

— არც უმაგისობაა.
— მერედა, რატომ?!

— შეცოდება, აქ გაუჭირდება.
— უშნოდ უფრო გაუჭირდება. შენთან რა გაჭირდებაც არ უნდა შეხედეს, არაფრად ჩათვლის. უყვარხარ თავდავიწყებით.
გულითადა საუბრით ისე მიმიზიდა საშამი,

დამივიწყდა, რომ გუშინდელი გაყვამიანი გოგოა. ისე ჩამითრია საუბარში, თანდათან ლიან შინაურ ვინმეს ველაპარაკებოდი. ამიტომაც, როცა მიხვინარა, უყვარხარო, უნებურად ნამოშორდი.

— მე რო არ მიყვარს?!

— ეგაც შეგატყვე და ამის გამო უფრო მომწონხარ.

— რა მოსაწონია ეს?!

— ქართული ხასიათის გამოსხივებაა ეს, რაინდული ხასიათისა, ქალის წინაშე თავდადრეკილობისა. მერე რა, რო არ გიყვარს, ქალის, გაუბედურებული ქალის გადაჩენას ენება საქმე. ადამიანის სულიერი ომია ეს შენ ომი გამოუცხადე ამ უმწეო გოგონას სასონარკვეთას, უმივლობას, მის ამ სულიერ მტრებს შეებრძოლე და ამიტომ მოგენდო, შენ უნდა დაამარცხო ისინი. ამას ჰგონია, შენს მეტი ვერაფერ დაამარცხებს ამ უხილავ მტრებს. შენი პირადი ემოციები ცოტახნით უნდა დაიღოს. ამ ომიდან გამარჯვებული გამოიყვანე ეს საბრალო გოგო და მერე ღმერთია მოწყალე.

— მე რო ამდენი შემეძლოს!
— რო შეგიძლია, ამიტომ გეუბნები.
— მე რალა შემეძლია?
— შეგიბოროცდება, შე კაცო, ეს ქრილობები, სულ ასე ხო არ იქნები გადაკონჯილ-გადმოკონჯილი? ტყვეები ვართ, უფლებო. ნი და უსახლკაოონი. მკედრები კი არა ვართ. ცოცხლები ვართ ჯერ და სანამ ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა გავუწოდოთ. საშამი ნელნელა შემომხსნა გასისხლიანებული ნახევები, ქრილობაზე დაკრულიყო და ფრთხილად ააყალა დაჩირქებულ იარაგს ნაჭერი. გასიხებული რომ მქონდა, კი ვგრძნობდი, მაგამ თითი ქრილობას ხო ვერ ვხედავდი. საშამი თქვა:

— გახლეჩილა ყბა და ეგ არის. ბენჯზე ხარ გადაჩენილი. დაჩირქებულა გვარინად.
— მოვეითალო ხსნარით გამინიშინდა იარაგ, ჩხირზე დაახვია ბანდის ნაჭერი, იმით ამოწმინდა ჩირკი. ფრთხილად მიხვევდა ახალი ბანდით და თან მეფერებოდა: — მოგიჩრება, მოგიშუშდება.

მერე ბარძაყი გადამიხვია, იქაც გამიხვებულა, დაჩირქებულა ქრილობა, ნამსხერციე ხორცშია გამხერცილი. გასისხლიანებული პერანგის ნაჭრები ჩინთაში ჩაჭრულა, გავრეცხავ, გამოგვაფეხავო, თქვა საშამი. ამას ყველაფერს რომ მორჩა, თავს ნამოგვაფეხენ ალიონა, არჩილი და გენადი. პალანდით საცხე საველე ქვაბურები წინ დაგიდგეს და დაენაყრდით.

ორი თვე დავყავით ზღვისპირა ქალაქის ბანაკში. არავითარი წესრიგი არ არსებობდა. ერთადერთი რიგინი კუთხე სანიტარული კა-



რეგობი იყო, საცა ჩვენმა ნაცნობმა ექიმმა მხოლოდმა თავი მოუყარა დაჭრილებსა და რამდენიმე ექიმსა და მოწყალების დას, ყველას თავისი ადგილი მოუჩინა, საოპერაციო კარავიც კი გამართა. ტყვე მედიკოსებს რაც სამედიცინო ხელსაწყოები აღმოაჩნდათ, ერთად თავი მოუყარა საოპერაციო კარავში. გერმანელებს მოთხოვა დახმარება, ზოგ-ზოგი ქირურგიული იარაღი და სამკურნალო ნაშაღ-ხსნარები, სახვევები, ბაშბა მისცეს. და გაიღადა აქ ერთგვარად ორგანიზებული მოვლა-მკურნალობა. დაჭრილი ბევრი იყო და ძლივს უთავდებოდნენ. ოპერაციებს თავი მაიორი აუეთებდა.

საშამ და ალიონამ თეთრი ხალათები ჩაიცვეს. აღმა-დაღმა დაქროდნენ. გენადიმ თეთრხალათიანი ალიონა რო დაინახა, მიანახა, ისე მაგ ხალათისთვის ყოფილხარ გარეწილი, ენე გიხდებოდა.

ჩემი ყბის ქრილობას ჩირქი ვერ მოაშორეს.

ერთხელ ორივე მომხარდა, შემიხსნეს, რაღაც დაადეს იარას და ისევ გადამიხვიეს.

ორი დღის მერე ამიქავდა ქრილობა და შემანახა. საშამ და ალიონამ ბანდი მომხა ცილეს, ჩირქი აღარა გაქვსო, მითხრეს, ჩხირებით რაღაც მოაშორეს ქრილობას, ისევ გადამიხვიეს. შეება ვიგრძენი. აღარ მექავებოდა. მერე მოკუმშული ხელისგული გაშალა და მითხრა, დახედო. საშას ხელისგულზე რამდენიმე თეთრი მატლი დაეინახე. მატლები გამორწადა-მითქი, გავიოცე არაო, მაშინვე შემომავება საშამ, ამით გიმკურნალეს, ამით მოგაშორეს ჩირქიო.

ერთ ციმბირულ დაჭრილს, — შუახნის კაცს, — დაჩირქება ქრილობა. საშასთვის უთხოვია, ზოგიერთ ქრილობას თეთრი მატლები უჩივება, თუ სადმე ნახოთ, აცალეთ ქრილობას მატლები და მომიტანეთო. რამდენიმე დაჭრილს მართლაც გასჩენოდათ მატლები. საშას მოუტანია ციმბირელისთვის რამდენიმე მატლი. იმას უთხოვია, ახლა ჩემს ქრილობას დაადევი და გადამიხვიეო. ციმბირელს უთქვამს, მატლები ჩირქით იკვებებიან, სულ ამოწონენ, ჩემს ქრილობას რაც ჩირქი ადებ, ჩვენს სოფელში ასე მკურნალობენ ქრილობებსო. ორ დღეში ციმბირელის ქრილობას ჩირქი აღარ ედო.

საშამ აღმოაჩინა ეს, ციმბირელის მერე მე ამომიშრო ჩირქი, მერე სხვას და სანიტარულ კარავებში ხმა გაუარდა, საშას მატლებმა მოაშორინეს, საშას მატლებმაო.

მთელ ბანაკს მოეფო საშას მატლების ამბავი.

დაჭრილები ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, მატლები თუ გაქვს, მათხოვეო. ბევრს დაუჩირქდა ქრილობა, მაგრამ მატლი არც იმდენი

იყო, ყველას ყოფნოდა. ამიტომ ერთმანეთს ელოდებოდნენ. რიგიც კი შეიქმნა. სხვანაირე მე ვარ, ჩემს მერე შენი რიგებზე უნდა იმედი ჰქონდეს ხანდახან. ვილაცას მოუსყიდია კიდევ ერთი, მომკლა კაცი ჩირქმა, სანამ ჩემი რიგი მოვა, გაუთავდები, თუ კაცი ხარ, მომეცი და ერთ მონევა მახორკას მოგცემო. ამას თურმე სულ მისდამოდა, გაბოლბა ყველაფერს ურჩია, შუალამისას შეუხსნია, მახორკიან ჩხირებით ამოუღია მატლები და თვითონვე დაუდგია თავის ქრილობაზე. რიგით ვინაც ელოდებოდა, იმას გაუგია ეს, მივარდნილა მატლების გამყიდველს და უტეში ნაწედომია, მაგრამ ამ დროს საშა და ალიონა ნადგომიათ თავს გაუშვებლებით მოჩხუბარნი.

საშა მიდგომია მატლების მყიდველ-გამყიდველს, თქვე საღახანებო, არამზადებო, ეს როგორ იკადრეთ, უნამუსოებო, არაკაცებო, ერთ გაბოლბებაში სიწმინდანაშენს როგორ გაყოფო, გაანჩხლება საშა გამყიდველს, ქრთა. მით ამხანაგს როგორ გადაახტო, მიტანება მყიდველს, თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, რა გყოფთ, მეცოდებით, თორემ თქვენ ქრილობებს გადახვევის ღირსიც არა ხართო, უნდა შეგალბეთ სხეულზე ქრილობებიო.

გერმანელების ყურსაც მიწედა საშას მატლების ამბავი.

იღდა, იღდა!

გაოცებულიყვნენ, გაკვირვებულიყვნენ, არტრულაბულიყვნენ. გერმანელებზე მოგახსენებო, რიგითებიც, მედიცინის მსახურნიც იქვე პატარა ზღვისპირა ქალაქში, ჩვენი ბანაკის გვერდით ჰოსპიტალიც უქონიათ, დაჭრილებიც ბლომად უკოლიათ, ჩირქივანი ქრილობებივანებიც, ზოგ-ზოგისთვის ვუკა მოუხერხებინათ რა, ჩირქი ვერ მოეშორებინათ იარებისათვის.

საშას მატლების ამბავი რომ გაეგოთ, ანრიალბულიყვნენ ჰოსპიტალის მესვეურები, ზოგს ერთ ყურში რომ შეუშვია ეს უცნაური ცნობა, მეორე ყურში გაუშვია იმნამსვე, არაკითხი მიუღია, ხუმრობასავით, აბა, მართლაც როგორ დაეგურებია ბერლინელ ექიმს ვილაც ციმბირელი გულუჭას მოგონილი მატლების მაგიური ძალა!

ზოგი კი დაეჭვებულა, დაფიქრებულა, იქნება ზოგჯერ იმნაირ ტყვიებს და ქურვებს გვეყვრიან რუსები, მომხამულია, მოურჩენდა ამირქებს იარას. მაგათგან არაფერი არ უნდა გაგვიკორდეს. რა არ გაგვიკონია რუსებზე, საბჭოელებზე მაინც, კაცი რო არ დაიჯერებს, ისეთი რამე გვესამის და იქნება მაგათმა სამედიცინო მეცნიერებამ მატლები საიდუმლოებაც მოხსნა? ამოხსნა და მა-

ლავს, საჯაროდ არ გაუმხელია, დასჭირდა ახლა და იყენებს. ენახით, ქსინჯითო, უჩრევდნენ ჰოსპიტლის უფროსს ამ აზრის მომხრენი, მაგრამ უფროსს განუხებდებია, რუსების მატლებს წმინდა არიული სისხლის გერმანელებს მე ვერ დავსევო.

მოულოდნელად ტყვეთა ბანაიის უფროსს დაიგინებთ მოუთხოვია ჰოსპიტლის უფროსისათვის, თქვენ როგორც ესურთ ისე მოიქცით, მე კი ნება მომეცით, გამოვადგო ეს მეთოდი ჩემს ძმისშვილ გოგონაზე, რომელიც იტანჯება ჩირქოვანი წყლულით და თქვენ ვერაფერს შევლითო.

ბანაიის უფროსს, პაუპტმან ოტტო ბელერს გამოუყვანია ჰოსპიტლიდან ძმისშვილი და თავის რეზიდენციაში ერთ ოთახში მოუთავსებია.

ეს ყველაფერი მას შემდეგ გამოიკვია, როცა ერთ საღამოს საშა და ალიონა ტყვეთა სანიტარული კარვების უფროსმა, მიაჩინა რომანოვმა გერმანელ უნტეროფიცერს გაატანა. საშა და ალიონა შემინებულნი გაჰყვნენ უნტეროფიცერს, ჭაღარა, სამხედრო ფორმაში გამოჩვეილმა ოტტო ბელერმა ჰკითხა, თქვენ ჩირქს მატლებით თუ ნამლობთო, საშა რის საშაა, მაშინვე არ მიმხედარიყო, რაშიაც იყო საქმე სკოლაში ნასწავლი გერმანული მოიშველია, თარჯიმანს ფურცი არ ათხოვდა და პაუპტმანს მიუგო, ახლა მე მაგიტ ვმკურნალობ ჩემს დაჭრილებსო.

შეიყვანეს პაუპტმანის ნათესავ გოგოსთან, რომელიც გაქათათებულ სანოლში იწვა, მკურნდი ჰქონდა გადახვეული. საშამ ბანდი შემოსხნა. ჭრილობა მარცხენა ძუძუზე ჰქონდა. ყუბზარის ნაშხერევი გვერდიდან მოხვედროდა და გვარიანად გაველიჯა ძუძუ. ჩირქით იყო მოთეთრებული იარა.

როცა საშა ისევ უხვევდა ჭრილობას, გერმანელი გოგო თავს ნამდგარ ალიონას შიამტრდა და თვალი აღარ მოუშორებია მისთვის, სანამ საშამ მის მკერდზე გადახვეული ბანდი არ შესვენა.

მეორე დღეს, დილით, მატლებს თავი მოუყარა საშამ და მერე ალიონასთან ერთად გერმანელ უნტეროფიცერმა კვლავ გერმანელ გოგოსთან მიიყვანა და თვითონ ოთახიდან გაიქცა.

გერმანელმა რუსულად დაუწყო მათ ლაპარაკი, საშა და ალიონა სახტად დარჩნენ, არ მოულოდნენ ამას, თანაც თავაზიანად მისვალმა მათ მასპინძელი და გაოცებულებმა ორთავემ ერთად საღმისივე უპასუბეს. გუშინ რომ ნახეს, ხმა არ ამოუღია, არაფერი უთქვამს არც რუსულად, არც თარჯიმნის მეშვეობით. ახლა თავაზიანად მიესალმა კიდევ მათ რუსულად, ისიც უთხრა, ჩვენ თარჯიმანი არ დაგეჭირდება, რუსული გერმანიაში ვის-

ნავლენ და კარგად ვიცო. მერე უთქვამს, ეს რა უცნაური რამ მოგიგონიათ? ჭრილობაზე როგორ დაგადებინოდა? უპასუბა, ჩვენ არ გამოგვიგონებია, ტყვიანი ხალხის მოგონილია, რამდენიმე ჭრილობა უკვე მოვარჩინეთო.

სანამ ჭრილობა გააუხვევს ღმრთუხვევს, გერმანელი თვალს არ ამორებდა ალიონას. ამჯერად ალიონაც, რომელიც ეხმარებოდა საშას, მეტის გულსყურით აკვირდებოდა გერმანელს, მის თვლებში ნაცნობი იერი შენიშნა, გულში გაივლო კიდევ, ნუბავი სად უნდა მიწახა? ბანაიში რო დაბრუნდნენ, საშას უთხრა, ეს გოგო თითქოს სადღაც შემხვედრია და ვერკი ვიგონებო. საშამ — ხო არ გაგვიფიცი, სად უნდა შეგხვედროდა, ქალი ქალს ჰგავს, ალბათ ვისმეს მიამსგავსეო.

ორ დღეს გაგრძელდა საშასა და ალიონას ვიზიტი გერმანელ გოგოსთან. მესამე დღეს მართლაც ამოუშრა ჩირქი ჭრილობიდან და გერმანელმა გოგამ შეება იგრძნო. გერმანელი ყოველთვის ასაჩუქრებდა საშასა და ალიონას პურით, კარაქით, შაქრით. შიმშილმა უკვე გვარიანად დაგვრია ხელი და ჩვენი გოგოების ნობათით ცოტა სული მოვიტოვით.

ერთი კვირის შემდეგ გერმანელი გოგო სანოლზე წამომგდარი დახვედრია საშასა და ალიონას. უნტეროფიცერი ოთახიდან გასულა თუ არა, გერმანელ გოგოს ალიონასათვის უკითხავს:

„შენ ის არა ხარო?“

„ვინ ისარო?“ — გაოცებულა ალიონა.

„ერთ ღამეს შენთან ხო ვიყავიო?“

„რომელ ღამეს... ჩემთან რა გინდოდაო?“

„ნუ გეშინიაო... აბა, მოგიგონეო?“

„რა უნდა მოგიგონეო?“

„შენთან რო ვიყავიო.“

„ჩემთან რა გინდოდა, სად მე და სად შენაო.“

„ტყვედ ვყავდი ორ ბიჭსაო.“

„რომელ ორ ბიჭსაო?“

„ერთ ღამეს შენთან ხატაში შემომიყვანეს ღამის გასათვებაო.“

ალიონა შემკრთალა, მისუნებურად საშასთვის მოუხვევია მკლავი ნეღზე და ზურგს უკან ამოფარებია.

„ნუ გეშინიაო.“ — გაუღიმა გერმანელ გოგოს.

„შენ ისა ხარო?“

„ჰო, ისა ვარო.“

„მართლაო?“

„რა უღმერთოდ გაანჩხლდი და გადაირიე, როცა გაიგე, მე გერმანელი ვიყავი... გამაშვილენ და სალდათებს უთხარი, ა, მიდით ამხაზო.“

„ვაიმეო!“ — უფრო მკვირვად აკერია ალიონა საშას.



„ხო გითხარი, ნუ გეშინია, არ გიჯავრდებიო.“

„რატომო?“

„ვიცი შენი ამბავი და იმიტომო.“

„რა იციო?“

„შენ არ ილაპარაკე ილაშქრე? მერე ბუდუშავ მიამბოო.“

„ბუდუშავო?“

„ჰო, მართლა, სად არის ბუდუშავო?“

„აქ არისო.“

„არჩილი და გენადიო?“

„ისინიც აქ არიანო.“

„რა კარგაია!“ — წამოუძახნია გერმანელ გოგოს.

„რაა კარგაია?“ — გაოცებულია ალიონა.

„ცოცხლები რომ არიანო.“

„შენ ჰილდა არ გქვიანო?“

„ჰო, ჰილდაო.“

„შენ ხო ნავში ჩაგაჯინესო?“

„კიო.“

„მერე აქ როგორ გაჩნდიო?“

„სიბნელეში ზღვაში შეეცურეთ, ნაპირს გვარინად რომ მოვშორდით, ჩვენს ახლო წყალში თვითმფრინავიდან ჩამოვარდნილი ქურვი გასდა, ნავი გადაყირავდა, მე კარგი მოცურავე ვარ, ერთხანს ვიცურე, მერე რაღაცა ფიქარს გადავანყვდი, იმას ჩაკვიდე ზედა, ვტირებოვ და ვტირებოვ, ვიფრებოდი წყალში, მაგრამ როგორღაც გავეძლი, შემთხვევით ჩვენების კატერს ჩამოვუღია ჩემს ახლოს, ვიყვირე და წამომეშველენ, ნაპირზე გამომიყვანეს, გათოშოლი ვიყავი, ერთ კვირას გონს არ მოვსულვარ, ეს ქრილობაც იმდამინდელოაო.“

„რა ვქნათ ახლა ჩვენაო? — ჩაუღუღლუღებია ალიონას.

„ვინაო?“

„მე და იმათაო.“

„იმთ ტყვედ კი ჩამიგდეს ხელთ, მაგრამ მერე ისეთი კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ, ახლა აქ რომ ვინები და გონს მოვედი, მაშინვე მომაგონდნენო.“

„მოგაგონდნენო?“

„ჰო, მომაგონდნენ, რომ გავიფიტრე, ვერასოდეს ვეღარ შევხვდებო-მითქი, გული მტკინაო.“

ალიონა ისევ საშას ზურგსუკან აკრული ყოფილა. ჰილდას უთქვამს:

„ნუ დაფეთებულხარ, გოგო, შენ არას გარჩი, გულგასივებულმა ილაშქრე თუ მანქანინე, ახლა ხო მომარჩინეო.“

„ეს ამის წყალობააო.“

„შენიცაო, მომარჩება ეს იარა და ხელს წამოგამშველებო...“

„კაი, აბაო.“

„ბუდუს უთხარიოთო.“

„რა ვუთხრაო?“

5. „მნათობი“, № 11.

„მე რომ მნახეთო.“

„ბუდუსაო?“ — ხელმოკრულ პიროვნებას ალიონას.

„ბუდუსაცა და სხვებსაცაო.“

ჩემი გონებისთვის ახლა იმაზე მეტი გასაკვირი არაფერი იყო, ვიდრე ჰილდას აქ გაჩენა. ყველა საოცრებს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჰილდა, რომელიც ნავით გაემგზავრე, ნატყვიარი და ნადავიადარაბალი, ახლა, როცა ჩვენ თვითონ ვიშოვებით ტყვედ, აქ, ჩვენს ახლოს თუ აღმოჩნდებოდა, ამას ვერც კი გავიფიტრებდი.

ცხოვრების ვერცერთი მოვლენა ვერ წარმოშობს იმდენ სასწაულს, რამდენსაც ომი, დიდი იქნება იგი თუ მცირე. ჩემი თვალთ ვნახე, რომ ტყვეებმა დატყვევდნენ, იქვე ორმოში ჩადდნენ და მინა მიყავართო, — უთქვამს ბუერს მავანსა და მავანზე, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ის, რომელიც მინაში ჩადეს და რომელიც მინა მიყავრეს, საღსალამათი შეხვედრია. მინაწყარული გრძელი სამაროვნებიდან ბუერი დახვრტილი, — რა თქმა უნდა, ნამდვილად დახვრტილი კი არა, მტკრის ეგონა დახვრტილი, როცა სხვებთან ერთად ისიც თხრილში ჩავარდა, — თავზე წყარული მიწიდან ამომჭვრალა და ამის დამნახვეს ერთხელაც ის თვალნინ რომ დაუდგებოდა, სასწაული იქნებოდა, აბა, რა იქნებოდა!

ჰო, ბატონო, კი, ბატონო, აღარ გავიმეორებ, აღარ დავირეშებ, არავინ მეკამათება და არც მე დავირეშებ, ამისთანა რამ ქვეყანაზე არ მომხდარაო. ვიცი, რასაკვირველია, სხვა მასშტაბის არის ბიბლიური სასწაულები იმ ამბავთან შედარებით, რაც საშამ და ალიონამ მოულოდნელად შემატყობინეს ჰილდას შესახებ. შევეშოთოდი, ავტორიალი, გარეგნულად არც არაფერი შემტყობია, ან ვინ რას შემატყობდა, მთელი თავისიერი თითრად გადაბანული მქონდა. შინაგანად ავტორიალი, ხურვებსასავით რაღაც შემომანვა. როცა მათ დაამთავრეს ამ ამბის თხრობა, ვკითხე მხოლოდ, ეგება შეგვმალათ, ჰილდა არ იქნებოდა, ჰილდას აქ რა უნდა-მითქი. არაფერიც არ შეგვმალაო, მაშინვე მიპასუხეს. მაინც გავუმეორე რამდენიმეჯერ. მაშინ კი შემომძახა ალიონამ, რა გაანუაღე გული, ჰილდა, ჰილდაო, არ იქნებოდა, არ იქნებოდაო, ჰო, ჰილდა იყო, მორჩა და გათავდა, აბა, სხვა რომ ყოფილიყო, შენი სახელი საიდან ეცოდინებოდა, როგორ დაგვამარებდა, ბუდუს უთხარიო. რომ მე აქა ვარო.

არჩილმა ესლა თქვა, იმ ნავზე სამოცილიც იყო, ნეტა რა მოუვიდა სამოელსაო, მაგრამ მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, არც გენადის სიტყვებისთვის დამოგდია ყური — ომში ხანდახან ვერ გაიგებ, ვინ ვინი ტყვე

არის... ამ სიტყვებში გამოფარებული არაკი კი მერხნა, — გენადი ამის ოსტატა, — მაგრამ ამ ახალი ამბის ელდით ისე ვიყავი გაოგნებული, ჩემმა საფეკრალმა დამიპყრო მთლიანად. გულმის სიღრმეში უცბად ასეთმა სურვილმა წამოყო თავი — ნეტა დამანახა ახლა პოლდა. იმნასვე გავიფიქრე: „არა, არა, რა დასანახავი ვარ მე ახლა? ნეტავი სულაც არ გამოჩენილიყო“. ვერ ვიტყვი, არ გამოხარდათქო, გამოხარდა, ზღვაზე თავსდამიტყდარ უბედურებას რო გადარჩენია. მესიამოვნა, მისი ამბავი რო მითბრეს, ისიც მესიამოვნა, სასამი რო დაამატა, ვერ წარმოიფხვინა, რა კარგი გოგაო. კინალამ წამომცადა, რა წარმოდგენა უნდა, ეს მეც კარგად ვიცი. მეთქი, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე შევანერე, ენას კბილები დავაჭირე.

გმლაზი

შუალამე კარგახნის გადასული იყო, ჩემს მგლობრებს უძინათ, მე კი თვალი არ მომიხუჭოთა, პოლდაზე ვფიქრობდი. ხან რა აზრი გამიჩნდა და ხან — რა. ხან ვესაუბრებოდი, ხან ვეშალებოდი და მოფარებულად თვალს ვადევნებდი, ხან ისე იმავე გზაზე მოვიდოდათ, რომელიც ერთად გამოვიარეთ... ყველა საფეკრალი გადავქვეე და ერთი წუთითაც იმაზე არ დავფიქრებულვარ, ახლა მე და არჩილი რომ ვართ ტყვედ და პოლდა კი ჩვენი ტყვე აღარ არის, რა უცბად, რა მოულოდნელად შეიცვალა მდგომარეობა!

უცებ მინა იძრა, შემაზრუნეი ქუხილი გაიხსმა. ეს ნაცნობი ქუხილია, არანაირ სხვა ქუხილსა და გრიალ-გუგუნში არ ამერევა. ციდან ჩამოხლტნილი ბომბის ქუხილია, მიწაზე დახეთქებულისა და გაგლეჯილისა... ერთი... მეორე... მესამე... მინა შეიძრა და შეზრიალდა, როგორც იქ, იმ ორომტრიალში, იმ ცეცხლისდებამი, იმ თავბრუხვევამი. იქ მოგვედგინენ, მიგვერკებოდნენ, თავზარსა გვეციმდნენ, გვაფრიდნენ და გვაფრიდნენ გამდამირქვევებული ჯოჯობებითიდან. ხო მოგვერკეს, ხო მოგვაშთეს, ხო მოიიხეს გული, ახლა რაღას გვერჩიან, ქრილობებზე სისხლი არ შეგვჭრობია, არაქათგამოცლილებს სული არ მოგვითქვამს, საშიშარ ძაღს აღარ წარმოვადგენთ, დავფუმიდით, დაეჭლუნგდით, დავწყდით, უართ ჩვენთვის და ვიხარებით ჩვენისავე მფლარეში.

ბუუხი..

ბუუუხი..

ბუუუუხი..

რა იყო ეს? რამ დახლირა ზღვისპირეთის პატარა ქალაქი?

აიშალა, აირია, აიოქოლდა, ანიოკდა ტყვე-

თა სამყოფელი ბანაკიც — იმავდეთასვე ჩვენი ავიარებით, ავირინით, ავიოქრქვევით... ოდით — არჩილიც. გენადი... პოლდა... შაცა და, რა თქმა უნდა, მეც. სანიტარული კარები მივატოვეთ და გარეთ გავცვივდით, ძალი პატრონს ვერა ცნობს, — ვინ გარბი-გამობრის, ვინ ბლაკის ვინ გაიძახის, განვეთო, ვინ კიდევ, მიშველეთო. განიერი ბანაკის ერთ კიდეს ცეცხლი ნაკიდებია, იქ რალაც გრძელი ფიცრულა იდგა და იმას ნაკიდებია ცეცხლი. ისმის აქა-იქ:

„რა იყო? რა მოხდაო?“

„დავბომბეთო“.

„ვინ დაგვბომბაო?“

„ჩვენებმაო“.

„ჩვენებმა რატომაო?“

„ეშმაკმა რო არ იცის მაგათი თავიო“.

„მაშინ სად იყვნენ, ბრძოლის ველზე როცა ვიყავითო?“

„ჯანდაბაშიო“.

გარკვევით არავინ ამბობდა რამეს, იმიტომ, რომ გარკვევით არავინ არაფერი იცოდა. ეს ხმები — კიხვები, პასუხები, ამოხვრანნი, გმობა-გინებანი — აირია ერთმანეთში, ვერ გაიგებდი, ერთად ამბობდნენ თუ ცალცალკე.

„ერთი ბომბი ბანაკშიც ჩამოვარდაო“.

„რამდენიმე კაცი დაიღუპაო“.

„ალბათ საგანგებოდ ჩვენ დაგვიწინესო“.

„საგანგებოდ ჩვენ რატომაო?“

„მოლალატეები ხართ და იმიტომაო“.

გდაიზრუნა ღამეულ ცაზე რამდენიმე თვითმფრინავი. დასცხეს და დასცხეს ქვემოლან მუზინტეებმა, რა თქმა უნდა, გერმანელებმა, რადგან თვითმფრინავები ჩვენი რო იყო, ყველა ჩვენთაგანმაც კი იცნო. აყყანებულნი, დაფეთებულნი, გაოგნებულნი ვიყავით, მაგრამ მაინც ეცანით ჩვენი თვითმფრინავები.

„რა მოლალატეები, რის მოლალატეებიო?“

„ანეთი ხმებიც გამოერია საერთო ყყანში“.

„აბა, რაო?“

„გერმანელებს ბომბავენ, ჩვენიან შემთხვევით ჩამოვარდაო“.

„როცა ჩვენ გვიჭირდა, მაშინ სად იყვნენო?“

„იქნება დილით კვლავ შემოუტვიონ გერმანელებსო“.

„შემოუტვიონო?“

„ჰო, შემოუტვიონო“.

„რითიო?“

„დესანტიათო“.

ვიღაც-ვიღაცები ხავსაც ვჭიდებოდა, წყალწლებულისათვის ხავსიც დიდი იმდინა. შეიძლება ნაპირზე ვერ გაიყვანოს, მაგრამ ნაპირ ხო შეაჩერებს, ეგაცი დიდი რამია წყალწლებულისათვის. ჩვენს ძორისაც რა-



ტომ არ უნდა მოსჭიდებოდა ვინმე ხავსს, თუ ეს უხავსი გამოჩნდა? ხო იყო ჩვენი თვითმფრინავები, ხო იცნეს? შერეა, რა, რომ დაავადიანდა, ხო გამოჩნდნენ, ხო მოაგნეს, ხო წამოტყდნენ ჩვენს ამნიოკლებს? რატომ არ უნდა გავტყავდეთ? რატომ არ უნდა მოგვეცხს იმედი, რაღა მტრის თავზე შერი თვითმფრინავების გრიალი შემოგუსმება?

როგორც იქნა დაცხრა, დაშოშმინდა ცაც, მიწაც და, რასაკვირველია, ბანაკიც. საშა და ალიონა, ბომბი საცა დაცემულიყო, იქითკენ გაემორნენ, დაჭრილები, დაჭრილებიო, შემოქნსამით თუ არა, გაემართნენ მათკენ. ორი იქვე გათავებულყო, რამდენიმე დაჭრილი კარვებში შეუყვანიათ და მიშველებიან. როგორა ხარ, ნუთისოფელო, დაგრებილ-დაკვარყნილი, რა მუხთალი ხარ, მართლაც, — საცოდავები გერმანელების ბომბებსა და ტყეების გამოუძვრნენ ალყიდან და აგურ, მესამეებს ბომბებმა დაგლოყეს!

ჩვენი ჩვენს ადგილს დავუბრუნდით და მომხდარმა ამბავმა დიდხანს არ დაგვაძინა, არც დაგვიძინია დილაამდემ. გენადი თავის სათქმელს ამბობდა, არჩილი — თავისას, მე კიდევ ჩემსას და ასე ვიოხებდით გულს.

ახალშობილებულზე ახალი სამწუხარო ამბავი მოგვატანა გენადიმ. სამწუხარო იყო, რამდენადაც ჩვენ გვეხებოდა, ჩვენად ბავ-გულეებოდა ჯერჯერობით გენადის დროგაცა და ცხენიც გზაზე ხო გაგვიოლია მძიმე ხედარი, ჩვენცა, სხვებსაც, მე, შეიძლება, — შეიძლება კი არა, ნამდვილად ასე იქნებოდა, — არ გავენირე არჩილს, სულაც მხარზე ავეკიდებინე და ისე მოვეყვანე აქამდე. ის ორი დაჭრილი კი, მაიორმა რომ შემომიწვინა დროგაზე, ღვრას დიდებით ვერ მოაღწევდნენ აქამდე. ასე, რომ ღროგა და ცხენს მნიშვნელობა მიეცა ჩვენთვისაც. სხვებისთვისაც. მაიორისთვისაც, მაიორ რომანოვისთვისაც. რომელიც ძალზე გულჯავაირობანიკაცი გამოდგა, არაკის დაუვალებია და თავისი გულის-თქმით მიადევნა გულისყური გაჭირებულ, უპატრონო, მტრის ხელში ჩაგვარდნილ ტყვეებს. სანიტარულ კარვებში დღეღამეებს ასწორებდა, დარბოდა, გერმანელებს ეშუადარებოდა ესა და ეს წამლებით, ხელსაწყოებით, დაჭრილების ფასანოლად თივაო, ბანდიო, ხსნარით. ხანდახან უდავებოდა კიდევ გერმანელებს. ამ დავაში ერთმა გერმანელმა დაუცაცხარა კიდევ, ამდენს ნუ მიუდგომეები, თქვენი ქვეყანა ნითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრიც არ არისო. მაიორმა რომანოვმა მაშინვე მოეგო, კი, მართალი ბრძანდებოდა. მაგრამ ახლა მე თქვენ, როგორც კოლექტა კოლექტას, ექიმი ტქიმის მოგმართავთ თხოვნით, თქვენც ხო ადამიანი ხარო, გთხოვთ, ჩამხვედება ხელში

ის უბედურნი, მიშველეთ რამყო. გაჭრა დრო-ენამ, თხოვნა იყო თუ მუდარა, სწორედამდე მოყვასისათვის თიდადებული გეგმის მიხედვით დაფინებელი, დაუოკებელი, ისეთი, გერმანელსაც რო გული მოეღობო. მოღობა გაფიცებული გერმანელი ექიმი და რაც თხოვა, შთილოდ ეს კი არა, სხვა რამეებით გაზოტანა მაიორ რომანოვს.

ამ კაი კაცის გასხვებამ შემიყოლია და დაგვწორდი იმ სამწუხარო ამბავს, რაც დილაუთენია გენადიმ მოგვიტანა. ყოველდღე — დილით, შუადღისას, საღამოს, — მიდის ხოლმე თავის დროგთან და ცხენთან, კი არ დაისაკუთრა, გერმანელებმა თვითონ მიანდეს ცხენისა და დროგის პატრონობა, შემოქცონდა ბანაკში კასრებით წყალი, ბალანდა და ასე ემსახურებოდა ტყვეებს. ძლივს გადაურჩებოდა ხოლმე დამშუულ ხალხს, მოაცივდებოდადნენ, ერთმანეთს არ აცლოდნენ, ჯაჯ-გურობდნენ, ღმუოდნენ, კანრავდნენ, ფლათდნენ ერთმანეთს. ხელით მაღლა სავლელ ქვაბები ჰქონდათ შემართული და ყველა ერთად აწვდიდა გენადის. ისიც მოთმინებით ხან ურთს უსხამდა, ხან მლორეს, აბა, ამდენ ახვეთებულ მწყურვალსა და მშვიერს ერთად ხო ვერ გაუმასპინძლებოდა. შერე პოლიციელები გაჩნდნენ ბანაკში, მკლავზე თეთრი ღუნტით, ჩვენებო, ნითლარმიელები თუ შეთავრებო, ვინ გააჩრევდა ახლა ამით, გერმანელებმა უფლებები მისცეს, წესრიგი დაამყარეთო, ჯოხებიც მიაჩრევს ხელთ და იცოცხლავ. იქნედადნენ და იქნედადნენ ჯოხებს თანამშემშულებების მხრებზე. ზოგს უთქვამს, რეგი ნითოჩაგარადით ტყვედარო, ზოგს კიდევ — მამაჩემი კულაკობისთვის ანამესლო, ან კიდევ — მამაჩემი ოცდაჩვიდმეტში დახვრიტესო და გერმანელებმაც მაშინვე შემოახვიეს მკლავებზე თეთრი ღუნტები, აბა, თქვენ იცით, ებრაელები და პოლიტებლები თუ იცნით, მაშინვე გვაცნობეთ, დანარჩენებს მოუარეთო, როგორც გუნებოთო. და იქნედადნენ და იქნედადნენ ჯოხებს. კაცმა რო თქვას, საჭირო კი იყო წესრიგის დამყარება. რამდენჯერმე გენადი კინაღამ დაგლოყეს. კასრს ჩამოეკიდებოდნენ ყოველი მხრიდან და ქვაბებს თვითონვე ტუცავდნენ წყლისა და ბალანდის ამოსაღებად. პოლიციელებმა კი თავიანთი დრუკადი ჯოხებით რიგში ჩააყენეს დამშუული ბრბო, დაანესეს რიგი, ამ რიგშიც ერთმანეთს ზურგზე ასხდებოდნენ, ერთი სული ჰქონდათ, სანამ გენადის დროგთან მიადნედადნენ, მაგრამ გენადისათვის ეს დიდი შეღავათი იყო. ამგვარი წესრიგი ჩვერთვისაც ერთგვარი შეღავათი იყო. — თავად არ გვეჩორდებოდა რიგში დგომა, ამ ჩოჩქოლ-ჩაქქენში ფლენმა და სრესა, გენადისაც სა-



შეაღებდა ეძღვოდა ჩვენთვის გადვენახა ორი-
ოდე ქვაბურა ბალანდა.

უშთაერესი მაინც ის იყო, — არჩილს მი-
აჩნდა ასე, — გენადის საქმე გამოურჩნდა,
ბავშვობიდან თანშეზრდილ პირუტყვიან —
ცხენთან მიიყვანა ახლანდელმა უზიაცმა ბე-
დმა და ცხენის მოვლა-ზრუნვაში ეგება ცო-
ტა შემსუბუქებოდა ტყვეობის სიმძიმე. მა-
რთლაც შეუსუბუქედა, დილაადრიანად მის-
კენ მიიქაროდა, დროცს მიხედ-მოხედვად,
ცხენი დაიდურტუნებოდა და, პო, პო, ახლავ
მოყვანავ რაქვსო, მიაგებებდა დამშულ პი-
რუტყვს ამ სიტყვებს, სადმე ბალახს მიგ-
ლეჯ-მოგლეჯდა, ცოტათი დაანაურებდა, შეა-
ბამდა დროგმო, ხელს გადაუსვამდა ქეროზე.
ქიშკართან შეაჩერებდა, კართან მდგომ გე-
რმანელ გუშაგს ეტყოდა, ვასრ, ვასრ, —
ანუ წელის მისატანად მიუღივარო, — გო-
ლებდა გუშაგი ქიშკარს და ვარეთ სადღაც-
სადღაც შოულნობა ცხენის საკვებს.

იმდილაადრიან კარკიდან გავიდა თუ არა,
მყისვე უკან დაბრუნდა გენადი, დასტყვი-
ლი, განადგურებულნი, გაფითრებულნი, —
ხაფრანისფერი დაეღებოდა სახეზე, როცა
გაბრაზდებოდა, — მონყვებოდა ჩაჯდა. აღი-
ონა მივირდა:

— რა იყო, გენადი ბიძია, რა მოხდა?

გენადი თავდახრილი იჯდა, მოხრილ მუხ-
ლებზე გადებულ მკლავებზე თავი ჩამოფო
და ხმას არ იღებს. ახლა საშა შიაცხრა გე-
ნადის:

— გენადი ბიძია! გენადი ბიძია! — შეს-
ძახა და შეაჯანჯელარა.

— პირუტყვიბი.. არამზადები.. — ამოი-
გმინა გენადიმ, ღრმა სუნთქვას ამოაყოლა
ეს სიტყვები.

— ვისზე ამბობ, გენადი ბიძია? თქვი, რა
მოხდა? — აჯანჯლარებდა და ჩასძახოდა
წარამარა საშა.

არჩილი წამოდგა, თავს წაადგა გენადის.

— ეგრე რამ გაგანინმატა, კაცო?

გენადიმ მკლავებზე დაფებული თავი შე-
მართა და ასძახა:

— დაუკლავთ, არჩილ, ცხენი დაუკლავთ..

— აჰ გოხიარი, გაარიღე-მითქი, ვარეთ

დააყენე-მითქი. ხო გაგაფრთხილე?

— წუხანდელ არულობაში დრო იხელ-

თეს.

— ნუხელ რო არა, ზეგ იხამდნენ.

— დროგი უცხენოდ რალა დროგია?

— ევლას თაყისი ხადარდელი აქეს.

— ძალღები.. მგლები..

— მშორი კაცი მგელზე უარესია.

— მგელზე უარესი, მგელზე უარესი.. —

გამოაჯავრა არჩილს გენადიმ, — დაეერი-
ოთ, აბა, ერთმანეთს, დაეჭამოთ ერთმანეთი.
ჩემს გვერდით ერთი შუახინს რუსი იწვა.

ჩვენ რო მივედიოთ და, ამ, ახგელს მოუკლავ-
დით, ეს აქ იყო. ხმას არ იღებს (მისთვის)
ამბობდა, არც დაინტერესებებოდა (მისთვის)
ობით. რამეს რო ვეტყოდი, ერთ სიტყვას
მომიგდებდა და მტის ვერაფერს დააღვენი-
ნებოდა. გადაუხვევდნენ ქრილობას საშა და
ალიონა, ამათაც არ გასცემდა ხმას, კითხვა-
დნენ, ხომ არაფერს დაგვავალბებოთ, ის კ
დუმდა. ხანდახან მოსასაქმებლად წამოდე-
ბოდა, მაშინვე მობრუნდებოდა და მიეგდე-
ბოდა ხოლმე ჩემს გვერდით. ნუხელ, ვარეთ
რომ მიწა აზანზარდა, ვეღარი გაეცვივდით,
ეს არც განმრეულა, იყო გამოტლი.
ალარც მე მივძალღებოდი, ვინ იცის რა ცე-
ცხლი ეკიდა, რა მდულარეში ითუთებოდა.
შეიძლება არც არაფერი ჭირდა ამდაგვარი.
უბრალოდ ხასიათი ქონდა ასეთი. შეიძ-
ლება რამე ფსიქიურმა ტრავმამ შეძრა და მე
ვერ ვამწინედი.

გენადისა და არჩილის დიალოგი ამან შე-
აჩრა. როცა გენადიმ თქვა: „დაეერიოთ,
აბა, ერთმანეთს, დაეჭამოთ, აბა, ერთმანე-
თიო“, თითქოს ამ სიტყვებს ელოდა აქამდეო,
ხმა ამოიღო, წყნარად, მშვიდად, არც გან-
ძრეულა, იწვა გულაღმა და ხმის აუშაღლე-
ბლად ჩამოათავა თავისი სათქმელი:

— დაეჭამო, წარბს არ შევიხრებო, ისე

დაეჭამო. სხვა რა უნდა ექნათ? დაცო, ცო-
ტა მეტად დავიმშეთ, ანაც რა დაამშვეა გვი-
ნდა, ერთად ხო ვართ აქ თავმეყრილი? ამა-
ზე უკეთესი იქნება რამე? ცალცალკე ვიყა-
ვით და ვეძებდით ერთმანეთს დასაჭმელად
და დასაგლეჯად. სულ ასე არა ვართ? სულ
ასე არ იყო? მთავრობად გუჭამდა და ჩვენც
ეჭამეთ ერთმანეთი. თუ ორი ცხენი ამ ხა-
რი ყავდა ჩვენზე მეტი ვისმეს, ღდინი გა-
კაცალეთ თუ ვისიმე ჯავრი გაგფორმდებოდა
გულში, ვასმენდით, ბელადის სურათიანი გა-
ზეთი ფეხსნაღამი შეუტანიაო და მორჩა, გა-
თავდა, ხალხის მტერიოო და დაამკარგად-
ნენ მოუსაგლეითში. ვაბზლეთ და ვაბზლეთ
ერთმანეთი, ზოგი ჩუმიად, ზოგი ამკარად,
კრებებზე, ტრიბუნებიდან საბრალდებო და-
სკვნებზე ნაუკითხებ მიზობელს, მეგობარს,
ნათესავს. მგლებზე უარესები არ ვყავით?

არავისკენ გაუხედავს, ვერ მიხედებოდი,
ვის ეკითხებოდა, მაგრამ გენადი მაინც მიხ-
ედა, რომ ეს შეკითხვა მისმა წელანდელმა
სიტყვებმა გამოიწვიეს. გაოცებული უსმენ-
და, ჯერ სულ არ იღებდა ხმას ეს კაცო, ახ-
ლა კი რა ენად გაიკრიფაო. უსმინა, უსმინა
და მერე უთხრა:

— შენ სად გადაუხვეე ამობილო?

— არსადაც არ გადამიხვევია.

— მე სხვა რამე ვთქვი.

— მეც იგივე ვთქვი. შენ წუხანდელ მგლე-
ბზე ლამარაკობ. მე ომამდელი მგლები გა-

ვხსენე. რა, არ იყენებ თუ? მაგათი ნაკბილარი უფრო მარნია, ვიდრე გერმანელების ნატყვიარი.

ათანახსნა

გავიდა ორი თვე ჩვენ ქრილობები ასე თუ ისე მოგვიშუშდა და სანიტარული კარებიდან გარეთ გაყვდი. ბანაკის ეზოში გრძელი გადახურული ფარფული იყო, რომელსაც მხოლოდ სახურავი ჰქონდა, კედლები არ გაანდა, ალბათ რამე ღია სანჯობი იყო ადრე. ამ გადახურულში მოეთავსდით შე, არჩილი, გენადი და ის რუსი ჯარისკაცი, რომელიც ჩემ გვერდით იწვა და რომლის გვარსახელი ჯერ არ ვიცოდით ალიონას და საშას სანიტარულ ოთახში მიუჩინეს ბინა და ღამით იქ ძინობ.

ერთ დღეს ჩემ მებობელს თავს ნაადგა პოლიციელი, ხმელ-ხმელი, საშუალო ტანის კაცი, რომელსაც ბაშპის კურტაკი ეცვა და მკლავზე თეთრი ლენტო ეკეთა. დააკვირდა ჩემ მებობელს და მერე უთხრა:

- შენ ვოლკოვი არა ხარ, ათანასე?!
- ჩემი მებობელი ნამოჯდა, თავსნამდგარ პოლიციელს ახვება და მაშინვე მიუგო:
- ა, ვანია! გამარჯობა!
- გაგიმარჯოს, ათანას!
- პოლიციელი გვერდით მიუჯდა.
- გადაარჩენილხარ, ბიჭო!
- პო, გადაერჩი.
- შენ რო ნამოგვიყვანეს, ორი კვირის მერე შე დამიძახეს.
- ხო არაეინ შეგხვედრია ჩვენებური?
- არა.
- ეგ რა არის?! - მკლავზე შემოხვეულ თეთრ ლენტზე მიუთითა ათანასემ.
- პოლიციელად დამაყენეს - მიუგო ვანია.

- ასეთი რა დამისახურე ასე უცებ?!
- არაფერიც არ დამისახურებია. გერმანელებმა მკითხეს, ვინა ხარო, მაშაჩემი კომუნისტებმა დახვრიტეს-მეთქი, ვუთხარი მით და მაშინვე თეთრი ლენტო მომიცეს. საქმელს გვაძლევს. აბა, მშოიკი ხომ არ უნდა მოვკვდე აქ?!

კაცო, რას ნამონოლილხარ. ნამოდი, უთხარი გერმანელებს ეველიაფერი. შენი ოჯახი ხომ მთლად ამოზუგეს კომუნისტებმა. ნამოდი უთხარი, შენც დაგაუბნებურ პოლიციელად

- ჯერ ომი არ დამთავრებულა, ვანია.
- დამთავრდა, ათანასე ომი ჩვენთვის დამთავრდა. ჩვენთვისაც დამთავრდა და ყველასთვისაც. დაინგრა კომუნისტების ხუხულა.
- მერე რა გახარებს?!
- რა მახარებს და შინ წავალ მაღა.

მტერს შეუძლებები ჩვენს სოფელი, არა?!

- რა მტერი, რის მტერი! ვინაა მტერი?
- აბა, გერმანელები მოყვრებია?!
- ან მოყვრებია, შე კაცო. შენ რა მოგვიდა, ათანასე, რეებს ღერღვე?!
- არაფერიც არ ვეღრაგ გავიობები.
- რას შესკობები, რაა საკითხავი?!
- დავიხსენებ, რა დღეში ჩაგაგდეს კომუნისტებმა - დედაც დაიჭირეს შენი, მამაც, სად არიან, არც იცი?!
- კომუნისტები სხვაა, ვანია, ჩვენი სოფელი - სხვა.
- რას მიე-მოუდები, ვერა გამიგია რა! სოფელი სოფელია, კომუნისტები კომუნისტები.

შეც მაგას გუებნები, რომ სოფელი სოფელია, კომუნისტები კი კომუნისტები რაც არ უნდა იყოს, ჩვენებურიები არიან ჩვენი კომუნისტები. ისინი დღეს არიან, ხელ შეიძლება აღარ იქნენ. ჩვენი სოფელი კი სამშობლოა, შე რეგვერო, სამშობლო კი ყველთვის სამშობლო იქნება.

- ვერ გავიგე, ათანასე, რას მუბუნები
- ბავშვიბიდან აეთი იყავი შენ, - გაუთლელი, გაუგებარი, გახსოვს, კუნძი რო შეგარქვით, გაგოგებმა შეტახებლად დუნდუკი დაგარქვეს.

რა შუაშია ახლა ჩემი მეტსახელები?!

- შუაშია და იმტომაც გაგახსენე. იმ შუაშია, რომ სულ ამნაირი დარჩი. ახლაც ასეთი ხარ ვერ არჩევ მტერ-მოყვარეს.

- გაყოფა. გაყოფა დამიხყე შენც რა ნამოდეა ვანია.
- იცი, რა ვითხრა, ვანია, კომუნისტები ჩვენი რჯულის ხალხია, თუ არ მოგნონს, შეებრძოლე და შეცვალე. მაგრამ სამშობლოს მტერი კი არ უნდა დაიხმარო ამისთვის, მტერს კი არ უნდა შეუძლევ სოფელში, რომ შეუძლები, შეიძლება დაგამარჯებოოს კომუნისტები, მაგრამ მერე ის შეგჯდება კისერზე. სამშობლოს ნაგართმევს, თვიორ და ეპატრონება და უარეს დღეში ჩაგაჯდება. ეს არ უნდა გესმოდეს ამხელა კაცს?!
- ნამოდეა ათანასე და ვანია ნინ აეტუხა.
- რაებს ბოდაც, ათანასე?!

არა ვბოდაც, ვანია, არა. დედაჩემს და მაშაჩემს კი შენ თავი დაანებე, შენი სახენებელი არ არიან ისინი. ჩვენ თეთონაც დავერციეთ ურთიმართს. კი, ყელში ბოღმა მაქვს მონოლილი, მაგრამ გერმანელები რას მიშუღის ჩემი ბოღლის ამოსაქარებლად?!

მერედა. შენც ხო კარგად იცი, ვინ დაასმინა დედაჩემი და მაშაჩემი? ჩვენი მებობელი არ იყო?

იხიც კომუნისტი იყო.



— უცხოურპირო კაცი იყო, მაინც, ჩათ-
ლახი.

— მერე შე რა შუაში ვარ, ათანასე, რას
გადაამყვებე?!

— არჩემე, რა შუაში ვარ, რა შუაშიო.
შუაში ხარ, აბა, კიდემო, განზე დგებარ? —
ხელი წაეღო მკლავზე წამოცმულ თეთრ
ლენტზე. — ა, თუ არ ხარ შუაში, შენც უც-
ხოურპიროს ყოფილხარ, შენც გაათლახულ-
ხარ თვითონ... — მიაფრთხა თეთრ ლენტს
ათანასემ, შებრუნდა და ჩაჯდა ისევ თავის
ადგილას.

კუდამოკლებული გაშორდა ვანია ათანა-
სეს.

საღამოს ორ გერმანელს მოუძღვა ვანია,
გერმანელებმა ხელი დაავლეს ათანასეს და
წაიყვანეს.

მეორე დღეს შუადღისას პოლიციელები
დაერივნენ ტყვეებს, მიანჯვ-მიანყვეს ბანაიკის
ეზოს კედლებზე, შუაში დაყარეღდა მოედან-
ნი. აქეთ-იქით ჩამწყრივებული ტყვეების წინ
ერთმანეთს რამდენიმე მეტრით დაშორებული
პოლიციელები გაიჯგომნენ.

გაიღო ბანაიკის ქიშკარი.

ეზოში შემოვიდა თეთრურნავიანი ათა-
ნასე, უკან ხელბეჭდურული. პერანგი აღატ-
ალაგ გაგლეჯილი ჰქონდა. ეტყობა უნამუ-
ბიათ, უჯერჯენიათ. შეიძლება პოლიციელობა
შესთავაზუს, უარი თქვა და ამიტომ ანამეს.
შეიძლება ვანიასთან გუშინდელი საუბრის
გამო. მძიმედ მოადგამდა ნაბიჯებს ნანამები
და ჩაგვეი. უკან ორი ავტომატომოარჯებუ-
ლი გერმანელი საღდათი და ეფრეიტორი
მოჰყვებოდა. სულგანაბული მიმტერებოდნენ
ათანასეს მოედნის ორივე მხარეს შეჭუჭკუ-
ლი ტყვეები. მოშავო ღრუბლებზედაკრული
ცა თითქოს დაბლა ჩამოიზნეოდა, სულისშემ-
ხუთავად დაანვა საშინელების მოლოდინით
შეპყრობილ ბანაიკს.

ჩემებზე გაეხადათ. ფხმველა მიაბიჯებდა
ათანასე ხრიყო მინაზე.

ბანაიკს მოედნის ბოლოში შეაჩერეს, უკან-
ხელბეჭდომწყობილი შეაჩერეს, შემოაბრუნეს.
თავი მადლა შემართა ათანასეს.

ათიოდე ნაბიჯის მოშორებით წინ დაუდ-
გნენ ათანასეს ავტომატიანი გერმანელები.
მათ უკან მდგომ ეფრეიტორს არც არაფერი
გამოუცხადებია, რალაც ბრძანება გასცა გე-
რმანულად, მეავტომატეებმა ავტომატები
მოუღირეს და როგორც კი მიაყარეს ტყვეები,
იმწუთსავე ათანასე შეძაგძაგდა და ძირს
დაეცა.

გერმანელები შებრუნდნენ და ქიშკარს
მიაშურეს.

ათანასეს გვამს ვანია და სამი პოლიცი-
ელი მივიარდა, მკლავებში და ფეხებში ხე-
ლები ჩაჰყოფეს და ასე გაათრეეს ქიშკარში.

— რა თქმა უნდა, ვინც ამის მონაწილე
ყველამ არ იყო... რა მოხდა, რა მოხდა...
ერიტეს ერთ-ერთი მათგანი... ვინაა ვინაა,
მართლაც, ვის ეყოფინებოდა, ჩვენს მეტრ
არც არავინ იყო იქ, სხვა არავის შოუსმე-
ნია ვანია და ათანასეს საუბარი კარგა
ხანს ადგილიდან არ დაძრულან მოედნის
ორივე მხარეს ჩარიცხული ტყვეები. გაო-
ნებული იდგნენ და ყველანი მხოლოდ ერთ
რამეს ვარაულობდნენ — რაჟი კაცი დაბე-
რიტეს, მამასადავამე, დააშავა რალაც, ან გა-
ქვევა მოინდომა და შეიპყრეს, ან პოლიც-
ხელი იყო, ან ებრაელი.

ათანასე ქიშკარში გაიტანეს თუ არა, პო-
ლიციელებმა დაიწყეს ჯოზევის ქნევა და აჯა-
ჯლანდნენ, დაიშალნენ, დაიშალნითო.

აირ-დაირია ისევ ტყვეთა ბრბო სისხლ-
ნაცხებულ მოედანზე.

მეშინია, გუდა!

— მეშინია, ბუდე! — ებახე სახვევი შემო-
ხანა და მითხრა ალიონამ.

— რის გეშინია?

— არა უშავს, შუშდება გვარიანად, —
ქრილობას დააკვირდა და თქვა, მერე მიბა-
სუხა: — პილდასი მეშინია.

— ქრილობა როგორ აქვს? — ბანზე აუ-
ტვე სიტყვა.

— ქრილობა თითქმის მოურჩა.

— რისა გეშინია, მართლა მხეცი ხო არ
არი.

— ამას თუ კიდევ შევხვდებოდი, ვერ ნა-
რმოვიდგენდი.

— შთა შთას არ შეხვდებო...

— რამდენჯერ უნდა მითხრა, ვიცი, — შე-
მანყვეტინა ალიონამ, — კაცი კაცს ყოველ-
თვის შეიძლება შეხედეს, მაგრამ ეს შეხე-
დრა მაინც ნამეტანი უცნაურია.

— შენ გულდღეაღი გოგო რო არა ხარ?

— არა ვარ, მაგრამ...

— აბა, რა გაბინებს?

— ძალიან მკაცრად მოვექვეცი იმ ღამეს.

— ქალი თუ ასე განირაგდა ქალს, არ მე-
გონა.

— ჩემ ხელთ იყო ძალაუფლება და იმი-
ტომ.

— ასე ვიცი ხანდახან ადამიანებმა.

— რა ვიცი?!

— ძალაუფლების უხეშად გამოყენება.

— კაცი რო ყოფილიყო, შეიძლება მომე-
კლა.

— ეგაც რო მოგვკლა, ის აჯობებდა იმნა-
ირ შეურაცხყოფას.

— მე? მე რა მიქნეს მაგინმა კაცებმა?!

— მართალია, შენ, მეტი რო არ შეიძლე-
ბა, ისე მხეცურად მოგექნენ, მაგრამ არ

უნდა მიგვესურებოდა, იმნაირადვე შეურაცხ-
ყოფილი ყოფილიყო ჰილდაც.

რომ მომხდარიყო ის, რაც გინდოდა,
შეგინრალეობდა?

— შენ შემებრალეობდი, ახალ ცოდვას მი-
უმატებდი ამქვეყნიურ ცოდვებს.

— შურისძიება ცოდეა იქნებოდა?

— იმ გარემოებაში, რომელშიც ჩვენ ვი-
ყავით იმლამეს, ცოდეად ჩაითვლებოდა. ხო
გახსოვს, იქ მყოფმა ჯარისკაცებმა პირი შე-
გაქცეს, მოგაძახეს კიდეც. ჩვენ ფაშისტები
კი არა ვართო.

— პო, მახსოვს, მომაძახეს და ამან უფ-
რო გამაგულღისა.

— ჯარისკაცები კარგ გოგოზე არასოდეს
იტყვიან უარს. ეს ფრონტული ცხოვრების
დამახასიათებელია. ხანდახან უხეშობენ კი-
დეც ჯარისკაცები, მაგრამ იმ ღამეს ჰილ-
დაში მათ ღამაში გოგო კი არა, ტყვე დაი-
ნახეს, უხედეური ადამიანი. ჯარისკაცები შე-
ნზე ძლიერები აღმოჩნდნენ იმ ღამეს.

ალიონას ერთბაშად თვალებიდან ცრემლე-
ბი მოსკდა, ჩაჯდა, თავი შეკრდზე მომადლო
და ქეთიონით მითხრა:

— ამიტომაც მემონია, ბუდე.

მარტონი ვიყავით. არავინ ჩვენს ახლოს არ
იყო. მომეროდა, არ დაგვიანახონ-მეთქი ამ
მდგომარეობაში, თანაც ალიონა შემებრალა.
მე ახლა ყველაზე ახლობელი ადამიანი ვარ
მისთვის, ჩემს გარდა ვინა ჰყავს ისეთი, რო-
მელსაც გულს ვარაში გაუმხილოს, გაეწფოს?
თავი რომ შეკრდზე მომადლო, არც გაუფიქ-
რებია, არავინ დაგვიანახოსო. აბა, ვის შეკ-
რდზე მივალა ცრემლები, ვის შეკრდზე მო-
თქვა შეუთული სული? რაც ამ დუბჭორ
გზაზე მოვიფიქრეთ, რაც აქა ვართ, ზღვის-
პირა ქალაქის ტყვეთა ბანაკში, ერთხელაც არ
გამოუმტლანებია ჩემთვის ქალური ახირე-
ბანი. ქალი ქალია ყოველნაირ მდგომარეო-
ბაში, რაკი თავისად დაგიგულღებს, რაკი შენი
გახდება, ყურადღებასაც საქიროებს მამაკა-
ცურს, თბილს, სასურველს. მე კი ეს ყვე-
ლაფერი თითქოს გადამაყენდა, ამ ბედურულ
გზაზე აღარ მახსოვს, რომ ალიონა ჩემზე
მონდობილი ქალია, უბრალო თბილი სიტყ-
ვებიც ამაზეა. ფრთებს შეასხამს, გააგულია-
ნებს. სად დამეკრება მე ამნაირი სიტყვები?
მე ხომ ადამიანეთან ურთიერთობისას აშნა-
ირი სიტყვები გამოუღვევლად მქონდა, მოსა-
ფერებელი, საალერსო, სამადლობელი. ამ
მხრივ დედაქალაქის სულიერი განშტოება ვიყა-
ვი ნამდვილად, სიტყვებიც მისგან მქონდა
მომარაგებული, არ ვიშურებდი არავისთან.
სად გაქრენ, სად მიიძალუნ ახლა ეს სიტ-
ყვები? ეს უცხო გოგონა თავს მეცვლება, სი-
ცოცხლეს არ იშურებს ჩემთვის, ასე მომე-
დო, ასე გამოგულღისათიანდა, მე კი ერთი

საალერსო, მოსაფერებელი სიტყვაც არ მი-
თქვამს ამდენოაშნია. ენატრება, აბა, რა ენა-
ტრება? ირგვლეწე სულ სიყვარული და სის-
ლისღერაა, მოედის და მოდის ჩემ ვერტეფით
თავდაუზოგადე ამ შოთისა და სისხლილ-
ვრაში. კვენისისა, ლანძღვა-გინებასა და გო-
დების მეტი არა ემისი რა. გულსმამაგებელი
სიტყვა ენატრება. მე კი რამ გამახდა ასე
გულქვეა? მართალია ამ გაავებულ წუთი-
სოფელში ამჯერად არც საამისო გუნება-
ხასიათი მაქვს, მაგრამ რატომ არ შეიძლება
თავს ძალა დაატანო, ქრილობას როცა გიხ-
ვევს, მაშინ მაინც უთხარი, რა კარგი ხარ,
რა თბილი ხელები გაქვს, უსაზღვროდ მა-
დლობელი ვარ შენო.

ცრემლები რო მოსკდა და თავი შეკრდზე
მომადლო, ნელა გადაეფსეი ხელი თმაზე და
ჩაეძახე:

— ნუ სულელობ, გოგო, ასე რამ დაგაშო-
ნა?

ქეთონ-ქეთონით დამარცვლა ალიონამ:

— რა ვიცი, გერმანელია მაინც ახლა ტყვე
ხო აღარ არის, პირიქით, ჩვენა ვართ მისი
ტყვეები.

— ჰლდა არ არის გულღერძიანი გოგო.

ალიონა ერთხანს კიდეც იყო ასე თავმოყ-
რდნობილი ჩემს შეკრდზე, მე თმაზე ხელით
ვეფერებოდი. ქეთონი შეწყვიტა. მერე თავი
ამართა, მე რო ქრილობა უნდა გადამიხეი-
ოს, იმ ბანდით თვალები ამომიშპრალა და
ქრილობის გადახვევას შეუდგა.

— გულღერძიანი გოგო არა ჩანს, ევ
მეც შენიშნე.

— თუ შენიშნე, რა მოგვიდა, რა ეშმაკი
შეგიძერა გულ-ღვიძლი?

— ყველთვის კარგად ვეხედება მე და სა-
შას. შეგვიკლა ხელში ორივე შენზე კითხე-
ბით.

— ჩემზე? — გავიოცე მე.

— პო, შენზე. ნუხს, დაჭირილი რო ხარ.
ვეკითხება, მოურჩა თუ არაი?.. ხო უთხა-
რით, მე რომ მნახეთო?.. არ გაუხარდაიო?..
მოკლედ, ერთი სული აქვს, როდის განახავს.
ისე ლამაზაკობს შენზე..

— კარგი, ერთი, — არ ვაცალე ალიონას
სიტყვის დამთავრება, — რას მიუღებო. მო-
დები!

— მიუღებო-მოუღები კი არა, უნდა გიი-
ხა, შენზე რო ლამაზაკობს, როგორ უციოც-
მებს თვალები.

— გაქრდი, გოგო, რას ამბობ?

— იმას ვამბობ, რაც შეეამჩნია.

— გეტყვება რაღაცა.

— არაფერიც არ მერწმუნება. მიცხრედ გე-
ამბო გუშინ თქვენი თავგადასავალი, ხო, ხო,
ხო... ოპოლას რო ახსენებს, ცრემლებით ევ-
სება თვალები... იმლამინდელ ამბავს, ჩემს

ქობში რო შევითხვა, ყოველთვის გამოტოვებს. თითქოს არც არაფერი მომხრადიყოს.

— ვერ უნდა მიხვდე? თვითონაც არ სურს გაგახსენოს.

— გუშინ გვითხრა, მეგონა ვლარასოდეს შევხვედობოდი ბუფუსო. გულისტკივილი ამოაყოლა ამ სიტყვებს.

— შენ, ალიონა, ნამეტანი დაკვირვებიხარ მეგის გულისტკივილსა და თვალების ცემცემს.

— არჩილზე და გენადიზე რატომ არ ამბობს ასე? ბუფუ და ბუფუსო, გაიძახის სულ. — მე რა ვიცი.

— არც მე ვიცი. მე რა უნდა ვიცოდე? თქვენთან ხო არ ვყოფილვარ? ახედე, ევა-რაუდობ.

— რას ვარაუდობ?

— გულგრილი არ არის შენდამი.

— ნუ სულელობ-მეთქი, გოგო!

— არაფერსაც არ ვსულელობ.

— შენ მგონი ექვიანობ.

— არა, ბუფუ, არ ექვიანობ.

— რო არ ექვიანობდე, ამნაირად არ ილაპარაკებდი.

— არ ექვიანობ-მეთქი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივათ, ხო გაგოგონია?

— რა სიფრთხილეს, რის სიფრთხილეს?

— შემინია, რო გაიგოს ჩვენი ურთიერთობა?

— საიდან გაიგებს, როგორ გაიგებს? შენ ხო არ უტყვი? ეთქვით და გაიგო, მეურ რა?

— შეიძლება მამის გაიხსენოს ჩემი სიადე და გადამკარგოს სადმე, მომამოხროს აქაურობას, შენს თავს მომამოხროს, ერთმანეთს გაგვაშოროს. ეს მას შეუძლია, ამის უფლება ახლა აქვს. მეურ სადღა გექვამ?

— ხო ხედავ, რა დღეში ვარ, კაცს არა ვგავარ, ვინ იცის, ნინ კიდევ რა გველოდება.

— ნუ ამბობ მაგას, ბუფუ. — მუდარის ელევა გაყარა ჩემზე მოცეცხვულ მის თვალზეში, — რა დღეშიაც არ უნდა ვივყოთ, მე უშეშოდ ვერ გაძვლებ. რამდენჯერ უნდა გითხრა? მოგებურდეს თუ გინდა, მაინც სულ ამას გეტყვი.

— რის მაქნისი ვარ, ალიონა, ახლა მე?

— რატომ შეუბნები მაგრე? სულ ასე იკვრივებ ჩემს სიტყვებს. რაღაცის მიმილავ, გარკვეულად არ მეუბნები. ვერ იყო, შინ ნადი, შინ ნადიო, მეჩინებ. მეურ გზაზე რომელიღაც სოფელში ვიღაც დედაკაცს აჩუქებდი ხელთ ჩემ თავს. — ისევ თავი მომამყრდნო მეურდზე და სვენებსვენებით ჩუმიად ამოღერდა: — მე შენ არაფერს ვაკვალბ, არაფერს ვთხოვ. ერთი იცოდე მხოლოდ, შენთან ყოფნა მინდა სულ, შენს მეტი ქვეყანაზე არავინ გამარნია.

ეწრა და ვერ მოვზომე სათქმელი, გული

ვატყინე. ვერ მიემხედარვარ, რატომ ვარ ასე სთან ამგვარად შხამგარეული. რატომ ვარ ასე ბით? რატომ ვერ მოვიბრუნე გული მისადმი ისე, რომ ნაღდი თანამგრძობელი ვიყო მისი? რა მიშლის ხელს? რა მელობება? საიდან მომდის ეს მოსაგერებელი სიტყვები? თავს მველება, მართლაც უჩემოდ აღარ შეუძლია ყოფნა. მე კი ვერ ეს არასოდეს გამოვიტყვებია, არც გამოვიტყვებია და არც მიგრძენია, ალიონას უმისოდ შემოძლია თუ არა გაძვლო? ეს აზრი ვერ არ გამკარებია, არ გამიძნობიერებია. ჩემი მისადმი დამოკიდებულება ვერ არ გაცილებია სიბრალულს. რა თქმა უნდა, გული მეტყვინება, რომ დამზორდეს. უღუჭვალად მეტყვინება გული, მაგრამ ამ ვიცი, მეურ მომენატრება თუ არა, თუმცა ამას რა ცოდნა უნდა, დაბეჯითებით შემოძლია ვთქვა, რომ განშორების შემდეგ არ მომენატრება ალიონა. ხო ასეთი საყვარელი, ხო ასეთი ქალური, — ნახი და სათნო, ხო უშეურველად, თავგანწირვით, მამრზე გადარეული ხეადივით შემომავალი თავს მთელი მისი ძალები, შესაძლებლობა, სიტბო, მაინც აღარ მომენატრებოდა, შეიძლება მომგონებოდა, გამხსენებოდა, — ჩვენ რაც თავს გადავტყვებდა, აღბათ ასეთი რამე კაცს არასოდეს ავიწყდება, — მაგრამ ქვედა შეხედრის სურვილი არ გამიძნებოდა.

მე თვითონ ვერ ამიხსენია, რა ხდება ჩემში?

პილდას კვლავ გამოჩენა რად გამიხარდა? გულის სიღრმეში რად შეთრთოლდა სიამის სიმი?

გამიხარდა აქ, ამ აზიზიმებულ ბანაკის ახლოს რო გამოცხადდა საღსალამათი, რო არ დაღუბულია, ზღვაში რო არ ჩაძირულია, ბომბს რო არ დაუგლეჯია, მაინცდამაინც აქამდე რო მოუღწევია, ჩემამდე ამკარად ვერ ვამეღანებ, არ შევვირე. არ ავეუღმდრეჯი, თორემ იქ, გულის სიღრმეში, საცა ვერავინ ვერ ჩაიხვდავს კაცთავანი, ვერც ჩემი მეგობრები არჩილი, გენადი, თვით ალიონაც ვერ ჩაიხვდავს, ვერ ჩანდება, იქ შეთრთოლდა-მეთქი სიამის სიმი, შეთრთოლდა და, თუმცა სულაც არ მინდა ამ მდგომარეობაში მნახოს, მაინც ერთი სული მაქვს, როდის შევხედავ, როდის დავინახავ ალიონას რომ ასეთი დამფრთხალი და ანიოცებული შეღამარაკება იმაზე, მე გულისთვლილი პილდაკენ გამიბრბის, ენატრომ, ნეტა ერთი შემოვიფებს და თავისი არაკეთილებრივი, სხვას რო არავის შეუძლია ქვეყანაზე, ისეთი ფურადი და ბავრდოვანი ღიმილი შემომადრქვიოს-მეთქი.

ალიონასავით არ შემოუწირავს ყველაფერი ჩემთვის პილდას, ეს შეუძლებელი იყო მაშინაც, როცა ის ჩვენი ტყვე იყო და, მიი

ჭორფლიანი დათო ერკინულში
გენგლიმთეჟა

ფერო, ახლა, როცა თავისიანებს დაუბრუნდა აღიჭურვა მტრის ყველანაირი ძალაუფლებით და ჩვენ მის ხელთ ჩავარდნილი ტყვეები ვართ. და მიიღე მესამის გულის უფსკრულში პილდას სახელის გაგონებაზე შეთრთოლებული სიამის სიმის ვლერა.

ერთხანს გაინაბა ჩემს მკერდზე ალიონა. მერე ისევე გაიმეორა, შენს მტეტი ქვეყანაზე არავინ გამაჩნიაო და ვინანე, რატომ ვატყინე გული. ისევე ხელი გადაუკუსვი თავზე:

— შე აღქაუო, შენა, თავს მატებრებე კი არა, პირიქით, მეშინია, შე არ მოგაბებრო თავი. აქ შენ რამე რო მოგვიფედეს, რით გიშველო, რა ვიღონო, რა ქვას ვახლო თავი? ამიტომ გეუბნები, თავს უშველე თოო. შენ კი რეები გიფიქრია? კარგი ახლა, თუ ქალი ხარ, დამშვიდდი.

ისე წამოგვაფეგა თავს საშა, ვერც შევამჩნიე. ჩაიშობლა და ალიონას კი არ მიმართა, მე მკითხა:

— რა მოუვიდა?!

თოფნაკრავივით წამოიშარდა ალიონა, თვლები ამოიშრალა. ვიგრძენი, სინითლემ გადამიარა სახეზე. შეამჩნეუდა საშა ამ სინითლეს, აბა, რა იქნებოდა, პირდაპირ მომჭერებოდა და პასუხს ჩემგან ელოდა. ალიონამ მიშველა, თვითონ უპასუხა საშას:

— არაფერია, საშა, რაღაც მომავონდა და თავი ეღარ შევიკავე.

საშამ აღბათ გაიფიქრა, ის შავი დღე გაახსენდა ალიონას, რომელმაც მძიმე ფალი დაამჩნია. იმის მერე, რაც ეს გაიგო, მტეტი ყურადღებითაა მისადმი, ედილობს არ გაახსენოს ის შავი დღე, პირიქით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე ექცევა, ეზუმრება, ეღლაბუცება, ანეგდოტებს უყვება ათასანირს, — მიიღე საიდან ახსოვს ამდენი ანეგდოტე ამ ღრთ წამცეცა გოგოს! — აიყოლია კიდევ ალიონა, ისე აიყოლია, თავისი შუშპარა ხასიათივ კი გადაადო.

— გოგო ამ კაცებს გინდა ტყვია ესროლდ, გინდა ცრემლები დაიყარე, ერთდიაიგევი მაგათთვის ეგ — შესძახა საშამ ალიონას, — ძლივ გადაიარჩინე ბუფე და ცოცხალ კაცს ცრემლებს რატომ აღვრე ვულზე?!

ალიონამ წარბები გაშალა და წარბებს როცა გაშლის, სახის ნაკეთები არ შურებვა, მაგრამ ყოველთვის შეამჩნევ, ღმიილის ეღფერი რომ შეემატება ღანეებზე, თვალბში. მიუღ სახეზე.

— შენ კიდევ რა განითლებს თქვენსმტეტი წლის ბიჭივით? — ქართულად მომყარა მე, — ერთი კი არა, ასი რუსის გოგო რო მოგებვისო, უნდა გაუფლო, აბა, რა ქართველი ხარ, ბუფეია?!

საშამ ხელი ჩავლო ალიონას, წამოგადო ხეზე და სანიტარული კარვისაკენ გაქროლა.

ბანაკის კიდევუ ორი გრძელი და ღრმა ორმოა გაჭრილი. ეს არის ჩვენი საპირფარეზო. არაფერი აქვს შემოფარებული, არც ფიცრები და არც ტილოები. ორმოები ერთმანეთის პარალელურია. იქით-აქეთ მუდამ არიან ტყვეები ჩაყუნცულნი ან დგომელა მიმგვარნი. აქ წაშლილია სირცხვილისა და მორიდეების სახლვარი.

განავლისა და შარდის სუნით არის გატუნთილი ჰაერი ამ ორმოების ირგვლივ.

— შენ ბუფეივ არა ხარ?! — მესმის ერთხელ მოპირდაპირე მხრიდან ელაყის ხმა. გავიბედე გაღიმებული, ჭორფლიანი, მწითური სახე შემეფეთა.

— დათიკო ვარ, ბიჭო, მე! — შემომძახა ისევე და წამოგდა.

სახელი რო მითხრა, მაშინვე ვიცანი — დათიკო ბრეგაძე აქ, ამ ამყრალბულ ორმოზე გადაყუდებული რო ვიყავი, უტბად იმიტომ ვერ ვიცანი, თორემ სხვა მდგომარეობაში რო შემხედვროდა, არ გამოიჩინებოდა მისი ცნობა, ისე დამამახსოვრა თავი ბავშვობიდან. ელდა მეცა, არ მესიაძოვნა მისი დანახვა. საერთოდ ჭორფლიანი და მწითური კაცი მუზარება, მაგრამ დათიკოს დანახვა ახლა სხვა რაშის გამო არ მესიაძოვნა.

წამოფდექი, მივაშურე ჩემსკენ წამოსულ დავითს და მის გამოწვდილ ხელს ჩემიც მივაგებე. მიეკითხო-მოეკითხებთ ერთმანეთი. ტოლ-მანანაგები გაეხსენეთ, არც მე და არც იმას ამ ორომტრიალში არავინ შეეხედვროდა. დავითი საღსალამათი გამოსახლტია ბრძოლების ვაიუშველებულს, გაკაწრულივ არ არის, ტყვია არ შეეარებო, თქვა. შენუხდა, მე რო გადახვეულ-გადაბანდული მნახა. კარგა ხანს ვიწაუბრეთ.

რამდენიმე წელია არ მინახავს, აღარც კი ვეცოდი, სად იყო და რას აკეთებდა. გადამაეინყდა კიდევ ის ელდა, რაც ბავშვობაში მასთან შეხედვრისას მომანყეუბოდა ხოლმე. ახლაც როგორც კი დაეინახე, როგორც კი ვიცანი, მიწინვე ტანში გამბურტტელა, მაგრამ მერე ისე გულხასიათიანად მესაუბრა, გამოწვლდა შიშნარევი მღელვარება.

— აქანა რა გამაძლებიებს! — თქვა დავითმა.

— რას იზამ. — რატომ-მტეტი, ამ კითხვით კი არ მიუუფე, ისე, ხაფანგში რო გაებმები, ბედისწერას უნდა ელოდოთო, ამ აზრით ელქე.

— მიშურებს მოგკლავენ შობელძალი „ნემცები“.

— არა, ბიჭო, საციყსა და შემწვარ-მოხრა-კულებს მოგარამევენ, — შეეცადა შეხუმრებას.



— მე ამ ბრბოში ვერ გავძლებ.
 — ვიცო, გაგიჭირდება. ბავშვობაშიც ასეთი იყავი. არ შეცვლილხარ.
 — გახსოვს?!

ორაზროვნად მენიშნა მისი კითხვა, — იმას გულსისბმობა, სულ რა მეშინოდა მისი თუ იმას, სულ მუდამ აცენილი და დაუდეგარი რა იყო.

— რა დამაივნებეს.
 — ამ ბრბოში რა გამაჩერებს, ესენი მალე ერთმანეთს დაგლეჯენ. გაეუქმე უნდა აქედან. გამაგიფეს, ბიჭო, ჩვენი ფული შემორჩენია ზოგზოგს. კარგს თამაშობენ. უნდა ნახო, რაეარი აზარტით თამაშობენ. თითების კანკალით ჩითავენ. შენ ხო გახსოვს, მე რა ხუ-შტურით ვაგორებდი ხარს?!

უარესად ჩემს ტური შედეგოშიათ ამათ. აქნე მინც ჩვენ ფულზე რალა ათამაშებთ? ყოველ მანეთზე თავს აკლავენ ერთმანეთს. ჩხუბობენ. ძიძგილაობენ. დგობენ. დედის გინება ხო ისედაც სულ პირზე აკურიათ. თამაშის დროს სხვა ცხრასართულიანი ბილნსიტყვაობითაც ექიმებთან ერთმანეთს. ამათთან, ბიჭო, ჩემი გინება საალერსო სიტყვებად მოგჭვენება. ისე გატყვევით თამაშობენ კარტს, თიფოს ჩვენ ნითელ სამთუნინაიბას ძალა-უფლება სულად არ ნართმეოდეს.

— შენ რა გაჩერებს, რო არ ერევი მაგათთან თამაშში?!

— ჩვენი ფული ახლა რა ოხრად მინდა, მაგრამ რო მქონდეს, ჩემებურად დავერჯოდო, გავფუქვნიდი და მერე მაგათ თვალნინ ცეცხლს ნაუკოდებდი იმ ნითელ ფარატინა ქალადებს.

გამახსენდა, ჯიბეში რომ ნითელი სამთუნინანი მქონდა ჩაკუჭული. ამოვიღე და დათიკოს გაუწოდე:

— ა, ენა მაქვს და ნაილე თუ გინდა.
 — აგაშენა ლმურთმა, — დაავლო ხელი ფულს, — სადან ხარ შენ?
 — ფარდულში.

— ნივედი ახლა, ბუფუ, მოგაკითხავ.
 დათიკო ბრბოში შევარდა და თვალს მივფარა.

მე და დათიკო პირველ კლასიდან ერთად ვსწავლობდით. შედგნილიანი სკოლა ერთად დავამთავრეთ. მერე გაიყარა ჩვენი გზები და აღმეამე არ შემხედრია. სამწუხაროდ ბევრი მამინდელი თანაკლასელების სახეები გადამაივნყდა. შეიწმენდის შემდეგ გავიფანტნით, — ვინ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა, ვინ — ათნლიან სკოლებში, ველარ ებედებოდი ერთმანეთს და ამიტომ თანდათან ნაიშალა ჩემს მესხილებში მათი სახეები. კლასიდან კლასში გადასვლისას, შედნლედის დამთავრების სამახსოვროდაც ფოტოსურათები არ გადამგვიღია საოჯახო ალ-

ბომბებში აღარ შემოგვრჩა ასეთი [სურათები] არ ვიცო, რატომ მოხდა ასე, უცხადე [სურათები] ითავა მაშინ ეს, არც მასწავლებელმა, არც რომელიმე მოსწავლემ, არც მშობელმა. ორი სურათი შემომრჩა მხოლოდ — ერთზე ორნი, მეორეზე სამნი ვართ აღბეჭდილნი. ამიტომაც ბევრს ველარ ევკონებ.

დაეთის კი რა დამაივნებეს. არც სურათი შემომრჩენია მისი, არც სადმე შემხვედრია. არც მსურდა შემხვედროდა. მიხაროდა კიდევ, რა არსად სჩანდა. ხანგამოსვებით სულ გადამავლინდებოდა. ხანგამოსვებით კი მისი ქორფლიანი, მწითური სახე მომვლანდებოდა და მაშინვე ვცდილობდი მიჩრავივით მომეშორებია თავიდან, ან როგორმე მე გავცლოდი ამ მოლანდებას.

ვერა და ვერ მორჯულენ დათიკო. თავებდა და თავისურულია ბიჭი იყო. სკოლაში კი მოვიდოდა დილიდანვე, გაკვეთილებზეც იჯდა, მაგრამ მის თავში არაფერი შედიოდა. სწავლის ყადრს ვერ მიხვდა. ხანაც მეორე ან მესამე გაკვეთილიდან გაქრებოდა და სკოლის უკან ამოფარებულდი, პიქებთან ყომაზაზობდა. ბევრჯერ დაიჭირეს, სამასწავლებლოში ტყაუი გააძრეს. რამდენიც არ ხებეს ყორანი ქეიშით, მინც არ გათუთრდა. გათათხავდნენ, გაჯორავდნენ, დამუქრებოდნენ, გაჯირიცხავთ სკოლიდანო. არც ამ მუქარისა ეშინოდა. დედ-მამა არა ჰყავდა. ბებია ზრდიდა. დაიბარებდნენ ბებიას, აჭირდებოდა, აქვითინდებოდა, ნუ დამლუპავთ, ვერაფერი მოუხებრზე, ნინდე ვერ გაეაბლევირე შინ, დაუსჯი, დაეტყუთავ, ჩავეტებე ოთახში, ნინგს კი გაშობი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რო შევიხებავე ოთახში, აღარ დამხვებდა იქ. ფახჯრიდან გაიპარება. მე იმის თავიც აღარა მაქვს ეზო-ეზო, ქუჩა-ქუჩა ვდიო. ნუ დამლუპავთ, მაგის მეტი ჩემს არემარცხე კაცთავანი აღარავინ დარჩა. მარტოხლა შემოვრჩი ამ უხიავ ნუთისოფელს. სკოლიდანაც რო გამიგდოთ, მთლად დამლუპებათ.

მოთქვამდა ასე ბებია.
 რა ეწნათ მასწავლებლებს, გულქვანი ხომ არ არიან, შეებრალეობოდათ ბებია და მისდევის მოსდედნენ დათიკოს ხან დაეყავებით, ხან ტუესვა-ჯაჯელანით.

მინც არაფერი გამოდიოდა.
 ბავშვები, როგორც შევექლო, ისე ვებმარებოდი. დასვენებების დროს ვანერინებდი სამონაო დავალებებს, ხან იმავე დასვენებაზე სხამასხუპით მოუწყებოდი გაკვეთილის შინაარსს. ქართულში რომელიმე მოთხრობის შინაარსს მაშინვე იმასტორებდა, იკვირებდა, გეკვირდა კიდევ, დიდ დასვენებაზე ლექსს რომ დავაზებირებინებდი, შეუფდომლად ჩამოუკვლავდა მასწავლებლებს ეს ყოველდღე არ ხედებოდა, ხანდახან ახერხებდა ამას და



მკაცრად დასჯის პირდაღებულნი შესაძლებლობა-
დენ. მეტს არაფერს კითხავდნენ, ყოჩაღ,
ყოჩაღო, შეაქებდნენ, — იმ ვარაუდით, რომ
გაბეჭდვებზე მოვიდეს და მომავალში გამე-
ცადონდათ. — ეს მაშინვე სამიანებს უწე-
რდნენ. უნიჭო კი არ იყო, გაკვეთილზე მას-
წავლებლისთვის რა ყური დაეგდო, შინ რო
ნიჭი გაეშალა და სამიანო დაეაღებებო ევა-
თებინა ყოველდღიურად, შეიძლება ჩვენც
გვეჯობროდა სწავლაში. აცენილი, უქნარა
და ზარმაცი იყო. წლის ბოლოს მასწავლებ-
ლებს გაახსენდებოდათ, ჩვენ მიერ დაქოქი-
ლი. რა თქმა უნდა, დასვენებებზე, — დათი-
ყო რაღაცას რომ პასუხობდა ხოლმე მათ,
თანაც ბებიამისის ხვეწნა და მუდარა, ცრე-
მლებზე გაახსენდებოდათ, უწერდნენ სამიან-
ებს და ასე გადადიოდა დათიყო კლასიდან
კლასში.

მეხუთე კლასში რომ ვიყავით, ერთ დღეს,
ჩვენი დამრიგებელი, მათემატიკის მასწავ-
ლებელი ელენე დაფისკენ შებრუნებულნი ცა-
რკვით მაგალითს წერდა. დათიყო ბოლო მე-
რხზე ფანჯარასთან იჯდა.

უცებ გამოალო სარკმელი, შედგა რაფაზე
და იმ დროს ისეუბნა, როცა ელენე მასწავლე-
ბელი შემობრუნდა. დათიყო კერა თუ არა
რაფიდან მოწყვეტილ დათიყოს, შეყვირა
უფრო შემინებულმა და თავზარდაცმულმა,
ვიდრე მოსწავლის ამ საქციელით გაბრაზე-
ბულმა. მიიჭრა ფანჯარასთან, რა თქმა უნ-
და, მეორე ფანჯარასთან, რომელიც მასთან
ახლო იყო, სწრაფად გამოალო და გადაიყუ-
და, გადაიხედა ენოში. ჩვენც ფანჯრებს მი-
ვყვივდით. პირველ სართულზე იყო ჩვენი
კლასი. დავინახეთ, მინაზე დაეცმული დათი-
ყო წამოდგა, ამოგებადა, გაიჯღანა, ხელი
დაგვიქონა და გაიქცა.

შეაშინეთ, ელენე მასწავლებელმა როგორ
შეებით ამოისუნთქა, რა გადარეული და ეშ-
მაკისფერა ბავშვიო, ესაა თქვა ფანჯრიდან
შემობრუნებულმა. ცოტახანს ჩამოჯდა, შე-
წყვიტა დაფაზე წაწერილი მაგალითების გან-
მარტობა. მერე წამოდგა და ყვირილი დაი-
წყო, რასა ჰგავს ესო, ეს როგორ გამოიხდა
ამ ლანჩარკაო, რომ დაღუპულიყო ან დახე-
იბრებულყო, მერე რაღა შექნათ, რა ქვეს-
ქნელში ჩაეჭმურაღიყვიო, ამას კი აღარ ეა-
მატებო, — მოგვყავრა ეს სიტყვები. როცა
ჯავრობდა, კი არ გვიყურებდა, თავისთვის
მოთქვამდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ჩვენს
განაცონდავი ამბობდა. შეწყვიტა გაკვეთილი
და საკლასო ოთახიდან გავიდა.

ელვასავით მივდო მთელ სკოლას დათი-
ყოს ამბავი. ელენე მასწავლებელმა მომდევ-
ნო გაკვეთილზე კლასში დირექტორი მოიყ-
ვანა, აშქენა, რომელი ფანჯრიდან ისეუბნა და-
თიყომ. შემდეგი დასვენების დროს სხვა

კლასების ბავშვები მოაწყდნენ ჩვენს კლასში
უფროსებიც, უმცროსებიც. ყველანი ელენეს
სება, რომელი ფანჯრიდან დაეახტა დათი-
ყო. ზოგი ამბობდა, რა უშიშარი ყოფილაო,
ზოგი კითხულობდა, რატომ და რისთვისაო,
რა ქარმა ჩამოუქროლაო. აბა, ეს შექმლო
პასუხის გაცემა? არც არაფერი უთქვამს,
არც არაფერი ისეთი ჩაუდენია გაკვეთილზე
უცებ წამოვარდა, გაალო ფანჯარა და, ჰა-
იდა, გადაეშვა იქიდან.

— დირექტორი ქაქან-ქაქანით გაციოდა საკლასო
ოთახიდან, უნდა გაირიგოს, უნდა გაირიგ-
ხოსო, იძახდა, აღარ გავაკარებ სკოლის არე-
მარტო.

ელენე მასწავლებელმა გამიხმო ცა ცა უა
მიოხრა, გაკვეთილების შემდეგ კლასი დ ტარ-
ვე კრება მოვიწვიოთ, თქვენ თვითონ ილა-
პარაკეთ ამხანაგის საქციელზეო. კლასკომი
ვარ და ამიტომ მიოხრა მე.

კრებას, რასაკვირველია, ელენე მასწავ-
ლებელიც დაესწრა.

რამდენიმე ბავშვმა გამოთქვა თავისი აზ-
რი. არ მოგწონს დაეთის საქციელი, ასეთი
რა გაუჭირდა, თუ რამე გაუჭირდა, ეთხოვა
ელენე მასწავლებლისთვის, გაათავისუფლებ-
და გაკვეთილიდან. უერ არ გაუთავისუფლე-
ბია თუ რაო?

ელენე მასწავლებელი ბოლო მეორხზე იჯდა,
არაფერს ამბობდა, ჩვენ გვისმენდა. მე ვუძ-
ღებოდი კრებას. ბავშვებმა გაიციეს, სიტყ-
ვას ღებვა-ღებვით ამბობდნენ, მთლად ვერ
იმეტებდნენ ამხანაგს, მაგრამ რაკი ელენე
მასწავლებელი ზურგს უკან ეგულავებოდათ,
უფრო მის გასაგონად იმეტებდნენ დასატომ
სიტყვებს. ერთმა ისიც კი თქვა, რომ დაღუ-
პულიყო, ელენე მასწავლებელს მოთხოვდნენ
პასუხსო. რა თქმა უნდა, გულწრფელიც იყ-
ვნენ, მართლაცაა რა მონაწილი იყო მისი
საქციელი, მაგრამ მაინც ფრთხილობდნენ, —
ელენე მასწავლებლის მდგომარეობასაც ოთ-
ვალისწინებდნენ და ამავე დროს ამხანაგის
მთლად მოკვეთასაც ვერ ბედავდნენ, ვერ ამა-
რთლებდნენ გასამართლებელი საბუთი ეე-
რაფერი გამოჩახეს, დავითის ყოველდღიური
საქციელი არ იმდღეა ამის საშუალებას,
მაგრამ ნახევარტონებით, მინიშნებით, სი-
ტყვასა და სიტყვას შორის ნაღარაფერში
თავიანთ სურვილებს გულისხმობდნენ. —
მთლად ნუ გავწირავთ, ნუ დაღუპავთ, ერ-
თელ კედელ ვეადით, ვცალკოთ, გავეციხოთ,
გავეჯოროთ საჯაროდ, ელენე მასწავლებლისა
და კლასის წინაშე ბოდიში მოვახდევინოთ,
ვედა ბოლოსდაბოლოს რამეს მიხედვით.

მე რა მომივიდა. ახლაც ვერ ამისწია.
რამ გამანინმატა ისე მწარედ, რამ გაშავუ-
ლისა, რამ შემწართა ამხანაგის გასანარაჯი
ნუთო იმან, რომ დირექტორს წამოცდა, გა-

ერიცხავ სკოლიდანო? სასჯელად მე ამას ვერ მოვიფიქრებდი, ასე ვერ გაწირავდი. ყურში რო ჩამიდა დირექტორის სიტყვები, ხო არ მეგონა, დირექტორს ეამბა. მხარს რო დავუჭერთქო? ასეთი შაამებლობა მაშინ საერთო მოვლენა იყო, მაგრამ მე, შეუთხებ კლასის მოსწავლეს, ვერ საიდან მექნებოდა ეს შეგნებული? ვინ იცის? ვინ იცის? ეს სენი, ეს ბავილები ისე იყო მოდებული, შეიძლება, მე რო ვერ ვამჩნევდი, ისე იყო ჩემში ფეხმოდებული. ასე იყო თუ ისე, ჩემი ვერო რო დადგა, არც ვაეცო, არც ვაცხებულე, ვთქვი, უნდა გაიარებოს-მეთქი სკოლიდან.

— მაეცად, ბუფუია მოსასპობო, ხო იქვი მავი! — გაიხმა ამ დროს ღია ფანჯრიდან. ყველამ იქით მივაბრუნეთ თავები, წელის სადინარ მიღს ამოკყოლოდა, ღია ფანჯარას მოდგმოდა და თურმე შეუმჩნევლად ყურს უდგებდა ჩვენს საუბარს, — გამწირე, არა? დაგკავე, ბუფუია, აკუნავ! ხო გვიგვ, რა თქვი?!

თქვა ეს და გაქრა მაშინვე.

ალარავინ მივარდნია ფანჯარას. მე გამეშებული ვიდექი და ფანჯრისკენ ვიყურებოდი. დათოს შექარის სიტყვებმა ისე ჩამჭიდეს კლანჭები, ვერ მოვიშორე. ბზიკებევით ჩამიძვრნენ ყურებში და ამ მოულოდნელი თავზარისგან გაოგნებული ვიდექი.

ელენე მასწავლებელი წამოიდა მერხიდან, მოვიდა ჩემთან, მხარზე ხელი დამადო და თქვა:

— მაგი ყველაფრის ღირსია, ბუფუ, მაგრამ შთლად აგრე რიგად ნუ გაწირავთ. სკოლიდან რო გავაგდოთ, სულ ქურას შეეხიზნება, ბებიამისი ვერ მოურვეა, შეიძლება დაიღუბოს. სჯობს, ისევე მოუვაროთ.

ორიოვე დღის შემდეგ ბებიამისმა მოიყვანა სკოლაში. ელენე მასწავლებელმა დაუვება. გეფთვა, გონს მოდი, რა უჩაღი ყოფილხარ, ამ სიმადლიდან როგორ გადახტი, ჩვენ იმიტომ აღუშფოთდით, შეგვეშინდა, არ და-

ლუბულიყავი, ასეთი უშიშარი ვერ ვიქნებოდი თუ იყავი, არ ვიცოდიო.

არ გათეთრდების ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა, — ეს ანდაზა პირდაპირ მასზე იყო მორგებული და, აბა, დათო რაღა დათო იქნებოდა, უცბად რომ მოთვინიერებულიყო. ცოტათი კი იცვალა ზნე. გაკვეთილებს აღარ აცდებოდა, არც ავზნობდა გაკვეთილებზე. თითქოს ისიც გადააფრთხიდა, მე რო დამეშუქრა. ელენე მასწავლებელმა მე მომანდო და გაკვეთილების შემდეგ შინ მიმყავდა, სკოლასთან ახლოს ეცხოვრობოდი, დედაჩემი მოგვეფრებოდა, დაგვანაყრებდა და მერე ურთოდ ვმეცადინებოდათ. არაფერი შედიოდა მის თავში.

მოუხედავად ამ სიახლოვისა, მაინც სულ-მულამ მახსოვდა მისი შეუქარა, დაგკავე, აკუნავო. ღამით ეკლავში სადმე თუ შემავიანდებოდა და შინისაკენ ღამით მომხიბებოდა წამოსვლა, შიშით მაცახცახებდა. სადმე არ იყოს ჩასაფრებული და წინ არ გადაშეღობოს-მეთქი, ვფიქრობდი.

პოდა, რა დამაფინეებდა დათოკოს.

ისეიარადა, ახლა, აქ, ადამიანთა ამ თავგზაბხეულ ბრბოში, უცბად გულში ბავშვობისდროინდელმა შიშმა ფრთა აიქნია, ვინ იცის, ამ მოურჯულელებმა ევება აქაც შემყაროს რამე ხიფათს-მეთქი, გაეფიქრე, მაგრამ ღიმილიანად რო შემხვდა და სამოთმინაინც რო გამომართვა, მყისვე ჩამიცხრა უნდობლობის გრძნობა.

ვიცი, დაერევა ახლა ამ ბრბოს, ჩემი სამოთმინაინთ დახვეტავს, თუ ვისმეს რამე შერჩა ჯიბეში. ეს ხელობა მისი, ამით ცოცხლობს. ამის მეტი არა აინტერესებს რა, კარტს რო ჩაუფედება, გადააინყვება, რა დღეშია ჩავარდნილი. თლონდ კარტი იყოს და ფული, კომპანიონებიც ეხვიოს გარშემო და იმას რა მნიშვნელობა აქვს, შინ იმყოფება თუ გარეთ, მტრებშია თუ მოყვრებში, თავისუფლებამა თუ ციხეში.

მაგისტერის ეს სულურთია.



თამაზ კაციაშვილი

რამდენიმე მოსაზრება

„უფრო მეტი რამდენიმე მოსაზრება“ — მთავარ გმირს, ნოდარ გელოვანს, ისეთივე ბედი ეწია, როგორც თავის დროზე ლევან ზღაპრებს. ნოდარის მიზანმიმართულად უკიდურესად დამოკიდებულებამ აინიშა თავი. მასთან დაკავშირებით მეტ შეფერვლები რამდენიმე მოსაზრების გამოთქმას.

მინდა დავიწყო, ალბათ, ყველაზე საინტერესო ეპიზოდით — აკადემიკოს ლევან გზირიშვილის თვითმკვლელობის ეპიზოდით. ნოდარ გელოვანის შესახებ მკვლევარად დაპირისპირებული აზრების წარმოსიზნა პირველ რიგში სწორედ ამ ადგილს უკავშირდება. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ნოდარის საქციელის გასაგებად გასათვალისწინებელია ცხოვრებისა და შეცნობებისადმი ლევან გზირიშვილის დამოკიდებულება. კრიტიკოს ზ. გვერდწითელის აზრით „ლევან გზირიშვილი შეცნობული ასკეტისა, უფრო ფართო მასშტაბით კი, მწარმოებელი ადამიანის იდეის და ამ ნიდავზე სულიერი გამოფიტულობის მსხვერპლია. თვითმკვლელობა თითქოს დოკუმენტი დასასრულია მისი ცხოვრებისა... ლევან გზირიშვილი თავს იტყუებს ან გულწრფელად ეტყობა, როცა „გამარჯვების წამი“ მისთვის შეწირული პირად ცხოვრების სრულ კომპენსაციად ესაზნება... თვით უდიდესი პირი. ვნებისადავისაც კი არაფერი ადამიანური არა უყოფილა უცხო, ვისაც ეს კუთვნილობა ბელიდან გასხვავდება, ვისაც ძალით დაუთრგუნავს საკუთარ თავში ადამიანური ვნებები და სპ. უარს მრავალმხრივი ხილვისა და შეგრძნების ხილვის, მისთვის ცხოვრებას ფუჭად ჩაუვლია და მას ვედარც „გამარჯვების წამი“ უშვლის. ლევან გზირიშვილიც ასე ემოციურად განმარტვობდა ხვდება თავისი ცხოვრების მიმ. წუბრის ეპიზოდს.“

შეიძლება ითქვას, რომ ნოდარის უკიდურესად დამოკიდებულება ცხოვრებისა და შეცნობებისადმი სხვაგვარია, განსაკუთრებულია. ხშირად „ვისაც ძალით დაუთრგუნავს საკუთარ თავში ადამიანური ვნებები, მისთვის ცხოვრებას ფუჭად ჩაუვლია“, მაგრამ ეს შესაძლოა ამიტომ მომხდარა, რომ მათ აკადემიკოსისაგან განსხვავებით ცხოვრების მიზნად „გამარჯვების წამი“ არ დაუსახავთ. იმისთვის, ვინც ცხოვრების აზრს, უპირველეს ყოვლისა, კუთვნილობის დადგენის სიხარულში, და არა, უბრალოდ, წარმატებასა და აღიარებაში ხედავს, მიზნის მიღწევის შემთხვევაში ცხოვრებას ფუჭად ჩაუვლია არ შეიძლება იყოს, პირიქით, ამიტომ არა ვგონია, მართებული იყოს იტყვიან შეტანა გზირიშვილის სიტყვებში: „იქნებ უკეთესი იყო საოცნებო ქალის ტრფიხაში გამეტარებინა ჩემი სიცოცხლე? მაგრამ შე კუთვნილობის ჩაწვდომისკენ ვისწრაფვოდი. არ დაგენანება ორმოცდაათი წლის დაუღალავი შრომა, იქნებ რომ ვერ შექმენი, საკუთარი თავისთვის რომ ვერ მოიკალებ, თუკი ამ ჯოჯო. ხეთურ და ტკივილებით“ აღსახე ბრძოლას და აგვირგვინებს გამარჯვების წამი, არანაზღერის დანახვის, ჩაუწვდომლის ჩაწვდომის, ამოხსნის ნების ამოხსნის წამი... შენ არ იფიქრო, მხოლოდ მინაშენელობის მეცნიერის დაფინს გვირგვინი იყო ჩემი ოცნება და მიზანი. არც ის მაწუხებს დიდად, ნახევარსაუფროვანი დაძაბული შრომის შედეგად შესაძლებლობის მქონე პირისა კომპარტიში რომ ვერ მოვხვდი. მხოლოდ ერთ რამზე მწუხდება გული, ბედმა არ მარტუნა დიდი გამარჯვების წუთები, კუთვნილობის შეგრძნების წუთები. უკიდურესი მზადყოფნა, ასეთი წუთებისთვის სიცოცხლედ კი შემეწირა... ჩემ ბევრჯერ ვუთხარი რამდენიმეჯერ მაგრამ ეს წუთული მდინარე ვერც ერთხელ ვერ გადავლახე. ბოლო ვისაც რუბიკონი არ გადავლახავს. ვისაც დიდი გამარჯვების წამი

ჩემი აზრით, გზირიშვილისთვის მეცნიერული ასპექტში მიზნის მიღწევის შემთხვევაში არ

არ განწყობილია, იგი ვერასდროს გაივებს დიდი სიციცქლის ხილამაზებს, ვერასდროს ვერ შეიგრძნობს თავის პიროვნულ ხილიადებს. ვერასდროს ვერ წარმოიდგენს ადამიანს გონების უნაზღვრო შესაძლებლობებს. ეს არის ამ ერთადი წუთის ემოციასთან შედარებით თუნდაც მთელი სიციცქლის უკველდლოური ცხოვრების სინარული? არაჩაიბა და მხოლოდ არაჩაიბა!"

დიდ ვალშია ვეფხისტყაოსნის ავტორის წინაშე. შეიძლება თუ არა, რომელიმე კონცეფციას ავითარებდა დანტემ? — აქ უნდა გაიჩინებოდნენ: რომ შუა საუკუნეთა თეოლოგიურ-ფილოსოფიურმა დუალიზმმა პოლიტიკურა დუალიზმი წარმოიშვა: სასულიერო და საერო ზღლისუფლებმა; პაპი და იმპერატორი. XIII საუკუნეში იტალიის ეროვნული გაერთიანების გზაზე ერთ-ერთი უვალზე დიდ დაბრკოლებას სასულიერო ზღლისუფლებს — პაპის საერო ზღლისუფლებს ძლიერება წარმოადგენდა; როგორც შეხანიშნავი იტალიელი მკვლევარი ფრანკესკო დე სანტიხი თავისი იტალიური ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნავს, ამას დანტე შეეცაღებებდა ირასი წლით ადრე მიხვდა: მისი იდეა მსოფლიო მონარქიის შესახებ ფაქტიურად პაპობის წინააღმდეგე იყო მიმართული. რისი დაპირისპირება შეიძლებოდა მსოფლიო „სასულიერო მონარქიის“ გავანტურა ავტორიტეტისთვის, რომელსაც საერო ზღლისუფლებს პრეტენზია მქონდა? მხოლოდ და მხოლოდ არანაკლებ ძველი ავტორიტეტი აიყვან მსოფლიო, მაგრამ საერო მონარქიისა, რომელიც „ღვთაებრივი“ ავტორიტეტის სახელს უკავშირდებოდა. „ღვთაებრივი კომედიას“ დანტეს ვერგილიუსი თავის მიგზურად, ან, როგორც თავად ამბობს, „მამად და წინაშელოდად“ (სალხინებელი, XII, 8), შემიხვევით არ აღრმევათ: ეს არჩევანი არა მხოლოდ ესთეტიკურმა, არამედ, არსებითად, ეთიკურ-პოლიტიკურმა მსოფლიმდევრობამ განსაზღვრა; დანტე დამი რბივლი პოეტის პოლიტიკურ იდეებმა და იდეალებმა იზარბებდა.

ვერგელიუსი, შუასაუკუნეთა ეს უდიდესი ავტორიტეტი, რომის ტესპუბლიკის დაშობისა და მის ნეკლად რომის იმპერიის დაშორების თანამედროვე იყო; ოქტავიანე ავგუსტუსის ზღლისუფლების შესაანურა და ესპაკლოვიური მისია ახალი ზღლისუფლებას ოფიციალური ლიტერატორის არს შეადგენდა და იმპერიის ამ წარმმართველ იდეოლოგიის დაშუშავებში ვერგილიუსი აქტიურად მონაწილეობდა — რომელსაც მას თვით ავგუსტუსმა შესთავაზა მომეროსის ეპოსის დაწოდ. „რომის ეპოსის“ შექმნა, პოეტო დათანხმდა. შოაგონებისთვის ვერგილიუსმა საბერძნეთის მთიოსურ წარსულს მიმართა და მასზე პიკა საყრდენი ახალი ზღლისუფლების პროვიდენციალური მისიის დასახაზოებლად; მისი „ენეიდა“ ამ მიზანს ემსახურებდა. ავგუსტუსის მითიური ღვთაებრივი წინაპარი — ენეასი საკუთარი ნებთ კი არ მოქმედებს, არამედ ღვთაებრივი განჩინების აღსრულებელია; მისი „სამოლოცო მისია“ — რომის დაარსება, რომლის ისტორიაც მისიანდასახლებდა; რომის იმპერიამ უნდა განავრცოს თავისი ზღლისუფლება და გაავრთიანოს ქვეყნიერება ამისთვის.



რომ რომელიდაც კულმინაციურ მომენტში მოხდეს დიადი ვარდატება, მოსპოს ომები და სპოვრელითაო შუადღობანობა და სამართლიანობა დამყარდეს. ვერჯალიფის სწამად, რომ იგი ამ დიადი ვარდატების მომწერ იყო და მომავალი „არქოს საუკუნის“ დამყარებას ავტენტურის მწვიდობიანობას და სამართლიანობას უკავშირებდა. ამ პოლიტიკური კონცეფციიდან სრული უპევილობით გამომდინარეობდა დასკვნა, რომ რომელიდაც ზედგრა ვანავრ შიფლი მსოფლიოს ზღბებში. ამ იდეებს დანტე სავებით იზიარებდა.

„დვთებრივ კომედიაში“ შემოდის ვერჯალიფის იდეა. დაკვირვებული რომის უნივერსალური იმპერიის დანტესუდ კონცეფციასთან, იმ იდეალური მსოფლიო მონარქიის იდეასთან, სადაც რომი — მსოფლიოს დედაქალაქი, ხოლო იტალია — მსოფლიო იმპერიის ცენტრი, მისი უშუალოდ იტალიის ხალი უნდა ვამბარაიუს აქვე უნდა ითქვას, რომ აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება იმდროინდელ ვერჯალიფ მოსწონებდა მამართ დანტეს პოლიტიკური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ინტეგრირირება.

XIII-XIV საუკუნის ვახაყარის — 1300 წლის დროინდელი (ეს თვით დანტეს შივრ შეგნებულად აჩვენული თარგმანი) ვერჯალიფის პოლიტიკური რუკა „დვთებრივ კომედიაში“ უაღრესად საყურადღებო სახითაა წარმოდგენილი: გენიალურ იტალიელ პოეტს საყურადღებო „ვესტრალური კონცერტი“ აქვს (სამართებ, XIX, 112-116), რომელიც აღწერილია „სამართადეაზოდ წარუშლელი სიტყვებითაი მათი“ და, რაც ყველაზე სინტერესოა, ვერჯალიფის ზღბისადმი მიმართავია ამ მონარქია საქმეთა ვამსქელად სპარსელები არაან დასახლებულნი.

რატომ? — სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი კითხვაა, თუკი „იგი ამხეთ სპარსული“ ფსევდოპარობლენად არ მიგვანია.

განა შეიძლება არ დავაფიქროს მსოფლიოს რომ უპირველესი გენიოსის შემოქმედებაში ერთი და იგივე სპარსული ელემენტის ვანება?

შეგანა სპარსული თემა ვერჯალიფის ლიტერატურაში მხოლოდ რუსთომილისა და დანტეს შემოქმედებით არ ამოიწერება.

გოეთეს ლირიკის გვირგვანს, მისი პოეზიის მკვლევარ ვესტრალურ და აღდგომიულ ცოდნის, მანდას პოლიტიკური მუხტით დამუხტულს — „დასავლურ-აღმოსავლურ დუანს“ — შთავსებულს სპარსული პოეზიის სიღრმით და სინატიფით, რომელიც, მომზიბლავი გამოწავლის მიღმა, მისი თანადროული სინამდვილისადმი გენიალური გერმანელი პოეტის დამოკიდებულება დასიფრული, კ. ბურდახმა „იღუმელი ლირიკა“ უწოდო, სადაც „სიტყვა მარაოს მკვანს“, ან, როგორც თავად გოეთემ იქცა, „სიტყვა — მარაოა“.

„დასავლურ-აღმოსავლური დუანს“ ალექსანდრე ვიგნი; გოეთემ მისში ასახა მისი მხარე მდროედ გერმანიის პოლიტიკურ ვესტრალურ ცოდნაში კავშირი იმ დესპოტურ პოლიტიკურ აღმოსავლურ სიტყვობებში, რომელიც ცხოვრობდნენ აღმოსავლელი მუხანებები, და სცადა მიენიშნებინა მათი პოეტური ბედის მსავსება თავის ბედთან. ამ უნატიფეს პოეტურ კრებულში დი-შიფრულია გერმანელი გენიოსის შვანტე-იქრები ვერჯალიფის ბედ-იზბალებზე და კარგობს რწმენა, რომ ზღბი ბოლოს შინიც დააღწევს თავს უკველგვარ ტირანიას.

მართლაც, „უკველი სიტყვა მარაოა“ და არა-იშვითად მისი „მარაოში“ ცნობილ, შავრამ ვა-უცნობიერებულ ჰუმანიტიტებს ფარავს; გოეთეს მეტაფორას თუ ვანავრცობთ, შეიძლება ითქვას, რომ დაზურული მარაო სიტყვის მხოლოდ ვარგენულ სახეს აჩენს და სიტყვის კე-შმარტი მნიშვნელობის სრულად აღქმა მხოლოდ მამანა შესაძლებელი, თუ მარაოს „ფარულები“ ანუ „სიტყვა-მარაო“ მოდიანდა ვადაშლილი; შავრამ ეს იდეალური შემოხვევა, და, როგორც უკველი იდეალი, ქნელად მისაღწევი. ჰეველებრივ სიტყვა-მარაოს „ფარულები“ ანუ მნიშვნელობაში მხოლოდ წელნული ახსენება და თანდათან ვვიშვებს თავის „დაფარულს“ ანუ თავის ზემანტიკას, თავის ამ კონსტრუქციურ მნიშვნელობებს, რომელიცა ცოდნისა და ვათავლისწინების ვარგევი ანა თუ იმ ეპოქის ტექსტის ვაგება სრულიად ვამორიცხებულია, ხშირ შემთხვევაში კი — მცდარა.

ნუთუ მხოლოდ შემოხვევითობას მივწერება რუსთომილის, დანტესა და გოეთეს შემოქმედებაში სპარსული ომბიტაკის ვანება? ბუნებრივია ვფიქრობთ, რომ აქ საერთო ძირზე ამოწრდილი რაღაც ვარგეული კანონზომიერება იფარება. სპარსული თან დავაფიქრებულ ლექსებში, რომელნიც დროითა და სივრცით ერთმანეთისგან დაშორებული სამი გენიოსის — სამი ერის სამი უპირველესი პოეტის — შვანტრულ მუხტებში ვავხედება ერთმანეთისგან დაშორებულად, ასევე „სიტყვა-მარაოა“, ანდა არისტოტელეს „მეტაფორა-ვაპორს“ კარგული მასალის საფუძველზე სპარსული სპეციფიკური ეპოქალური კოდი, ვანაზღვრული სარწმუნეობის-წინობრივი მსოფლმხედველობით. შავრამ მის აქვს სხვა ვაყოლებით უფრო ადრინდელი და ვარობაღური ვანვითარების შვარი კონსტრუქციური კოდური მნიშვნელობა, რომელსაც მრავალსაფეროვანი ტრადიცია აქვს. უკველი ვანათლებული დამანისითვის სკოლის მერხანდაწევა ცნობილად მქვლი მსოფლიოს ეხტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოშია ასახული — ასეთი ფორმულიტებით: „აღმოსავლეთში შეაქმნა დიადი სახელმწიფოები შეუზღუდველი სამეფო ძალაუფლებით“.

ბით... ისევე, როგორც სკოლის მერზიდანვე ყველასათვის ცნობილია სახელმწიფოს შიგნით: „თქვენს სახელმწიფოს შიგნით-გამგეობას ბერძნები დემოკრატია უწოდებდნენ, რაც დემოსის ძალაუფლებას ნიშნავს... იგი მონათმფლობელური დემოკრატია იყო“.

მაკარ და ზუბტ მემკვირეულ ენაში სრულად მოხსნილია ის იდეოლოგიური კაშხლი-აღი, რომელიც ამ სიტუაციის მატერიალურ ასპექტს ახლავს და უკველგვარი ბუნდოვანების გარეშე ნათქვამია, რომ ძველი სპარსეთი არის დესპოტია, ანუ გადმოცემულია ის აზრ, რაც ნებისმიერ ენციკლოპედიაშია ფიქსირებული: „დესპოტია (შეუზღუდავი ხელისუფლება) სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უპირობო ცენტრალიზაცია, ერთპიროვნული უმაღლესი მმართველის — დესპოტის თვითნებობა და ქვეშევრდობა უფლებობა, დესპოტიის ნიშნული ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები (ასურეთი, ბაბილონი, სპარსეთი, ჩინეთი და სხვ)... პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში დესპოტიას მმართველობის განსაკუთრებული სახით ქრ კიდევ არისტოტელე გამოხეობდა“ [ქვ. 4].

ამრავად, სპარსეთი — სპარსული, როგორც შეტყობა და „სიტყვა-მარაო“, თავისი კიდევ ერთი — შესაძლებელია, უკვლავზე მოავარი — მნიშვნელობით გადაგვეზღავს მნიშვნელობა მას ქრ კიდევ ანტიკურ პერიოდში, პლატონისა და არისტოტელეს სახელმწიფოს თეორიისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომებში ასევე მიღებული და ეთიკურ-პოლიტიკური ასპექტისა: სპარსეთი შეფხს შეუზღუდავი ძალაუფლების — დესპოტიის სინონიმია.

სპარსეთ-საბერძნეთის ეს მკვეთრი დაპირისპირება ბერძნებს დიდი ხანია გაცნობიერებული მქონდათ. ეს სრულიად ცხადად ხანს სპარტელთა შიგნ სპარსეთის მეფის იმ სატრაპისთვის პასუხად გაყვებულ სიტყვებში, რომელიც სპარსელებს „მეფეთ-მეფის“ (სპარსეთის მეფის წოდება) სახსახურში ჯადგომას აწვევდა; „ჰადარნეს, ამ რჩევებს, შენ რომ გვაძლევ, გონიერება აუღია. შენ მხოლოდ ის იცი, რაც თავად მიგჩანია მიხატებად, მაგრამ არ იცი, რაზე გვიჩივებ ხელის აღებას. შენ იცი, როგორ უნდა იყო მონა, მაგრამ არაფერი გესმის თავისუფლებასა, ვინდ მწარე იყოს და ვინდ ტყილი. შენ რომ აღვსებ გვემან თავისუფლება, მაშინ გვიჩივებდი, რომ მისთვის არა მხოლოდ შუბებით, არამედ ცულებითაც კი გვებრძოლა“ (ბეროდოტე, ისტორია, VII 113). ხოლო ბერძენთა თავისუფლებისმოყვარეობის შესახებ სპარტელთა უფოალი მეფე დემარტოსი ქსერქსეს ეუბნებდა: „ისინი თუმც თავისუფალი არიან, მაგრამ მთლად თავისუფალ-

ნი კი — არა, მათი მეფე... მონათმფლობელი ვიდრე შენს ხალხს — შენი“ (მეფე-მეფის სიტყვა, VII, 114).


საბერძნეთ-სპარსეთის, როგორც იანი ურთიერთგამომზრახველი პოლიტიკური სისტემის, ეს ანტიოეზა ძველი სამყაროსთვის კარგად იყო ცნობილი. შემდგომში დროის პერსპექტივაში კიდევ უფრო გამკვეთია კონტრუბუნი და გემოკვეთა მოავარი: შუა საუკუნეთა ევროპის უაღრესად კლდეტიკულ შეტყობრა და მესაუფლებათაში სპარსული არა მხოლოდ ეთიკური, არამედ, უმთავრესად, პოლიტიკური ტერმინია, როგორც შეუზღუდავი ძალაუფლების სინონიმია (მღრ, კომპოტეტიც ადრეტიკურებული სიტყვაში, რომ სპარსეთა მეფეს შეუძლია გავეთოს, რაც კი მოუდებდა“).

დაინტეს „დუთებრიც კომფენიაში“ სიტყვა სპარსელები სწორედ თავისი ეთიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობით არის ნახშიარი უღრებად მარადიულ კონტექსტში — დიდი იტალიელი მუმანტი მიმართავს ევროპის ხალხებს — რას იტყვიან დესპოტებად შერაცხულნი სპარსელნი თქვენს ევროპელ მონარქთა დესპოტისმზე? ანუ: ვანა თქვენი ევროპელი მონარქებია იმავე შეუზღუდავი ძალაუფლებით არ სარგებლობენ, რაც ბრალად რატომღაც მხოლოდ სპარსელებს ედებათ? სპარსეთის ეს სემანტიკა ვოეთეს „დასაუღურ-აღმოსავლურა დავანის“ ლიტმოტეტიც.

მაგრამ, როდესაც ამ კონტექსტში სპარსეთს ვახსენებთ, ვანა შეიძლება დავიფიქსოთ ფრანგული განმანათლებლობის შედგენი — მონტესკიეს „სპარსული წერილები“?

მონტესკიეს ეს თხზულება აბსოლუტიტურ საფრანგეთში დაიწერა, იმდროინდელ საფრანგეთში, რომლიდანაც ისტორიას შემოიტანა ერთპიროვნული შეუზღუდავი მმართველობის ფორმლა ქართველოთავის კარგად ცნობილი ლუი XIV-ისა: „სახელმწიფო — შე ვარ“; „სპარსული წერილები“ კოტენციაში დემოკრატულ-რესპუბლიკური სულისკვეთებით გამსჭვალულ „კანონთა სულს“ შეიცავენ, მონტესკიეს იმ თხზულებას, რამაც იდეურად შეაშადა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც ამ ირანის წლის წინ დაამხო მატკალია.

მხოლოდ ისტორიის განვითარების თვალნახრისით მონტესკიეს სახელმწიფო წყობილების ეველა ფორმა დასავსს სამ ძირითად ფორმაც. ებენია: რესპუბლიკა, მონარქია, დესპოტია. თუკი მონტესკიე თავის „ცდებში“ მონალურ იკემიანსა და მის სულიერ შენამდებლობებს აცვლევდა, მონტესკიეს ინტერესთა სფეროს საზოგადოებრივი ადამიანი და კანონმდებლობის მემკვიდრე შეადგენდა. „სპარსულ წერილებში“



მონტესკიე ვიცურობებს სახელმწიფოს ორ ტიპს — აღმოსავლურ დებსოტაის და ევროპულ მონარქიას, და ორივეს აკრატებს ჩეს-სუბლეკლის პოლიციებიდან. მონარქია არის ძალადობით აღსაყენ წყობილება, რომელიც მუდამ გადაჯვარდება ხოლმე დებსოტაად... სწორედ ამიტომ კომპოზიციურად ეს წყნე ორ ტიპსა აკლებს; ერთი მხრითა დებსოტური სპარსეთი, მეორე მხრით — მონარქიული საფრანგეთი, და უკველივე ეს „გახვეულია ფრანგული გონებასახვილობის მსუბუქ მოღვარე თამაში“ (ვერციენი); ობობის ამგვარი — არააშეაიად ფრიადური — ფორსა ავტორის თავისუფლების ამღვლე, რადგან მწკვედ პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა და რამეგვარად უნდა დახსტომოდა სამეფო ცენზურის ფხიწელ თვალს.

კუმშარტად, მხოლოდ ნატიფ ფრანგულ იუმორსა და გასკონურ გონებასახვილობას შეძლო, რომ „მეფე-მწეღ“ წოდებული ღუღუიკო XIV-ის აბსოლუტისტურ საფრანგეთში დებსოტური სპარსეთიდან ჩამოსულ სპარსულ რეღის დემოკრატიაზე ემსყელა... ამ მხრით ასოციაციონერობით წერტილი მართლაც შესწაშნავა; უერთი ამ საკითხსავე, რომელიც ევროპაში ჩემს ჩამოსვლასთან დაკავშირებით მონტესკიეს, — წერს რეღი, — რესპუბლიკათა ისტორია და წარმოშობაა. როგორც შენთვის ცნობილია, აზიელთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენს კი არ აქვს მმართველობის ამ სახეობის შესახებ და უმეტესად ვერ ჰყოფენ იმის წარმოსადგენად, რომ კვეყნად შეიძლება არსებობდეს რამე სხვა მმართველობა, ვარდა დებსოტურისა... როდესაც წარუქნამ საბერძნეთი გაანადგურა, იგი ახალმა ხალხმა დასახლა. თითქმის ყველა ისინი ეგვაპტიოდან ამ უახლოესი აზიური მხარეებიდან მოვიდნენ, და რადგან ამ კვეყნებს მეფეები მართავდნენ, ამ ხალხსაც პოპულიც იქიდან მოვიდა, საბერძნეთშიც იგივე მმართველობა მქონდა. მაგრამ, როდესაც ამ ზელმწიფეთა ტორიანი აუტანელი შეიქმნა, უღელი გადაჯდეს და ამ საეფოთა ნანგრევებზე აღმოცენდნენ ის რესპუბლიკები, რომელთაც აუვაგება მოუტანეს საბერძნეთს — ბარბაროსთა შორის ერთადერთ კულტურულ კვეყნას. თავისუფლებებს სიკვარულა, დებსოტთა ხიძულელი დიდხანს იყავდა საბერძნეთის დამოკიდებულებას და შორს ვანავტო მმართველობის რესპუბლიკური წესი“.

„სპარსული წერილები“ თავისი შეურიგებელი დემოკრატიული პაიობით კუმშარტი ჰეტიანშია იყო ამდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში: აღმოსავლური დებსოტისა და ევროპული აბსოლუტური მონარქიის ეს შეტად გაშვირვალე კვატბქსტური გაგავება, სადაც პარტელს მტავრითად სპარსეთი ეკველინე


ბა, ევროპული შემეცნების მყარი ტრადიცია. ტრადიციის ფრეგები ღრმია: მტავრული ვეიოქვამს უპირველესის და უმეტესის ტრადიციის მამად წოდებულ ესქოლეს შესახებ, და არც ის, რომ მსოფლიოში პირველ ტრადიციას სახელად „სპარსელები“ მქვია, ტრადიკული მუხის ისტორია იწყება ტრადიციით. რომელიც აღწერილია დებსოტური სპარსეთისა და დემოკრატიული აიენის ბრძოლა, ბრძოლა, რომლის მონაწილეს იყო „სპარსელების“ ავტორი.

დებსოტური სპარსეთისა და დემოკრატიული აიენის დაპირისპირება ესქილესთვის, განსხვავებით დანტენა, მონტესკიესა და გოთიესგან, მარავიოზახვიბეული გამოჩანის კი არა, ურეაღურესი ხანამდელი იყო: საღამინთან აიენის ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებიდან 8 წლის შემდეგ შექმნილი ეს ტრადიკია სპარსელთა მრავალრიცხოვან ქარზე ბერძენთა ამ ტრაიუმფს აღწერს და აღიღებს.

საკველთათოდა ცნობილია, რომ ძველი ბერძნული ტრადიკული თეატრი მთიოლოგიური თეატრი იყო, რომ იგი უძველეს რელიგიურ ობზულებათა და საგმობო ღეგნდათა სიუეტებს ეფუძნებოდა, და მოულოდნლად აღმოჩნდა, რომ ჩვენამდე მოღვლეული პარტელები ტრადიკია ისტორიულ — უფრო მეტიც, მწკვედ სპეირბობოტო სიუეტებზე დაწერილი. მრავალმხრავ საკურადღებოა, რომ „სპარსელები“ ანტიკური ტრადიკული თეატრის ერთადერთი „ისტორიული“ ტრადიკია — ეს კივედ უფრო მეტყობად აჩვენს მისი თემის მნიშვნელობას. ესქილემ თავის „სპარსელებში“ ზოტაა შეახმა ბერძენთა კატრიოტულ გმირობას და მამული-შვილურ თავგანწირვას, თავისუფლებისადმი მთი სიუყარულს დაუპირისპირა სპარსელთა მონური მორჩილება თავისი დებსოტი მმართველობისადმი.

ამე წარმოვიდგა ესქილეს „სპარსელები“, როგორც სტილით — მთიოლოგიური, პოლო მინაარსით — პოლიტიკური ობზულება.

ესქილეს „სპარსელები“ უმეველია, სახელმწიფოებრივი კატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის უმაღლესი გამოვლენა; ამ უნდა გავიხსენოთ, რომ სრულად-ეფიორტი დემოკრატიის ცენტრს ათენა — „საბერძნეთის სკოლა“ (თუკიდიდე) წარმოადგენდა. აიენის დემოკრატიის ეს უპირატესობა, ყველა სხვა სახელმწიფო წყობილებასთან შედარებით, განსაკუთრებულ სიესადით, განამევეტრლობითა და ღარსებთა არს წარმოჩენილია აიენის დემოკრატიის წინამძღოლის — პერიკლეს საკუველთაოდ ცნობილ და სახელგანთქმულ სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც სპარსელებთან ბრძოლაში გმირულად დაცემულ აიენელთა ხსოვნას ეძღვნება: „ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების ნიძუშად ზვედ არავითარი უცხო-



ური წყობილება არ გამოკვეთიანია; პირიქით, ჩვენ სხვებს კი არ ვნაძივთ, თვით ვართ მავალითა სხვებისთვის, და რადგან ჩვენთან ქალაქს მართებს არა ერთი მუშა ხალხი, არამედ ხალხის უმრავლესობა, ამიტომ ჩვენ სახელმწიფოებრივ წყობას ხალხის მმართველობა ეწოდება. კერძო საქმეებში კანონთა თანხმად ვხდებით თანხარად უფლებით სარგებლობას. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ საქმიანობას, სამართაო სახელმწიფო თანადგომიანად უფლებს ერთნაირად მისი ღირსების მიხედვით, რამდენადაც იგი რაიმეთი გამოირჩევა არა გარკვეული ფენისადმი კუთვნილებით, არამედ პირად სიკეთეებით. სიღარიბე და ბუნდოვანი ჩამოშავლობა, ანდა დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანს ხელს არ უშლის დაიკავოს საპატიო თანამდებობა, თუკი მას ძალუძს სამშობლოსთვის სამსახურის გაწევა..." (თუყვ. დიდგ. ისტორია, გვ. 47).

მსოფლიო მშატურული ლიტერატურაში პირველმა ესპილემ დაუპირისპირა ერთმანეთს სპარსეთი — ათენი, როგორც ორი ურთიერთგამომრიცხავი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური, შესახამისად კი — ეთიკურ-პოლიტიკური სისტემა: ერთი პირის თვითინებოთი განსაზღვრული დებსპოტია და სამართალზე დაფუძნებული დემოკრატია, ხოლო ამ დაპირისპირებით საუკუნო დიდება დაუსწავიერა დემოკრატიული ათენის სახელმწიფოებრივ იდეალებს.

ზემოთ განხილული მასალის მიხედვით ცხადია, რომ სპარსეთი — სპარსული, უპირველეს ყოვლისა, ეთიკურ-პოლიტიკური ტრამინა, მაგრამ ისიც საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ესპილესთან ამ ტრამინს არა მტაფორული, არამედ კონკრეტული, რეალური შენარსია აქვს.

ახალი დროის მსოფლიო ლიტერატურაში ესპილეს ტრადიციას პირველი გამგრძელბეული — შოთა რუსთაველია: პირველად მისი კალმით იქცა სპარსული შეუზღუდავი ძალაუფლების მტაფორად: ეს მტაფორა მსოფლიოდმშობლოდ ევროპული აზროვნების ნუსფოა.
ესპილე — რუსთაველი — დანტე — შონტესკიე — გოეთე...

სწორედ ვენისთა ამ დიალი სამშობ — აღმოსავლეთი და დასავლეთი ქრისტიანული სამყაროს დროითი და სივრცით დაშორებულმა, მაგრამ შინაგანად განაზრობებულმა სულაერმა კავშირმა გახადა შესაძლებელი „ეს ამჟავი სპარსულის“ მარავიზარაზეს მიხვედრისა.

ვეფხისტყაოსნის შესწავლაში „ქვად საბრკმელ“ მიჩნეული ეს „საბედისწერა მეცხრე სტოროფი“, რომელიც ამა მხოლოდ მეცნისრულ ვნებნათაღელვის საგანი შეიქმნა, შესაძლებელია, ამ ინტერპრეტაციით იმ „ქვად საკედურ“ მოკვეთლის, რომელიც კონცეფტურ

იქნება მთელი პოემის მიმართ და ანტიკური პოლიტოლოგიის ასექტში (უპირველეს ყოვლისა, აქ პლატონის „სახელმწიფო“ და კრიტოტელეს „პოლიტიკას“ ვგულისხმობ) განხილვისას სრულიად ახალ და უცნობ მართობებს გაუშლის შოთა რუსთაველის ვენიალური პოემის მკვლევარა.

შოთა რუსთაველის სახელმწიფოებრივი იდეალი XII საუკუნის მიწურულისთვის ფანტატკურად პროგრესული პარლამენტური მონარქია არ ყოფილა, მისი ტიტანური ვინება უფრო შორს წუდებოდა: ვეფხისტყაოსნის ავტორის იდეალი ათენის დემოკრატიული სახელმწიფო იყო. მაგრამ არსებობს კი საბუთი?

დაად, საბუთი არსებობს: მეცხრე სტოფის („ესე ამჟავი სპარსული“) მომდევნო — მეთათ სტოფი ანაგრამის სახით შეიკავს სახელს ათენი, და ამგვარი ანტიოტეზა მტაღმნილია ბრძა შემთხვევათობას მიეწეროს.

ანტიკური ათენის მიმართ ქართულ განთლებულ საზოგადოების სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. მისი პირველივე სხენება ქართულ მწერლობაში მისახამ ნიშნის ადებსთან აიბს დეკავშირბეულია: დავით აღმაშენებლის ღირსშესანიშნავ დეაწლად მისმა მეისტორიემ საქართველოში „სხვად ათინად“ მიჩნეული გილათობს აკადემიის დაარსება დასახამ უკვე ეს მიწმობს ათენის საზოგადოებრივ-კულტურულ სტატუსს იმდროინდელ ქართულ შემეცნებაში.

მაგრამ ყველაზე უფრო ცხადად ათენის ადმი დამოკიდებულება შეიძლება იმ პოეტურ აღმაფრენაზე მედავებოდეხ, რომ XII საუკუნის ორი უდიდესი მეტოტბის შემოქმედებაში ვ. ფ. „პოლიტიკი ტეპოლოგიით“ ათენი ათენება წმანს დაუკავშირდა:

ჩახარებაჲ: VII, 7:
მესმა ათენით: თქვენ გაათენით,
ცუდად გაიკრნეს ლამეთა თქეად.
ზეციით მნათობნი, ეტლით შოიებნი,
არ მათად სკურბეტენ შართ ნამათეად.
შეფოლო, 28, 1:
აფთოსი ბრძავს, ათენს ესერებ გაათენს
წვედიადსა ნათლად სხიენი შხისანი,
კაცმან სულულმან და უსულულმან
ვერ ვულისხმავოს ზრახვა მისანი.

თამარის მეტოტბეთა შემოქმედებაში სიტყვათა ეს თამაში — „თენ“ ფუძეზე აკებული შეგნებული პარონიმული დაწყებულება, რისთვისაც საკმარისი შეიქმნა ისტორიული ძეგლებში ათინად ტრანსკრიბირბეული ბერძნული სახელწოდება პოეტურ თხზულებში ათენად უოფლიყო ვადმოტანილი, როგორც ჩანს, აზროვნების იმ ინერციას ინარჩუნებს, რომელიც ადრევე მიიღო ისტორიული და ფილოსოფიურ-



რი ლიტერატურის იდეოლოგიურ კონტექსტში; ესაა მისი, როგორც არაორდინალური სიტყვის, მნიშვნელობა გარკვეული საზოგადოების ისტორიაში — „სიტყვა-იდეა“; რომლის შინაგანი იდეოლოგიური პოტენციალი მისი პოეტური ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის. მეზობლებს „პოეტური ეტიმოლოგია“ „ათენს — გაათენს“ (შეჯიღი) და „ათენით — გაათენით“ (ჩაბრუნებ), სადაც პარონიმულ ფუძეთა ბევრთა შედგენილობის იგივეობის („ოენ“) შემეგობით „შახსნი-იხებელი“ სიტყვა თავის მოცულობაში მთლიანად ითავსებს ძირითადს და ამგვარი „პოეტური კომპოზიტი“ თავის შინაარსს „რომანო თამაშის“ ეფექტს შეიცავს (გაათენს — გაათენით), აქ მხოლოდ ავტორისეული, ინდივიდუალური პოეტური აზროვნების მიმართულებას კი არ ავლენს, არამედ ესთეტიკური სახეს საზოგადოებრივ დირექტულსაც გულისხმობს, ხანსა, რომელიც თავის მხრავ უკვე ჩართულია ოენდაც არამხატვრული ტექსტის კოდიფიცირებულ ლიტერატურულ ენაში („სხვად ათინდა“). ორივე მეზობლებთან განმეორებულ და ერთგვარად „გაცვეთილი“ პოეტური ეტიმოლოგია, ჩანს, მეზობლებს შემოქმედებაში უკვე დამკვიდრებული ფორმულის სტატუსს ფლობს. „პოეტური ეტიმოლოგია“ ეს მიგნება თუ რა მხარად დამკვიდრდა ქართულ პოეტურ მეტყველებაში, ჩანს იქიდან, რომ ოთხი საუკუნის შემდეგ იგი მოულოდნელად თვითმურა მერის პოეზიაში გამოანათებს:

„ზოგი დავწერე სახუმროდ საღბინო,
საკმათენი,
ბოლოს ცოტა რამ საწვრთნელი, სულისა
გასანათენი,
მცირე, რაც მჭონდა, მიძლენია, არა ვარ
ბრმენი ათენი“.
შამიფარვანიანი, 107, 1 — 3.

„გასანათენი — ათენი“ კვლავ „ოენ“ ფუძეს უკავშირდება, ასეთია პოეტურ „სიტყვა-სახეში“ ავთორიტეტული ტრადიციის უკვდავი ძალა! მაგრამ სულ სხვაა ათენას პოეტური, და, რაც მთავარია, იდეოლოგიური ინტერპრეტაცია ვეფხისტყაოსნის პროლოგის მეთვე სტროფში, რომელიც მთლიანად ათენას შემცველ მარცვალთა „თამაშვება“ აგებული და ანაგრამის სახით „სკავს და ბურავს“ სპარსულეს მარადიულ ანტითეზს — ათენას, რომლის მეტაფორულ შინაარსშიც ტრადიციის და დემოკრატიის კონფრონტაციაა დაშიფრული:

თვალთა, მისგან უნათლოთა ენატრამცა
ასლად ჩენა,
აჰა, გული გამიწურდა, მიხვებოპია
ველთა ბრენა!
მიაწყეთ ვინ, ხორცთა დაწევა კმარის
მისცეს სულთა ლენა,

სამთა ფერთა საქებელთა ლამის
ლაქსთა უნდა მტკნარად
გენეპიყურება

„თა ენა“ რომ ათენას ანაგრამაა, ამას ალბათ, სავანებო დასაბუთება არ სჭირდება, დამახიბირება სპარსულში — ათენა პროლოგის ამ კონტექსტში საშუაროს სახეობრივი მოდელის შემცველ „სიტყვა-იდეა“ სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელი შეგნების ისეთ ეფექტს შეიცავს, უოველივე შემთქმულის ასპექტში კი საშუაროს კონცეფტური მოდელის ისეთ აბსტრაქტურ ველს ქმნის, რომ კითხვის დასმა — რამდენად ვაზარებელი და შეგნებულია ეს უოველივე ავტორის მიერ, უზარალოდ, უხერხული ჩანს. აქ ვაცილებით უფრო გამართლებული და მნიშვნელოვანია გავითვროთ ფერადნად დე სისიურის კითხვა, რომელიც მან ამ რვა ათეული წლის წინ დასვა: „რა ვციეთ ამ ლოგოკურს საფუძველს შესახებ რომელმაც ანაგრამათა გარენა განაპირობა?“.

ამ საკითხზე შეჩერება აუცილებელია. თითქმის ერთი საუკუნის წინ, ჰელ ინდოევროპულ პოეზიაში ანაგრამების კვლევისას, სოსიურის უზრაველმა მიიხურა იმ ფაქტმა, რომ ჰელის დროის პოეტები შეგნებულად მიმართავდნენ ტექსტში სიტყვების შეჩვენებას მთავარი სიტყვის შედგენილობის მიხედვით. ნაშრომი, რომლის გამოკვეყნება ავტორმა თავის დროზე არასასურველად მიიჩნია, დღეს სიტყვის პოეტის მკვლევართა სავანებო ინტერესის საგანია; დე სოსიურის ნაშრომში მიკვლეულია ინდოევროპული პოეზიის მთავარი პრინციპი — მისი ანაგრამული წყობა, რომლის პირველი დებულების თანახმად მთავარი სიტყვა ტექსტში ჩვეულებრივ აქ არის, მაგრამ წარმოქმნება მთელი მისი ბევრთი სტრუქტურით, ხოლო მეორე დებულება გულისხმობს, რომ ლექსის ყველა სტრიქონში სავანებო შეჩვენება მთავარი სიტყვის ანაგრამულ იძლევა.

სწორედ ამგვარი სპეციფიკური ვითარება გვაქვს პროლოგის მეთვე სტროფში, სადაც მთავარი სიტყვა ათენა დაშიფრული, ანაგრამული სახით არის წარმოდგენილი მისი შემადგენელი ათენა ენა მარცვლების მეშვეობით და სტროფში ოთხბერ მერადება, რაც სრულიად ეთანხმება სოსიურის პირველ თეზისს, ხოლო სიტყვის პირველი თანხმუნის აქცენტირებით თამარცვლის სავანებო და სისტემური განმეორება სტროფში გავაანხებებს მკვლევარის მეორე თეზისს რომლის თანახმად, ლექსის ყველა სტრიქონი თითქმის მთავარი სიტყვის ანაგრამულ იძლევა:

... თვალთა მისკან უნადლოთა ენატრებოც
 ... ახლად ზენა,
 ... მიხედობოთა, მიხედობოთა
 ... ელთა რბენა
 ... მიყვით ვინ სურთთა დაწვა შიშობს
 ... მისთვის სულთა ღებნა
 ... სამთა ფერთა სიკვებელთა ღამის
 ... ღუქსთა უნდა ვლენა

საგან მიუხებელი წამომოვესა... სოფო ურუხის
 ... ისტორიათა და აზმათა... ავტორუნი ვიქსუპს
 კუთრებული სიხადით გამოწნდა, რომ XII
 საუკუნის საქართველოში აიენის იდეალი ვე-
 ლას საკუთარი მქონდათ თუ ჩა ღრმად იცოდ-
 ნენ XII საუკუნის ქართველებმა ძველ საბერ-
 ძნეთის ისტორია და ჩა აღტაცებას მჭერიადა
 მათ საბერძნეთ-სპარსეთის ომებში აიენის ძღე-
 ვამოსილება, შესანიშნავად დასტურდება იმით,
 რომ, თამარის პირველი ისტორიკოსის მონათ-
 ზრობით, თამარის მამამ — მეფე-მეფე გიორ-
 გიამ თურქებთან ბრძოლის წინ ქართველ მხე-
 დრობას, როგორც მისამაძი მავალით, დემო-
 კრატიული ქალაქ-სახელმწიფო აიენისა და
 აიენის სასწავლო კავშირის წინამძღოლის —
 თემისტოკლეს სიმამაც დაუხანა: „რამეთუ გუ-
 ასიხებ პუდელთა მიმთბობელთაგან, თუ რაო-
 დენნი კუთხებანი თავს იხსნენ... ელენთა, ოდეს
 იგი იმდუნაგოდეს თემისტოკლეოს მიერ უც-
 თომებელთა სპარსეთისაგან სოფლისა მქონებე-
 ლსა მძლენა არტაქსერქის ზედა, რომელმან
 ზღუდაჲ მტოციე უო უომრად საცხაოთაჲ, სო-
 ლო ათინედელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან
 უკურადღუელ იქმნა“.

ამრიგად, ძველ ქართულ მწერლობაში ათე-
 ნა, როგორც სიტყვა-ოდე, არაერთგანზომილდ-
 ბანია და მასთან უკვლას საკუთარი იდეალი
 აქვს დაკავშირებული.

ვეფხისტყაოსნის უაღრესად თავისებურ პო-
 ეტურ გეოგრაფიაში, სადაც რეალურად არსე-
 ბულ სახელმწიფოთა გვერდით გამოგონილი სა-
 ხელმწიფოები თანარსებობენ, შემთხვევითი არ
 უნდა იყოს, რომ ერთადერთი რეალური ქალა-
 ქი, რომელიც პოემაში ფორმალურად სახითაა
 მოხსენიებული — ათენა, თინათინის გამეფე-
 ბის განაღვიწულ სცენაში აპოთეოზად ფერის
 ტაძარი: „მე ვინ ვაქებ, ათენს ბრძენთა, ზამს,
 აქებდეს ენა ბერეი“ (მშპ, 4) და არც ის ჩანს
 შემთხვევითი, რომ არაბეთის იდეალური სახელ-
 მწიფოს სამეფო ტახტზე ადის თინათინი,
 რომლის სახელშიც ისმის როგორც ელიზური
 მითოლოგიის სიბრძნის ქალღმერთის, ასევე ამ
 ქალღმერთის მფარველობის ქვეშ შოკოე ქალა-
 ქის სახელი. ის, რომ არსთაველი საფუძვლი-
 ანად იცნობდა „ათენს ბრძენთა“ პოლტიკურ
 მოძღვრებებს, სრულიად უშედეგოა, და ისიც
 დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას, რომ არსთა-
 ველი არ არის მებრძობ, ამ სიტყვის როგორც
 ზოგადი, ისე კონკრეტულ-ისტორიული მნიშე-
 ნლობით: სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს
 სრული დუბლი მის შესახებ ძველ ქართულ
 ოფიციალურ და არაოფიციალურ წერილობით
 ძეგლებში.

მგარობ რატომ უნდა აქებდეს თინათინი —
 არაბეთის მეფეს — „ათენს ბრძენთა... ენა ბე-
 ვრი“? ამის სასუბი, ვეჭვობ, ბერძენ ფილო-
 სოფოსთა ნაშრომებშია საძიებელი. საფულის-

ცხარაქერ განმეორებული თა მარცვლი, რო-
 მელსაც უნდა დეშატოს ათ და ეთ (უნა-
 ლოთა, მიაქეთ) — ათენას „ნარკელი“: ამ
 სტროფის ანაგრამული წყობის შემდგომი
 კვლევა აიღვე სხვა კომპონენტებსაც აღმოაჩენს
 (მაგალითად, აქლია მარცვლებიც ანაგრამულ
 მარცვლითა სიმძლავრეს მიყვითენებთან
 დ-თ ბვერათა „ნათესაობის“ გამო), მაგრამ აქ
 პოეტური ენის ფონეტიკა რუსთაველის ვერსი-
 ფიკატორული ზელოვნების დემონსტრირებას კი
 არ ემსახურება, არამედ ღრმა პოეტური აზრით
 არის დაშუბებული: წინააღმდეგ მებრძობთა
 ლოწონგური ათენს — გაათენს“ პარონიმისა,
 პირველი ტემპის „შებრუნებულ“ პარონიმულ
 ატრაკციით „უნათლოთა“ [ათენა] — ხა-
 ვდა მთავარა სიტყვა მხოლოდ ანაგრამის სახი-
 თაა მოცემული და „ამჩსაცნობა“ — აღტე-
 რარება ნიჟინ კონსონანტურ ქვეუს ვერდრო-
 ბა და ამ ღრმავად ალიტერაციის უნაბეფის
 გეოგრაფიის შესრულებული პარონიმის სემან-
 ტიკური ეფექტ ტაქტის შინაარსის იმ ანალი-
 ზის შედეგად შედგენდება, რომელიც თავისთა-
 ვად გულისხმობს, რომ პარონიმის შიფრი
 „ათენს|გათენს“ ტაქის ფორმულაში მოცე-
 მული, რასაც რუსთაველთან „ათენს|ნათელს“
 გაცილებით უფრო ფარავ სემანტიკა ცვლის:

თვალთა, მისკან (ტრანზისკან)
 უნათლოთა, ენატრამცა
 (ნათელი ათენის) ახლად ზენა...

სპარსული — ათენას ანტითეზის
 შინაარსობრივი დიატიკითვის თვალსაზრისით,
 რომელიც კონცეფციური ან მთელი
 პოეზიის მამართ, ეთნიკური ცნება თუ
 გეოგრაფიული სახელი, როგორც გამოხატულების
 აბრევიატურა, პოეტურ კონტექსტში უაპე სულ
 სხვა ვანზომილებას იძენს და პოეტურ ენას
 იდეოლოგიური მოვლენათა რიგში
 რთავს.

ათენი, როგორც ქართული მწერლობა მოწ-
 მობს, XII საუკუნის საქართველოს საზოგადო-
 ებრივ აზროვნებაში უაღრესად აქტურად ჩა-
 როლი სიტყვაა და მისი კონტექსტური ინერ-
 ცია მანიანე კი იგრძნობა, როდესაც ნახსენებაც
 კი არ არის, როგორც, ვთქვათ, იოანე პეტრი-
 წის სიტყვებში: „და თვით მათ ზედგათა ვუცუცე
 სურვილსა, რომელ ენათა ენისადა გამოეწო
 და ზედგამცა ფილოსოფოსთა განცდისა მთა-
 რისტოტილურა და ღუთისმეტყველებმა ნივთი-

მია, რომ პლატონიც და არისტოტელეც მართებული სახელმწიფო წყობილების ძიებითად პირნიკიად სამართლიანობას თვლიან.

პლატონის მოძღვრების თანახმად, სახელმწიფოს მმართველი ბრძენი უნდა აიყოს. პლატონს სიბრძნე ესმის, როგორც უწყინესი ცოდნა ანუ უნარი სახელმწიფოს მმართველობის შესახებ კეთილი რჩევას მიცემის; სიბრძნე ის სიკეთეა, რომელიც მხოლოდ მცარედით — ფილოსოფოსთა გუთუნით და წინებრივ სიკეთედით მიეუფლებოდა. პლატონის აზრით, იდეალური სახელმწიფოს მმართველი მხოლოდ ფილოსოფოსები უნდა იყვნენ: „ვიდრე ქალაქში არ იმეფებენ ფილოსოფოსები, ანდა მებრძობენ და მმართველები არ დაიწყებენ გულწრფელობად და დამაკმაყოფილებლად ფილოსოფოსობას, ვიდრე სახელმწიფომბრძენი ძალა და ფილოსოფია არ დაეშობა ერთმანეთს... მანამდე არც სახელმწიფოებისთვის, არც ადამიანთა მოღვმისთვის არ აქვს დასასრული ბოროტება“ (პლატონი, „სახელმწიფო“, V, 473 ბ).

აქ ერთი ნაინტერესო ქართული ტექსტი უნდა მოვიხილოთ: „უთარა ვანტუნის გვილად და რჩეულად ქალაქნი და ქვეყანანი? ამით, რომელი ანუ ბრძენნი-ფილოსოფოსნი და ღმრთობნი-მოსწიანი — მებრძენი იქნენ, ანუ მებრძენი — ბრძენი-ფილოსოფოსნი და ღმრთობნი-მოსწიანი იქნნენ“. სრულიად ცხადია, რომ ეს ნაკვეთი XI-XII სს. ქართული თხზულებიდან „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“ ჩვენს მიერ პლატონის „სახელმწიფოდან“ მიმხობილი ციტატას „ქართული ვარიანტია“, ქრისტიანული რელიგიით ნაყარნაბევი კორექტაით. ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, თუ რა ღრმა ინტერესს იჩენდა რუსთაველის ეპოქის ქართველი განათლებული საზოგადოება ანტიკური პოლიტოლოგიის მიმართ. უკველივე ამის შემდგომ ვახაგებია, რატომ უნდა აქებდეს არაბეთის ტახტზე ასულ თინათინს „აიბრთ ბრძენთა ენა ბეგით“. თინათინი იდეალური, ბრძენი, „ცნობიანი ზე-მხედველითა“ აღჭურვილი ხელმწიფეა, ხოლო არაბთა — იდეალური სახელმწიფო; ვეფხისტყაოსნის მმართველ სისტემაში მას ისეთივე ადგილი უკავია პოემაში დამატულ სხვა სახელმწიფოთა — ინდოეთის, მულღანაზნარის, ხატაეთის, გულანაზარის, ქაქეთის — მიმართ, რაც პლატონის უტოპიას ანუ საუკეთესო, იდეალურ სახელმწიფოს სახელმწიფოს ვეგლა სხვა ფორმათა მიმართ. რუსთაველს, დანტესგან განსხვავებით, არ დაუწერია პოლიტიკური ტრაქტატი და მის ეთიკურ-პოლიტიკურ კონცეფციათა ერთადერთ წყაროდ ვეფხისტყაოსანი ვერგება — „შობრობა“, რომელიც ნუ დაუთავივებთ, „სიბრძნისა ერთი და რა“ (შდრ. არისტოტელე, „პოეტიკა, 5 მ: „...პოემა უფრო ფილოსოფურია და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორია“). ამ ასექ-

ტში განჭვრეტადი რუსთაველის პოეტიკური შეხედულებები, დაფარული ვეფხისტყაოსნის შიგნითად დიდხანს ვერგავიხილო, განუზომლად უფრო ღრმა, ვიდრე აქამდე ითვლებოდა. იმევე, როგორც დანტეს „დეთებრთა კომედია“, ვეფხისტყაოსნის ინტერპრეტაციებზე რუსთაველის პოლიტიკურ კონცეფციებთან არის დაკავშირებული და მთელი პოემა მისი შემოქმედის იდეურ-პოლიტიკურ კონცეფციათა მხატვრულ დაუფინის წარმოადგენს. განსხვავებით დანტესგან და მსგავსად შექსპირისა, რუსთაველი თავის პოემაში ისტორიის არა პრობლემურად, არამედ წმინდა პოლიტიკურ კონცეფციის ავითარებს: ის, რაც პოემაში ზდება, დეკლარატივი განგებთ შედეგიც კი არა, „პოლიტიკური სხეულის“ ფუნქციონირების შედეგია. პლატონისა და არისტოტელის ეთიკურ-პოლიტიკურა ხანაითა თხზულებანი, მთელი მათი ესთეტიკური მომზიბლობის მიუხედავად, იდეათა სიმბოლურ შეხატების მეტონერული ენითა დაწერილი. მეტონერების ენა მკაცრი და ნათელია, რუსთაველს კი ამ იდეათა ვადგომსა ცხადია „შობრობაში“ მისი შინაარსის შესაბამისი ექვივალენტური ფორმა უნდა მოეჩინა; ვეფხისტყაოსანში აღწერილი თუ მოხსენიებული უკველი სახელმწიფოს მმართველი ხატო, პოემის უკველი გეოთარ ხანაითა რუსთაველი ვადგოვცემის საკუთარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს (ვაფიხსენოთ პლატონის „სახელმწიფო“, სადაც სოკრატე თანამიმდევრობით აღწერს იდეალურ სახელმწიფოს და მის შესაბამის იდეალურ ადამიანს ტირანული სახელმწიფოთა და მისი შესაბამისი ტირანული ადამიანის დამთავრებული). რომელია ბოლომდე წვდომა სრულიად შეუძლებელი სახელმწიფოს თეორიის შესახებ ჰყელ ზერძენ ფილოსოფოსთა, უპირველეს უკველის, პლატონისა და არისტოტელის სექციტელ საშობრობა საუფუფლიანი ცოდნის გარეშე.

ვეფხისტყაოსნის მმართველ სინამდვილეში იდეალური სახელმწიფოს მოდელი შექმნის თელსაზრისით, რუსთაველის არაბეთი თომასო კამანლის „შის ქალაქისა“ და თომას მორის „უტოპიის“ წინამორბედა; ამასთან, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ XII საუკუნის მხოფლიოში რუსთაველმა პირველმა შექმნა და ამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს იდეალია, სახელმწიფოსი, რომელიც, უპირველეს უკველისა, სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება. (მე აქ მსგავსებას ვვალისხმობ და არა იგვეგობას: ჩემის აზრით, რუსთაველი უფრო სტატიკურად მართებული სახელმწიფოს იდეას ავითარებს, ვიდრე პლატონის იდეალური სახელმწიფოსას).

ამრავად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რუს-

საიველის პოემში პროლოგის მეტრე-მეტოე სტროფთა ფარული ოპოზიცია — სპარსული — ათენა თავისი მეტაფორული წინაარსით „როგორც, ერთის მხრივ — დესპოტიის|| უკანონობის||თვინებობის, მეორე მხრივ კი — დემოკრატიის||კანონიერების||სამართლის — ანტიფეხა ეპოქის საერთო კონტექსტში განხილვისას („მოკარვთა“ პოლიტიკური დამპირსპარება აბსოლუტურ მონარქიასთან, მეზობეთა შემოქმედებაში შეფის მართლმსაქულების საგანგებო აქცენტირება, განსაკუთრებით კი „მართალია სამართლის“ პრობლემის დაყენება) გარკვეულ მუარ საფუძველს ქმნის ვარაუდისთვის, რომ ვეფხისტყაოსანში ამ ოპოზიციის დამოფრული საზგანსა თანხვედრია „სპარსული წერილებისა“ და „კანონთა სულის“ ავტორის და მის თანამოაზრეთა იდეური პოზიციისა, ოღონდ გენიალურმა ქართველმა პოეტმა და მოაზროვნემ ზეთი საუკუნით დასწრო ფრანგულ განმანათლებლობას, ანუ ზეთი საუკუნით გაუსწრო პროგრესული ევროპული აზრის განვითარებას.

უკვე რვათა წელია, საქართველოში სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა ცოცხლობს. ისტორიული ლოგიკის თვალსაზრისით სავსებით კანონზომიერია, რომ ეს იდეა ახალი დროის მსოფლიოში პირველად იშვა ბერძნული მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელ საქართველოში, რომელიც „შამის“ — დემოკრატიულ ათენის იდეთა და იდეალთა სულიერი შემკვიდრე იყო, და არა დასავლეთ ევროპის კათოლიკურ სამართლის, რომელსაც „რომანულმა დედამ“ (1158, 2) — იმ-

პერიოდმა და ამპერატორულმა რეჟიმმა დაუდრე დასაბამი (უცნაურ არიან გზანი, მრუდული, ანტორიისანი: ტრაგიკული პარადოქსია, რომ რომის იმპერიის მეშვეიდან კათოლიკურ სამყაროს დემოკრატიის ხანა უფრო ადრე დაუდგავიდან ათენის დემოკრატიის პარადიპარ სულიერ მეშვეიდან).

აკიომ გენიოსის უცთომი აღლოთი ივანო, რომ ვეფხისტყაოსანი „პოეტური წინასწარმეტყველება“; არ შევადგებოთ, თუ ვიტყვით, რომ შოთა რუსთაველის ღვათებრივი პოემა — საუკუნეებზე გათვლილი პოლიტიკური პროგნამა (ჩვენს შიერ მეცნიერულად ქერ კოდეც აუთიხებელი), რომელმაც, თავისი ქაღოსური სტრიქონების ემოციურ-ინტელექტუალური და წინეობრივი წევადენით, დემოკრატიული სულისკვეთებით აღწარდა ქართველთა თაობება, რათა მისი „ტყბილ-ქართული, სიყვითისა ზელების მბდელი“ (710, 1) ერი დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას წინაგანდ მომზადებული შეზვედროდა; საქართველოს უპირველეს გენიას, ქართველთა სულიერ შუეს სწამდა, რომ მის სამშობლოს ეს დრო უთუოდ დაუდგებოდა.

„ამ საქმესა დაფარულსა“ XII საუკუნის საქართველოს ისტორიის კონტექსტში წაკითხული ვეფხისტყაოსანი „გააცხადებს“; ქართული დემოკრატიული ანუ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის (და, ვფიქრობ, არა მხოლოდ იდეის, ანუ სიტყვის, არამედ საქმის) საწყისებთან შოთა რუსთაველის გრანდიოზული ფიგურა დგას.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ბილწუმონები: შო. რედაქტორის — 98-55-11, შო. რედაქტორის მოადგილის 98-55-15, პ/შ მღვიმის — 98-55-13 და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა მაწყოზად 18.09. 89 წ. ხელმოწერილია დსახბუღად 10. 11. 89 წ. ანაწყოზის ზომა 71/4X12, ქალაღლის ფორმატი 70X108, ფინიკური ნახბუღი ფურცელი 11, პირობითი ნახბუღი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

უე 09484. ტირაფი 30.000. შუეც. 2105, საქართველოს კბ ცუ-ის გამომცემლობის სტამბა.

060360 80 333.

685/54

060360

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლური
კავშირების
სამსახური

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ